ბაია ამაშუკელი:

დღევანდელ ოპოზიციონერთა უმეტესობა ადრე ბუშთან, ახლა კი ობამასთან დარბის დირექტივებისათვის 8

მერაბ ჯიბლაძე:

ჩვენ რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით – აფრიკისკენ 12

არნო ხიდირბეგიშვილი:

10 სად ბაიდენაობთ, ბატონებო?

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

22 — 28 ივლისი, 2009 №22

საქართველო & მსოფლიო

www.geworld.net

გამოდის ოთხშაბათობით ფასი 1 ლარი. ელ.ფოსტა: info@geworld.net

უკუღმა, მიხო, უკუღმა!..

WSJ:

Georgian President Mikheil Saakashvili said his country's hopes of joining NATO are "almost dead. It's tragic. If they manage to kill NATO [Georgia's hopes of joining the alliance], it means the Russians fought for the right reasons."

2

მიხეილ სააკაშვილი:
საქართველოს იმედები, რომ ნატოში მიიღებენ, თითქმის გაქარწყლებულია, გამოდის, რომ რუსები სამართლიანი საქმისთვის იბრძოდნენ.

ალექსანდრე ჭაჭია:
იმას, რომ საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში მიიღებენ, ჩვენი საზოგადოების ორი კატეგორია ამტკიცებდა: მოსყიდული პოლიტიკური აფერისტები და ფსიქიკურად არანორმალური ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე.

რეპორტაჟი //

ხელები შორს... პოლიციისგან! 2

ნაცარქცევა //

ბრძანებულება №440, ანუ როგორ ვიშოვოთ შვიდი მილიონი 3

მიმოხილვა //

ობამას სიტყვები, მედვედევის მოქმედება 4

ტრაგედია //

ხატია ძლიერმა ბიძგმა ღია კარში გატყორცნა და მერე ჰაერში ამოტრიალებულმა ავტობუსმა გადაუარა... 6

ხლისტების ათი მცნება

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი (მიშა) და არვინ იწამოთ ჩემ გარდა.
2. კერპიც მე ვარ თქვენი: მიწაზე, მიწისა და წყლის ქვეშეც.
3. ამოდ ახსენეთ სახელი ჩემი — მიშა მაგარია!
4. კვირაში შვიდივე დღე ადიდეთ სახელი მიშასი — პოლიხრონიონ.
5. დაივიწყე, მიაფურთხე დედას და მამას, წინაპართა საფლავებს, რათა დაიქცეს სამშობლო შენი, რათა დღეგრძელი იყო ამ ქვეყანაზეც და იქაც — ჯოჯოხეთში.
6. იყავი მკვლელი, დაუნდობელი აფთარი.
7. იმრუშე, ჩაეფლე სოდომ-გომორის მადლში.
8. იქურდე, იყაჩაღე, ჩვენს მერე ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა.
9. დასწამე ცილი მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.
10. თვალი დაადგი სხვის ცოლს, სახლს, ქონებას — შეირგე, თუ ნაცმოელი ხარ. 16

ლარიანი პრინცესას

11

საა(გა)რაკო ვნებანი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

უკუღმა, მიხო, უკუღმა!

აშშ ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის საქართველოში ვიზიტის წინ ქვეყნის პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „Wall Street Journal“-თვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საქართველო ნატოსა და ევროკავშირში ვერ გაწევრდება...

„საქართველოს იმედები, რომ ნატოში მიიღებენ, თითქმის გაქარწყლებულია, გამოდის, რომ რუსები სამართლიანი საქმისთვის იბრძოდნენ“, — თქვა მან. გაზეთი შეგვახსენებს, რომ „აგვისტოს ომის წინ სააკაშვილი თავდაჯერებით ლაპარაკობდა ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრებასა და, ასევე, ორი დაკარგული ტერიტორიის — სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემოერთებაზე“. „ახლა პრეზიდენტი ამბობს, რომ ამ სამი მიზნის მიღწევა ნაკლებსავარაუდოა უახლოეს მომავალში“, — მოწმობს გაზეთი.

THE WALL STREET JOURNAL.

Home | World | Business | Markets | Market Data | Tech | Life & Style | Opinion

Europe | U.K. | Asia | U.S. | U.S. Politics | World Markets | Journal Reports | The Flu Outbreak

EUROPE NEWS | JULY 30, 2009

Georgia's President Vows Changes

Article | Comments

Email | Printer Friendly | Share: Yahoo Buzz | Save This | Text

By ANDREW OSBORN

See Corrections & Amplifications item below

Georgian President Mikheil Saakashwili said his country's hopes of joining NATO are "almost dead. It's tragic. If they manage to kill NATO [Georgia's hopes of joining the alliance], it means the Russians fought for the right reasons."

View Full Image

Associated Press

President Mikheil Saakashvili walks with a U.S. Navy officer aboard the destroyer USS Stout at Georgia's Black Sea port of Batumi on Thursday.

Before the August war, Mr. Saakashwili spoke confidently of his country's accession to NATO and the European Union, and its imminent reunification with the two breakaway regions — South Ossetia and Abkhazia. Now, the president says achieving all three goals seems unlikely any time soon.

ორშაბათს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყნის პარლამენტის წინაშე სიტყვით გამოვიდა და თავისი პოზიციების აღდგენისა თუ კრიტიკოსთა დაშოშმინების მიზნით ხელისუფლების გადანაწილების დამატებით ნაბიჯებსა და არჩევნების დემოკრატიზაციაზე ისაუბრა. სააკაშვილმა, ასევე, განაცხადა ახალი ადგილობრივი არჩევნების დანიშვნის, ოპონენტებისთვის მეტი მედიასივრცის დათმობის შესახებ და ოპოზიციას სახელისუფლებო ორგანოებში ადგილებიც კი შესთავაზა. საგულისხმოა, რომ სააკაშვილმა ეს სიტყვა წარმოთქვა ბაიდენის ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე...

პრეზიდენტმა, როგორც ყოველთვის, სცადა, გამოხრული ძვალი გადაეგდო სეტერივით გაწვრთნილი და მორჩილი ოპოზიციისთვის, თან დასავლეთის თვალში ქულები აიწია — მნახეთ, რა დემოკრატი ვარ, რარიგ დათმობებზე მივდივარო.

დავანებოთ თავი პიარში განაფული პრეზიდენტის მორიგ პროპაგანდისტულ ხრიკს და ისევ „Wall Street Journal“-თვის მიცემულ ინტერვიუს დავუბრუნდეთ. როგორც პრეზიდენტი ინტერვიუში ბრძანებს, „ფსიქოლოგიურად გაიაზრების“ შემდეგ გააცნობიერა, რომ მისი ამოცანა საქართველოს მოდერნიზაციაში მდგომარეობს და მისი გეგმა ითვალისწინებს დემოკრატიის გაღრმავებასა და ხელისუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემის უზრუნველყოფას იმ დროისათვის, როცა ის 2013 წელს პოსტიდან წავა. ესეც არაფრისმომცემი პიარი და იაფფასიანი პროპაგანდაა.

მთელ ამ ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ საქართველოს მარად ცვლადი ხელისუფლება ბოლო 15 წლის განმავლობაში და, განსაკუთრებით, ამჟამინდელი პრეზიდენტი და მისი გუნდი ბოლო 5 წლის განმავლობაში ქართველ საზოგადოებას ჩრდილოატლანტიკური ალიანსისა და ევროკავშირის წევრობას ისე ჰპირდებოდა, თითქოს საწევრო ბილეთი უკვე ჯიბეში ედოთ. ამ მიზნის განხორციელებაზე იხარჯებოდა საქართველოს ბიუჯეტის თითქმის 2/3. ხელისუფლება განსაკუთრებული რიხით ნატოს წევრობაზე აგვისტოს ომისა და მის შემდგომ პერიოდში ლაპარაკობდა, შემდეგ კი რიხიანობამაც იკლო და იმედებიც გაქარწყლდა, რაც იმით დასრულდა, რომ სააკაშვილმა ქართველ ხალხს იმედი გადაუწურა: ისე ვატყობ, ნატოში გაწევრებაზე არც უნდა ვიოცნებოთო. ჰოდა, საზოგადოებასაც გაუჩნდა კითხვა: მაშასადამე, მთელი ამ ხნის განმავლობაში უტიფრად გვატყუებდნენ?!

ანუ მარტივად და გასაგებად რომ ვთქვათ, ყველაფერი, რასაც სააკაშვილი გვპირდებოდა, ახდა, ოღონდ — უკუღმა. არადა, ადამიანებს, ვინც აცხადებდა, რომ სააკაშვილი ტყუის და მისი პოლიტიკა ხეირს არ დაგვაყრის, შავი დღე აყარეს, მტრად და კონფორმისტად მონათლეს. **სინამდვილეში კი თურმე ტყუოდა მიშა, თურმე მისი ნათქვამი თავიდანვე უკუღმა უნდა გაგვეგო და უამრავ პრობლემას, მსხვერპლსა და ნგრევას გადავრჩებოდით... ყველაფერი დაახლოებით ისეა, როგორც „დათა თუთაშხიაში“ — უკუღმა, ასინეთა, უკუღმა!**

განსხვავება მხოლოდ ის არის, რეალობაში უკუღმა მოუბარის როლში არა უკბილო დედაბერი, არამედ საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი გამოდის; პრეზიდენტი, რომელმაც ექვსი წელიწადი ცრუ მიზნისკენ გვატარა, რაც მთავარია, ამ ცრუ მიზნის მისაღწევად ქვეყანაში დენთის სუნი დააყენა, საომარი ავანტიურა წამოიწყო, ტერიტორიები დაკარგა, მერე კი... **ვითომც არაფერი, ისე განუცხადა „Wall Street Journal“-ს, რომ დაპირებები იყო სიცრუე, მიზანიც იყო ცრუ, რომ ახლა, მას შემდეგ, რაც მან „ფსიქოლოგიურად გაიაზრა“ მომხდარი, მიხვდა, რომ ნატო და ევროკავშირი კი არ ყოფილა ჩვენთვის მთავარი, არამედ... და მონანიების ნაცვლად პრეზიდენტმა სიცრუისა და ცრუ მიზნების მორიგი კორიანტელი დააყენა. ამ კორიანტელსა და უეცარ მეტამორფოზს აფერას ვერ დაარქმევ, ძალიან მაღალი შეფასებაა. ამას ვერც ეშმაკობას დაარქმევ. საქართველოს პრეზიდენტის ტყუილებს ამისთვის ძალიან მოკლე ფეხები აქვს. ეს იმდენად მდარე ვირეშმაკობაა, უკბილო დედაბერ ასინეთასაც არ ეკადრება და დროა, ქვეყნის თავკაცს ვინმემ ურჩიოს — უკუღმა, მიხო, უკუღმა! თუ სააკაშვილს არა, ვაშაძეს მაინც ურჩიოს ვინმემ, მიხოს წაღმა ნათქვამი უკუღმა არ დაატრიალოს ხოლმე.**

რა შუაშია ვაშაძე?!

ახლავე მოგახსენებთ: ნორმალური ადამიანები დღის განმავლობაში, საშუალოდ, სამჯერ მაინც რომ იტყუებიან, ეს საყოველთაოდ ცნობილია. საწყენი ისაა, რომ ქვეყნის პირველმა პირებმა თავიც არ შეიწუხეს ერთმანეთში მოსალაპარაკებლად და „ოპტიმალურ ტყუილზე“ შესათანხმებლად. ჰოდა, ჭირმაც... უკაცრავად, ტყუილმაც თავი არ დამალა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ბარაკ ობამას მოსკოვური შეხვედრების კომენტირებისას განაცხადა:

— დღეს მხოლოდ რუსეთის ფედერაციაში ჰგონიათ ან სურთ, ფიქრობდნენ, თითქოს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრების პერსპექტივა არ აქვს. დამერწმუნეთ, დღეს ჩვენი ნატოში გაწევრების პერსპექტივა აბსოლუტურად რეალურია!

ამ დროს ვაშაძეს შეახსენეს, რომ საქართველოს მაპიც კი არ აქვს, რაზეც მან მიუგო:

— მაპის პრობლემა დღის წესრიგიდან მოხსნილია. დასავლეთში ძალიან კარგი გამოსავალი მოიფიქრეს ამ, თითქოსდა, ჩიხური სიტუაციიდან. ახლა საქართველო ყოველწლიურად წარუდგენს ნატოს მოქმედების ეროვნული პროგრამის შედეგებს. ჩვენ შევქმენით კომისია ნატო-საქართველო, რომელიც ალიანსთან დაახლოების მშვენიერ ინსტრუმენტს წარმოადგენს. უმთავრესი კი ისაა, რომ, უმეტესწილად, საქართველო ნატოს წევრი ქვეყანასავით მოქმედებს. ასე რომ, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ მივემართებით ნატოსკენ. აშშ პრეზიდენტმა, ისევე, როგორც ვიცე-პრეზიდენტმა, როგორც სახელმწიფოს მდივანმა და სხვა მაღალი თანამდებობების პირებმა, პირად საუბარში დამიდასტურეს, რომ საქართველო ალიანსის წევრი გახდება და ვერავითარი მესამე ძალა ამას ვერ შეეწინააღმდეგება...

მესამე ძალა კი, ისევე, როგორც მტრის ხატი, ყოველთვის არსებობდა. ასე მაგალითად, მტრად ნათლავდნენ ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ალექსანდრე ჭაჭიას, რომელიც ჯერ კიდევ 10 წლის წინათ აცხადებდა, რომ საქართველო ნატოს წევრი ქვეყანა ვერ გახდებოდა. ახლა ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ გამოცემასთან (**„Wall Street Journal“**) საუბარში იმავეს აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი, რომელსაც მისივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი კატეგორიულად არ ეთანხმება და ამ აზრს რუსების ნაბოდვარად მიიჩნევს! საინტერესოდ არ გეჩვენებათ?

ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ ბატონ **ალექსანდრე ჭაჭიას**, რომელმაც განაცხადა:

— იმას, რომ საქართველოს ნატოში ან ევროკავშირში მიიღებენ, ჩვენი საზოგადოების ორი კატეგორია ამტკიცებდა: მოსყიდული პოლიტიკური აფერისტები და ფსიქიკურად არანორმალური ადამიანები, რომლებსაც წარმოდგენა არ ჰქონდათ მსოფლიო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე. შევარდნაძე და მისი გუნდის ძირითადი ნაწილი პირველ კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, რომელ კატეგორიას განეკუთვნება ამჟამინდელი ხელისუფლება, თავად განსაჯეთ...

— საზოგადოებისთვის შესაძლოა, ბუნდოვანი იყოს, როგორც თქვენ უწოდეთ, ამ პოლიტიკური აფერისტების ქმედებათა მოტივაცია. რატომ ატყუებდნენ ისინი ხალხს?

— სავალალოა, რომ 15 წლის განმავლობაში ერი და ქვეყანა ცრუ მიზნისკენ მიისწრაფვოდა ცრუ ლოზუნგებით. რამდენიმე ასეული კაცი ამ ლოზუნგების წყალობით გახდა მინისტრი, პარლამენტარი, მოპარული ფულით დააგროვა სოლიდური ქონება, მაგრამ ქართველმა ერმა ამ ლოზუნგების სანაცვლოდ ათასობით თანამემამულის სიცოცხლე მსხვერპლად გაიღო, დაკარგა ისტორიული ტერიტორიის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, საქონლის გასაღების ტრადიციული ბაზარი და ეკონომიკურ იზოლაციაში აღმოჩნდა. ყველას ვეკითხები: ვინ აგებს ამაზე პასუხს?

* * *

ყველაზე საოცარი კი ისაა, რომ საქართველოში ეს ტრაგიკომედია გრძელდება. ესტაფეტა, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ „მოქალაქეთა კავშირისგან“ მიიღო, ახლა მისგან „ოპოზიციას“ გადაეცემა, რომელიც ხალხს გამოუცხადებს, რომ მიშას არ შეუძლია საქართველოს ნატოში შეყვანა, ისინი კი ამას უთუოდ მოახერხებენ. ამავე დროს, გაგრძელდება საქართველოს დაშლის პროცესი, მაგრამ განა ჩვენს პოლიტიკოსებს საქართველო აინტერესებთ?

15 წლის განმავლობაში ყველა შესაძლო ხერხით ვცდილობდი საქართველოს საზოგადოებისთვის ელემენტარული ჭეშმარიტების ახსნას: ნაძირალა პოლიტიკოსების აყოლით, მათი დემაგოგიური მოწოდებების, ცრუ ლოზუნგების რწმენითა და ნატოსა და ევროკავშირში გაწევრების იმედით ჩვენ სამშობლოს ვკარგავთ. პასუხად, მოღალატე პოლიტიკოსები და უმეცარი ჟურნალისტები აცხადებდნენ, რომ მე „კრემლის აგენტი“, „მეგრელი სეპარატისტი“, „საქართველოს მტერი“ ვიყავი. შევარდნაძე-სააკაშვილის საქმიანობის შედეგების ხილვისას ისმის კითხვა: ვინ აღმოჩნდა აგენტი, სეპარატისტი და ქართველი ერის მტერი?

მტერი მოყვრისგან, ისევე, როგორც შავი თეთრისგან ქართველ საზოგადოებას რახანია, უნდა გაერჩია, მაგრამ, სამწუხაროდ, პროცესი, რომელსაც ერთიანი ეროვნული ნება და ამ ნების განხორციელება ჰქვია, იგვიანებს. დაგვიანება კი შეიძლება ძვირი დაგვიჯდეს.

შეგახსენებთ, რომ, იმაზე, რაც დღეს საქართველოს თავს ხდება, ბატონი ჭაჭია წლების წინათ წერდა, მისი შეხედულებები და პროგნოზები იბეჭდებოდა პერიოდიკაში, ამიტომ მათი ჩამოთვლით არ დაგღლით. უბრალოდ, გაუწყებთ იმ საფრთხის შესახებ, რომელიც ჩვენს ქვეყანას რეალურად ემუქრება და რომელზეც, როგორც ბატონი ალექსანდრე ჭაჭია ამბობს, არც მედიაში და არც პოლიტიკაში ხმას არავინ იღებს. გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ორიოდე კვირის წინათ დაბეჭდილ პუბლიკაციაში მან განაცხადა: „**ჯობს, იმაზე ვიფიქროთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ამერიკამ შეიძლება საქართველოზე საერთოდ აიღოს ხელი და ჩვენ პირისპირ დავრჩებით, ერთი მხრივ, გაბრაზებულ რუსეთთან და, მეორე მხრივ, თურქეთთან, რომელსაც ძალიან დიდი მადა აქვს!..** ***იმაზე იფიქრონ ქართველმა პოლიტიკოსებმა, რატომ დებენ თურქები ფულს აჭარაში, რისთვის აშენებენ აჭარას? სააკაშვილი კვირაში ორჯერ რომ დადის აჭარაში და ლენტებს ჭრის, თქვენ გგონიათ, ეს ობიექტები ქართული ფულით არის აშენებული? ეს საქართველოსა და ქართველებისთვის არის აშენებული? ამაზე უნდა იფიქროს ახლა ყველა ქართველმა, ვისაც აზროვნების უნარი არ აქვს დაკარგული!“***

საფიქრალი მართლაც ბევრი გვაქვს, მაგრამ უმთავრესი ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ჩვენი დასავლეთელი „მეგობრები და პარტნიორები“ საქართველოს განიხილავენ არა როგორც სახელმწიფოს, რომელიც ქართველი ერის განვითარების არეალს უნდა წარმოადგენდეს, არამედ როგორც ტერიტორიას, სივრცეს, რომელსაც გარკვეული გეოპოლიტიკური დანიშნულება აქვს. მათთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, რა ტიპის სახელმწიფო იქნება ამ ტერიტორიაზე, რომელი ეთნოსი განვითარდება და, საერთოდ, იქნება თუ არა ეს სივრცე სახელმწიფო.

ცნობისთვის: ათიოდე წლის წინათ ამ პრობლემებზე ბევრს წერდა ჩვენი დღევანდელი რესპონდენტი.

საქართველოს გარშემო არსებულ ძველ და ახალ საფრთხეებსა თუ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე ალექსანდრე ჭაჭიასთან ვრცელ ინტერვიუს „საქართველო და მსოფლიო“ უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ.

ლაშა გიორგიძე

ხელები

20 ივლისს პარლამენტის სხდომათა დარბაზში გამართული ხანგრძლივი დებატებით „ნაცმოძრაობის“ „უძლეველმა არმადამ“ მრავალჭირნახულ ქართველ საზოგადოებას მორიგი ტრიუმფი უჩვენა. ამ არცთუ ორიგინალური ჟესტით სამთვიანი საპროტესტო მანიფესტაციებით ისედაც ქანცგაწყვეტილ ქართველობას კიდევ ერთხელ „ყვითელი შუქი“ აუციმციმა ვარდოსანთა ბელადმა, ოღონდ ის ყვითელი შუქი, რომლის შემდეგაც არა მწვანე, არამედ „წითელი“ ინთება.

მოკლედ და მარტივად რომ ვთქვათ, სააკაშვილის ერთსაათიანი გამოსვლის შინაარსი ასეთი იყო: ***თქვენი მოთხოვნები თქვენთვის შეინახეთ, არსად წამსვლელი არ ვარ და არც ახალი კანონპროექტის დაბლოკვას ვაპირებო...***

უფრო მეტიც, პარლამენტის ოპოზიციის არა ერთი მოთხოვნის მიუხედავად — კანონპროექტი ვენეციის კომისიისთვის გადაეგზავნათ, პატივცემულმა პრეზიდენტმა მხარი დაუჭირა მისივე ჯიბის პარლამენტში აწ უკვე „გაპატიოსნებულ“ დოკუმენტს და, აქაოდა, ოპოზიციამ კიდევ რამე არ „გამიჩალიჩოსო“, სასწრაფოდ აამოქმედა თავდაცვის „ახალი იარაღი“... მართალია, კანონი ჯერ ოფიციალურად დამტკიცებული არ არის, მაგრამ ხელისუფლებამ უკვე მოაწყო მისი პრეზენტაცია, თანაც, სწორედ იმ დღეს (20 ივლისს), როცა სააკაშვილი პარლამენტის მაღალი ტრიბუნიდან ხანგრძლივი მონოლოგით წარდგა სრულიად საქართველოს წინაშე...

ფართო საზოგადოებისთვის, ალბათ, ნაკლებად არის ცნობილი 20 ივლისს პარლა-

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბრძანებულება № 440, ანუ როგორ ვიშოვოთ შვიდი მილიონი

ქართველ საზოგადოებას კიდევ დიდხანს ემახსოვრება 2004 წლის 6 მაისი და აჭარაში „დიდებით“ ჩაბრძანებული ქვეყნის „პირველი ვარდი“ — მიხეილ სააკაშვილი მასთან ატორღიალებული „კმარელებით“, „თავისუფლების ინსტიტუტელებით“, „კუთხის უბადლო ინტელექტუალებით“, ბრმებით, ყბამონგრეულებით და ენაბლუებით! მოკლედ, საქართველოზე მოფიქრალთა „დიდი ლაშქარი“ ასლან აბაშიძის „დიქტატორული ხუნდების“ დასამსხვრევად მუშტებშეკრული საბრძოლო ყიჟინითა და დროშებით ყველაფერზე მიდიოდა. „თუ საჭირო გახდა, ასლანის რეჟიმი იარაღის ძალით უნდა დავამხოთ“, — ბრძანებდა გაზეთ „რეზონანსის“ ფურცლებიდან თინათინ ხიდაშელი, აქეთ ლევან ბერძენიშვილი ამშვიდებდა უმცროს მეგობარ მიშიკოს: „არიქა, არ დაგვღუპო, ბათუმის დაბომბვაზე ფიქრი თავიდან ამოიგდეო!“ და იყო ერთი გნიასი... მადლობა ღმერთს, ყველაფერი ისე დამთავრდა, სისხლი არ დაღვრილა!

არადა, „დიქტატორ“ აბაშიძეს ამის დიდი შანსი ნამდვილად ჰქონდა, რადგან აჭარაში დიდძალი შეიარაღება ინახებოდა (მოგვიანებით ცხინვალის პირველი შტურმი ირაკლი ოქროუაშვილთან ერთად ამ იარაღის იმედით განახორციელეს) და თავზე ხელის აღების და სურვილის შემთხვევაში, „ნაცმოძრაობისაგან“ არა მხოლოდ ბათუმაჭარას, არამედ თბილისის განთავისუფლებასაც თავისუფლად შეძლებდა! როგორც იყო, იყო... „აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა“, „მიწა — გლეხს, ქარხანა კი მუშას“ გადაეცა, „გაიხარა ერმა წამებულმა“ და, როგორც იქნა, „განიკვეთა ბნელი და იქმნა ნათელი საქართველოსა ზედა“...

საზოგადოებას ისიც კარგად ახსოვს, სიხარულისგან აღტყინებული სააკაშვილი (ძვირფასად ჩაცმულ-დახურული) ფეხსაცმლით როგორ შევარდა ზღვაში და ვითარცა იონე ნათლისმცემელმა, თავადაც და გარშემომყოფებსაც თითო პეშვი ზღვის წყალი როგორ აპკურა! მოგვიანებით „ახალი სიმაღლეები“ იყო დასალაშქრავი და პატარა მიშიკოც, იმისათვის, რომ ყოვლისშემძლე მძლეთამძლედ წარმოსახულიყო, არც პირდაპირ ზღვის სანაპიროზე გამართულ აუქციონებზე იხევდა უკან. „დღეიდან, რაც ასლანმა წაგართვათ, თქვენ გიბრუნდებათ, ძვირფასო აჭარლებო, და ისე განკარგეთ, როგორც გაგეხარდებათ,“ — ამბობდა იგი ტაშის გრიალისა და „მიშა, მიშას“ ძახილის ფონზე! **ამ აუქციონებიდან ხალხს რაც ერგო, დღესავით ნათელია — ბუს კვერცხები (ან, უფრო თუ დავკონკრეტდები, მხოლოდ კვერცხები და მეტი არაფერი), მაგრამ ვფიქრობ და დღემდე ვერ მივმხვდარვარ (?) სააკაშვილის №440 ბრძანებულებით, ბათუმის მერიის ბალანსზე მყოფი 2 საჰაერო ხომალდი ЯК-42, რა მოსაზრებით და რა აუცილებლობის გათვალისწინებით იქნა შპს „აირზენა“ საქართველოს ავიახაზებისათვის სიმბოლურ ფასად (99000 ლარი) გადაცემული, როცა ასეთი შპს ბუნებაში საერთოდ არ არსებობდა? მეტი სიზუსტისათვის, გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ მოიპოვა დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, შპს „აირზენა“ ცალკე ორგანიზაციაა, ხოლო შპს „აირზენა — საქართველოს ავიახაზები“ — სულ სხვა ორგანიზაცია!** „№440 ბრძანებულებაში გარკვევით ჩანს, რომ შპს „აირზენასთან“ ბრჭყალები მთავრდება და ამის შემდეგ წერია: საქართველოს ავიახაზებისათვის (?!). არადა, ბრჭყალების დასრულება ასე უნდა მომხდარიყო: „აირზენა — საქართველოს ავიახაზები“! **გამოდის, რომ დაინტერესებულმა პირებმა (ამჯერად გვარების და სახელების დასახელებაზე თავს ვიკავებთ) მიხეილ სააკაშვილს ხელი დიდ „გაუგებრობაზე“ მოაწერინეს და თანაც ეს პატარა, უმნიშვნელო დეტალი (ბრჭყალები) საკუთარი ხელით ისე „გააპრავეს“, თვით პრეზიდენტი სააკაშვილიც რომ ვერ მიხვდა (?!).**

ინფორმაციის მოპოვების საჯაროობის წყალობით, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით დასტურდება, რომ პრეზიდენტის ბრძანებულებით აღნიშნული თვითმფრინავები (ЯК-42 4L-AAM და ЯК-42 4L-AAR), რომელთა საბაზრო ფასი იმხანად 5 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იყო, სიმბოლურ ფასად (99000 ლარი) მიეყიდა(?), შპს „აირზენა საქართველოს ავიახაზებს“, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტით რატომღაც შპს „აირზენას“ გადაეცა გარკვეული ვალდებულებებით: რეისები უნდა განხორციელდეს ბათუმის აეროპორტიდან და უნდა მოხდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება! **ცხადია, საჩუქარმიღებულმა შპს-მ არც ეს ვალდებულებები შეასრულა, მეტიც — სახელმწიფოს გვერდის ავლით ერთი თვითმფრინავი ЯК-42 4L-AAR საერთოდ ამოიღო სახელმწიფო რეესტრიდან და გაასხვისა, ხოლო მეორე — 4L-AAM მცირედი პაუზის შემდეგ, ჯერ „Raph Trade Corporation“ მისამართზე USB AG Po Box, 8098 Zurich Switzerland გადაამისამართა, ხოლო შემდეგ ამ კორპორაციის მეშვეობით სარფიანად გაყიდა!**

მკითხველი, ალბათ, იკითხავს: — კი მაგრამ რაში გვადარდებს „ასლან ფაშას“ დანატოვარი ორი თვითმფრინავის ბედი, როცა მთელი ქვეყანა გაიყიდა და ამაზე თითოოროლა კაცის გარდა ხმას არავინ იღებს?

საქმე იმაში გახლავთ, რომ, როცა 2000 წელს აჭარის მთავრობამ ეს თვითმფრინავები იყიდა, მათ საქართველოში რეგისტრაცია გაუკეთა და არა — რომელიღაც კუნძულზე, ობშერულ ზონაში!!! ე.ი. გამოდის, რომ ხარბთა მიერ ისევ საქართველოს სახელმწიფოს ქონება გასხვისდა და თანაც ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ შესულა?!

საინტერესოა, იცის თუ არა გულმოწყალე და გულუხვმა მიხეილ სააკაშვილმა ეს ამბავი? ან ის თუ იცის, „მცირე კორექტივებ“ შეტანილ დოკუმენტზე რომ მოაწერინეს ხელი? მინდა, მჯეროდეს, რომ არ იცის, რადგან, რომ სცოდნოდა, „შუსტრებს“ უმალ მიუჩენდა საკადრის ადგილს და სახელმწიფო საკუთრებას აგრერიგად არ გაანიავებინებდა! მაგრამ ვაი, თუ იცის და დუმს, მაშინ? — მაშინ, უფლებას ვიტოვებთ, ვიფიქროთ, რომ საქართველოში მისი ხელშეწყობით „ელიტარული კორუფცია“ კვლავინდებურად იმაზე მეტად ყვავის, ვიდრე იმ „ბნელ და უკუნ“ საქართველოში!!!

ირინა გოგოსაშვილი

გაგრძელება იქნება

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება

№ 440 2004 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე არსებული თვითმფრინავების: „იაკ-42 (4L-AAM)“ და „იაკ-42 (4L-AAR)“ შპს „აირზენა“ საქართველოს ავიახაზებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად პრივატიზების შესახებ

სახელმწიფო საჭიროებისათვის განსახორციელებული ლიტერული რეისები და ამ მიზნით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თვითმფრინავების ფლოტი უკავშირდება მნიშვნელოვან საბიუჯეტო დანახარჯებს. იმ გარემოების გათვალისწინებით, ცნობად იქნეს მიღებული ქ. ბათუმის მერიის წინადადება ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული თვითმფრინავების („იაკ-42 (4L-AAM)“ და „იაკ-42 (4L-AAR)“) პირვანდელი ობიექტია ნებსმიერ შეგებნისა და მათი პირდაპირი მიყიდვის ფორმით განკარგვის თაობაზე და ამასთანავე, მყიდველის მიერ სახელმწიფო ლიტერული რეისების შეღავათიანი სატარიფო სისტემით ძირითადერების უზრუნველყოფის პირობით:

1. ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე რიცხული თვითმფრინავები „იაკ-42 (4L-AAM)“ და „იაკ-42 (4L-AAR)“ პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 99 000 (ოთხმოცდაცხრამეტი ათასი) ლარად გადაეცეს შპს „აირზენა“ საქართველოს ავიახაზებს. მიღებულობაში იქნეს მიღებული, რომ რეისები უნდა განხორციელდეს ბათუმის აეროპორტიდან და უნდა მოხდეს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება.

2. აღნიშნული ბრძანებულების შესრულების მიზნით ქ. ბათუმის მერიამ შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან ერთად განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მიხეილ სააკაშვილი

შორს... პოლიციისგან!!!

მენტთან მომხდარი ინციდენტი, რადგან სახელისუფლებო არხებს კადრების გადაღება არც უცდიათ, ხოლო „ნაცმოძრაობის“ კონტროლს მიღმა მყოფ ჟურნალისტებს მოვლენათა გაშუქების საშუალება არ მიეცათ...

ყველაფერი საღამოს ექვს საათზე დაიწყო, როცა პრეზიდენტის დასახვედრად შეკრებილმა დემონსტრანტებმა (ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა) რუპორებითა და ტრანსპარანტებით შენობის ირგვლივ გადაადგილება დაიწყეს. აქცია ხალხმრავალი არ იყო და, შესაბამისად, მომიტინგეებს პარლამენტის პიკეტირება არ უცდიათ, თუმცა შენობასთან უხვად შეკრებილი „ზონდერები“ თავიდანვე აგრესიულად განეწყვნენ ახალგაზრდა პროტესტანტების მიმართ.

მიტინგის დაწყებიდან დაახლოებით ორი საათის განმავლობაში „სამართალდამცველთა“ აგრესია მხოლოდ სიტყვიერ შეურაცხყოფაში გამოიხატებოდა (მაგალითად, ერთმა „ზონდერმა“ მეორე „ზონდერს“ გადაულაპარაკა: „ცაგურია რატომ არ მოვიდა? — მან კი ირონიულად უპასუხა: — რას მოვიდოდა, შეჩემა, მაგას უკვე ჭკუა ვასწავლეთო“), მაგრამ როგორც კი პრეზიდენტის ესკორტი ვნებათაღელვის ადგილს მიუახლოვდა, „ზონდერები“ ლაპარაკიდან საქმეზე გადავიდნენ — მყისვე დაიჭირეს და მანქანებში ჩატენეს შვიდი ახალგაზრდა მომიტინგე, ხოლო ერთ-ერთს, დარბევის შემყურეს, რომელიც ბორდიურზე შემდგარი რუპორით სასოწარკვეთილი გაჰყვიროდა, ჯერ მუშტებით „გაუმასპინძლდნენ“, შემდეგ კი ტომარასავით შეაგდეს მანქანაში და ელვის სისწრაფით გააქანეს „ჭკუის სასწავლებლისკენ“...

ინციდენტი ამით არ ამოწურულა, „ზონდერები“ მომიტინგეთა მორიგ წინააღმდეგობას წააწყდნენ, როცა შემთხვევის ადგილზე ოპოზიციის ლიდერები — ბიძინა გუჯაბიძე და ლაშა ჩხარტიშვილი მივიდნენ. მათ „სამართალდამცველებს“ თავიანთი უფლებები გააცნეს და მოითხოვეს განმარტება — რატომ დაიკავეს მშვიდობიანი დემონსტრანტები. თავიდან „ზონდერები“ გაისუსნენ.

სიმართლე გითხრათ, მეგონა, ოპოზიციის „მხცოვან“ მესვეურებს მაინც უპასუხებდნენ ნორმალურად, მაგრამ უცებ ვიღაცამ შესძახა — რა ქანდაკებებივით დამდგარხართ, ახლავე მოაშორეთ ეგენი აქედანო...

„ზონდერებმაც“ არ დააყოვნეს, ჩხარტიშვილი და გუჯაბიძე მუჯლუგუნების კვრით არეკეს პარლამენტის უკანა შესასვლელამდე, სადაც „ზონდერების“ ალყაში მოქცეული შიშნაჭამი ახალგაზრდა დემონსტრანტები იყვნენ თავმოყრილნი...

მოგვიანებით მცირერიცხოვან მომიტინგეებს პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი წარუდგა (ვინაობა ჟურნალისტებს არ გაუმხილა) და პროტესტანტების დაკავების მიზეზი განუმარტა: ის შვიდი თუ რვა მომიტინგე „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონს არღვევდა, შენობის პიკეტირებას ცდილობდა და პოლიციის მითითებას არ დაემორჩილაო...

მოკლედ, ის „პაგონიანი ზონდერი“ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ შვიდი თუ რვა ახალგაზრდა დემონსტრანტი შენობის შესასვლელ-გამოსასვლელს კეტავდა, წინააღმდეგობას უწევდა ორასზე მეტ პოლიციელს და პარლამენტის ალყაში მოქცევას ცდილობდა...

შეკამათება ვერავინ გაუბედა და, ალბათ, ასეც იყო საჭირო, ვინაიდან ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ მისი ცინიზმი და აგრესიული ტონი პროტესტანტების პროვოკაციაზე წამოგებას ისახავდა მიზნად.

დარწმუნებული ვარ, რომელიმე დემონსტრანტს რომ ერთი ზედმეტი სიტყვა წამოსცდენოდა, მაშინვე დაუმორჩილებლობად შერაცხავდნენ და ხელკეტებით დაერეოდნენ შეკრებილებს. ამას შემთხვევის ადგილზე მყოფი ოპოზიციის ლიდერებიც მიხვდნენ და თითქმის პირზე ხელის აფარებით აჩუმებდნენ ბრაზმორეულ ახალგაზრდებს...

დარბევის წარმატებით დასრულების შემდეგ თვითკმაყოფილი „სამართალდამცველები“ პარლამენტის შესასვლელებთან დაბანაკდნენ. იყო სიცილ-ხარხარი. ერთმანეთს სიამაყით უყვებოდნენ თავიანთი „გმირობის“ შესახებ...

ხანდახან ჩუმდებოდნენ და იქვე დამონტაჟებულ მცირე ზომის მონიტორზე გაფაციცებით თვალყურს ადევნებდნენ თავიანთი მამა-მარჩენალის რიხიან გამოსვლას პარლამენტის ტრიბუნაზე, საიდანაც შეკვეთილივით გაისმა მუქარა — „ხელები შორს... პოლიციისგან!!!“

ჯაბა ჟვანია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

„ნიუ იორკ ტაიმსის“ მიხედვით

ევროპაში პოსტმოსკოვური პერიოდი დადგა — მოსკოვში აშშ პრეზიდენტის ბარაკ ჰუსეინ ობამას ვიზიტის შემდგომი პერიოდი, რომელიც, თუ რამით განსხვავდება წინამორბედისგან, დაპირისპირებული პოზიციების კიდევ უფრო გამოკვეთით და უფრო მეტი უიმედობით.

ობამა კი კმაყოფილია და მშვიდი

პოლარიზება აშკარაა: რუსეთის გაზსადენის „ჩრდილოეთის ნაკადის“ პროექტს დაუპირისპირდა „ნაბუკოს“ გაზსადენის პროექტი, რომელსაც დასავლეთი, კერძოდ, აშშ ლობირებს. რიგი ქვეყნების ოფიციალური შეთანხმების დოკუმენტი ხელმოწერილია.

ობამას მოსკოვურ ტრიადას საქართველოს ტერიტორიული მხარდაჭერის შესახებ მედვედევმა ცხინვალში ჩასვლით უპასუხა; ცნობილი გახდა, რომ დღე-დღეზე აფხაზეთში სამუშაო ვიზიტით ჩასვლას აპირებს.

მაგრამ ეს ახალი რეალობის ერთი მხარეა. მეორე მხარე იმედგაცრუებაა და, როგორც ჩანს, — სერიოზული.

რუსულ-ამერიკული კონტაქტების გააქტიურებამ, როგორც **„ნიუ იორკ ტაიმსი“** წერს, „ღრმად შეაშფოთა ამერიკის აღმოსავლეთევროპელი მეგობრები... 22-მა ცნობილმა ადამიანმა, მათ შორის, პოლონელმა ლეხ ვალენსამ და ჩეხმა ვაცლავ ჰაველმა, ობამას ადმინისტრაციას ღია წერილით მიმართა. ისინი ობამას ადმინისტრაციას ევედრებიან, არ დაივიწყონ მათი ქვეყნები“.

რუსეთისთვის დიდი ფუნქციის მინიჭებამ, ხაზს უსვამენ ისინი, შესაძლოა, „მთელ რეგიონში ძირი გამოუთხაროს შეერთებული შტატებისადმი ნდობას“.

რუსეთის გავლენის გაძლიერებით გამოწვეული შეშფოთება არის აღნიშნული წერილის მთავარი მოტივი: „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შფოთავენ იმის გამო, რომ ჩვენი სურვილი — შევინარჩუნოთ ტრანსატლანტიკური კავშირი, შესაძლოა, გარკვეულწილად, რუსეთთან კარგ ურთიერთობებზე გაიცვალოს“, — ამბობს ჩეხეთის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ვონდრა.

შიში და შეშფოთება კიდევ უფრო გამოკვეთილია თვით წერილში, სადაც გამოთქმულია ეჭვი ალიანსის თავდაცვით მზადყოფნაზე.

„ნიუ იორკ ტაიმსი“ ამ ეჭვის საფუძველს შარშანდელი ზაფხულის რუსულ ინტერვენციაში პოულობს, რომელზეც ამერიკის პასუხმა ახალი დემოკრატიის ქვეყნების შეშფოთება „კიდევ უფრო ინტენსიური გახადა“. გაზეთი იმოწმებს რუსეთის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტს, ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში რუსეთზე კვლევების ხელმძღვანელს **ანგელა სტენტს**, რომელიც აცხადებს: **„საქართველოს მაგალითმა დაადასტურა, რომ სამეზობლოში სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში შეერთებული შტატების პასუხი, ანუ ის, თუ რას მოისურვებს ან შეძლებს საპასუხოდ მოიმოქმედოს ამერიკამ, ლიმიტირებულია“.**

ქალბატონმა სტენტმა იცის, რასაც ამბობს, რადგან წლების განმავლობაში ამერიკის მთავრობაში, ეროვნულ სადაზვერვო საბჭოში მუშაობდა. ე.ი. იმის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთო, რომ აშშ ვინმესთვის ევროპაში, მათ შორის, საქართველოსთვის თავს გადადებსო.

„ჩვენ ყველას გვესმის, — კვერს უკრავს მას ეუგენიუს სმოლიარი, ვარშავის არაკომერციული, არაპარტიული კვლევითი ჯგუფის, საერთაშორისო ურთიერთობათა ცენტრის თანამშრომელი, — რომ **რუსეთთან შეთანხმება უნდა შედგეს, მაგრამ არ მიგვაჩნია, რომ ეს შეთანხმება ჩვენი რეგიონის ქვეყნების ან საქართველოსა და უკრაინის ინტერესების ხარჯზე უნდა მოხდეს“.**

პოლონურ Gazeta Nyboreza-ში გამოქვეყნებული ამ წერილიდან გამომდინარე „ნიუ იორკ ტაიმსი“ ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „ურთიერთობების ნებისმიერი დათმობა ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის აღშფოთებას იწვევს. **ობამას მოგზაურობამ მოსკოვში აღმოსავლეთ ევროპის ნერვიული მოკავშირეები ვერ დაამშვიდა“.**

სამაგიეროდ, ობამაა მშვიდად.

The New York Times

საქართველო და უკრაინა ნატოში შესვლისთვის მზად არ არიან

ნატოს გენერალური მდივნის იაპ დე ჰოოპ სხეფერის განცხადებით, საქართველო და უკრაინა ნატოში გაწევრებისთვის მზად არ არიან და, სავარაუდოდ, ეს მდგომარეობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება.

„როიტერის“ ინფორმაციით, ეს განცხადება სხეფერმა ლონდონში გააკეთა, სადაც ის გამოსამშვიდობებელი ვიზიტით იმყოფება. 1 აგვისტოს სხეფერს ნატოს გენერალური მდივნის თანამდებობაზე რასმუსენი შეცვლის. სხეფერის განცხადებით, ევროპის თითოეულ ქვეყანას შეუძლია ნატოში გაწევრების სურვილი გამოთქვას, მაგრამ მხოლოდ სურვილი არაფერს ნიშნავს და ქვეყნების ალიანსის ყველა მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდნენ.

ხელისუფლებას და სამართალდამცველებს ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ეპატიჟებიან



„ახალი მემარჯვენეების“ თელავის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილის არჩილ ჯორჯაძის განცხადებით, „ნარკომანები“ არა მარტო თელავის პოლიციის სამმართველოში, არამედ ადგილობრივ ხელისუფლებაშიც მუშაობენ.

„მოვუწოდებ „ნაციონალურ მოძრაობას“, ადგილობრივ ხელისუფლებას, კრიმინალურ და ფინანსურ პოლიციას, პროკურატურას და ყველა სამართალდამცავ სტრუქტურას, დავთქვათ ერთი დღე და სამედიცინო დაწესებულებაში ჩავიტაროთ ნარკოლოგიური შემოწმება. ეს იქნება არგუმენტირებული პასუხი“, — აცხადებს რადიო „ჰერეთთან“ საუბრისას არჩილ ჯორჯაძე.

მისივე თქმით, „ახალი მემარჯვენეები“ ნარკოლოგიურ შემოწმებას ხელისუფლებისა და პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ჩაიტარებენ. პროცესის გამჭვირვალობის მიზნით, მემარჯვენეები ნარკოლოგიურ შემოწმებაზე ხელისუფლებისა და პოლიციის მზადყოფნის შემთხვევაში, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგნლების დასწრებასაც მოითხოვენ.

თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე გიორგი ხატიაშვილი ოპოზიციის ამ განცხადებას აბსურდულს უწოდებს და კონკრეტული გვარ-სახელების დასახელებას ითხოვს.

,,თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის ყველა თანამშრომელი მზად ვართ, ჩავიტაროთ ნარკოლოგიური შემოწმება, მაგრამ ჯერ დაასახელონ, ვისზე აქვთ ეჭვი“, — აცხადებს რადიო „ჰერეთთან“ ხატიაშვილი.

ჩინელები ახმეტის ტყეებში გაჩეხილ ხეებს გოგი თოფაძის კომბინატში ამუშავებენ

თელავის რაიონის სოფელ ფშაველის მოსახლეობა აცხადებს, რომ ჩინელები, რომლებიც ახმეტისა და თელავის რაიონებში ტყის ფართობებს ფლობენ, ხე-ტყეს მასობრივად ანადგურებენ.

„ჩვენთვის უცნობია, აქვთ თუ არა ამის უფლება, მაგრამ მრავალწლოვან ხეებს ჭრიან და მორები მანქანებით გააქვთ. ტყის დიდი ნაწილი ისედაც გაჩეხილია და ვშიშობთ, დარჩენილის გაჩეხვაც სერიოზულად დაგვაზარალებს“, — აღნიშნეს ადგილობრივებმა.

მათივე თქმით, ჩინელები ხე-ტყის ნაწილს სოფელ ფშაველში მდებარე დამამუშავებელ კომბინატში ამუშავებენ, რომელიც კომპანია „ყაზბეგის“ გენერალურ დირექტორს გოგი თოფაძეს და მის ბიზნესპარტნიორს, ამჟამად პატიმრობაში მყოფ ლუკა რამაზაშვილს ეკუთვნით. თოფაძე ადასტურებს, რომ ხეტყის გადამამუშავებელი საწარმო ჩინელებს მიაქირავა. „საწარმოს მუშაობის საშუალება არ მოგვცეს და კომბინატი ჩინელებს ამიტომ მივაქირავეთ“, — ამბობს თოფაძე.

ხე-ტყის მასიურად ჩეხვის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვის ინსპექციის კახეთის ბიუროში არ ადასტურებენ.

ეჭვი, რომელიც მეგობრობაზე მეტია

ევროპელი მოღვაწეების მიმართვას სარედაქციო წერილით გამოეხმაურა Washington post-იც. ძალიან ბევრი ამერიკელი მსოფლიოს ამ კუთხეზე, ანუ აღმოსავლეთ ევროპაზე არ ფიქრობსო, ნათქვამია წერილში. ამის მიზეზი, როგორც მიაჩნიათ, ამ ქვეყნებში მიღწეული წარმატებებია კაპიტალიზმის გზაზე მოპოვებული. ამერიკა არ შიშობს, რომ აქ რაიმე შეიძლება შემობრუნდეს, ამიტომაც თავს არ იტკივებს ზედმეტი ფიქრით.



მაგრამ ეს წარმატება მუდმივად არ უნდა მივიჩნიოთ, აფრთხილებენ ყოფილი პრეზიდენტები და საგარეო საქმეთა მინისტრები თავიანთ პატრონს — ამერიკას: **„რეგიონსა და ტრანსატლანტიკურ ურთიერთობებში ყველაფერი რიგზე როდია“...** გლობალურმა კრიზისმა „ნაციონალიზმს, ექსტრემიზმს, პოპულიზმსა და ანტისემიტიზმს“ სამოქმედო სივრცე შეუქმნა. ხოლო **„ნატო დღეს უფრო სუსტი ჩანს, ვიდრე მაშინ, როცა ჩვენ ალიანსში გავერთიანდით“.** ამას წერენ ავტორიტეტული ადამიანები, რომლებმაც ახალ ევროატლანტიკურ სივრცეში შეიყვანეს თავიანთი ქვეყნები: ვაცლავ ჰაველი და ალექსანდრე ვონდრა ჩეხეთის რესპუბლიკიდან, ლეხ ვალენსა და ალექსანდრე კვასნევსკი პოლონეთიდან, ვაირა ვიკე ფრეიბერგა ლატვიიდან და ვალდას ადამკუსი ლიტვიდან. მათი პიროვნული ავტორიტეტი და სახელმწიფოებრივი გამოცდილება მათ დასკვნებში დაეჭვების ნატამალსაც არ ტოვებს. ამიტომ ფრიად დასაფიქრებელია მათი ნააზრევი ისეთი ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, რომელსაც ჯერ კიდევ გასავლელი აქვს ის გზა, რომლითაც სიარულმა, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა აღმოსავლეთი ევროპა.

საით ჰხვალ? — თავისთავად იბადება ეს ბიბლიური შეკითხვა. Wachington post ასკვნის: „ყველაფერი ეს პრეზიდენტ ობამასათვის სიახლე ვერ იქნება. მან უკვე პირდაპირ განაცხადა მოსკოვში, რომ შეერთებული შტატები ყოფილი საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის სივრცეში ცნობს რუსეთის პრივილეგირებული ინტერესების სფეროს არსებობას. ვიცეპრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა მსგავსი გზავნილი უკვე გააჟღერა მიუნჰენის გამოსვლაში და, სავარაუდოდ, კიდევ ერთხელ გაიმეორებს მას უკრაინასა და საქართველოში ვიზიტების დროს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ადმინისტრაციამ წერილი ყურად უნდა იღოს, ის უნდა აღიქვას არა როგორც საყვედური, არამედ — როგორც გამამხნევებელი გზავნილი...“

რა არის ამ წერილში გამამხნევებელი, ძნელი დასადგენია. საყვედური რომ აშკარად ყვირის, უეჭველია.

The Washington Post

ობამას სიტყვები, მედვედევის მოქმედება

ის, რაც მოსკოვმა ობამას მოსკოვში ვიზიტის შემდეგ მოიმოქმედა, აშკარა დემონსტრირება იყო იმის, რომ ობამას სიტყვები — „საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივი უნდა ვცეთ“, — დეკლარირებად დარჩა და სულაც არ ნიშნავს, რომ რუსეთმა შეცვალა ან შეარბილა თავისი პოლიტიკა საქართველოს მიმართ, თუნდაც დღევანდელი ხელისუფლების არსებობის პერიოდში.

CNS news.com-ში ექსპერტი **პატრიკ გუდინაფი** მოკლედ მიმოიხილავს ამ პოლიტიკის განხორციელების უახლეს მიჯნებს: „გასული ზაფხულის ომის შემდეგ ბუშის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ „შეუძლებელია ჩვეული ურთიერთობის გაგრძელება“ და მოსკოვთან კონტაქტები სხვადასხვა დონეზე შეაჩერა, მათ შორის — ნატოშიც, მაგრამ რუსეთისთვის ომის შედეგები ხანმოკლე აღმოჩნდა — ერთ წელიწადზე ნაკლებ დროში ნატომ და ევროკავშირმა განაახლეს რუსეთთან თანამშრომლობა. შეშფოთებამ შესაძლო ახალი კონფლიქტის გამო მას შემდეგ უფრო იმატა, რაც რუსეთმა საერთაშორისო დამკვირვებლები გააძევა თავისი კლიენტი სატელიტების ტერიტორიებიდან. გასული წლის ბოლოს რუსეთმა ეფექტიანად დაბლოკა საქართველოს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სამეთვალყურეო მისიის მანდატის ვადის გაგრძელების მცდელობა. ეუთოს მისიამ ოპერირება მაისში შეწყვიტა. ერთი თვის შემდეგ რუსეთმა გაეროს უშიშროების საბჭოში ვეტოს უფლება გამოიყენა და საქართველოში დარჩენილი საერთაშორისო მისია, რომელიც აფხაზეთში 1993 წლის კონფლიქტის შემდეგ მუშაობდა, გააჩერა. ისტორიკოსები გვარწმუნებენ, რომ ამ საუკუნეში რუსეთმა, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივმა წევრმა, საბჭოს გადაწყვეტილებების გასაბათილებლად ვეტოს უფლება მხოლოდ მეოთხედ, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის დღიდან — მეექვსედ გამოიყენა. როგორც ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ოფისის განცხადებაშია ნათქვამი, ის საქართველოსა და ნატოში გაწევრების კიდევ ერთ მსურველ სახელმწიფოს — უკრაინას ეწვევა, რათა „დაადასტუროს აშშ მხარდაჭერა მიმდინარე დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმებისადმი და განიხილოს ორივე ქვეყანასთან არსებული ორმხრივი ინტერესები“. ბატონი ბაიდენი კი დაადასტურებს, მაგრამ მწარე გამოცდილება გვიკარნახებს, რომ შეცვლით არაფერი შეიცვლება.

CNSNEWS.COM

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ალიანსის წევრობას მუქთად არ არიგებენ

საყურადღებო დასკვნებს გვთავაზობს მიმომხილველი დაგ გენდოუ National Interest online-ში გამოქვეყნებულ სოლიდურ სტატიაში.
გთავაზობთ ამონაკრებს ამ ნაშრომიდან:

„საქართველო გეოპოლიტიკურად ცუდ სამეზობლოში მდებარეობს, მაგრამ, როგორც ჩანს, **მოსკოვი არ ცდილობს თავისი სამხრეთელი მეზობლის დაპყრობას.** ოკუპაციის საფასური ძალიან დიდი და ხანგრძლივმოქმედი იქნებოდა (უკრაინა კიდევ უფრო ძნელი მოსანელებელია), მაგრამ ერთი რამ უეჭველია, **რუსეთს რეგიონში დომინირებადი გავლენის აღდგენა და თავისი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა.**

რა თქმა უნდა, ამერიკელები თანაგრძნობით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი ქართველი ხალხისადმი, რომელსაც თავისივე ხელისუფლება ცუდად ემსახურება და რომელსაც რუსული ჯარიც ცუდად ეპყრობოდა, მაგრამ ეს არ ქმნის თბილისისთვის უსაფრთხოების გარანტიების გაზრდის საფუძველს. რეალურად, საქართველოს მიღება ნატოში ალიანსის შექმნის მთავარ მიზანს, ამერიკის უსაფრთხოების განმტკიცებას მიაყენებდა დარტყმას.

ვაშინგტონისთვის ადვილი არ იქნება ნატოში გაწევრების მხარდაჭერაზე უარის თქმა და, მართლაც, თეთრი სახლის თანამშრომელმა მაიკლ მაკფოულმა განაცხადა: „ჩვენ არ ვაპირებთ რუსეთის დარწმუნებას ან მასთან ვაჭრობას... ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით“, მაგრამ საჯარო გარიგებები საჭირო არც არის. ობამას ადმინისტრაციამ თბილისის ნატოში გაწევრებასთან დაკავშირებით ევროპულ ქვეყნებზე ზეწოლა უნდა შეწყვიტოს...

ამერიკამ ცივი ომი ისე განვლო, რომ ცხელ კონფლიქტად არ გადაუქცევია. **დღეს რუსეთთან უმიზეზოდ ომზე წასვლას აზრი არ აქვს** ან, თუ უფრო პირდაპირ ვიტყვით, **თბილისის გამო ვაშინგტონის სარისკო მდგომარეობაში ჩაყენება არ ღირს.**

მიუხედავად ნატოს ექსპანსიის ქომაგების განცხადებებისა, **ალიანსის წევრობას მუქთად არ არიგებენ.** ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა ალიანსები ომის შეკავების ნაცვლად ომის გამომწვევ მიზეზად ქცეულა, ხოლო ომის საფუძველი, რომ ნატოს შემთხვევაში მოვლენების სხვაგვარად წარმართვას უნდა ველოდოთ, არ არსებობს“.

National Interest online

„დე ფაქტო სახელმწიფოების დასასრული“

ასეა დასათაურებული ნიკუ პოპესკუს წერილი Eu Observer.com-ში, რომელშიც მიმოიხილავს პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილი სეპარატისტული რესპუბლიკების — აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის პერსპექტივის პრობლემას.

ამ რეგიონებში არსებული ვითარება „გაყინულ კონფლიქტებად“ იყო სახელდებული. კონფლიქტები არასდროს „გაყინულა“, — წერს ავტორი, — გაყინული იყო მათი მოგვარება. მაგრამ იმ რეალობის ფონზე, რომელშიც დღეს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი აღმოჩნდა, ისეთი ცნებაც კი მოძველდა, როგორიცაა „ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოები“.

ასეთი „დამოუკიდებლობა“ ფიქციაა, რადგან ცრუ სახელმწიფოების უმრავლესობა საკუთარი უსაფრთხოების ან ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად მეტ-ნაკლები დოზით გარე დახმარებაზეა დამოკიდებული.

ავტორის პარადოქსული მსჯელობა იმდენად თავისებური და საინტერესოა, რომ სრულად გადმოგცემთ:

„აფხაზეთმა, სამხრეთ ოსეთმა და დნესტრისპირეთმა თავიანთი ფაქტობრივი დამოუკიდებლობის დიდი ნაწილი რუსეთს გადასცეს...

რუსეთის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება მათი „ფაქტობრივი დამოუკიდებლობის“ დაკარგვას აჩქარებს, სურთ მათ ეს, თუ — არა.

პარადოქსი ის არის, რომ 2008 წლის აგვისტომდე აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი თვითგამოცხადებული, მაგრამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სახელმწიფოები იყო, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ კი ისინი ნაწილობრივ აღიარებული გახდა, მაგრამ, ფაქტობრივად, დამოუკიდებლებად ვეღარ ჩაითვლება. თუ 2002-2003 წლებში სეპარატისტული ომები იყო მათი „ომები დამოუკიდებლობისთვის“, **2008 წლის ომი ის ომია, რომელმაც მათ (თუნდაც შეზღუდულ) დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო. 2008 წელს გაიმარჯვა რუსეთმა და არა — სეპარატისტულმა წარმონაქმნებმა. დღეს აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „ფაქტობრივად დამოუკიდებელი სახელმწიფოებიდან“ „რუსეთის ფაქტობრივ რეგიონებად“ გარდაქმნის პროცესი დაჩქარებულად მიმდინარეობს.** სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის უმრავლესობა ამ ფაქტს მიესალმება, მაგრამ აფხაზების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. მაგალითად, სულ ცოტა ხნის წინათ აფხაზმა ოპოზიციონერებმა განაცხადეს: „ყველა ის ფუნქცია, რომელიც ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას განსაზღვრავდა, სამართავად გარე ძალებს გადაეცა...

რუსეთთან ფაქტობრივი ინტეგრაციის ტენდენცია გარდაუვალი და შეუქცევადია, ყოველ შემთხვევაში, უახლოესი ათწლეულების განმავლობაში“.

euobserver.com

შალვა ნათელაშვილი ჯოზეფ ბაიდენთან ერთი-ერთზე შეხვედრას ითხოვს

ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა საპარლამენტო ოპოზიციას კიდევ ერთხელ მოუწოდა, პრეზიდენტის იმპიჩმენტის დოკუმენტს ხელი მოაწეროს.

პრესკონფერენციაზე კი აღნიშნა, რომ იმპიჩმენტის განაცხადი, რომელიც ლეიბორისტულმა პარტიამ რამდენიმე ხნის წინ პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტში შეიტანა, გამიზნულია სააკაშვილის დასასუსტებლად და თანამდებობიდან გადასაყენებლად. თუ საპარლამენტო ოპოზიცია მთლიანად მოაწერს ხელს ამ დოკუმენტს, სააკაშვილი 60 პროცენტით დამთავრებულია, რადგანაც მსოფლიო ამას რეალურად შეხედავს.

„სანამ იქნება მხოლოდ 5 კაცის ხელმოწერა და დანარჩენი დაიწყებს უსაზღვრო დევნას, კამათს და დებატებს დებატებისთვის, მანამდე სააკაშვილის პოზიციები საერთაშორისო არენაზე მყარი იქნება. სამწუხაროდ, გარედან წყდება ჩვენი ბედი და არა — შიგნიდან. ამაში იგულისხმება ვაშინგტონი, ბრიუსელი, სწორედ გარე სამყაროსთვისაც აქვს მნიშვნელობა ერთსულოვან ხელმოწერას და ეს არ არის ჩვენი კაპრიზები“, — აღნიშნა ლეიბორისტების ლიდერმა.

ლეიბორისტულმა პარტიამ იმპიჩმენტის დოკუმენტი პარლამენტში 2008 წლის 31 დეკემბერს შეიტანა. დოკუმენტზე ხელი მოწერილი აქვს ლეიბორისტული პარტიის წევრებს და გიორგი ცაგარეიშვილს.

პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით 30 ათასი ხელმოწერა შეგროვდა

საინიციატივო ჯგუფმა პრეზიდენტის კანცელარიაში პარლამენტის ქუთაისში გადატანასთან დაკავშირებით 30 000 ხელმოწერა წარადგინა.

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლების განცხადებით, საკანონმდებლო ორგანოს ქუთაისში გადატანა იმისთვისაა საჭირო, რომ პოლიტიკური ცენტრის კონცენტრირება მხოლოდ თბილისში არ იყოს და რეგიონების განვითარება უფრო პერსპექტიული გახდეს.

„თბილისი, პრაქტიკულად, გადაიქცა მთელ საქართველოდ. არსებობს იმის საშიშროება, რომ სულ რაღაც 10-15 წელიწადში საქართველომ თავი მოიყაროს მხოლოდ ერთ ქალაქში და ქვეყანა გადაიქცეს ქალაქ-სახელმწიფოდ, რომელსაც სახელად ერქმევა თბილისი და, ბუნებრივია, არიან ადამიანები, ვინც ფიქრობს, ამ პროცესების შეფერხება როგორ შეიძლება. ამიტომ მიიჩნევენ, რომ მაღალი რანგის სამთავრობო ინსტიტუტები თბილისიდან სხვა ქალაქებში უნდა გადავიდეს. თუკი ჩვენ ამ შემთხვევაში შევთანხმდებით იმაზე, რომ პარლამენტი უნდა გავიდეს თბილისიდან, მაშინ ქუთაისი არის უალტერნატივო“, — აცხადებს ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე.

რუსეთმა შესაძლოა, ენერგეტიკული ბრძოლის ფინალი მოიგოს

ექსპერტები გამოწვლილვით აანალიზებენ „ნაბუკოს“ გაზსადენის პროექტზე გასულ ორშაბათს მიღწეულ შეთანხმებას. ევროკავშირი ამ საერთაშორისო აქტს მთავარ წარმატებად მიიჩნევს და განსაკუთრებით ხაზს უსვამს თურქეთის, როგორც მთავარი სატრანზიტო ქვეყნის, ჩართვას ამ პროექტში.



მაგრამ მთავარი წინააღმდეგობაც თურქეთის მხრიდან მოდის. ერთი მხრივ, თურქეთი დაინტერესებულია სომხეთის ენერგეტიკული პროექტებით, მეორე მხრივ, სომხეთთან საზღვრის გახსნის გადაწყვეტილება თურქეთში „რეზონანსული“ აღმოჩნდა: ურთიერთობების ნორმალიზაციის სურვილმა ვერ გადაფარა ტრადიციული გაუცხოება. ეს კი სერიოზული დაბრკოლებაა თურქეთის ევროკავშირში მიღების გზაზე. „ნაბუკოსთან“ დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკებებზე თურქეთმა დაადასტურა, რომ **„ანკარის ურთიერთობები მოსკოვთან მაშინ იფურჩქნება, როცა ევროკავშირში მისი გაწევრების იმედი ჭკნება“.**

„მოსკოვმა უკვე შექმნა პროდასავლური, აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფნის პერპენდიკულარი ჩრდილო-სამხრეთის დერეფანი. თუ სომხეთი ირანს რუსული მხარდაჭერით ელექტროენერგიას მიაწვდის, ეს კვანძი გაფართოვდება“, — მიაჩნიათ ექსპერტებს. ფრიად ჩახვეულ-ჩახლართული სიტუაციაა.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც ამ სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებს, სომხეთის მეცამორის ატომური ელექტროსადგურია, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდა მოსკოვისა და ანკარის ინტერესები. ეს ელექტროსადგური, ავტორიტეტული მონაცემებით, მსოფლიოში ყველაზე ნაკლებად დაცულ მოქმედ სადგურად ითვლება. ამიტომაა, რომ „მოსკოვსაც და ანკარასაც თვალი უჭირავს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობაზე, რომელიც არა მხოლოდ სომხეთს უზრუნველყოფს ელექტროენერგიით, არამედ მეზობელ ქვეყნებში საექსპორტოდაც საკმარისი იქნება. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ სადგურის აგების შემთხვევაში, ფაქტობრივად, უზრუნველყოფილი იქნება რუსეთის კონტროლი გამომუშავებული ელექტროენერგიის ექსპორტზე და, შესაბამისად, **თურქეთსა და, პოტენციურად, ირანსა და საქართველოზე ზემოქმედებისთვის ძლიერ ბერკეტებს შექმნიდა.** ჩვენი მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის ცოდნა, რომ **მოსკოვის მიერ 40 მილიონი დოლარის ვალის ანულირების სანაცვლოდ, სომხეთმა რუსეთს მეცამორის სადგურზე, რომელიც სომხეთის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის 40 პროცენტს აწარმოებს, კონტროლის უფლება დაუთმო.**

შეგიძლიათ, პარალელი გაავლოთ ენგურჰესის მართვის უფლების მოსკოვისთვის გადაცემის ფაქტთან.

მიმოიხილა **არმაზ სანებლიძემ**

სახელმწიფო საზღვრის დავით გარეჯის მონაკვეთს ქართველი მესაზღვრეები აღარ აკონტროლებენ

დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსის სიახლოვეს მდებარე სოფელ უდაბნოს მცხოვრებთა თქმით, უკვე მეორე თვეა, ქართველი მესაზღვრეები საზღვარს აღარ აკონტროლებენ. საზღვარზე მხოლოდ აზერბაიჯანელი მესაზღვრეები დგანან. ქართველი მესაზღვრეების მიერ საზღვრის დატოვებას შს სამინისტროში არ ადასტურებენ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ხატია ძლიერმა ბიძგმა ღია კარში გატყორცნა და მერე ჰაერში ამოტრიალებულმა ავტობუსმა გადაუარა

პატრიოტული ბანაკები დაარსების დღიდანვე არა ერთხელ გამხდარა საზოგადოებრივი მსჯელობის საგანი. „ნაციონალების“ გათვლით, პატრიოტული ბანაკები უნდა ქცეულიყო ახალგაზრდა ნაცისტების სამჭედლოდ და ლიდერთა სკოლად, მაგრამ სამშობლოს სიყვარულს პარტიულობა და ქალ-ვაჟთა ტყეებში დაბანაკება რომ არ სჭირდება, ამის მტკიცებით თავს არ შეგაწყენთ. პატრიოტული ბანაკები სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული ბოისკაუტების ბრმა გადმონერგვა. ამიტომაც ეს ბანაკები ჩვენში თავიდანვე ნეგატიურად აღიქვეს, თუმცა მიმდევრები მაინც გამოუჩნდნენ.
სიბნელესა და სიცივეში გაზრდილ თაობებს ქალაქგარეთ, ბუნების წიაღში გასვლა ფუფუნებად მიაჩნიათ, ხოლო მათი ამბიციური მშობლები ამ ბანაკებს მმართველი პარტიის გულის მოსაგებად და შვილების კარიერის დასაწყისად მოიაზრებენ. შარშან, აგვისტოს ომის დროს, მთავრობამ ძლივს მოახერხა განმუხურის პატრიოტული ბანაკიდან ტყე-მინდორში „გაჭრილი“ პატრიოტების ჩამოყვანა. აქეთ მშობლები იკლავდნენ თავს ტირილ-ჩივილით და იქით — დამფრთხალი, ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკიდან გამოუსვლელი მოზარდები.
წლეულს, 13 ივლისს, ბანაკ „შაორში“ წასასვლელად ჟრიამულითა და ამ ასაკისთვის დამახასიათებელი სიხალისით კიევის ქუჩაზე შეიკრიბნენ. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, ხატია კავთუაშვილს, დავით პირველსა და ნათია ჩხაიძეს უკანასკნელად რომ ხედავდნენ.

„სკოჩითაა“ აწყობილი ჩემი შვილი, როგორ მეწინააღმდეგებოდა მამამისი, ხატიას შაორში გაშვება არ უნდოდა... ცუდი სიზმარი მქონდა ნანახი, სახლის კედელი ჩამომენგრა...

ავტობუსს დანიშნულების ადგილს ათიოდე წუთის სავალი მანძილიღა აშორებდა. ზოგი იმასაც ამბობს, მძღოლს გვერდით არაყი და ლუდი ედგაო...

მეხის გავარდნას ჰგავდა საინფორმაციო საშუალებებით გადმოცემული ცნობა, რომ შაორში მიმავალი ახალგაზრდებით სავსე ავტობუსი 40 მეტრის სიმაღლიდან ხრამში გადავარდა.

საზარელი, შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა, რამაც სრულიად საქართველო ააფორიაქა. თითოეული მოქალაქე თავის დამოკიდებულებას მომხდართან სხვადასხვანაირად გამოხატავდა. მახსოვს, შავებით მოსილი დედაკაცი როგორ წყევლიდა სააკაშვილს ამ პატრიოტული ბანაკების დაარსებისთვის.

მისტიკოსები ირწმუნებიან, რომ ამ ბანაკებს შავი აურა სდევს. მოკვდავის ენას არ ძალუძს იმ გულისტკივილის გადმოცემა, რაც მომხდარმა ფაქტმა საზოგადოებაში გამოიწვია, როდესაც გაიგეს, რომ ორი ახალგაზრდა — დავით პირველი და ნათია ჩხაიძე ადგილზევე დაიღუპნენ, ხოლო მძიმე მდგომარეობაში მყოფი ხატია კავთუაშვილი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

როგორც ცნობილია, ავტობუსი „ბოგდანი“ თბილისის მერიას ეკუთვნოდა. შემოწმდა თუ არა გასვლის წინ ავტობუსის ტექნიკური გამართულობა, გაიარა თუ არა მძღოლმა სამედიცინო შემოწმება, ამას გამოძიება დაადგენს. ისიც გასარკვევია, შეირჩა თუ არა მაღალი კვალიფიკაციისა და ამ რთული გზის მცოდნე მძღოლი.

როგორც მოწოდებული ინფორმაციიდან ჩანს, მძღოლი დილით შეუცვლიათ (?!).

მართალია, ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით თავს ინონებს დაგებული გზებით, მაგრამ, რაც ცხინვალის გზა რაჭველებისთვის ჩაიკეტა, ისედაც ძნელად სავალი გზა, ხშირი ზვავებითა და მიწისქვეშა ბიძგებით დაზიანებული, ამ გაზაფხულზე მოსულმა ნიაღვრებმა სულ გაანადგურა.

ოფიციალურად ითქვა, რომ ავტობუსის კატასტროფა შემხვედრი მანქანისთვის გზის დათმობამ გამოიწვია, თუმცა თვითმხილველთა თქმით, მათ აშკარად იგრძნეს მიწისძვრის მსგავსი რყევა და მიწის საყრდენის გამოცლა. იმასაც ამბობენ, რომ ავტობუსი, რომელიც მთელი გზა ტაატით მიდიოდა, მაინცდამაინც ამ მონაკვეთში აჩქარდა. ამის გამო მძღოლს ახალგაზრდების მხრიდან არა ერთი გაფრთხილება მიუღია.

ავტობუსს დანიშნულების ადგილს ათიოდე წუთის სავალი მანძილიღა აშორებდა. ზოგი იმასაც ამბობს, მძღოლს გვერდით არაყი და ლუდი ედგაო.

როცა მინა ჩავარდა, მძღოლმა საჭეს ხელი უშვა და ავტობუსიდან გადახტა. ახალგაზრდებით სავსე ავტობუსი კი ტრიალ-ტრიალით ხრამში ჩავარდა.

როგორც შევიტყვეთ, მთელი გზა ვენტილაციის უქონლობის გამო ავტობუსის კარები ღია ყოფილა. სწორედ ამის გამო 17 წლის ხატია, რომელიც თავის მამიდაშვილთან ხელგადახვეული იჯდა, ძლიერი ბიძგით ღია კარიდან გავარდა და მერე ჰაერში ამოტრიალებულმა ავტობუსმა გადაუარა. ხატიას მოგლეჯილი ფეხი თეონას კალთაში აღმოჩნდა.

თეონა ბანაკში ხატიამ წაიყვანა — ცოდოა, მთელი ზაფხული ვერსად მიდისო.

თეონა ამჟამად ღუდუშაურის საავადმყოფოშია.

განა ძნელი იყო „ნაციონალებისთვის“, ახალგაზრდა კოლეგები კომფორტული, ვენტილაციით მოწყობილი ავტობუსის სალონში მოეთავსებინათ...

პროფესორი სულხან ქემოკლიძე მარწმუნებდა, რომ ასეთ ადგილებში მოზარდების გადაყვანისას კომუნისტების დროს ავტობუსს წინ და უკან ავტოინსპექტორთა კორდონი მიაცილებდა.

ძნელი წარმოსადგენია, რას გრძნობდნენ ავტობუსში მყოფი მოზარდები. ზოგმა თავს გადახტომით უშველა, ზოგი კი გაუნძრევლად იჯდა თვალდახუჭული და ლოცულობდა.

ერთ-ერთი მათგანი იგონებს: „როდესაც ავტობუსის ჩამტვრეული ფანჯრიდან გადმოვცოცდი, გარშემო ნისლის მსგავსი ბუღი იდგა. ფეხმოგლეჯილი ხატია წამოყენებას მთხოვდა, მაგრამ თავბრუ დამეხვა, ცუდად გავხდი, მისი დახმარება ვერ შევძელი“.

პირველი დახმარება უკან მომავალმა ვაკის რაიონის პატრიოტთა ბანაკის წევრებმა აღმოუჩინეს. გამოძახებულმა სასწრაფო დახმარების მანქანებმაც რთული გზის გავლას საკმაო დრო მოანდომეს და დაზარალებულები ტყიბულის საავადმყოფოში მიიყვანეს. რაკი იქ დაზარალებულთა დასახმარებლად ხელსაყრელი პირობები არ იყო, ისინი ქუთაისის უახლესი ტექნიკით აღჭურვილ ახალ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მედიკოსებმა მაქსიმალურად ყველაფერი გააკეთეს დაშავებული ახალგაზრდებისთვის. ხატია სისხლისგან იცლებოდა, სამჯერ გაუჩერდა პულსი კლინიკური სიკვდილით. გამუდმებით ითხოვდა: **„ფეხებს ვერ ვგრძნობ, ფეხებზე ხელი მომისვითო“.** თეონაც რამდენჯერმე მოიკითხა. გოგონას ვერც თბილისიდან ჩამოყვანილმა ქირურგმა უშველა, თუმცა ორივე ფეხის ამპუტაცია ჩაუტარდა.

იგი ოპერაციის ჩატარებიდან 40 წუთის შემდეგ გარდაიცვალა, რადგან დაზიანებული ჰქონდა თავის ქალაც, სახსრები დამტვრეული ჰქონდა, დაზიანებული — შინაგანი ორგანოები... მშობლებს მის უიმედო მდგომარეობას უმალავდნენ, ძმას კი გაუმხილეს. დარდით გამწარებულმა ბიჭმა არაადამიანური ბღავილით მუშტებით საავადმყოფოს მინები ჩაამსხვრია...

გასისხლიანებული ბიჭის მიკარება ვერავინ გაბედა...

სამძიმარზე შესულს ხატიას დედამ გულსაკლავად შემომტირა: „სკოჩითაა“ აწყობილი ჩემი შვილი, როგორ მეწინააღმდეგებოდა მამამისი, ხატიას შაორში გაშვება არ უნდოდა... ცუდი სიზმარი მქონდა ნანახი, სახლის კედელი ჩამომენგრა“...

სულ სხვაა გაგონილი და სულ სხვა — ნანახი.

ეზოში დამონტაჟებულ მონიტორზე ხატიას მიწიერი ცხოვრების კადრები ერთმანეთს ენაცვლებოდა — საბავშვო ბაღიდან დაწყებული, სკოლის ბანკეტამდე.

ეს არსებულს უფრო დრამატულსა და ტკივილიანს ხდიდა.

ხატია ნიჭით, აქტიურობით გამორჩეული, სიცოცხლით, სიკეთითა და სათნოებით სავსე, საქმიანი, დაუდგრომელი, ყვავილივით თვალწარმტაცი გოგონა იყო.

ეროვნული გამოცდები ჩააბარა, ექიმობაზე ოცნებობდა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა სპორტული აერობიკის ოლიმპიადაზე განსაკუთრებული პლასტიკური მონაცემებისთვის პირველი ადგილი მიანიჭა. 2008 წელს „რუსთავი 2“-ის მიერ გამოცხადებულ კონკურს „მხიარულ სტარტებში“ ოქროს მედალი დაიმსახურა. განათლების სამინისტროს არაერთ სერტიფიკატს ფლობდა.

რა დაავიწყებს ფიროსმანის ქუჩას „როლიკებზე“ შემდგარ მწვანეთვალება მომხიბვლელ გოგონას, რომელსაც შეეძლო, ცეკვით დედამიწა შემოევლო... ორიოდე დღის წინ დედას ფართოდ გახელილი თვალებით ეკითხებოდა — „რატომ ამბობენ, სიკვდილი დედაა და სიცოცხლე დედინაცვალიო?..“

სამძიმარზე მოსულ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძისა და თბილისის მერის გიგი უგულავას წასვლის შემდეგ ვიღაც იქ მყოფმა კომპენსაცია ახსენა, რომელსაც მთავრობა დაჰპირდა დაზარალებულებს. ამას ჭირისუფლის დაჭრილი სულის კივილი მოჰყვა — „მე ჩემი ხატია მინდა, სხვა არაფერი მჭირდება“...

დედას შვილს ვერაფერი შეუცვლის...

ხატიას განსასვენებლის გვერდით მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ნორჩ შემოქმედთა (რომლის წევრი ხატიაც იყო) ჩანაწერები იდო.

აი, რას წერდა მასზე ორი წლის წინათ მისი თანაკლასელი მირანდა მაისურაძე: „იმ ღამეს ეძინა გულზე დაკრეფილი ცივი ხელებით, თვალები დახუჭული ჰქონდა, გული არ უცემდა. გულქვა დუმილს შეეჩერებინა მისი გული. შეუბრალებელ ცხოვრებას იგი სამუდამოდ გაუწირავს“...

ეს წინათგრძნობა ახდა...

ერთს კი დავუმატებ: „სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს“...

მომხდარი საზარელი ფაქტი ზარის სათქმელის გარდა ზარის ჩამოკვრისთვისაც გვეძახის, რათა გავიგოთ, რამ მიგვიყვანა ამ ტრაგედიამდე.

ლალი შაშიაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მოსკოვური დოღი, ანუ მიშას მორიგი გამოჭენება

გასულ კვირას მოსკოვში უკვე ტრადიციად ქცეული დოღი გაიმართა, რასაც, არც თუ უსაფუძვლოდ, დსთ-ს არაფორმალურ სამიტსაც უწოდებენ, რადგანაც ამ ღონისძიებას, როგორც წესი, დსთ ქვეყნების პირველი პირები ესწრებიან. ასეთი „ბედნიერება“ 2 თუ 3 წლის წინათ ჩვენს პრეზიდენტსაც ერგო წილად, როცა პუტინის სტუმართა შორის ისიც ბრძანდებოდა, მაგრამ მისი კეთილგანწყობის მოპოვება მიშამ ვერ შეძლო; მიუხედავად იმისა, რომ მეფური საჩუქრით ესტუმრა — წმინდა სისხლის ინლისური მერანი აჩუქა. ასე რომ, ვერაფერი „პუტნი“ ვერ გამოდნა პუტინისგან.

რამდენიც უნდა „იხტუნოს“ დავით ბაქრაძემ — ამას ვიზიტს ვერ დავარქმევთ, მედვედევი ქურდულად შემოიპარა ცხინვალშიო — და რა საპროტესტო განცხადებებიც არ უნდა აკეთოს პარლამენტად წოდებულმა მიშას სანოტარო კანტორამ, რეალობა სულ სხვაა.

ახლანდელი დოღი რუსეთის ახალი პრეზიდენტის პატრონაჟით ჩატარდა, რომელზეც გასაგებ მიზეზთა გამო მიშა არ დაპატიჟეს. სამაგიეროდ სტუმართა შორის პირველად გამოჩნდნენ რუსეთის მიერ აღიარებული აფხაზეთისა და ცხინვალის ლიდერები: ბაღაფში და კოკოითი, აგრეთვე, ჯერ არ აღიარებული მთიანი ყარაბაღის ლიდერიც.

როგორც ცნობილია, დოღზე ფსონები ილხამ ალიევმა და სერჟ სარქისიანმაც დადეს. ბოლო 13 თვის განმავლობაში, ეს აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტთა მეექვსე შეხვედრაა რუსეთის ეგიდით.

ყარაბაღის პრეზიდენტის კამპანიაში გამოჩენა კი იმას ნიშნავს, რომ რუსეთი მეტნაკლებად ცდილობს ამ კონფლიქტის მოგვარებას, რათა ნაბუკოს გაზსადენმა ყარაბაღის გავლით, ანუ საქართველოს გვერდის ავლით გაიაროს. და არა იმიტომ, რომ, როგორც ნაცმოელი ექსპერტები „გვაბოლებენ“, რუსეთს შარშან აგვისტოში შელახული იმიჯის გამოსწორება სურს.

თუ როგორ ზრუნავს საკუთარ იმიჯზე რუსეთი, იქიდანაც გამოჩნდა, რომ დიმიტრი მედვედევი დიდი რვიანის შემდეგ და საქართველოში ბაიდენის ვიზიტის წინ „დამოუკიდებელ“ სამხრეთ ოსეთს ესტუმრა. რუსეთის პრეზიდენტი და აშშ ვიცე-პრეზიდენტი რომ სხვადასხვა წონითი კატეგორიებია, ეს ყველა საღად მოაზროვნისათვის ისევე ნათელია, როგორც რუსეთის ამ დემონსტრაციული სვლის ქვეტექსტის წაკითხვა — იოლი: ფეხებზე მკიდია ის, რაც ობამამ თქვა მოსკოვშიო.

რამდენიც არ უნდა „იხტუნოს“ დავით ბაქრაძემ — ამას ვიზიტს ვერ დავარქმევთ, მედვედევი ქურდულად შემოიპარა ცხინვალშიო — და რა საპროტესტო განცხადებებიც არ უნდა აკეთოს პარლამენტად წოდებულმა მიშას სანოტარო კანტორამ, რეალობა სულ სხვაა.

აქედან გამომდინარე, „P.S.“-ის წამყვან დავით კიკალიშვილის ირონიულად დასმული კითხვა, თუ ვისზე დადო ფსონი მედვედევმა — ბაღაფშზე თუ კოკოითზეო და კითხვის ადრესატის, თენგო გოგოტიშვილის ღლიცინა კომენტარები მოსკოვის დოღის მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, უსაფუძვლო და უკბილო ვაიხუმრობაა.

რუსები არც მალავენ, რომ ბაღაფშისა და კოკოითის მოსკოვური ვოიაჟი ამ ლიდერთა ლეგიტიმაციის მცდელობაა. სერიოზული მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ სოხუმ-ცხინვალის დსთ-ში გაწევრება დროის (დაახლოებით 2-3 წლის) ამბავია. აქედან გამომდინარე გაუგებარია ნაცმოელთა პროპაგანდისტული „ჭიხვინი“ დსთ-ს გარდაცვალების შესახებ. იქიდან გასული ერთი სუბიექტის — საქართველოს ნაცვლად, ორს შეიყვანენ აფხაზეთისა და ოსეთის სახით.

მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას მაინც მიხეილ სააკაშვილმა აჯობა, როცა აქ გააჭენა პროპაგანდისტული ტყუილების მერანი.

ისეთი ტონით საუბრობს „საწყალ“ მედვედევზე, რომელმაც „დაუბანელი“ კოკოითისთვის ცხინვალში ხელის ჩამორთმევით თურმე თავი მოიჭრა, რომ უნებურად შეგეცოდება, არა და ამ „საწყალმა“ მედვედევმა მიშას მიერ გაბუქებულ ნაბუკოზე თქვა, რომ რუსეთი ხელს არ შეუშლის ამ გაზსადენის მშენებლობას, მაგრამ ვერავინ მეუბნება, გაყვანილ მილებში გაზი საიდან მოხვდებაო.

როგორც ცნობილია, შუა აზიის რესპუბლიკებმა უარი თქვეს ამ პროექტში მონაწილეობაზე და ნაბუკო მხოლოდ აზერბაიჯანის 15 მილიარდი კუბური მეტრის იმედზეა, რაც ევროპისათვის, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია. არც ის არის გამორიცხული, რომ ესეც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. გაარჩია, რუსეთი რას და როგორ მოახერხებს ყარაბაღში. საგულისხმოა, რომ ილხამ ალიევი, საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არათუ „დაუბანელს“ არ ეძახის, მზადაა ხელიც ჩამოართვას ყარაბაღის პრეზიდენტს...

ამერიკის ფუჭ იმედზე ყოფნას, რომლის ვიცეპრეზიდენტის ვიზიტსაც იმაზე ნაკლები წონა აქვს, ვიდრე თავის დროზე მოსკოვის ცეკას ინსტრუქტორის ვიზიტებს ჰქონდა, აღარაფერს ვამბობ რუსეთის პრეზიდენტის წონაზე. მიშას ის ურჩევნია, რომ, თუ გადადგომას არ აპირებს, რამენაირად კრემლთან მისასვლელი გზა მოძებნოს, თორემ... სოროსის ვირზე ამხედრებულები „არლოვსკი რისაკს“ დოღში ვერ ვაჯობებთ. ამიტომ, სანამ გვიან არაა, ერთი კახური გამოთქმის არ იყოს: დააყე, ტროიკა დააყე, ბატონო პრეზიდენტო!

30-30, ბატონო ჭაბუა!

ანუ ბურჭულაძის „იავნანა“, მელუას ბალადები და გაბადრული სააკაშვილი

ეს ორი სათაური მაინც რად უნდაო, გაკვირვებული კითხულობდა ვაჟა ზაზაევიჩი „ცისფერი მთებიდან“, მე კი ორჯერ მეტი გამომივიდა, მაგრამ რა ვქნა — ამ ხალხთან დაკავშირებული ასოციაციები თუ ფიქრები მომგვარა ქეთი მელუას საქველმოქმედო კონცერტმა, რომელიც ქეთის მშობლიურ და ჩემს სიყრმის ქალაქ ბათუმში ჩატარდა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქეთი მელუა მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით წარმოჩნდა ქართველი მაყურებლის წინაშე. აღარაფერს ვამბობ ამ კუდრაჭა გოგოს ვიზუალურ ეფექტზე. ერთი სიტყვით, ქეთი ნიჭიერი მომღერალია თავისი მელოდიური ბალადებით და არა იაფფასიანი „შოუ ვუმენი“, რომლებიც მრავლად არიან ჩვენში თუ საზღვარგარეთ.

კიდევ უკეთესი, რომ ბრიტანელი ქართველი ვარსკვლავი თავის ნიჭიერებას ქველმოქმედებისთვის იყენებს — კონცერტის შემოსავალი მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დახმარების ფონდში გადაირიცხა, ანუ ჩვენებურად, მკაცრად პროზაულად თუ ვიტყვით — უპატრონო ბავშვებისათვის, რომელთა რაოდენობა კატასტროფულად იზრდება. ვეჭვობ, ეს პრობლემა მხოლოდ „იავნანას“ ფონდმა გადაჭრას, რომელიც პაატა ბურჭულაძის მეცადინეობით უდიდეს საქმეს აკეთებს, მაგრამ ამას კიდევ სხვა რამეც სჭირდება და ამ „სხვა რამეს“, სახელმწიფო ნების არსებობა ჰქვია; უფრო სწორად — არ არსებობა, რომელიც „ზონტიკის“ ქვეშ შეყუჟული მიშას სახით ვიხილეთ.

ვერ ვიტყვი, რომ სასიამოვნო საცქერი იყო, როცა ერთი მრავალსულიანი ოჯახის მთელი შემადგენლობა დანომრილი მაისურებით „30-30“ სცენაზე აიყვანეს, რომლის ყველაზე პატარა წევრს (როგორც ნაძვის ხეზე სათამაშო) ბინის გასაღები ჩამოჰკიდა კისერზე ქეთი მელუამ. ქველმოქმედებას ზედმეტი აფიშირება, პარადულობა არ უხდება, მაგრამ ეს იქით იყოს.

უსიამო ფიქრების გალა კონცერტის დამთავრების შემდეგ მომეძალა. აქციის მიმდინარეობისას, როგორც უკვე ითქვა, რამდენჯერმე გვიჩვენეს ეკრანზე „ზონტიკის“ ქვეშ შეყუჟული, გაბადრული პრეზიდენტი. სხვისი არ ვიცი და მე ეს გავიგე, როგორც იტყვიან ხოლმე — ვინ უკვეთავდა მუსიკას იმ საღამოს. იმის მოლოდინიც მქონდა, რომ ბოლოს ჩვენი მიშა სცენაზე ახტებოდა და, როგორც მსგავს სიტუაციაში სჩვევია, ქეთი მელუასაც მხარზე შეისვამდა.

ჩემი და, დარწმუნებული ვარ, ბევრის მოლოდინიც, იმიტომ არ გამართლდა, რომ „გაუფილტრავ“ პუბლიკაში მიშამ გამოჩენა ვერ გაბედა, რადგან, ალბათ, იპოდრომი გაახსენდა, სადაც მაგარ მიშას, მაგრად დაუსტვინეს.

სხვა მხრივ, ალბათ, მეტნაკლებად მოხერხდა „იავნანას“ ქველმოქმედების „ნაცების“ და პირადად მიშას პროპაგანდის აქტივში ჩაწერა. სწორედ იმ დღეს, როდესაც ქეთი მელუა მშობლიურ ბათუმს სიმღერებით ატკბობდა, ციხიდან გაათავისუფლეს ქეთის თანატოლი ბიჭები, რომლებიც კონცერტზე გაბადრული მიშას გამო პოლიტიკური ნიშნით იყვნენ დაპატიმრებულები.

ახლა მავანი მეტყვის — ქეთი მელუამ არ იცოდაო. იქნებ ასეც იყო, მაგრამ პაატა ბურჭულაძემ ხომ იცოდა? ანდა როცა ქეთიმ მიშას პატრიოტთა ბანაკებში მიმავალი ახალგაზრდების დაღუპვის ამბავი ახსენა, დავიჯერო, „რუსთავი2“-ის საინფორმაციოს უყურა შემთხვევით და იქედან გაიგო ეს სამწუხარო ამბავი, თუ სპეციალურად გააგებინეს?

ვიმეორებ, რომ გულწრფელად ვარ აღფრთოვანებული ქეთი მელუას მაღალი შემოქმედებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია მისი სამოქალაქო პოზიცია, რომლის სისწორე, გნებავთ ადეკვატურობა, უფრო მეტ მომხიბვლელობას შესძენს მის შემოქმედებას და მეტ სიყვარულს და აღიარებას მოუტანს მის პიროვნებას.

იგივეს თქმა შეიძლება პაატა ბურჭულაძეზეც, რომლის კლიპი ჭაბუა ამირეჯიბთან ყველას გვახსოვს: „30-30, ბატონო ჭაბუა!“ როცა ამას ამბობს, მაინტერესებს, რას ფიქრობს ქართველი შალიაპინი იგივე ჭაბუას მოწოდებაზე: „დაიცავი საქართველო!“

თუკი აქ ვერ უბედავენ მიშას თუნდაც იმის თქმას, რომ სირცხვილია, პრეზიდენტი, რომელიც მილიარდიან სასახლეს იშენებს, უპატრონო ბავშვებზე ზრუნვას „ზონტიკის“ ქვეშიდან ადევნებდეს თვალს, როცა წავლენ დასავლეთში (ქეთი მელუა იქნება, პაატა ბურჭულაძე თუ სხვა გამოჩენილი ავტორიტეტული ქართველი), ესეც და სხვა რამე-რუმეებიც იქაურ ტელევიზიებში თუ მედიაში გააჟღერონ.

მერწმუნეთ, დასავლეთში თუნდაც პაატა ბურჭულაძის მიერ ნათქვამ მხოლოდ ამ ფრაზას — „დაიცავი საქართველო!“ — მეტი ეფექტი ექნება, ვიდრე ჯო ბაიდენის დასახვედრად შეკრებილი 100 ათასი ქართველის მიტინგს. გულახდილობისათვის ნუ დამძრახავთ, ქალბატონებო და ბატონებო, მაგრამ ქვეყანას, სადაც პრეზიდენტის სასახლის ასაშენებლად ასეულობით მილიონი (ოფიციალურად 40) იხარჯება, ხოლო მზრუნველობა მოკლებული ბავშვისათვის კინკილა ბინის შესაძენად ლონდონიდან ქეთი მელუას ჩამოყვანა და პაატა ბურჭულაძესთან ერთად საქველმოქმედო კონცერტის გამართვაა საჭირო, ნათელი მომავალი არ ექნება.

გვერდი მოამზადა **დავით მხეიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ბაია ამაშუკელი:

დღევანდელ ოპოზიციონერთა უმეტესობა ადრე ბუშთან, ახლა კი ობამასთან დარბის დირექტივებისათვის

შარშან, 2008 წლის 15 დეკემბერს, სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისათვის“ პრეზენტაცია გაიმართა. ზეპარტიული, აპოლიტიკური სახალხო მოძრაობის დაარსება ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ვითარებიდან გამომდინარეობდა და მიზნად ისახავდა ერთგვარი „სახალხო ლაშქრის“ შეკრებას, რომელიც ანგარიშვალდებული იქნებოდა არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის, არამედ ქვეყნის წინაშე! რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, „საქართველოს გადარჩენისათვის“ დაარსებულ საზოგადოებრივ მოძრაობას პოლიტიკური პარტიებისა თუ არასამთავრობო სექტორის მხრიდან სრული იგნორირება მოჰყვა! ასეთივე რეაქცია იყო ყველა სატელევიზიო არხიდან, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე ჭაბუა ამირეჯიბი გახლდათ, ხოლო წევრები — გამოჩენილი ადამიანები. საზოგადობრივი მოძრაობის კარი ყველა ორგანიზაციისა და პიროვნებისათვის ღია იყო, თუმცა დაფუძნების შემდეგ აჩქარებული ტემპით პარალელური საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნა დაიწყო და, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, საპატიო თავმჯდომარედ ყველა ბატონ ჭაბუა ამირეჯიბს ასახელებდა.
ორიოდე კვირის წინათ კიდევ ერთი ასეთი პარალელური მოძრაობა დაარსდა და „დაიცავი საქართველო!“ ეწოდა, რომლის საპატიო თავმჯდომარედ ისევ მწერალი ჭაბუა ამირეჯიბი დასახელდა!
„საქართველო და მსოფლიო“ შარშან დაფუძნებული სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისათვის“ დამაარსებელს, ქალბატონ ბაია ამაშუკელს ესაუბრა, რომელმაც გაოცება ვერ დაფარა ყოველივე ზემოთქმულის გამო.

— ქალბატონო ბაია, რა შეგრძნება დაგეუფლათ მაშინ, როცა ლევან გაჩეჩილაძის თაოსნობით კიდევ ერთი აპოლიტიკური საზოგადოება „დაიცავი საქართველო“ დაფუძნდა დიდი ზარზეიმით? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამ საზოგადოებაშიც საპატიო თავმჯდომარედ ისევ ჭაბუა ამირეჯიბი დასახელდა და წევრებიც თითქმის ისინი არიან, ვინც თქვენ მიერ დაარსებულ საზოგადოებაში დაფიქსირდა: ნონა გაფრინდაშვილი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ზურაბ მანჯავიძე და ა.შ.

— მართალი გითხრათ, გაოგნებული დავრჩი... როცა საზოგადოება „საქართველოს გადარჩენისათვის“ დავაფუძნე, ყველას ვუხმე, მათ შორის, ლევან გაჩეჩილაძესაც, რომელსაც პირადად დავურეკე, მაგრამ იგი ჩვენს პრეზენტაციაზე მხოლოდ გიგა ლორთქიფანიძის თხოვნის შემდეგ მოვიდა.

ჩემი აზრით, არსებობს ადამიანური, კოლეგიური ეთიკა, საქმის კურსში მაინც ჩამაყენონ და ამიხსნა, კიდევ ერთი პარალელური საზოგადოების შექმნის აუცილებლობა რით არის ნაკარნახევი. მიმაჩნია, რომ ჩვენი ქვეყანა ჯერ გადასარჩენია, შემდეგ კი — დასაცავი. როცა ლევანის „დაიცავი საქართველოს“ პრეზენტაცია გაიმართა, უამრავმა პიროვნებამ დამირეკა, მოვიდა კიდეც, რომლებიც ვერ გაერკვნენ, ეს ორგანიზაცია ჩვენი იყო, ერთად ვიყავით თუ რა ხდებოდა და ა.შ.

ამიტომაც, როცა ლევანი „კავკასიის“ ეთერში გამოვიდა, დავრეკე და განმარტება გავაკეთე იმის შესახებ, რომ ახლად დაფუძნებულ „დაიცავი საქართველოს“ ჩვენთან არანაირი კავშირი არ ჰქონდა, გარდა ცნობილი პიროვნებების ჩამონათვალისა!

მე არ ვამბობ, რომ რაღაც განსაკუთრებული იდეა მომივიდა და ახალი ველოსიპედი გამოვიგონე, მაგრამ 7 ნოემბრის აქციის შემდეგ საბოლოოდ ჩამოვყალიბდი იმ მოსაზრებაში, რომ ეს პოლიტიკური პარტიები და არასამთავრობო სექტორი არაფრის გამკეთებლები არ იყვნენ, რადგან საზოგადოების აქეთიქით ტარების გარდა სხვა მიზანი არ ჰქონდათ და არც დღეს აქვთ! ეს ყველაფერი კი საპროტესტო მუხტს აგდებს, რის შემდგომაც სააკაშვილის ხელისუფლება ფრთებს უფრო და უფრო ფართოდ შლის.

ნაწყენი და გაბრაზებული არავისზე ვარ, მაგრამ ეჭვი მიჩნდება (ალბათ, სხვებსაც), რომ ასეთი საზოგადოებრივი მოძრაობები იქმნება გარკვეული პოლიტიკური ჯგუფებისთვის და არა იმ მიზნით, რომ ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისგან რაც შეიძლება მალე განთავისუფლდეს! ჩვენ ზუსტად ვიცით, რა გვინდა, მაგრამ დანარჩენებს რა უნდათ და ვინ უნდათ, გულწრფელად გეუბნებით, ვერ გავიგე.

— ჩემი აზრით, რთული მისახვედრი არ უნდა იყოს... „ალიანსის“ შემადგენლობაში, მის ორბიტაზე მბრუნავი „ქართული აკადემია“, „ზნეობრივი ფრონტი“, „ახალგაზრდა იურისტები“ და ა.შ. არასამთავრობო სხვა მრავალი ორგანიზაცია, ზოგიც „რესპუბლიკელებთან“, ასევე, სავარაუდოდ, ლევან გაჩეჩილაძის „დაიცავი საქართველო“ ამ დიდ დაჯგუფებასთან ითანამშრომლებს და საჭირო დროს საჭირო კანდიდატურას დაუჭერს მხარს... რა არის გაუგებარი?

— როგორც ბევრი ქართველი, ირაკლი ალასანიაზე ახალს მეც ვერაფერს მოგახსენებთ, გარდა იმისა, რომ იგი კურირებდა პანკისს, იყო უშიშროების თანამშრომელი და ჰყავდა შესანიშნავი მამა. მასზე მეტი არაფერი ვიცი. სამაგიეროდ, კარგად ვიცი, რას წარმოადგენენ „რესპუბლიკელები“ და რას აკეთებენ. საზოგადოებას ახსოვს მათ მიერ მოწონებული განათლების რეფორმა, ჩვენი რელიგიისადმი, დმანისის, გლდანის ეკლესიების დარბევისადმი დამოკიდებულება, „ვარდების რევოლუციაში“ მათი მონაწილეობა და თავგამოდება! ეს ჯგუფი ჯორჯ სოროსის ფულებით ჯიბედატენილი აქტიურად პირდაპირ იყო ჩართული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დაქცევის საქმეში და მითხარით, „რესპუბლიკელების“ გვერდით ვინც უნდა დადგეს, როგორი პოპულარული ადამიანიც უნდა იყოს იგი, როგორ დავიჯერო, რომ ქვეყნის სასიკეთო საქმეს უდგას მხარში? შეიძლება ვცდები, მაგრამ ტელეკომპანია „მაესტროში“ ჩატარებული გამოკითხვებითაც კი „რესპუბლიკელებისადმი“ დამოკიდებულება აშკარად უარყოფითი იყო. ე.ი. ჩვენი საზოგადოება კარგად არის ინფორმირებული იმის შესახებ, ვინ ვინ არის! ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება შემდგომშიც, რადგან ქართველობა ვერასოდეს აპატიებს მათ, ვინც ტრადიციულ მენტალობას უარყოფს!!!

— ჩემი ინფორმაციით, ირაკლი ალასანიასა და ლევან გაჩეჩილაძესთან ხელისუფლება აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი არჩევნების უეცარი დანიშვნის კუთხით და სთავაზობს მათ, ქალაქ თბილისის მერის არჩევნებში საკუთარი კანდიდატურები წამოაყენონ. შესაძლოა, ალასანიას ეს შემოთავაზება ჭკუაში დაუჯდა და ამიტომაც განაცხადა თავისი პარტიის პრეზენტაციაზე, რომ ისინი ნებისმიერ არჩევნებში, მათ შორის, ადგილობრივში, მონაწილეობას მიიღებენ, მიუხედავად იმისა, რომ დანარჩენი პოლიტიკური პარტიები ჯერ საპრეზიდენტო, ხოლო მოგვიანებით საპარლამენტო არჩევნებს აყენებენ დღის წესრიგში...

— გარკვეულწილად, ეს ეჭვი მეც გამიჩნდა, მაგრამ როგორც ლევან გაჩეჩილაძე ირწმუნება, იგი პოლიტიკაში მოსვლას აღარ გეგმავს! **ნურავინ შემეკამათება, რომ პოლიტიკურმა ოპოზიციამ, 2 ოქტომბრიდან მოყოლებული, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საპრეზიდენტო მუხტი არაერთხელ დააგდო. თუკი დღევანდელი ოპოზიციის მთავარი ამოცანაა, ვინ გახადოს ქალაქის მერად, ეს კიდევ ერთხელ დამარწმუნებს იმაში, რომ ე.წ. „ელიტური ოპოზიცია“ საპაკაშვილის წინააღმდეგი არ არის!!! მეტიც, დღევანდელი ოპოზიციის უმეტესობის მოყვანილია ბატონი მიხეილი და როცა მეუბნებიან — „ახლა მივხვდი, ვინც ყოფილა, ადრე შევცდით“ და ა.შ., ეჭვი მეპარება, რადგან მათი „საძმენი“ საპირისპიროს აჩვენებს და ეს ხელისუფლებაც, ამათი „უნიათობით“ თუ შეგნებული ქმედებებით, სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის ვადებს დღითი დღე ახანგრძლივებს!**

თუ სააკაშვილმა დააშავა და დააქცია ქვეყანა, მისი შეგნებულად მომყვანების დანაშაული რატომ იჩქმალება? ე.წ. „ელიტური ოპოზიციის“ წარმომადგენელთა უმეტესობა ხომ იურისტია და ჩემზე კარგად უწყის, რომ ამას დანაშაულში თანამონაწილეობა და ხელშეწყობა ჰქვია? ყველა რომ გაისუსა და აგვისტოს მოვლენებზე მორატორიუმი გამოაცხადეს, მაშინ არ იყო დანაშაულში თანამონაწილეობა, დღეს რომ გვმოძღვრავენ, სააკაშვილის ბრალი იყო ყველაფერიო?

უმეტესობას ისე ეშინია რუსეთის „აგენტობის იარლიყის“, მზად არის, ქვეყნისათვის საზიანო ქმედებებსაც „წაუყრუოს“, არადა, ეს მაშინ, როცა ამერიკის აგენტობა საძრახისად არც ერთ მათთანს არ მიაჩნია! დღევანდელი ოპოზიციის უმეტესობა ადრე ბუშთან, ახლა კი ობამასთან დარბის „კონსულტაციებისთვის“, თუ ვერ მიდის, აქ მყოფ უცხოელ ელჩებს უთანხმებს, „მარჯვნივ გაიხედოს“ თუ „მარცხნივ“!

რატომღაც ყველას ავიწყდება, რომ მთავარი გრანტები, ცრუ ღირებულებები, იმპორტირებული ფასეულობები და ცრუ ლიბერალიზმი კი არ არის, არამედ — „მართლმადიდებლური საქართველო“, სადაც სექტების, სექსუალური უმცირესობების აღლუმებისთვის ადგილი არ არის და რომლისკენ მიმავალი გზაც სადღაც ოკეანის გაღმა კი არა, წინ გვაქვს და მას დანახვა უნდა! კარგი იქნება, თუ იმასაც გააცნობიერებენ, რომ უცხოელებზე ჩვენი მიწა-წყლის გაყიდვა ინვესტიცია კი არა, სამშობლოს გაყიდვაა და დღეს გაოპოზიციონერებული ლიდერები რომ არც რუსეთიდან ჩამოტანილ მილიონებზე ამბობდნენ უარს არჩევნების გაყალბებისთვის, ამაზეც დაფიქრდნენ და მერე ისე უკიჟინონ ერს, „სუფთა სინდისით“ დავბრუნდით თქვენთანო!

პოლიტიკოსი, რომელიც აზდაკივით — „ვიღეგ, ვიღეგ, ოღონდ მომეცითო“ — გაიძახის, ქართული სახელმწიფოს შენებაზე ვერ იქნება ორიენტირებული! ოპოზიციის ძირითად ნაწილს ჯერ კიდევ 2003 წელს მიშას ხელისუფლებაში მოყვანა რომ არ უზრუნველეყო, შემდეგ მიშასთვის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები რომ არ „გაეპრავებინა“, არც აგვისტოს ომი მოხდებოდა და არც სხვა ბევრი უბედურება! აი, ამას ამბობდა ჩვენი „სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადასარჩენად“ და, შესაძლოა, ამიტომაც დაიბლოკა, იბლოკება კიდეც და ანალოგიური მოძრაობებით უნდათ, „ჩაგვაჩოჩონ“ და „გადაგვფარონ“!

რამდენჯერმე დაშალეს ხალხმრავალი მიტინგი და თავს იმით იმართლებენ, თითქოს სისხლისღვრას მოერიდნენ! იპოდრომიდან დაძრულ ნახევარ მილიონამდე მომიტინგეს წინ ვინ დაუდგებოდა... და ეს მაშინ, როცა, თუ არ ვცდები, 150 უცხოელი ჟურნალისტი, მოწვეული სტუმრები და დიპლომატიური კორპუსი ადევნებდა თვალს, როგორ განვითარდებოდა პროცესები?

იქნებ იმაზეც მიპასუხონ — 2008 წლის „არჩევნების“ შემდეგ ასჯერ მეტი სისხლი არ დაიღვარა?

შევარდნაძეც ამბობდა — იმიტომ გადავდექი, სისხლი არ დავღვარეო, მაგრამ არაფერი უთქვამს იმაზე, „მოქალაქეთა კავშირის“ ფესვებიდან ამოზრდილმა „ნაციონალებმა“ როგორი სისხლის გუბეები დააყენეს და როგორ გაუშრეს სისხ-

როგორც ბევრი ქართველი, ირაკლი ალასანიაზე ახალს მეც ვერაფერს მოგახსენებთ, გარდა იმისა, რომ იგი კურირებდა პანკისს, იყო უშიშროების თანამშრომელი და ჰყავდა შესანიშნავი მამა. მასზე მეტი არაფერი ვიცი. სამაგიეროდ, კარგად ვიცი, რას წარმოადგენენ „რესპუბლიკელები“ და რას აკეთებენ. საზოგადოებას ახსოვს მათ მიერ მოწონებული განათლების რეფორმა, ჩვენი რელიგიისადმი, დმანისის, გლდანის ეკლესიების დარბევისადმი დამოკიდებულება, „ვარდების რევოლუციაში“ მათი მონაწილეობა და თავგამოდება! ეს ჯგუფი ჯორჯ სოროსის ფულებით ჯიბედატენილი აქტიურად პირდაპირ იყო ჩართული სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ჩვენი ქვეყნის დაქცევის საქმეში...



სრულიად საქართველოს სახალხო ზეპარტიული მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისთვის“

1. ჭაბუა ამირეჯიბი
2. ნონა გაფრინდაშვილი
3. ოთარ შელეგინეთუხუცესი
4. გურანდა გაბუნია
5. რეზო ჩხეიძე
6. ალეკო ცინცაძე
7. გელა ჭოჭიაშვილი
8. გრიგერ ფარულავა
9. ელიზბარ ჯაველიძე
10. ხულხან ქემოკლიძე
11. სოსო ჯაჭველიანი
12. დავით მუსხელიშვილი
13. რეზო ამაშუკელი
14. გურამ ფირცხალავა
15. ნოდარ მგალობლიშვილი
16. ზურაბ ქობულია

ამ კანონს ქვეყანა სამოქალაქო ომისკენ მიჰყავს

თბილისი. 1992 წელი

შემოდგომაზე ახალი ფართომასშტაბიანი აქციების ტალღაა მოსალოდნელი. ხელისუფლებამ, რომელიც ბოლო რამდენიმე თვეს საგულდაგულოდ აკვირდებოდა და სწავლობდა მიტინგების მიმდინარეობას, უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: სასწრაფო წესით შეიტანა ცვლილებები „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“, „პოლიციის შესახებ კანონში“ და „მიტინგებისა და მანიფესტაციების ჩატარების წესის შესახებ კანონში“. ამ ცვლილებების შედეგად ადმინისტრაციული სასჯელის ვადა 30 დღიდან სამ თვემდე გაიზარდა, სამართალდამცველებს უფლება მიეცათ, მანიფესტანტების წინააღმდეგ გამოიყენონ არალეტალური იარაღი, აიკრძალა ფასადებსა და ტროტუარებზე წარწერების, ნახატებისა და სხვადასხვა სიმბოლოს გაკეთება, კონსტრუქციებით გზის გადაკეტვა და ა.შ.

ლი იმათ, ვინც ანტიქართულ გოგინს უპირისპირდებოდა!

საზოგადოებაში ჩამოყალიბდა აზრი და მეც ვეთანხმები, რომ ამ ოპოზიციის დიდ ნაწილს სამშობლოსთვის თავგანწირვა არ შეუძლია, რადგან მას და ხელისუფლებასაც, პრაქტიკულად, ერთი და იგივე მოთხოვნები აქვთ რაღაც დასავლურ ღირებულებებთან და „ნატოსთან“ მიმართებაში. ვფიქრობ, დაფიქრებად ღირს.

გაიარონ სოფლებში, რაიონულ ცენტრებში და თავად დარწმუნდებიან, რომ ამ „ყბადაღებულ დასავლურ ღირებულებებს“ ხალხი არ იზიარებს, რადგან „მისი სახელით“ უამრავი სისაძაგლე, უმსგავსობა და ტრადიციულად მიუღებული ფაქტორების დაფინანსება-დამკვიდრების მცდელობაა.

სარწმუნოების შეურაცხყოფამ და ცრუ ფასეულობების დამკვიდრების მცდელობამ გამოიწვია ის, რომ დღეს უკვე მიცვალებულების საფლავებსაც მიადგნენ. სხვათა შორის, „ვარდების რევოლუციის“ მიზანი ისიც იყო, ადამიანებისთვის შთაგონებინათ წარსულის სრული უგულებელყოფა და „პირველად საქართველოში“-ზე სწორება!

თუკი დღეს რომელიმე გაოპოზიციონერებულს დითირამბებს და ოვაციებს არ მიუძღვნი, იბღვირება და ბრაზდება...

რატომ ჰგონიათ, რომ ხალხს დაავიწყდა, ადრე ვინ რას აკეთებდა, ვინ ვინ მოიყვანა, რა ფულებსა და გრანტებს შოულობდა ლიბერალიზმისა და დასავლური ევროპული ღირებულებების „შემომტან“ ჟვანიასთან ერთად, ვინ ლობირებდა „თელასს“, ვის ევალებოდა და ვინ აჭიანურებდა გამრიცხველიანებას რეგიონებში უშუქობის გამოწვევის მიზნით, ჟვანიასთან ერთად ვინ რამდენ ათას ევროდ მოაწერა ხელი 60.000 გადასახლებული თურქი-მესხის ნაცვლად 200.000 -ის დაბრუნებას საქართველოში, ვინ რატომ მისცა ხმა პირადობის მოწმობიდან ეროვნებისა და მამის სახელის ამოღებას, მინის პრივატიზაციის კანონს, ვის ჰქონდა და აქვს მიშა სააკაშვილის ძმებთან ბიზნესკავშირები, ვინ კურირებდა „პანკისს“, ვინ წაგებინა საქართველოს „პეტერსონ ბენკლაფთან“ ასობით ათასი დოლარი, ვისი დავალება შეასრულეს კოდორის „ზემო აფხაზეთად“ და ცხინვალის რეგიონის „სამხრეთ ოსეთად“ მონათვლით ან, საერთოდ, რომელი ეროვნების ლობის ინტერესებითა და დაფინანსებით მოაწყვეს „ვარდების რევოლუციად“ წოდებული შეიარაღებული გადატრიალება... რომელი ქვეყნისა და ორგანიზაციის „გავლენის აგენტები“ არიან 1995 წლიდან და შემდგომ 2003 წელს პოლიტიკაში მოსული ადამიანები?..

როდემდე უნდა გვინგრევდნენ ეს ადამიანები ქვეყანას, როდემდე უნდა დაგვცქეროდეს ზემოდან მათი ჩამოყვანილი უცხოელი, რომლისთვისაც ამ ქვეყნის ძირძველი მცხოვრები ერი, მხოლოდ მომსახურე მონად განიხილება?

აბსოლუტურად არ მადარდებს, ზოგიერთი პოლიტიკურ ქსენოფობად შემრაცხავს თუ ფუნდამენტალისტს მიწოდებს, რადგან მიმაჩნია, რომ საქართველოში ქართველი წელში გამართული უნდა დადიოდეს და ჩემს სამშობლოში ფულის საშოვნელად ჩამოსული უცხოელი თუ მათი მასპინძლები ზემოდან არ უნდა დამცქეროდეს!

უფროსი და პატრონი, ჩემი ღრმა რწმენით, გულით, სულითა და გენეტიკითაც ქართველი უნდა იყოს, ისევე, როგორც სომხეთში — სომეხი, ისრაელში — ებრაელი, აზერბაიჯანში — აზერბაიჯანელი და ა.შ.

ამასწინათ ისრაელიდან ჩამოსული ებრაელი ამბობდა: ვინც ჩვენს კანონებს არ ემორჩილება და არ მოსწონს ჩვენებური ადათ-წესები, წავიდეს, სადაც უნდაო!

მეც იმავეს ვიტყვი: ვისაც მხოლოდ ჩემი მინაწყალი უნდა, არ მოსწონს ჩემი ერის საუკუნოვანი ენა, ტრადიციები, ადათ-წესები და რელიგია, ხელს უშლის და ყელზე ადგას ქართველების არსებობა, მიბრძანდეს იქ, სადაც მოსწონს — ამერიკა იქნება თუ ევროპა, ვინ უშლის ხელს?

— რაზეც თქვენ ისაუბრეთ, სწორედ ამის გამო ყოფილხართ „დაბლოკილი“ და რატომ გიკვირთ, რომ, რასაც თავად არ გააკეთებთ, იმის საკეთებლად ამდენი ძველი თუ ახალი საზოგადოებრივი მოძრაობები „ამოყარეს ბუდიდან“ ხალხის დასაბნევად?

— ჩვენი სახალხო მოძრაობა „საქართველოს გადარჩენისთვის“ ღიად აცხადებდა და აცხადებს დღესაც, რომ სააკაშვილის წასვლას ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ ვინაიდან მიშასთან ერთად მოსული დღეს ოპოზიციაში გადასული გუნდიდან ბევრი იმავე იდეოლოგიის მატარებელია, არ გვინდა, მხოლოდ შესაკრებთა გადანაცვლება მოხდეს!

ვსვამთ საკითხს: ვინ და რა ძალები უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში სააკაშვილის შემდგომ? მთელი ამ აქციების დროს ჩუმად ვიყავით, ვფიქროგდით, იქნებ, ამჯერად მაინც გაელვიძოთ სინდისი და ხალხის რეალური დაკვეთა — მოთხოვნა შეასრულონ-თქო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისევ მოგვატყუეს და რამდენ ხანს გვეყოლება კიდევ მათი ნამეგობარალი მიშა ხელისუფლებაში, არავინ ვიცით!

გაჩუმებას აღარ ვაპირებ! დღეს თქვენი გაზეთის საშუალებით პირველი შეფასება უკვე გავაკეთე და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ ამისათვის. მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არა — უიმედო!

მადლობა ღმერთს, საქართველოში კიდევ არიან პოლიტიკური ძალები, რომელთა წარსულიც სააკაშვილის „ნაცმოძრაობასთან“ არ არის გასვრილი. მათი პროგრამაც, მოღვაწეობაც, ოჯახისშვილობაც, პროფესიონალიზმიცა და, რაც მთავარია, სამშობლოსთვის თავდადება დაანახვებს ხალხს და საზოგადოებას, რა გზით უნდა იაროს საქართველომ გადარჩენისთვის!

დროა, ქართველებმა ჭეშმარიტი და ყალბი ერთმანეთისგან გავარჩიოთ, თორემ შესაძლოა, ხვალ მართლაც გვიან იყოს და ვეღარაფერი გვიშველის!!!

ესაუბრა
ირინა გოგოსაშვილი

„ეს კანონი ხელისუფლებას საზოგადოებასთან აშორებს და ძალიან საშიშ მიჯნას ავლებს მათ შორის, — აცხადებს პარლამენტარი **გია ცაგარეიშვილი**, — ძაბავს სიტუაციას ქვეყანაში, აჩენს ამოუვსებელ უფსკრულს საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის. ეს სამთვიანი საპროტესტო აქციების შედეგად უმრავლესობის მიერ გაკეთებული დასკვნაა და ამ აქციების პასუხს წარმოადგენს. ბატონმა სააკაშვილმა სხვა გამოსავალი ვერ მოძებნა, გარდა დაშინებისა და ტერორის ტაქტიკისა. კანონებში ისეთი ცვლილებები შეიტანა, რომ ზეწოლა მოახდინოს სამოქალაქო საზოგადოებაზე, შელახოს მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებები. ეს ყველაფერი კი შეიძლება ტრაგიკულად დასრულდეს. ამ ცვლილებებს ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებისა და ომისკენ მიჰყავს. ამას სრული პასუხისმგებლობით გეუბნებით. ის ადამიანები, ვინც ამ კანონპროექტს პარლამენტში მხარი დაუჭირა, სამოქალაქო დაპირისპირების სათავეებთან დგანან და მომავალი თაობების წინაშე ნამდვილად მოეთხოვებათ პასუხი“.

— ბატონო გია, უმრავლესობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მიღებული კანონპროექტი არც ერთ საერთაშორისო ნორმას არ ეწინააღმდეგება...

— ეს ტყუილი და ცინიზმია. თავი გავანებოთ საერთაშორისო ნორმებით იდიოტურ მანიპულირებას. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ჩვენს ინტერესებს შეესაბამება და არა — ფინეთისას. ხელისუფლების ლოგიკაა — როცა მისთვის მისაღებია, ყველაფერი ევროპის სამართალსა და საერთაშორისო ნორმებზეა დაფუძნებული, როცა არა — არა. ასეა ამ 6 წლის მანძილზე.

არ მგონია, რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობაში ეწეროს, რომ ქუჩაში აკრძალულია ავტომანქანებით ორგანიზებული გადაადგილება და ეს იმიტომ ჩაწერეს, რომ ოპოზიციამ რამდენჯერმე მიმართა ამ ხერხს და რეგიონებიდან საკუთარი მხარდამჭერები ავტოტრანსპორტის კოლონებით ჩამოიყვანა. სააკაშვილმა „ვარდების რევოლუციის“ დროს თავისი მომხრეები წალენჯიხიდან სწორედ ასეთი ავტოკოლონებით რომ ჩამოიყვანა (ამ ფაქტის ამსახველი ფოტოებითაა აჭრელებული მთელი პარლამენტი), მაშინ შეიძლებოდა და დღეს აკრძალულია? პარლამენტში პირატებივით შევარდნა, მაგიდებსა და სკამებზე ხტუნაობა, დარბაზის დარბევა და დანგრევა დასაშვები იყო, საკნებით ქუჩის გადაკეტვა კი — არა? რატომ აკეთებს ამას ხელისუფლება?

— როგორ ფიქრობთ, რატომ მიმართავს ასეთ უკიდურეს ზომებს სააკაშვილის მთავრობა?

— ჰგონიათ, რომ ხალხი დაშინდება, ქუჩაში აღარ გამოვა, შორიდან შეხედავს, როგორ დააქცევს და გააპარტახებს სააკაშვილი ქვეყანას, მაგრამ გამორიცხულია, ჩვენს სამშობლოს საჯიჯგნად არ დავუტოვებთ მათ და ეს ყველაფერი დასრულდება „დიდი სახრჩობელით“, რომელზეც დიქტატორებსა და ბელადებს კიდებენ ხოლმე ტრადიციულად!

მართალია, მიხეილ სააკაშვილის გულშემატკივარი არ ვარ, მაგრამ არ მინდა, ასეთი მომავალი ვუწინასწარმეტყველო.

— როგორ განვითარდება მოვლენები შემოდგომაზე... ოპოზიცია უარს იტყვის დაგეგმილ აქციებზე?

— როგორც იურისტი, გეტყვით, რომ არ არსებობს კანონი, რომლის გვერდის ავლაც არ შეიძლება. უნდათ ოცი მეტრი? — დავდგებით ოც მეტრში. არ შეიძლება მანქანებით გადაადგილება? — ქუჩებში ფეხით ვივლით. აკრძალულია საკნები? — სხვა რამეს მოვიფიქრებთ. შიმშილსაც აგვიკრძალავენ? პრინციპში, ამ მთავრობისგან ყველაფერია მოსალოდნელი და ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ კანონპროექტის მიღება არის გზა არსაით, გზა სამოქალაქო დაპირისპირებისა და უფსკრულისკენ. ხელისუფლებას სურს, სახლებში გამოამწყვდიოს საკუთარი მოქალაქეები და ისე მართოს ქვეყანა.

ადვოკატი **გელა ნიკოლეიშვილი** მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას შემოდგომაზე დადეგმილი ახალი საპროტესტო ტალღის აგორების ეშინია და სწორედ ეს გახდა ამ კანონპროექტის მიღების მიზეზი, თუმცა ეს ვერ შეაჩერებს იმ ტალღას, რომელიც აზვირთდა. ამას კი შესაძლოა, სერიოზული ინციდენტები მოჰყვეს.

„ხელისუფლება ფიქრობს, რომ თითქოს სამუშაოდაკარგული ხალხი გამოდის ქუჩაში და ამის გამო გამოხატავს პროტესტს. მას არ უნდა, აღიაროს, რომ ეს საპროტესტო ტალღა მისი პოლიტიკის პირდაპირპროპორციული შედეგია და ახალი კანონის მიღებით ცდილობს, როგორმე გადააგოროს ეს პრობლემა. შედეგს ებრძვის და არა — პრობლემის გამომწვევ მიზეზს; თავის თავსაც იტყუებს და ცდილობს, სხვაც მოატყუოს. ესაა ამ ხელისუფლების უბედურება და ცინიზმი“, — აცხადებს ბატონი გელა.

მისივე თქმით, „სამართალდამცველების მხრიდან არალეტალური იარაღის გამოყენება საზოგადოების დაშინებისკენაა მიმართული. ხელისუფლების სხვადასხვა თეორია, რომ პოლიციელები საზოგადოების ინტერესების დაცვას ემსახურებიან, დემაგოგიაა და დიდი ხანია, ამით აღარ ტყუვდება მოსახლეობა.

ჩვენ ხშირად ვნახულობთ დასავლეთის დემოკრატიულ ქვეყნებში, როგორ ხდება შეტაკებები პოლიციელებსა და მომიტინგეებს შორის და იქ ვერ ვხედავთ, სამართალდამცველები მაინცდამაინც არალეტალურ იარაღს იყენებდნენ. მითუმეტეს, მათ ხშირად აგრესიულ მანიფესტანტებთან უხდებათ დაპირისპირება. ისინი არ გადადიან ზღვარს, სასიკვდილოდ არ იმეტებენ ხალხს, ცემით იქნება ეს თუ არალეტალური იარაღის გამოყენებით.

ჩვენთან კი, 15 ივნისს სრულიად მშვიდობიან მომიტინგეებს, როცა, უბრალოდ, კითხულობდნენ საპროტესტო განცხადებას პოლიციის შენობის წინ, თავს დაესხნენ და არაადამიანური წამების შემდეგ დასაჯეს. ჩვენი ხელისუფლების მხრიდან ეს შედარება ძალიან არაკორექტულია. რაც შეეხება ვენეციის კონვენციის დასკვნის მოლოდინს, დასავლეთიდან ჩვენი კოლეგების ყველაზე მთავარი შეცდომა ისაა, რომ ისინი ცვლილებებს კონტექსტიდან ამოგლეჯილად განიხილავენ. გარეგნულად, ფასადურად მსჯელობენ ყველაფერზე და არ უღრმავდებიან, რა დგას ამის უკან, როგორი არასამართლებრივი და არადემოკრატიული გარემოა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში და რომ ასეთ პირობებში მსგავსი ცვლილებების შეტანა დაუშვებელია“.

ნათია ჭადაგიშვილი

P.S. ამერიკის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ვიზიტთან დაკავშირებით ოპოზიცია გრანდიოზული მიტინგის მოწყობას გეგმავს. ნაკლებსავარაუდოა, რომ მიხეილ სააკაშვილმა ახალი კანონის მარწუხების ძალა ამ დღეს აგრძნობინოს მოსახლეობას და ამით დასავლეთში შექმნილი დემოკრატიული მმართველის ილუზიური იმიჯი დაამსხვრიოს.

კანონში შეტანილ თითოეულ ამ ცვლილებას, იქნება ეს არალეტალური იარაღის გამოყენება, სხვადასხვა კონსტრუქციით ქუჩის გადაკეტვის აკრძალვა თუ სამთვიანი ადმინისტრაციული სასჯელი, მომიტინგეების წინააღმდეგ შემოდგომაზე გამოიყენებს და უკვე კანონით გაიმართლებს თავს, თუ საკუთარ მოქალაქეებს თვალებს გამოსთხრის ან სხეულის რომელიმე სხვა ნაწილს დაუზიანებს, ან, თუნდაც, საიქიოს გაისტუმრებს.

არნო ხიდირბეგიშვილი:

საღ ბაიდენაობით, ბატონებო?

„ჩვენი პოლიტიკოსები აცხადებენ, რომ მოლაპარაკებებისას საქართველოს საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. ეს, რა თქმა უნდა, ბლეფია — საქართველოზე საგანგებოდ არ უმსჯელიათ, ჩვენი ქვეყნის საკითხი სხვა საკითხებთან ერთად განიხილეს. ფაქტია, რომ ამერიკა მზადაა, საქართველო რუსეთს დაუთმოს და სანაცვლოდ ის მიიღოს, რაც დღეს მეტად სჭირდება — საჰაერო დერეფანი ავღანეთზე, რომლითაც 4500 ამერიკული სამხედრო თვითმფრინავი ისარგებლებს. რუსეთი კი სანაცვლოდ მოქმედების თავისუფლებას მიიღებს პოსტსაბჭოთა სივრცეში“, — ასეთი კომენტარი გაუკეთა მოსკოვში 2009 წლის 6-7 ივლისის რუსეთისა და აშშ პრეზიდენტების სამიტის შედეგებს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲭᲐᲭᲘᲐᲛ.**

ჩემი პროგნოზი ანალოგიური იყო: ***„ეს ჩვეულებრივი პრაქტიკაა მსოფლიო პოლიტიკაში, როცა ოფიციალური შეთანხმების არარსებობა არ გამორიცხავს (გულისხმობს) არასაჯარო შეთანხმებას, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს შესახებ“.***

და, აი, **დიმიტრი მედვედევისა** და **ბარაკ ობამას** შეხვედრიდან **10 დღის** შემდეგ **ეს პროგნოზი დადასტურდა — 2009 წლის 16 ივნისს აღმოსავლეთ ევროპის ექს-ლიდერებმა** *(ვალდას ადამკუსი — ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი, ემილ კონსტანტინესკუ — რუმინეთის ყოფილი პრეზიდენტი, ვაცლავ ჰაველი — ჩეხეთის ყოფილი პრეზიდენტი, მიხალ კოვაჩი — სლოვაკეთის ყოფილი პრეზიდენტი, ალექსანდრე კვასნევსკი — პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, ვაირა ვიკე ფრეიბერგა — ლატვიის ყოფილი პრეზიდენტი, ლეხ ვალენსა — პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი, მათიას იორში — უნგრეთის ყოფილი სახელმწიფო მდივანი, მარტი ლაარი — ესტონეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი, და სხვები)* სკკპ-ს საუკეთესო ტრადიციებით, დანერეს **„ღია წერილი ობამას ადმინისტრაციას ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპისგან“**, სადაც **22 ხელმომწერი** ღელავს იმის გამო, **რომ ვაშინგტონი მოსკოვს დაჰყვა და მსოფლიო ჟანდარმის როლზე უარი თქვა, რითაც ბედის ანაბარა მიაგდო ნატოს „დასუსტების გამო“ დაუცველი ევროპა...“**

ხელმომწერთა შემადგენლობის გათვალისწინებით და ღია წერილის ტექსტის გაცნობის შემდეგ ხვდები, რომ **„ინტელექტუალები, აშშ-ის მეგობრები, ატლანტიზმის ხმებისა და ევროპის მომხრეები“** (როგორც საკუთარ თავს თვითონ უწოდებენ!), არა იმდენად ევროპის, და მით უფრო საქართველოს, ბედ-იღბალზე, არამედ საკუთარ მომავალ ხვედრზე წუხან: რადგან **თუ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და რუსეთმა „გადატვირთეს“ თავიანთი ურთიერთობები, რუსეთისგან ბოროტების მსოფლიო ფეტიშის შექმნის მათი მრავალწლიანი შრომა ტარტაროსში ჩაინთქა, ხოლო ზოგიერთ მათგანს, ალბათ, სტრასბურგის სასამართლოს ანა ჰააგის ტრიბუნალის წინაშე წარდგომა მოუწევს...**

აღვნიშნოთ ზოგიერთი მეტად გულახდილი სენტენციარეკომენდაცია, რომლებსაც ზემონახსენები წერილი შეიცავს:

— „ცივი ომის“ დასრულებიდან 20 წლის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები ამერიკის საგარეო პოლიტიკის საფუძველს აღარ წარმოადგენენ. იმ დროს, როცა ობამას ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებს ადგენს, ჩვენი რეგიონი მსოფლიოს იმ ნაწილად იქცევა, რომელიც ამერიკელებს აღარ აღელვებთ... ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა პოლიტიკურ გზაგასაყარზე დგას და დღეს რეგიონში მზარდი ნევროზულობა შეინიშნება.

(საინტერესოა, რატომ და როდემდე უნდა იფიქროს ამერიკელმა ხალხმა (გადასახადის გადამხდელმა!) ცენტრალური და არმოსავლეთი ევროპის ქვეყნებზე, თანაც, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პირობებში? მსოფლიოში ვინაა დემოკრატიული ფასეულობების ისეთი მომხრე, რომ მათ გამო მსხვერპლად გაიღოს თავისი ეროვნული ინტერესები?! და რაკიღა „ავადმყოფი“ 20 წლის შემდეგაც („ცივი ომის“ დასრულების შემდეგ) დამოუკიდებლად „ფეხზე ვერ წამოდგა“, ის ან უიმედო ავადმყოფია, ან არასწორად უმკურნალეს!).

— ამავე დროს, საგარეო პოლიტიკურ ჰორიზონტზე ქარიშხლის ღრუბლები გამოჩნდა. თქვენსავით ჩვენც მოუთმენლად ველით ევროპული კომისიის გამოძიების დასკვნებს, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ომის პირველმიზეზებს ეხება, თუმცა ამ ომის პოლიტიკური ზეგავლენა რეგიონში უკვე იგრძნობა. ბევრი ქვეყანა გულის სიღრმემდე შეძრულია იმით, რომ ატლანტიკური ალიანსი განზე დარჩა იმ დროს, როცა რუსეთი ჰელსინკის ხელშეკრულების, პარიზის ქარტიის ძირითად პრინციპებსა და ნატოსეულ „პარტნიორობა მსოფლიოსთვის“ და ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს წევრი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას არღვევდა და ამას თავის საზღვრებთან ზეგავლენის სფეროების დაცვის სახელით სჩადიოდა.

**(საინტერესოა, ასე მოუთმენლად რატომ ელიან დისიდენტი-პრეზიდენტები ევროპული კომისიის გამოძიების შედეგებს?! იქნებ ჰაიდი ტალიავინის დასკვნა მათთვის ხელსაყრელი სულაც არ იყოს? ხოლო იმაზე წუხილით, რომ ნატო რუსეთისა და საქართველოს 2008 წლის აგვისტოს სამხედრო კონფლიქტში არ ჩაერთო, მაგათ საკუთარი თავი გამო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ერთლარიანი პრინცესას საა(გა)რაკო ვნებანი

ფინანსთა სამინისტრომ „დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს წყნეთის აგარაკთან დაკავშირებით მილიონნახევრის გადახდა დააკისრა და სასამართლოში უჩივლა გადასახადების დამალვის მცდელობისთვის, რაკიღა პარლამენტის ექს-თავმჯდომარემ ცნობილი აგარაკი 2009 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არ შეიტანა. ქალბატონი ნინო თუ დროულად არ გადაიხდის აღნიშნულ თანხას, მას, სავარაუდოდ, ჩამოართმევენ ხელისუფლებაში ყოფნის დროს კორუფციული გზით შეძენილ ქონებას (დღეს ასე თვლიან უმრავლესობის წევრები) და აუქციონზე გაიტანენ.
„დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერი ცდილობს, სკანდალის თემად ქცეული აგარაკი, რომელიც უცხოური გამოცემების ყურადღების ცენტრშიც კი მოექცა, სარფიანად გაყიდოს და მიღებული თანხა თავის პარტიულ ორგანიზაციას მოახმაროს.

აგარაკი, რომლის საბაზრო ღირებულებაც ამ ეტაპზე ოფიციალურად დადგენილი არაა, დაახლოებით 18 მილიონი ღირს. იგი საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 8 მაისის №299 განკარგულებით, სიმბოლურ ფასად, სულ რაღაც 1 ლარად, „საქართველოს პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლისთვის“ გადაეცა ქალბატონ ნინოს.

პრეზიდენტის საჩუქარი მოიცავს დაბა წყნეთში სამთავრობო რეზიდენციის ტერიტორიაზე მდებარე შენობა-ნაგებობებს: კოტეჯი №2 (საერთო ფართობით 571 კვ მ); №6 (ავტოფარეხი, საერთო ფართობით 39 კვ მ); ნაგებობები: №1, №2, №3, №5, №7 და მათზე დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 31696 კვ მ მიწის ნაკვეთი და აღნიშნულ შენობა-ნაგებობებში განთავსებული ქონება (ინვენტარი).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ საკმაოდ სოლიდური საჩუქარია. პრეზიდენტის მიერ კი შესანიშნავად არის შეფასებული ქალბატონი ნინოს დამსახურებები: „პარლამენტარიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების განვითარებაში შეტანილი წვლილი... ქვეყნის წინაშე გაწეული განსაკუთრებული ღვაწლი“.

როგორც ჩანს, ქვეყნის პირველი პირი უძლური აღმოჩნდა ნინო ბურჯანაძის ამ დამსახურებების წინაშე და გაითვალისწინა რა საქართველოს მთავრობის შუამდგომლობა „სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“, საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, გადასცა ზემოაღნიშნული აგარაკი, რომლის ჩამორთმევასაც დღეს გადასახადებისგან თავის არიდების მოტივით უპირებს ხელისუფლება.

როგორც ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი, ბატონი სოსო შატბერაშვილი აცხადებს, ნინო ბურჯანაძეს წყნეთის აგარაკი დუმილის საფასურად გადასცეს, მან კი მიხეილ სააკაშვილი „გადააგდო“.

ჩვენი აზრით, ნინო ბურჯანაძეს 16 თუ 18 მილიონად ღირებული წყნეთის აგარაკი დუმილისთვის გადასცეს, მაგრამ მან დუმილს ნახევრად სიმართლის თქმა არჩია. როდესაც მისი მაკომპრომეტირებელი ფარული ჩანაწერები გამოამზიურეს, მაშინ მან განაცხადა: „ფრთხილად იყვნენ, არ ამალაპარაკონ!“.

რას ნიშნავს „არ ამალაპარაკონ“?! ბოლომდე თქვას, რაც იცის, თქვას, როგორ ნაწილდებოდა სოროსისგან მიღებული ფული კაბინეტებში, როგორ იგეგმებოდა საქართველოს დაშლა-დანაწევრება, რა ცოდვები აქვს ხელისუფლებას, ილაპარაკოს თავის დანშაულებებზეც.

ასე რომ, ქალბატონი ნინო დღეს სიმართლის მხოლოდ ნახევარს ლაპარაკობს, ჩვენი მთავრობა კი, რომელიც არათანმიმდევრული, ბრიყვი და უგუნურია, მის მიერვე გაკეთებულ საქმეს აპროტესტებს.

ვფიქრობ, ქალბატონ ნინოს ამ აგარაკს მაინც ჩამოართმევენ, მაგრამ ბურჯანაძეებს იმდენი ფული აქვთ, რომ 15 ასეთ აგარაკს იყიდიან.

— გინდათ, თქვათ, რომ წყნეთის აგარაკი ხელისუფლებასა და ბურჯანაძეს შორის პოლიტიკური ვაჭრობის საგანია?

— რა თქმა უნდა, ისევე, როგორც გადაცემა იყო პოლიტიკური ვაჭრობის თემა. სააკაშვილს რაღაც მაღალი მატერიებისთვის კი არ გადაუცია, როგორც ეს პრეზიდენტის განკარგულებაშია — „პარლამენტარიზმის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის“, არამედ იმთავითვე გარიგებების საგანი იყო. როცა ნინო ბურჯანაძეს უფლება არ მისცეს, თავისი თანაგუნდელები ჩაეწერა საპარლამენტო სიაში, განაწყენდა და დატოვა უმრავლესობა. პრეზიდენტმა გასაჩუმებლად აჩუქა მრავალმილიონიანი აგარაკი, მაგრამ შეცდა. შესაძლოა, ბურჯანაძე დაჰპირდა კიდეც დუმილს, მაგრამ მოატყუა.

ამ აგარაკზე გადასახადების დაწესების ნამდვილი მიზეზი სწორედ პოლიტიკური ვაჭრობაა.

— ბურჯანაძემ ხელისუფლებაში ყოფნის დროს მხოლოდ წყნეთის აგარაკი შეიძინა ერთ ლარად და სხვა სარგებელი არ უნახავს, დღეს რომ უმრავლესობა მხოლოდ ამ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას?

— ბურჯანაძეების ოჯახს ძალიან დიდი ცოდვები აქვს ჩადენილი. ჯერ მარტო ანზორ ბურჯანაძის უდიდესი დანაშაულია ის, რომ ქართველ ხალხს ბაღლინჯონარევ პურს აჭმევდა, თავად კი ამით მილიონები იშოვა. ბადრი ბიწაძეს სასაზღვრო უწყებაში აქვს ჩადენილი რაღაც-რაღაც ცოდვები, თავად ქალბატონ ნინოს კი — პარლამენტის თავმჯდომარეობის დროს, თუნდაც სახელმწიფო გადატრიალების პერიოდში, როდესაც საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი შევარდნაძე შეურაცხადად და ავადმყოფად გამოაცხადა და მის ფუნქციებს თავად ითავსებდა. ეს არის სამართლებრივად დასჯადი ქმედება. ცოდვა ამ ოჯახს მართლაც ძალიან ბევრი აქვს, ისევე, როგოც ირაკლი ოქრუაშვილმა ჩაიდინა უამრავი დანაშაული. ხელისუფლების ქმედება კი მიმართულია ქალბატონი ნინოს განეიტრალებისკენ, და არა მხოლოდ ამ აგარაკით.

ერთი რამ კი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ — ბურჯანაძეს ვერ დააპატიმრებენ.

— რატომ?

— ის ოპოზიციური პარტიის ლიდერია.

— ოქრუაშვილიც ოპოზიციური პარტიის ლიდერი იყო, მაგრამ დაიჭირეს...

— ოქრუაშვილის დაპატიმრებას მოჰყვა ნოემბრის აქციები. ნინო ბურჯანაძის აყვანას კი უარესი შედეგი ექნება. ეს ფაქტი ხალხში უფრო მძაფრ რეაქციას გამოიწვევს, ვიდრე ირაკლი ოქრუაშვილთან მიმართებაში იყო და ამას ერიდება დღევანდელი ხელისუფლება. ამასთან, რამდენი კომპრომატიც აქვს სააკაშვილს ბურჯანაძეზე, ორი იმდენი აქვს ნინოს მიშაზე.

ისინი არიან ყოფილი თანაგუნდელები, თანამებრძოლები, ერთად სჩადიოდნენ დანაშაულს, ნინო ბურჯანაძემ დიდი როლი შეასრულა სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის საქმეში. და თუ უნდა, ჩამოეწეროს ის ცოდვები, რაც მან ჩაიდინა — ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს და მთლიანად 10 წლის მანძილზე შევარდნაძისა და სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, რჩება ერთადერთი გამოსავალი — აღიაროს სრული სიმართლე, განაცხადოს იმ სიბინძურეების შესახებ, რაც ხდებოდა ჯერ „მოქკავშირში“ და შემდეგ — „ნაცმოძრაობაში“.

— გარდა ქონების ჩამორთმევის მცდელობისა, ქალბატონ ნინოს მოუხსნეს დაცვა, ხომ არ ნიშნავს ეს ფაქტი იმას, რომ ბურჯანაძეების ოჯახზე ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდება?

— დაღუპულა საქართველო, რაკიღა დაცვა მოუხსნეს.

ათობით ათასი ადამიანი დაიღუპა ცხინვალისა და აფხაზეთის აგრესიის დროს, ჩვენ ჩვენი მიცვალებულები გვყავს დაუმარხავი... ეს გვაქვს სადარდებელი და არა ის, რომ ბურჯანაძეებს დაცვა მოუხსნეს. მათ იმდენი ფული აქვთ, სუპერდაცვას დაიყენებენ.

რა თქმა უნდა, დაცვის მოხსნაც მიმართულია იქით, რომ მიშამ თავისი ყოფილი თანაგუნდელისგან დუმილის უფლება მოიპოვოს. ხელისუფლებას, რომელმაც დაკარგა საკუთარი ხალხის სიყვარული, ნდობა, პატივისცემა, ამოწურა საერთაშორისო მხარდაჭერა თვით შტატებშიც კი, ერთადერთ დასაყრდენად რჩება ძალოვანი სტრუქტურები და ხალხის დაშინება-დაშანტაჟება, რასაც აკეთებს კიდეც.

ნათია ქადაგიშვილი

ნოვოსიბირსკში საბჭოთა კავშირის პირველი მუზეუმი გაიხსნა

ნოვოსიბირსკში გახსნილ საბჭოთა კავშირის პირველ მუზეუმში ექსპონატების სახით ნახატები, ფოტოები, ბიუსტები, ფოტოაპარატები, რადიომიმღებები, ჩაიდნები, უთოები, საბჭოთა ვარსკვლავების ფოტოებიანი აფიშებია გამოფენილი.

მუზეუმის შენობა თავისთავად საბჭოთა ეპოქის ექსპონატია, რომელიც 1917 წელს ააშენეს, შემდეგ კი ექვსოჯახიან კომუნალურ სახლად აქციეს.

დამთვალიერებელი ახლაც კომუნალურ ბინაში ხვდება, ვიწრო ჩაბნელებულ დერეფანში მუზეუმის სტუმრებს მეზობელი ეგებება. მათ, როგორც ამ სახლის ბინადართ, შეუძლიათ, მუზეუმის ექსპონატები ხელში აიღონ, კარგად დაათვალიერონ, ძველებური ფოტოაპარატები აჩხაკუნონ, ნახშირის უთოები „შეისწავლონ“, საბჭოთა მუსიკას ბაბინებიან მაგნიტოფონზე მოუსმინონ და კომუნიზმის ნოსტალგიაზე ისაუბრონ.

მუზეუმის შექმნის იდეა შარშან გაუჩნდა ტიმოფეევას და შექმნა კიდეც თავისი უცნაური სახელის ავტორი მშობლების პატივსაცემად.

მუზეუმში ექსპონატები თავად სტუმრებს მიაქვთ, ყველას, ვისაც ძველისძველი ტელევიზორი ან მუსიკალური ფირფიტა შემთხვევით დღემდე შემორჩა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

მერაბ ჯიბლაძე:

ჩვენ რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით — აფრიკისკენ

უკანასკნელ ოცწლეულში სწავლა-განათლების მოყვარე ქართველ ერში განათლების დონე მნიშვნელოვნად დაეცა. დღეს უკვე ცხადია, რომ ჩატარებულმა და „წარმატებულად“ მონათლულმა განათლების რეფორმამ ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი ბევრი ფორმა მოგვიტანა და სრულიად ფუჭად დაგვაკარგვინა წლები.
„განათლების რეფორმა შიშველი ხერხია, რათა საქართველომ იმის შესრულება იტვირთოს, რასაც მისგან მოითხოვენ. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ განათლების პრობლემათა მხილებასა და გამოსწორებაზე ხელი ავიღოთ“, — ასე ფიქრობს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, ამერიკის შეერთებული შტატების ფიზიკის საზოგადოების წევრი, უნივერსიტეტში სრულიად ახალი სპეციალობის „ლაზერების ფიზიკის“ დამაარსებელი, განათლების მინისტრის ყოფილი მოადგილე მერაბ ჯიბლაძე.

— ბატონო მერაბ, თვლით თუ არა დამაკმაყოფილებლად რეფორმის მიერ მოტანილ ცვლილებათა შედეგებს, რა მიგაჩნიათ მის ღირსებად, რა — ნაკლად?

— 2004 წელს, როდესაც განათლების შესახებ კანონი მიიღეს, ქართული უნივერსიტეტი გარდაიცვალა, რამაც, თავისთავად, მოკლა უმაღლესი განათლება, რასაც მოჰყვა საშუალო სკოლების გაუქმება. საჯარო სკოლა საშუალო სკოლა არაა, ეს არის ამერიკელების მიერ დაარსებული „publik sqool“, რომელიც გათვალისწინებულია ამერიკაში მცხოვრები ლათინოსებისა და ზანგებისათვის. საჯარო სკოლის მიზანია, როგორმე წერა-კითხვა ასწავლოს გონებრივად სუსტად განვითარებულ ბავშვებს. თვით ამერიკელთა განცხადებით, ამ სკოლადამთავრებულთა 80% ინგლისურ ენაზე სწორად მაინც ვერ ლაპარაკობს.

ამერიკაში, საჯარო სკოლის პარალელურად, არის საშუალო, მაღალი და აკადემიური სკოლებიც, რომელთა შორის ყველაზე დაბალი დონის საჯარო სკოლებია. რეფორმის კვალდაკვალ, ჩვენში გაუქმდა საშუალო სკოლები და, სამწუხაროდ, განათლების პროგრამებიც საჯარო სკოლების დონის შესაბამისია.

ერთმა მითხრა, სოფელში ჩავედი და გლეხი მეკითხება — „რატომ დააწერეს ჩვენს სკოლას საჯარო სკოლა, ჯარისკაცები უნდა გამოზარდონო?“

დიახ, ბატონო, ან ჯარისკაცი უნდა გამოზარდონ, ან მომსახურე პერსონალი. მათ კი ერთადერთი რამ უნდა იცოდნენ — უცხო ენა და კომპიუტერის მოხმარება.

როცა განათლების სამინისტროს თანამშრომლებს ზურაბ ჟვანიამ კახა ლომაია წარგვიდგინა, ბრძანა: „აი, რა გვინდა სკოლისაგან — გვინდა ის, რომ მოსწავლეებმა შეისწავლონ უცხო ენა და კომპიუტერი“.

— რატომ უნდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში ასეთი დაბალი დონის სასწავლებელი?..

— ჩვენ განვითარებადი ქვეყნის წარმომადგენლები ვართ. ეს სტატუსი შევარდნაძის ძალისხმევითა და დიდი მცდელობით ოფიციალურად 1995 წელს მივიღეთ. ჩვენს მდგომარეობაში არც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანა არ არის.

საჯარო სკოლა საშუალო სკოლა არაა, ეს არის ამერიკელების მიერ დაარსებული „PUBLIK SQOOL“, რომელიც გათვალისწინებულია ამერიკაში მცხოვრები ლათინოსებისა და ზანგებისათვის. საჯარო სკოლის მიზანია, როგორმე წერა-კითხვა ასწავლოს გონებრივად სუსტად განვითარებულ ბავშვებს. თვით ამერიკელთა განცხადებით, ამ სკოლადამთავრებულთა 80% ინგლისურ ენაზე სწორად მაინც ვერ ლაპარაკობს...

საქმე ისაა, რომ თვით განვითარებად ქვეყნებში სხვადასხვა რანგია. ჩვენ ვიმყოფებით ცენტრალური აფრიკის განვითარებადი ქვეყნების რანგში.

ამასწინათ გამოქვეყნდა უუნარო სახელმწიფოების რეიტინგი. პირველ ადგილზეა სომალი, შემდეგ — აფრიკის რამდენიმე ქვეყანა, ხოლო 33-ე ადგილზე — ტაჯიკეთთან ერთად საქართველო.

როცა ამერიკის საელჩოს ატაშეს შევხვდი სკოლების დაფინანსების საკითხთან დაკავშირებით, მან მითხრა: „თქვენ ხართ განვითარებადი ქვეყანა, სადაც სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს“.

ამის თაობაზე ცხარე კამათი მომივიდა. როცა ვკითხე, გვჭირდებოდა თუ არა ექიმები, გაიოცა და მიპასუხა, რომ განვითარებად ქვეყანაში ოპერაციების ჩატარება შეუძლებელია, ერთადერთი, რაც შეიძლება — ეს არის აცრები, ამიტომ თქვენ მხოლოდ ექთნები უნდა მოამზადოთო.

ვურჩიე, რომ სხვა ქვეყანაში წასვლამდე გასცნობოდა ჩვენს წარსულსა და ტრადიციებს, რა მდგომარეობაშია მეცნიერება და განათლება და მერე გასცეს რეკომენდაციები. მისი პასუხით, ჩვენი ეკონომიკა ისეთ დღეშია, განვითარებადი ქვეყნების კანონებით უნდა ვიცხოვროთ...

განათლების რეფორმა ჩვენთანაც და კამბოჯაშიც ამერიკის სამი უნივერსიტეტის გაერთიანებამ ზუსტად ერთნაირი სქემით ჩაატარა, განვითარებადი ქვეყნის სტატუსის გამო. ამავე მიზნით, არა მარტო განათლების სისტემაში, არამედ ქვეყნის მთელ რიგ დარგებში შემოვიდა ის კანონები, რომლებიც მსოფლიო ბანკმა, სავალუტო ფონდმა თავს მოგვახვია, ამიტომ მივიღეთ ის დახმარებები, გრანტები და ტრანშები, რომლებითაც გამდიდრდნენ შევარდნაძისა და სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლები.

ამერიკელთა მიდგომა ასეთია — თუ გააკეთებ იმას, რასაც გეტყვი, ფულს მოგცემ, თუ არ გააკეთებ — არ მოგცემ. ამას კი კორუფცია, ანუ მოქრთამვა ჰქვია.

აბა, ისეთი ნაბიჯი გადადგან, რაც დამკვეთს არ სურს, მათ საერთოდ გააქრობენ.

თავის დროზე ზვიადმა ეს არ ისურვა და შეეწირა კიდეც. ზვიადი არ დაადგა იმ გზას, რომელზეც „მშვენივრად“ გაიარა ჯერ შევარდნაძემ, ხოლო შემდეგ — სააკაშვილმა.

— ჩვენ ხომ უძველესი ცივილიზაციის ქვეყანა ვართ, „ვეფხისტყაოსნის“ სამშობლო, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელეს განვითარებადი ქვეყნის სტატუსის მონიჭებისას?

— უპირველესად, განადგურებული ეკონომიკით, წარმოების უუნარობით. განვითარებადი ქვეყნის მთავარი პრიორიტეტები სოფლის მეურნეობა და ტურიზმია. რადგან არაფერს ქმნი და აწარმოებ, რა საჭიროა განათლება და მეცნიერება? ამიტომ ჩვენ უნდა გავიტანოთ ჯართი, ხე-ტყე და ნედლეული. ამას ემატება სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის მიხედვით, მათ სჭირდებათ უვიცი თაობები, რადგან განათლებული და მოაზროვნე ადამიანები რთული სამართავია. ამიტომ ჩვენ არ უნდა გვქონდეს განათლებისა და მეცნიერების ძლიერი კერები.

რამდენიმე წლის წინათ მეცნიერებათა აკადემიაში სიტყვით გამოსულმა სახელმწიფო მინისტრმა თქვა: „მეცნიერებისგან გვინდა ერთადერთი რამ — ამ „მილს“ მოვემსახუროთ“.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს მოსახლეობას ასეთი ამოცანა დაუსახა: ვიყოთ სხვათა მოსამსახურე ერი, გონებრივად ჩლუნგი, ვგავდეთ ცხვრის ფარას, რომელსაც „ყოჩი“ სადაც უნდა, იქით წაიყვანს. ევროპელებისთვის კი ისიც გასაკვირია, რომ გვაქვს ტრადიციული საოპერო თეატრი და დასი, მაშინ, როდესაც ამსტერდამში თანამედროვე საოპერო თეატრის შენობა დასის გარეშეა, სადაც საოპერო სპექტაკლი მხოლოდ ორჯერ იმართება წელიწადში და ისიც — საგასტროლოდ ჩასული დასების მიერ.

ჩვენ რეფორმებით ამერიკისკენ კი არ მივდივართ, არამედ ამერიკელების ბრძანებით — აფრიკის ქვეყნებისკენ, რადგან ამერიკას ჩვენ არ ვჭირდებით. ნიჭიერი კაცი თუ გამოგვერია, ამერიკაში წაიყვანენ. უცხოეთში განსწავლული ნიჭიერი ქართველი სამშობლოში არ დაბრუნდება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ნიჭს გაფურჩქვნა-გახარებისთვის საჭირო გარემო სჭირდება. პოლიტიკური გარემოც ისეთია, აქ რომ გენიოსი ჩამოვიდეს, იმასაც მოკლავენ.

განვითარებული ქვეყნის შესაფერისი მხოლოდ მაღალი გადასახადები გვაქვს. ესაა გზა, ქვეყნის მესვეურნი ხალხის გაღატაკების ხარჯზე გახდნენ მილიარდელები, ამიტომ განაცხადა რიხით სააკაშვილმა გერმანელ კორესპონდენტ რიხტერთან: „ჩვენ, ათი მილიარდერი გვყავს“. არადა, ამას ამბობს ღატაკი, განვითარებადი ქვეყნის პრეზიდენტი.

— ბატონო მერაბ, რას გვეტყვით სოკოებივით მომრავლებულ ფასიან სასწავლებლებსა და ტესტირებით ჩატარებულ ეროვნულ გამოცდებზე?

— ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ხალხიც განვითარებადი ქვეყნის შესაბამისი ხდება. ზოგს მოსწონს ჩატარებული განათლების რეფორმა, რადგან დიპლომის აღებაში არავითარი შრომა არ სჭირდება, მშობლები კი ფულს იხდიან. ცოდნა რა საჭიროა, როცა ქვეყანაში ცოდნა არ ფასობს, ისე შეიძლება გახდე პრეზიდენტი ან პარლამენტარი, მაგრამ სჭირდებათ დიპლომები და უცხოური სერტიფიკატები, ყველაზე კარგი კი ამერიკულია.

ვებრძოდი ფასიან სწავლებას. როცა სასწავლებლის დაფინანსებას სტუდენტთა და მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრავს, მაშინ ლექტორს ნაკლებ ედარდება, ისწავლის თუ არა სტუდენტი. განათლების ხარისხი ეცემა.

ჰარვარდის უნივერსიტეტს ერთი სტუდენტის განათლება 100000 დოლარი უჯდება, გადასახადი კი 10000 დოლარია, ჩიკაგოს უნივერსიტეტს — 60000 დოლარი, როცა გადასახადი 6000 დოლარის ტოლია. ჩვენთან კი გადასახადი 10%-ის ნაცვლად 200%-ია, რადგან ნახევარი ბიუჯეტის შევსებაზე მოდის. ამჟამად მშობელი ფულს იხდის შვილის უცოდინარობისთვის. ადრე ამას ქრთამი ერქვა, დღეს კი ოფიციალურადაა დაკანონებული.

როცა ფასიანი სწავლების შესახებ კანონი შემოვიდა, კომისიის თავმჯდომარედ დამნიშნეს. 61 განაცხადიდან მხოლოდ სამს მივეცი ლიცენზია. სანამ არ ვნახავდი საბაზისო მონაცემებს, შენობას, აუდიტორიებს, ლაბორატორიებსა და ბიბლიოთეკებს, ლიცენზიას არ გავცემდი. მაშინ მთავრობამ გამოაქვეყნა განაცხადი, თუ კომისია ლიცენზიის მსურველს 2 კვირაში არ მისცემს პასუხს, მას შეუძლია, კომისიას სახალხო სასამართლოში უჩივლოს. იძულებული გავხდი, ამ კომისიის თავმჯდომარეობა დამეტოვებინა. იმას კი მივაღწიე, რომ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტისთვის მიმეცა ლიცენზია და სამედიცინო ინსტიტუტიდან უკანონოდ გარეთ დარჩენილ 3000 ახალგაზრდას განათლების მიღების საშუალება ჰქონოდა, ასევე, იმ სტუდენტებს, რომლებიც პოსტსაბჭოთა სივრცეში სწავლობდნენ, სწავლა იმავე წესით გაეგრძელებინათ, როგორიც სასწავლებელში იყო მათი ჩარიცხვის დროს.

ტესტირება ამერიკელების მოგონილია, მათ არ ჰყავთ კვალიფიციური პედაგოგები, რომლებიც მოსწავლის ცოდნას ზუსტად შეაფასებენ.

ამერიკაში ვნახე, ფიზიკას ეკონომისტი ასწავლიდა. ჩემი გაკვირვების პასუხად მითხრა: „ჩემი მოვალეობა არაა გაკვეთილის ახსნა, ეს მოსწავლის პრობლემაა, აიღოს წიგნები და იკითხოს. მე მაქვს ტესტები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეავსოს, შემდეგში მე მათ ჩემს გასაღებს დავადებ, ვნახავ, რამდენი დაემთხვევა და იმის მიხედვით შევაფასებ“.

ტესტები ზერელედაა დაწერილი გონებასუსტი ბავშვებისთვის, რათა 4 ვარიანტიდან ერთი ამოირჩიოს.

ჰარვარდში ტესტებს სახლში ატანენ. ჩვენთან ამის გაკეთება არ შეიძლება. დიალოგურ გამოცდებს ტესტები ვერ შეედრება, აქ უფრო სრულად ვლინდება ცოდნაც და უნარებიც.

1992 წლიდან განათლების სისტემაში ყველა მიღებული კანონი გასაუქმებელია. საჭიროა ისეთი კანონმდებლობის შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება ქართველთა განვლილი გზა, მათი ბუნება, მენტალობა. არ შეიძლება, რომელიმე ქვეყნიდან ჩამოტანო კანონი, რომელიც იმ ქვეყანაში კარგად მუშაობს. თანაც, ჩვენ ხომ ამერიკულად არ ვცხოვრობთ, აფრიკულად ვცხოვრობთ. განათლების სისტემა მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს ინტერესებს.

ბატონ გოგი გოგოლაშვილს კი უნდა შევახსენო, რომ ჯერ კიდევ 1999 წელს გიგი თევზაძემ განათლების სამინისტროში ჩამოსული ამერიკელი პროფესორის შეკითხვას — „რაში გჭირდებათ ასეთი რეფორმა, რა არის მიზანი?“ — ასეთი პასუხი გასცა: „რეფორმის მიზანია, ინგლისური ენა სახელმწიფო ენა გახდეს“.

ეს ამერიკის სტრატეგიული ამოცანის ერთი მხარეა. მას სურს, რუსეთის გვერდით შეიქმნას ზესახელმწიფო თურქეთის სახით, რომლის ძალისხმევით ჩამოყალიბდება ყირიმის, თურქმენეთის, ყაზახეთისა და საქართველოს კონფედერაცია, რომელიც რუსეთს დაუპირისპირდება.

რუსეთმა ეს იცის, ამიტომაც ყველა რეფორმა ამ დიდ მიზანს ემსახურება.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

სტალინი ჩინოვნიკების გულმკერდს უბრუნდება

რუსეთის ჩინოვნიკებს შეუძლიათ, გენერალისიმუს იოსებ სტალინის გამოსახულებიანი ვერცხლის მედლის მფლობელები გახდნენ. ბელადის პროფილი ჩინოვნიკების გულმკერდს იმ სუვენირული კოლექციის ერთ-ერთი მედლის სახით დაუბრუნდება, რომელიც უკვე შეივსო გამარჯვების ორდენის კავალერთა პორტრეტებით.

ასეთი სულ 10 მედალია გამოშვებული, მათ შორისაა მარშალ ჟუკოვის, გენერალ ივანე კონევის, საბჭოთა კავშირის ორგზის გმირების — ალექსანდრე ვასილევსკისა და კონსტანტინე როკოსოვსკისა და სხვა ლეგენდარული სამხედრო მეთაურების გამოსახულებიანი მედლები. ყველა მედალი მოოქროვილი ვერცხლია. მათ შორისაა სწორკუთხა მედალიც, რომლის ხუთ ქიმზე გამარჯვების უცხოელ ორდენოსანთა სახელებია ამოტვიფრული.

გარდა ამისა, ნაკრებში შევიდა გამარჯვების ორდენისა და მარშალის ვარსკვლავის ასლები. ორივე დამზადებულია ნატურალური ზომის შესაბამისად და ნამდვილისაგან პრაქტიკულად არაფრით განსხვავდება.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ზურაბ გაგნიძე:

ძმები კუბლაშვილების ფსიქიკა კრიმინალის ზნეობრივ ნაკლს ატარებს

სუბიექტის ფსიქიკაში უამრავი ინფორმაციაა, რომლის ახსნა მხოლოდ ფსიქოლოგის პროფესიონალიზმითა და დაკვირვებითაა შესაძლებელი. თითოეულ პიროვნებას ახასიათებს შინაგანი სიჭრელე, ავ ზრახვათა ქვეცნობიერში დამარხვის უნარი, რაც ქვეცნობიერში დამალულ მის არაერთ მოქმედებასა და დამოკიდებულებაში, ხშირად ირონიაშიც მჟღავნდება. ნეპოტიზმი ლათინური სიტყვაა და ნათესავებისთვის თანამდებობების დარიგებას ნიშნავს, რაც ქართული პოლიტიკისთვის არცთუ იშვიათია. ამჟამად, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი ზურაბ გაგნიძე გესაუბრებათ ძმების: უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის — კოტე კუბლაშვილისა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის — პავლე კუბლაშვილის ფსიქოპორტრეტების შესახებ.

— ბატონო ზურაბ, რა მსგავსება-განსხვავებაა ძმებ პავლე და კოტე კუბლაშვილებს შორის?

— ისინი ფსიქოტყუპები არიან. მათი ყველა ფსიქოშტრიხი ერთნაირ უნარებს, ზნეს, ჩვევებსა და ხასიათს შეიცავს ან ერთმანეთს ავსებს, აგრძელებს და მეორდება. ორივე საქართველოს სასამართლო სისტემას განაგებს. ძმების ერთ სისტემაში პასუხისმგებელ თანამდებობებზე ყოფნა, ნეპოტიზმის თვალსაზრისით, დაუშვებელია, ზნეობრივი თვალსაზრისით — არაკეთილსინდისიერება, სამართლის თვალსაზრისით — „მელამ მოწმედ თავისი კუდი მოიყვანა“, მაგრამ კუბლაშვილები არ ერიდებიან ქვეყნის კილვას, დინჯად გვასწავლიან „სამართალს“. მათი ამბიციურობა და პატივმოყვარეობა ზენიტშია, დიდი დოზით აქვთ თავკერძოება, სიჯიუტე და შეუპოვრობა, თანაც ორივე ქედმაღალი, ამპარტავანი, ცივი და შეზღუდულია. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, არც ერთი დათმობს მიღწეულს და შეიძლება, „ძმათა ომიც“ ვიხილოთ.

კუბლაშვილები, ქვეყნის ხერხემლის — ვანო მერაბიშვილის უნიჭო სცენარების „პოლიტრეჟისორები“ არიან; დაგეშილი მეძებრებივით ცდილობენ, საშინელ დანაშაულებს საკუთარი ავტორიტეტის შელახვის ხარჯზე ნაღვერდალი მოაცილონ, მომხდარის პრინციპული გადახალისება მოახდინონ და საზოგადოებას თავგზა აუბნიონ. სააამისოდ მათ არც გონებრივი უნარები, არც წარმოსახვის ნიჭი და ლოგიკურობა ყოფნით, რის გამოც დაგუბებულმა უსამართლობამ ხალხი არაერთხელ გამოიყვანა ქუჩაში „ჯებირების“ გასახსნელად, რომელთა აგრესიისა და პროტესტის დიდი ხვედრითი წილი უსამართლო სასამართლოებსა და მათ ხელმძღვანელობაზე მოდის.

ფსიქიკური წყობით ძმები კუბლაშვილები ერთმანეთს ერთ თარგზე გამოჭრილებივით გვანან. არცერთ მათგანს მკვეთრად გარკვეული ინდივიდუალობა არ გააჩნია, რაც მოწმობს, რომ ვერცერთმა ვერ მიაღწია პიროვნულ სიმწიფეს — რასაც ფსიქოლოგიაში სულიერ სიჯანსაღეს ეძახიან. ამგვარი მდგომარეობა კი სულიერ და ემოციურ აშლილობას იწვევს. როგორც ყველა უმწიფარ ფსიქოტიპს, მას ერთგულების სიმყარე არ გააჩნია, კოტე კუბლაშვილი ვარდების რევოლუციამდე განუდგა შევარდნაძეს და საკაშვილთან გადაინაცვლა, მაგრამ სინდისს სულ არ შეუწუხებია, გერმანიაში სამკურნალოდ საჭირო 14 000 დოლარი შევარდნაძისაგან რომ მიელო. უფრო მეტიც, ის ამ ნაბიჯს თავის მოხერხებულობად და შნოდ მიიჩნევს. ამგვარი გაგებითა და მიდგომით ადვილად მოახერხა, 2004 წელს პრეზიდენტთან არსებულ საჯარო სამართლის იურიდიული პირის განვითარებისა და რეფორმების ფონდის მეურვეთა საბჭოს ჯერ წევრი გამხდარიყო, შემდეგ — დირექტორი. კოტე კუბლაშვილის ფსიქოშტრიხი — სიმწიფის კრიტერიუმების არქონა, მისთვის კარიერული წინსვლის გასაღები აღმოჩნდა. ხშირად ამბობენ, როგორ გაუძლო კუბლაშვილმა გილიგაშვილსო. ეს გაუჭირდებოდა პიროვნული სიმწიფის მქონე ადამიანს, თორემ კოტეს დანაგვიანებული სულიერების ორიენტირი — დაჯაბნაა, რასაც ემატება წინსვლისაკენ ავადმყოფური სწრაფვა. ფსიქიკით „ბნელეთის მოციქული“ წამოსულ სიბნელეს მშობლიურ სიოსავით ხვდება.

შეგუება, ადაპტირება მონური სულისა და გონებრივი უნარების პრიმიტიულობის მახასიათებელია. მისი სულმოკლეობისა და გონებრივი უნარების სისუსტის მაჩვენებელია, რომ შეუძლია, წყენა ან გაღიზიანება მტრულ შურისძიებაში გადაიტანოს და კისერზე უდიდესი ცოდვა დაიდოს.

— რამდენად მიზანშეწონილია ამგვარი ფსიქოტიპებისთვის საპასუხისმგებლო პოსტების ჩაბარება?

— „ნულოვანი ტოლერანტობის“ მოთხოვნის პირობებში, შესაძლოა, გვირგვლიანის მკვლელობის ირგვლივ შექმნილი საზოგადოებრივი აზრი და გამოსვლები მმართველ ელიტას დიდხანს აღიზიანებდა. ამიტომ კოტე კუბლაშვილმა გვირგვლიანის მკვლელებს ერთ საკანში ყოფნა დაუკანონა, რითაც უდიდესი და მიუტევებელი უკანონობა ჩაიდინა. მის ამ ქმედებას ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და თანამდებობრივი ტირანია ჰქვია. ამგვარი ფსიქოკონსტრუქციის კაცისთვის საპასუხისმგებლო პოსტის მიცემა საშიშია. მას არ გააჩნია მოწიფული პიროვნების ღირსება, რადგან თაღლითი და ფარული ინტრიგების ოსტატია და მისგან დაგებულ მახეში ბევრი ჭკვიანი, ცამდე მართალი და ღირსეული კაცი ხვდება.

არანაკლებ სუბიექტური და ტენდენციურია პალიკოც. მისი ფსიქიკის მთავარი ატრიბუტი სიცრუეა. პალიკო კუბლაშვილი სიყალბეს ემსახურებოდა იუსტიციის სამინისტროს აპარატშიც, საგადასახადო ინსპექციაშიც, თავისუფლების ინსტიტუტშიც, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაშიც, უშიშროების სამინისტროშიც, უშიშროების საბჭოშიც და დღესაც იმავეს აგრძელებს იურიდიულ კომიტეტში; შეუძლია ველურის დაუოკებელი ჟინით იბრძოლოს სასტიკი და მიუღებელი მეთოდებით. ძმების ფსიქიკა დამნაშავის, კრიმინალის ზნეობრივ ნაკლს უფრო ატარებს, ვიდრე სამართალდამცველის. მათ შეუძლიათ, მიზნის მისაღწევად აკრძალული ხერხები სინდისის ხმის ჩახშობის წყალობით წარმატებით გამოიყენონ, ამიტომ მათ მოღვაწეობაში ხშირია სუბიექტურ გრძნობათა და ობიექტურ გარემოებათა უმწვავესი შეჯახებანი; ახასიათებთ საკუთარი ღირსებებისა და დამსახურებების ჰიპერბოლური გაზვიადება. ხშირად ახმიანებენ ბრიყვულ სამართლებრივ პოლიტიკას ბეცი შეხედულებებით. ორივე სახელისუფლებო კლანის აუცილებელი ჭანჭიკია. ეს მათ სჭირდებათ გემრიელი ლუკმისთვის. კოტე კუბლაშვილის ინდეფერენტული ფერმკრთალი სახის მიღმა კამერტონივით დაჭიმული ნერვები იმალება, რაც მას ენერგიას და ნებელობას ართმევს, ფსიქოლოგიურად აძაბუნებს და მოსალოდნელია სულიერ კრახამდეც კი მიიყვანოს.

პოლიტიკის ჩანჩქერში მოყოლილი ძმები უკან ვეღარ დაბრუნდებიან, რადგან მათ უკანმდგომნი გადაუვლიან, წინ კი გამოფიტული გონებრივი და სულიერი უნარების გამო ვერ მიდიან. ისინი კლანის ინტერესებს ეწირებიან და, ისღა დარჩენიათ, „წყალში ფეხის დასველებისთვის“, რაც შეიძლება დიდი სარგებელი ნახონ.

— ეს ხომ ფსიქოლოგიური ჩიხია?

— ჩიხში მოქცევა გამოიწვია სწორხაზოვანმა, შეუქცევადი გზით სიარულმა; იმან, რომ იდეურობა, რომანტიზმი, სიმართლისათვის ბრძოლა მათში ცინიზმს იწვევს.

თავისუფლების სურვილი მათში „დაბმული“ ძალლის სიავესა და სისასტიკეს აღვიძებს.

ის, რომ ობივატელები ლაჩარნი და უგუნურნი არიან, მონური ფსიქიკით ძლიერს ემორჩილებიან და მთელი არსებით სძულთ სუსტი, სავსებით უარყოფენ მდაბალთა ანატომიურ ნათესაობას, გონებით უმეცარნი, თვალით ბრმა და უგულონი არიან. კაცთმოყვარეობის გრძნობა პათოლოგიურ ზიზღში აქვთ გადასული. ასეთად ვერ ჩამოყალიბდები, თუ ბუნებამ გულქვაობითა და სულიერი სიღატაკით არ დაგაჯილდოვა. მათ არ გააჩნიათ ხასიათის დემოკრატიული სტრუქტურა. ერთადერთი, რაც მათ პიროვნული სიმწიფის ატრიბუტებიდან აქვთ, არის სერიოზულობა.

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული სახელმძღვანელო, რომელშიც წერია, თუ რა სასჯელი უნდა დანიშნოს მოსამართლემ ამა თუ იმ მუხლით, ნათელი ილუსტრაციაა კოტე კუბლაშვილის გონებრივი და სულიერი უნარების დეგრადირებისა. ამ პრობლემების გადაჭრას სჭირდებოდა გამორჩეული ინტელექტი, პიროვნული ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა. აშკარაა, კოტეს თავისი ფსიქოსტრუქტურით ეს არ შეუძლია. ეთიკური დარწმუნებულობა სიმწიფის ერთ-ერთი მძლავრი კრიტერიუმია, რასაც ხალხი ავ-კარგიანობას — ავისა და კარგის გარჩევის უნარს ეძახის, იმასაც გულისხმობს, რომ ერთმანეთში არ უნდა გერეოდეს მიზნები და საშუალებები. მიღებულ სახელმძღვანელოში ხელდადებითაა მითითებული, რომ 10 ლარის ქურდობისთვის მოქალაქეს სამი წლით თავისუფლების აღკვეთა და 2500 ლარით დაჯარიმება ელოდება. ამ მუხლით საქმე გვაქვს ეთიკური დარწმუნებლობის პათოლოგიურ შემთხვევასთან. ადრე ამ წვრილმანი დანაშაულისთვის წელიწადი და 6 თვე იყო განსაზღვრული. ასევე, ყურადსაღებია, რომ არასრულწლოვანი ბავშვი, რომელიც თავს ჯართის ჩაბარებით ირჩენდა დაჯარიმდა 2500 ლარით. აღარაფერს ვამბობ მიხეილ გაბუნიას გახმაურებულ პროცესსა და სხვა მრავალზე. მთავარი ისაა, რომ კოტე კუბლაშვილის ხელდასმულ სახელმძღვანელოში დარღვეულია ფაქტების რეალური აღქმა და ობიექტური შეფასებები. სამწუხაროა, რომ კუბლაშვილმა ძალაუფლების დემონსტრირების მანიაკალური სურვილით, სამართალში ახალ-ახალი ნოვაციები შემოიტანოს, ასეთმა სამართალმა შეიძლება წესრიგის დამყარების ნაცვლად ბოროტების თესლი გააღვივოს.

კუბლაშვილების შეზღუდულ უნარებსა და პათოლოგიურ სულიერებას ემატება ესთეტიკური ხედვის შაბლონურობა.

10 ლარის მოპარვისათვის სასჯელის დაწესებისას მას უნდა გახსენებოდა, რომ უზენაესი სასამართლოს ბიუჯეტი ყოველწლიურად 5 მილიონი ლარით იზრდება. დიდი ფულის „მოტეხვის“ მიზნით ისტორიულ შენობას მუხის ძვირადღირებული კარ-ფანჯრები ჩამოხსნეს და პლასტმასით შეცვალეს, ხოლო იატაკზე — მარმარილოს ფილები „მეტლახით“. უემოციო თავმჯდომარემ ვესტიბიულში ქალღმერთის ქანდაკების ადგილას პრეზიდენტის საამებლად შადრევნი გააკეთებინა. ეს კი მის პლებეურ, მდარე გემოვნებაზე მიგვითითებს.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ობამას რეიტინგი ეცემა

ტელეარხ „ABC News“-ისა და გაზეთ „The Washington Post“-ის ერთობლივი გამოკითხვის თანახმად, აშშ პრეზიდენტის რეიტინგი პირველად ჩამოვიდა 60%-ზე ქვემოთ. მოსახლეობა ობამას ჯანდაცვის სისტემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის, ეკონომიკური პოლიტიკისა და საბიუჯეტო დეფიციტის ზრდის გამო აკრიტიკებს.

საერთო ჯამში, ობამას მოღვაწეობა მოსახლეობის მხოლოდ 59%-მა მოიწონა, 37% კი ცალსახად უკმაყოფილოა. მხოლოდ გასულ თვეს პრეზიდენტმა მომხრეების 6% დაკარგა.

ოდნავ უფრო ადრე ტელეკომპანია „CNN“ ობამას რეიტინგს 57%-ით აფასებდა. კვლევითი ორგანიზაცია „Rasmussen Reports“-ის მონაცემებით კი, პრეზიდენტს მოსახლეობის მხოლოდ 54% უჭერს მხარს. ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიღებულ იქნა უამრავი ურთიერთსაწინააღმდეგო ზომა. ბიუჯეტის დეფიციტმა ახლახან ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. პრეზიდენტის ეკონომიკურ პოლიტიკას მხოლოდ 52% იწონებს, ამერიკელთა სამი მეოთხედი კი ძალზე შეშფოთებულია ამერიკის ეკონომიკის უახლოესი მომავლის გამო, თუმცა ამერიკელები ეკონომიკური პრობლემების შექმნაში, ძირითადად, წინა პრეზიდენტის ხელისუფლებას ადანაშაულებენ. თავად ობამამ ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ეროვნული ასოციაციის 100 წლის იუბილეზე შავკანიან ამერიკელებს მოუწოდა, მეტი პასუხისმგებლობა გამოიჩინონ და ნეგატიური რასობრივი სტერეოტიპები დაამსხვრიონ.

პენტაგონი კაცჩჭამია რობოტების შექმნას დააფინანსებს

ამერიკული კომპანია „Robotic Technology“ პენტაგონის ინტერესების ფარგლებში თვითმართვადი რობოტის შექმნაზე მუშაობს.

რობოტი ენერგიას ახლომდებარე ორგანული მატერიისგან (ბალახი, ხე, ძველი ავეჯი ან, თუნდაც, გვამისგან) მიიღებს. როგორც ამბობენ, ეს რობოტი მე-19 საუკუნის მექანიკის, 21-ე საუკუნის ტექნოლოგიებისა და მე-20 საუკუნის საშინელებათა ფილმების შერწყმა იქნება.

EATR-ად წოდებული რობოტი აღმოაჩენს, შთანთქავს და ენერგიის მარაგად გარდაქმნის მთელ გარშემომყოფ ბიომასას, საჭიროების შემთხვევაში კი საწვავის ალტერნატიულ ვარიანტებს — ბენზინს, მძიმე საწვავს, დიზელის საწვავს, პროპანს, ნახშირს, კულინარიულ ზეთს ან მზის ენერგიას გამოიყენებს. როგორც ამბობენ, ახალი რობოტი ძალიან სასარგებლო იქნება ჯარისტვის, საწვავით ავსება თვეობით არ დასჭირდება და მის ბაზაზე მომავალში შესაძლოა, სატრანსპორტო, სანიტარიული ან, სულაც, საბრძოლო დანიშნულების მანქანებიც შეიქმნას.

არნო ხიდირბეგიშვილი:

გაფუჭრჩქნული საქართველო, ანუ მიშა და კურდღლები...

ძვირფასო მკითხველებო! დღეს მინდა, ცოტა ხნით მოგწყვიტოთ ჩვენს, დამეთანხმებით, არც თუ იოლი ყოველდღიური ცხოვრების ერთფეროვნებასა და პრობლემებს და ცოტა „ნუგბარი“ შემოგთავაზოთ... რიცხვების სახით! წაიკითხეთ და დარწმუნდებით, რომ არ არსებობს უფრო მიმზიდველი, სკანდალური და, ამავე დროს, კრიმინალური საკითხავი, ვიდრე ჩვენი სტატისტიკაა...

მაგალითად, დღეს, ჩემი გამოთვლით, საქართველოში რეალურად ცხოვრობს სულ **2 500 ათასი** კაცი, რასაც ირიბად ადასტურებს **საარჩევნო სისტემების საერთაშორისო საექსპერტო ცენტრის** (**ICES**) 51 საერთაშორისო დამკვირვებლისგან (ისრაელი, დიდი ბრიტანეთი, აშშ) შემდგარი მისიის ოფიციალური **ანგარიშგების №4 პუნქტი** საქართველოში 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ:

პუნქტი №4 —

ამომრჩეველთა რიცხვის დაზუსტება.

სხვადასხვა დამოუკიდებელი წყაროდან მიღებული სტატისტიკის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე ამომრჩეველთა საერთო რიცხვი დაახლოებით **2,3 მლნ** კაცია. რაც **3,7 მლნ**-იანი მოსახლეობისთვის საკმაოდ დიდი რიცხვია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ ბოლო **2** წლის განმავლობაში ემიგრაციამ დაახლოებით **1,2 მლნ** კაცი შეადგინა.

როგორც ხედავთ, ავტორიტეტული და დამოუკიდებელი მისია მიიჩნევს, რომ საქართველოს მოსახლეობა ემიგრაციის შედეგად **1 200 000** კაცით შემცირდა, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ მოსახლეობის რიცხვი, სავარაუდოდ, ემიგრაციამდეც ვერ აჭარბებდა **3 700 000**-ს, მარტივი არითმეტიკით გამოდის: **3 700 000 — 1 200 000 = 2 500 000.** ამ **2 500 000**-დან **800 ათასი** ეროვნული უმცირესობაა (ანუ არატიტულიანი ეროვნების მქონე მოქალაქეები), ხოლო ემიგრირებული **1 200 000**-დან დაახლოებით **1 100 000** საცხოვრებლად და სამუშაოდ რუსეთის ფედერაციაში გადასახლდა.

ყველა სხვა მონაცემი საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ (მაგალითად, **3 700 000**) **განგებაა „გაბერილი“ ხელისუფლების მიერ გარკვეული პოლიტიკური მიზნებით:**

— პირველ რიგში, ასე უფრო სოლიდურია;

— არაა საჭირო საერთაშორისო უფლებების დამცველი ორგანიზაციებისთვის იმის ახსნა, რატომ დატოვა **1 200 000** მოქალაქემ „აყვავებული“, „ეკონომიკის განვითარების ლიდერი ქვეყანა“ და „დემოკრატიის შუქურა“;

— **30 000** პატიმარი და გამოძიების ორგანოების მიერ აღძრული სისხლის სამართლის **150 000** საქმე ნაკლებად აღმაშფოთებლად ჟღერს **3 700 000** მოსახლეობასთან პროპორციაში, ვიდრე **2 500 000**-თან... ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყოველი **მეცამეტე** მკვიდრი (არასრულწლოვანებისა და ხანდაზმულების ჩათვლით!), ანუ მისი მოსახლეობის **7,2** პროცენტი **კანონდამრღვევია;**

— ყველაზე მთავარი: **1 200 000 „მკვდარი სული“** ამომრჩევლის რესურსით (ისევ არითმეტიკა: **„გაბერილი“ 3 700 000 — რეალური 2 500 000 + 1 200 000 „ლევი“ რესურსი!)** შესაძლებელია **ნებისმიერი არჩევნების მოგება.**

ახლა კი — **საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის** მონაცემები:

— **800 000** პენსიონერი (საშუალო პენსია **60 ლარი — 36 დოლარი** თვეში);

— **900 000** მოსახლე სიღარიბის ზღვარს მიღმა (თვეში **47 ლარით — 28 დოლარით** ან ნაკლებით, მოსულდგმულენი);

— **400 000** სამსახურიდან გათავისუფლებული კომპენსაციის, დახმარებისა და სოციალური მხარდაჭერის გარეშე.

და კიდევ: მიუხედავად იმისა, რომ აშშ-გან მიღებული გრანტების თანხით ერთ სულ მოსახლეზე **საქართველო მსოფლიოს ქვეყნების ხუთეულში** შედის, **„საქართველოს სახალხო ბანკმა“** (მთავარმა სახელმწიფო კრედიტორმა) მინიმალური საარსებო მინიმუმი ევროპულზე **5-ჯერ ნაკლები** (!) დაადგინა (**71 ლარი — 43 დოლარი** თვეში);

— საქართველოს საგარეო ვალი დღეს **8 მლრდ დოლარს** შეადგენს (ანუ, საქართველოს თითოეულ მკვიდრს — ხანდაზმულთა, ხეიბართა და ჩვილთა ჩათვლით — უკვე აქვს **3 200** დოლარი ვალი!), რომლის გასტუმრებაც, როგორც სამართლიანად შენიშნა პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ალექსანდრე ჭაჭიამ**, ***„მოუწევთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს. თუ არადა, სანაცვლოდ, მოგვიწევს ჩვენი ტერიტორიების დათმობა სომხეთის ან თურქეთისთვის, ვისზედაც აშშ მიგვითითებს“...***

სამაგიეროდ, **ჰუმანიტარულ ორგანიზაციათა კოორდინაციის საკითხებში გაეროს წარმომადგენლობის ოფისის** მონაცემებით, საქართველოში ფუნქციონირებს **200 დასავლური „NJO“ (თითო „NJO“ ყოველ 12 500 მცხოვრებზე)** და მათ მიერ შექმნილი ქართული ფილიალები: **სოროსის ფონდი, მაკარტურების ფონდი, ევრაზიის ფონდი, „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი,“ „ნაციონალური დემოკრატიული ინსტიტუტი,“ NJO „საქართველო ნატოში“,** რომლის თავმჯდომარე **შალვა ფიჩხაძე**, სხვა დანარჩენთა მსგავსად, გამუდმებით აშინებს ქართველ ხალხს რუსეთით და მიაჩნია, რომ *„საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი აბსოლუტურად მიუღებელია იმიტომ, რომ ქვეყნის (იმ სახით, რა სახითაც შეიძლება გადარჩეს დემოკრატიული საქართველო) ფიზიკურად ხსნის ერთადერთი საშუალება სწორედ ნატოში გაწევრებაა!“*

ამასთან, **საქართველოს ბევრი სტრატეგიული სამრეწველო ობიექტი სწორედ რუსულ სახელმწიფო ან კერძო კაპიტალს ეკუთვნის: «Лукойл», «ИТЕРА» - Грузия», „თბილწყალკანალი“, „ИНТЕР РАО ЕЭС“**-ის კუთვნილი **„თელასი,“ „ხრამი-1“, „ხრამი-2“, „რიონჰესი,“ „ჟინვალჰესი,“ „ლაჯანურჰესი,“** სპილენძისა და პოლიმეტალების საბადოების მომპოვებელი და გამამდიდრებელი **მარნეულის კომბინატი,** ოქროს მომპოვებელი სამთოგამამდიდრებელი კომბინატი **სს „მადნეული“,** ფიჭური კავშირის ოპერატორი **„Билайн“,** წამყვანი რუსული ბანკი **„VTB“,** რომელმაც **„გაერთიანებული ქართული ბანკი“** ჩაყლაპა თავისი აქტივებითა და ოფისებით (არსებითად, ის უწინაც ამ ბანკის შირმა იყო საქართველოში), ხოლო **ევროპულმა ბანკმა European Bank for Reconstruction and Development (EBRD)** ახლახან შეისყიდა გაკოტრების პირას მყოფი საქართველოს ყველა დიდი ბანკის საკონტროლო პაკეტები და იქ, კომპეტენტური წყაროების მონაცემებით, რუსული კაპიტალი ჩადო **500 მილიონი ევროს** ოდენობით **(!)...** და ეს ჯერ კიდევ როდია სრული ჩამონათვალი...

იქნებ, ვინმემ გვიკარნახოს, სადაა აქ ლოგიკა? **განა ლოგიკურად იქცევა ჩვენი ხელისუფლება, როცა №1 მტერს უწოდებს ქვეყანას, რომელიც საქართველოში ენერგეტიკასა და ზემოჩამონათვალს ფლობს?! რუსეთს, სადაც მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს?! მათ რომ იქ იმავე საზარელი ლოგიკით — მტერივით, მტრული ქვეყნის ეთნიკური წარმომადგენლებივით, მძევლებივით მოეპყრან?!** აგებს ამაზე პასუხს მთელი ჩვენი **პრო**-დასავლური პოლიტისტებლიშმენტი — ხელისუფლება, ოპოზიცია, პროექტოპოლიტოლოგები, დაქირავებული ჟურნალისტები?!

რა ლოგიკით აგრძელებენ ჩვენი ხელისუფალნი **„რუსი დათვის“** გაღიზიანებას?! რატომ მონათლეს **„რუსთავი 2“**-ის პოლიტიკურ თოქშოუზე (**„პოზიცია“**) რუსეთის პრეზიდენტი **დიმიტრი მედვედევი *„დაკომპლექსებულ კაცუნად, რომელმაც ობამასთან შეხვედრისას, ხრუშჩოვის მსგავსად, არ გაიხადა ფეხსაცმელი მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა კაცს შერცხვა თავისი პატარა ფეხის ზომის“,*** ხოლო მოგვიანებით ***„ადამიანად, რომელმაც ამორალური და სამარცხვინო საქციელი ჩაიდინა — მალულად შეიპარა მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე დაუბანელ მკვლელსა და „შესტიორკასტან“ მოსალაპარაკებლად“?!***

და ეს რამდენიმე დღის შემდეგ, რაც აშშ პრეზიდენტმა **ბარაკ ობამამ** მოსკოვში 2009 წლის 6 ივლისის რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების შემაჯამებელ ერთობლივ პრესკონფერენციაზე შემდეგნაირად გამოხატა თავისი დამოკიდებულება რუსეთის პრეზიდენტის მიმართ: ***„ვფიქრობ, პრეზიდენტი მედვედევი ჩემი სრულუფლებიანი კოლეგაა, რუსეთის პრეზიდენტია... მიმაჩნია, რომ ძალიან გულწრფელი, უშუალო ადამიანია, ღრმად დაინტერესებულია რუსი ხალხის ინტერესებით და ესმის ამერიკელი ხალხის ინტერესებიც. მიმაჩნია, რომ გამოვნახეთ ერთმანეთთან ეფექტიანად მუშაობის საშუალება. დიახ, მე ვენდობი პრეზიდენტ მედვედევს. მას შეუძლია მოსმენა, მოლაპარაკებების წარმართვა და, რაც მთავარია, იმ დაპირებების შესრულება, რომელთაც იძლევა. და მინდა, მადლობა გადავუხადო არა მხოლოდ იმისათვის, თუ როგორ ურთიერთობს ჩემთან, არამედ იმისთვისაც, თუ როგორ ხვდებიან ჩვენი გუნდები“...***

ამის შემდეგ ჩვენი ლანძღვით განა არ შეურაცხყავით აშშ პრეზიდენტიც?! ხომ ცნობილი გამოთქმაა: **„მითხარი, ვინ არის შენი (დაუბანელი) მეგობარი და გეტყვი, ვინ ხარ შენ“... და განა შარშან ანალოგიურმა ქარაგმებმა პუტინის სიმაღლის შესახებ** (რომელიც მომავალ კვირას, ალბათ, აფხაზეთს ესტუმრება) **არ გამოიღო სავალალო შედეგები?!**

განა ის, ვინც შტატებთან მეგობრობისკენ ისწრაფვის, არ უნდა ისწრაფვოდეს რუსეთთან მეგობრობისკენაც? მედვედევ-ობამას საპრეზიდენტო სამიტის შემდეგ პარტნიორობა და თანამშრომლობა ხომ ორი ბირთვული ზესახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად იქცა, რომლის პრიზმაშიც აიგება ურთიერთობა მომავალში მესამე ქვეყნებთან და კორექტივები შევა უკვე ტრადიციულად ჩამოყალიბებულ ურთიერთობებშიც!

მაშ, როგორ გავიგოთ საქართველოს პრეზიდენტის **მიხეილ სააკაშვილის** სიტყვები: **„ჩვენ აუცილებლად გავაძევებთ დამპყრობელთა არმიას ჩვენი ტერიტორიებიდან!..“** რომლებიც მან აშშ პრეზიდენტის ზემოხსენებული გამოსვლის კომენტირებისას წარმოთქვა? **ობამამ** ხომ განაცხადა: ***„არც ერთი ჩვენგანი არ არის დაინტერესებული სამხედრო კონფლიქტით, ამიტომ აუცილებელია, ყველა უთანხმოება მშვიდობიანი გზით დავარეგულიროთ“!*** იქნებ, ხელისუფლებამ, ბოლოს და ბოლოს, აუხსნას ქართველ საზოგადოებას, როგორ ვაპირებთ **„მშვიდობიანი გზით“ „დამპყრობელთა არმიის გაძევებას“** და ტერიტორიული მთლიანობის-სუვერენიტეტის-საქართველოს საზღვრების აღდგენას?!

კიდევ ერთი ნიუანსი: **2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის მიზეზების გამოძიების კომისიას,** შვეიცარიელი დიპლომატის **ჰაიდი ტალიავინის** ხელმძღვანელობით, თავისი დასკვნა **2009 წლის 31 ივლისს** უნდა წარედგინა, მაგრამ მიმდინარე წლის **4 ივლისს** მოხსენების პუბლიკაცია **2 თვით** გადადო **ახალი მასალების აღმოჩენის** მომიზეზებით, რომლებიც მას, სავარაუდოდ, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ალექსანდრე ბასტრიკინმა** გადასცა: ***„პროკურატურის საგამოძიებო კომიტეტი ფლობს საქართველოს არმიის უმაღლესი მეთურობის დანაშაულის მტკიცებულებებს შარშან აგვისტოში სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ აგრესიის წამოწყებაში. დოკუმენტურად არის დადგენილი ქართული არმიის სამხედრო მოსამსახურეთა, სამხედრო მეთაურთა ბრალეულობა ბრიგადის (დივიზიის) გენერალთა დონეზე. ჩვენ ჯერჯერობით არ გვაქვს საქართველოს არმიის უმაღლესი მთავარსარდლის (პრეზიდენტის) პირდაპირი ბრძანებულებები“*** , — განაცხადა **ბასტრიკინმა.**

განა ამგვარ სიტუაციაში ლოგიკური არ იქნებოდა იმ აგრესიული რიტორიკისგან თავის შეკავება, რომელსაც **პოლიტიკოსები, საქართველოს გარდა, ასე უბოდიშოდ არსად იყენებენ?!** თუკი, რასაკვირველია, **ასეთი ესკალაცია არაა იქით მიმართული, რომ „ჩაახშოს“ სავარაუდო და ჩვენი ხელისუფლებისთვის არასასურველი, კომისიის დასკვნა...** ამას კი მორიგი კონფლიქტის პროვოცირება შეუძლია შეუქცევადი შედეგებით, რის შემდეგაც ტალიავინის დასკვნისთვის არავის ეცხელება!

მკითხველს მეტად აღარ დავაფრთხობ **„ცუდი“** რიცხვებით და დასასრულ მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე **„კარგ“** მონაცემს:

— თუ საქართველოს პრემიერ-მინიტრ **ნიკა გილაურს** დავუჯერებთ, **2008 წლის** ბიუჯეტი დეფიციტური კი იყო, მაგრამ შარშანდელთან შედარებით გაიზარდა: შემოსავლის ნაწილმა **4 მლრდ 740 მლნ 900 ათასი** ლარი შეადგინა, ხოლო ხარჯებმა — **5 მლრდ 115 მლნ 147 ათასი** ლარი.

— **2009 წლის 11 ივლისს** საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** პრეზიდენტის სასახლეში მისი მშენებლობის დასრულების აღსანიშნავად მიწვეულ მოსწავლეებს გაანდო, რომ შთამბეჭდავი მინისგუმბათიანი შენობა, რომელიც ნამდვილად ჰგავს რაიხსტაგს **(რომელსაც ის თავად სააკაშვილმა შეადარა!),** ხაზინას მხოლოდ წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის **0,18 პროცენტი** დაუჯდა, რაც **8 533 620** ლარს (**5 171 891** დოლარს, კურსით: **1,65 GEL=1 $ USD**) შეადგენს, და ისიც, თუ საფუძვლად ბოლო წლების განმავლობაში ზემომოყვანილ შარშანდელ ბიუჯეტს ავიღებთ, თუმცა ოპოზიცია, რომელიც სამი თვის წინათ საპრეზიდენტო სასახლის ეზოს კურდღლებსა და სტაფილოებს უშენდა, **100-ჯერ** დიდ რიცხვს — **500 მლნ დოლარს** ასახელებდა!

საბოლოოდ ვინ აღმოჩნდა „კურდღელი“ და ვის ერგო „სტაფილო,“ ძალიან მალე გაირკვა...

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ნინი მშვილდიშვილი:

ამერიკაში გადასვენილ დედას არ ვიცნობ

ოჯახი სახელმწიფოს ის უჯრედია, რომელიც ქვეყნის სიმყარესა და ძლიერებას განსაზღვრავს. მაშინ, როდესაც საქართველოში უწესრიგობამ ფრთები შეისხა, უამრავი მოქალაქე ოჯახის გამოსაკვებად საზღვრებს მიაწყდა. გაქრა ადამიანთა ფეხქვეშ მშობლიური მიწის სიმყარე, დაირღვა ოჯახური მთლიანობა, გაითიშა „თოხის ტარზე დატეული“ ცოლქმრული ერთგულება, დაიკარგა დედაშვილობის მადლი...
სტატისტიკური მონაცემებით, დღეს საზღვარგარეთ 2 მილიონამდე ქართველია გასული.
რაოდენ დიდი წუხილი, სინანული, საყვედური და გულისტკივილია 19 წლის თბილისელი გოგონას — ნინი მშვილდიშვილის ამოძახილში: „...დედას არ ვიცნობ!“ არადა, საელჩოებთან უცხოეთში წამსვლელთა რიგები დღესაც უწყვეტია.

— ნინი, გასაგებია თქვენი შინაგანი ამბოხი დედათქვენის ქალბატონ მარინას 15 წლის განმავლობაში უცხოეთში ყოფნის გამო, მაგრამ მითხარით, რატომ და რისთვის წავიდა მარინა ამერიკაში, მერე ვიმსჯელოთ ერთად ამ საკითხზე?

— დიდხანს ვყოყმანობდი, მეთქვა თუ არა ჩემი გულისტკივილი. მოზარდებში ყოველთვის ძლიერია პროტესტი იმისადმი, რაც ტკივილს გვაყენებს და ჩვენს არსებობას აუფერულებს. მამა 2 წლის ასაკში დავკარგე, სოფელ აღაიანთან დაიღუპა ავტოავარიის შედეგად. დედა 25 წლის ასაკში დაქვრივდა. ქვეყანა აირია და უკაცო ოჯახს უკიდურესად გაუჭირდა. დედას არასოდეს უმუშავია. მოგვიანებით ქსეროასლის გადამღების ადგილი იშოვა. დედამ ერთადერთი ვაჟის სიკვდილით დაავადმყოფებულ პენსიონერ ბებიასთან დამტოვა. ბიძის ოჯახსაც ძალიან უჭირდა. ბებოს გადმოცემით, ფაფას ხან ერთი მეზობელი მიგზავნიდა, ხან — მეორე. საქმე სამოწყალოდ გვქონდაო.

მერე დედას ვალუტის გადასაცვლელ ჯიხურში შესთავაზეს ადგილი, მაგრამ ორ კვირაში ისევ უმუშევარი დარჩა, რადგან ჯიხურის მფლობელები თაღლითები აღმოჩნდნენ და აქეთ ედავებოდნენ.

დედამ მშვიდი ძილი დაკარგა, მძინარეც შფოთავდა, კვნესოდა და ტიროდა.

ერთ დღეს ნათლიაჩემის შეგულიანებით ბებოს უთხრა, რომ ბინის დაგირავებას აპირებდა, ჩვენ ქირით გადაგვიყვანდა და თვითონ ამერიკაში წავიდოდა სამუშაოს საძებნელად.

ასეც მოიქცა. ხანდაზმულ, ავადმყოფ ბებიასთან დამტოვა ნაქირავებ სოროში, თვითონ კი ამერიკაში გაემგზავრა ნათლიასთან ერთად.

ბებო სითბოსა და ყურადღებას არ მაკლებდა, შიშნარევი სიფრთხილით მზრდიდა, ბავშვებთან სათამაშოდ ზედამხედველობის გარეშე არ მიშვებდა, ამიტომ ჩემი ბავშვობა უღიმღამოდ და უფერხორცოდ წარიმართა.

სკოლაში წასასვლელად მეზობელმა გამომპრანჭა. დედის გამოგზავნილი კაბა და ფეხსაცმელი ჩამაცვეს, ამერიკული ჩანთა მხრებზე გადამკიდეს, სურათი გადამიღეს და ამერიკაში გაუგზავნეს დედას.

მასწავლებლებმა მშობლები გაიცნეს.

ახალგაზრდა, ლამაზი დედიკოების ფონზე ჩემი სახედაღარული, შავებში ჩაცმული ბებია ულაზათოდ გამოიყურებოდა.

როცა მასწავლებელმა ბებოს ჰკითხა, ნინის დედა სად არისო, მოხუცმა ამოხვნეშითა და მობოდიშებით უპასუხა: „რა ქნას იმ უბედურმა, თავისი ანგელოზივით შვილი მიტოვებული ჰყავს და ამერიკაში სხვის ავადმყოფ ბავშვს უვლისო“.

იმ ბავშვზე ხშირად ვფიქრობდი, რომელსაც დედა უვლიდა და ჩემ მაგივრად ეფერებოდა. ახლა ვაცნობიერებ. მისი აშკარად მშურდა.

დედასთან ხელჩაკიდებულ თანატოლებს როცა ვხედავდი, ხასიათი მეცვლებოდა და ტირილი მინდოდა.

ბებია სწავლაში ვერ მეხმარებოდა. მეზობელი სტუდენტი თინიკო მამეცადინებდა, სამაგიეროდ, დედა მას ამერიკიდან საჩუქრად სამოსს უგზავნიდა.

დედა ძალიან მენატრებოდა. ამ დიდ მონატრებას ვერავის ვუმხელდი. ტელეფონით დედა ტირილით მელაპარაკებოდა და შორიდან მეფერებოდა: „შენ მოგიკვდეს დედა, შენ შემოგევლოს დედა, ჩემო ერთავ!..“ მე ვდუმდი და გულჩათხრობილი ვპასუხობდი, მისი სიშორით დადარდიანებული.

ბებო დედაჩემის გამოგზავნილ ფულს მომჭირნეობით ხარჯავდა. ერთხელ მეგობარს შესჩივლა: „ჩემმა რძალმა სამსახური დაკარგა და დროებით უმუშევარია, ნეტავ, იმდენი მოეგროვებინა, ჩემს სახლში დავბრუნებულიყავი. თავს ძლივს ვიმაგრებ, ბავშვს უპატრონოდ ვერ დავტოვებ, ავად ვარ და არ მინდა, ამ სოროში მოვკვდეო...“

— ალბათ, ბებია ქვეყანას გერჩივნა?

— დედამ მუშაობა დაიწყო, ფულს წინანდელზე მეტს გვიგზავნიდა, მაგრამ ბებოს მდგომარეობა მაფიქრებდა. სკოლიდან სირბილით ვბრუნდებოდი. საოჯახო საქმეებში ვეხმარებოდი, გულმოდგინედ ვსწავლობდი და სულ თვალებში შევციცინებდი, არაფერი სწყენოდა. მეშინოდა, ძალიან მეშინოდა, მის სუნთქვასაც კი ვდარაჯობდი.

დედის სიშორემ უზრუნველი ბავშვობა წამართვა. ადრეულ ასაკში შემაჯახა ოჯახურ ტვირთსა და ცხოვრებისეულ სიძნელეებს. ბებია მეზობელს მაყოლებდა ბაზარში, შინ მძიმე ტვირთით ვბრუნდებოდით. თეთრეულს სარცხი მანქანით ვრეცხავდით, მაგრამ მისი დაფენა მიჭირდა. 12 წლისამ ზეწრების გაუთოვებისას ხელი დავიწვი და ნაიარევი დამჩა. სადილის კეთებისას ხშირად ან ქვაბს ვწვავდი, ან სადილს. დაუძლურებული ბებია მხოლოდ დარიგებებით მეხმარებოდა.

ყოველი სასწავლო წლის დამთავრებისას კლასი ექსკურსიას აწყობდა. ბებოს ეშინოდა ჩემი მარტო გაშვების. ძალიან მწყდებოდა გული, მაგრამ მის ნერვიულობას დარჩენას ვამჯობინებდი.

— ნინი, ეს ჩვენი რეალობაა, არაა საჭირო, ბავშვი ზღაპრულ ილუზიებში იზრდებოდეს და ცხოვრებისეულ პრობლემებს მოუმზადებელი შეხვდეს...

— მე დედა მინდოდა, მენატრებოდა, მასზე ვოცნებობდი. მესიზმრებოდა, რომ კარს აღებდა და გულში მიკრავდა. ბავშვს ეს ძალიან სჭირდება. დედის გვერდით გაჭირვებაშიც თავს გაცილებით კარგად ვიგრძნობდი. მის მიერ გამოგზავნილი ფული სულაც არ მახარებდა.

დედამ, როგორც იქნა, ფული მოაგროვა სახლის გამოსასყიდად. ბებია გახალისდა. ბარგი შეკრა.

ვთხოვე, იმავე სკოლაში დავრჩენილიყავი, მაგრამ საბუთები სხვა სკოლაში გადამატანინა, ჩვენს სახლთან ახლოს.

14 წლის ასაკში დავცილდი შეჩვეულ მეზობლებს, მეგობრებს, თანაკლასელებს.

ძველი მეზობლები ბებიას სიხარულით შეხვდნენ, ხელი წაგვაშველეს, მეფერებოდნენ, დედას მამსგავსებდნენ...

ერთხელ ერთმა მეზობელმა თქვა, რომ დედას ელაპარაკა. თურმე, დედას ჯანმრთელობაზე ნიუ-იორკის ჰავა ცუდად მოქმედებდა, თმა და კბილები დასცვივდა, სახსრები სტკიოდა... მაგრამ რახან გარისკა, ფულის შეგროვებას აპირებდა, რომ ჩამოსვლის შემთხვევაში რაიმე საქმე დაეწყო.

იმ ღამეს საცხოვრებელი ადგილის გამოცვლით აფორიაქებული დაავადმყოფებულ დედაზე ვფიქრობდი, რომელიც ჩემს წარმოდგენაში ლამაზი და ახალგაზრდა იყო.

ამის მერე ამეკვიატა მისი არათუ ნახვის სურვილი, დიდი წყურვილი. ვთხოვე, მეზობლის კომპიუტერის მონიტორზე მაინც დამნახვებოდა.

ეკრანზე ნანახი ქალი სულაც არ ჰგავდა ჩემს საყვარელ სურათზე საპატარძლო კაბაში გამოწყობილ იმ ახალგაზრდა დედიკოს, რომლის ფოტოსაც ჩანთით ვატარებდი. საოცარი გაუცხოება ვიგრძენი. შემთხვევით რომ შემხვედროდა, ვერ ვიცნობდი...

ბებო საწოლს მიეჯაჭვა. სასწრაფო სამედიცინო დახმარებასაც ხშირად მივმართავ...

ამჟამად სტუდენტი ვარ, სწავლითაც გამოვირჩევი და ყოფაქცევითაც, როგორც მეუბნებიან, ზედმეტი სერიოზულობითაც.

განსაკუთრებით მიყვარს ცხოველები. ერთი უპატრონო ძაღლი სახლში წავიყვანე, ობოლა დავარქვი და კიბის ქვეშ დავაბინავე, ლუკმასაც ვუნაწილებ. ვიცი რა ძნელია უდედმამობა.

ბავშვი უდედოდ არ უნდა იზრდებოდეს. ამერიკელები უდედმამო ბავშვებს ოჯახებში ზრდიან. ჩვენს ქვეყანაში კი დედა იძულებულია, თავი ირჩინოს და შვილიც შიმშილისგან იხსნას, ბავშვს ისე დაშორდეს, რომ წლობით ვეღარ ნახოს. სახელმწიფო კი მას დახმარებას ვერ სთავაზობს და ამით თაობებს ავბედობისთვის იმეტებს, რადგან ბავშვობაში მიღებული სულიერი ტრავმა მთელი ცხოვრება მიგვყვება.

შესაძლებელია, კანონმა დაარეგულიროს ეს პროცესი, რომ ემიგრაციაში ხანგრძლივი წასვლა მცირენლოვან ბავშვთა დედებს აეკრძალოთ, არსებობისთვის კი მათ სოლიდური დახმარება მიეცეთ. თუ არა და... იძულებით დაობლებული ბავშვები ხვალ შეიძლება მრისხანე შურისმაძიებლებად ვიქცეთ.

ბებიას მდგომარეობის მიუხედავად, ამ გაზაფხულზე ხანგრძლივ მიტინგებს არ გამოვკლებივარ. დიახ, დედისგან წლობით მოშორების სევდამ აქტიურ მომიტინგედ მაქცია.

ესაუბრა
ლალი შაშიაშვილი

ციხე ან 1000 ევრო და ევროპული ჭიტლაყი

ასეთია არჩევანი. ევროპამ კანონმდებლობა გაამკაცრა. ემიგრანტები, რომლებმაც ვერ შეძლეს ევროპაში ბინადრობის უფლების მოპოვება, სერიოზული საფრთხის პირისპირ დადგნენ. ქართველი ემიგრანტების ტკივილიანი ცხოვრების შესახებ „საქართველო და მსოფლიო“ ყოველ ნომერში მოგითხრობთ. უფრო სწორად, სამშობლოდან გაქცეული ჩვენი თანამემამულეები თვითონ საუბრობენ იმ მონურ ყოფაზე, რომლის გაძლებაც უწევთ.

როგორც აფხაზეთიდან დევნილი ოჯახების პატარებისთვის არის წარმოუდგენელი რიწის ტბის სამოთხისებრი სილამაზე, ასევე შორეულია ევროპაში დაბადებული ქართველებისთვის მათი სამშობლო.

თითქმის ყოველდღე მიწევს ურთიერთობა ევროპაში გადახვეწილ ადამიანებთან. ახლახან ერთ-ერთ მათგანს ვკითხე, ჩამოდიოდა თუ არა თავისი დეიდაშვილის ქორწილში. პასუხი მოკლე იყო: „ვერ ჩამოვდივარ... ამ ცხოვრების დედაც...“

ამ ცხოვრებამ აიძულა მთელი ოჯახი, საბერძნეთში გადახვეწილიყო. ელენე 5 წლის იყო, როცა ათენში წაიყვანეს. ახლა 8 წლისაა და, მიუხედავად იმისა, რომ სახლში ყველა ქართულად ელაპარაკება, ბევრი ქართული სიტყვის მნიშვნელობა არ ესმის და ბერძნულად უხსნიან, რას ნიშნავს, მაგალითად, „ოცდათვრამეტი“. ბერძნულად კი გამართულად საუბრობს...

ამ ოჯახს გამოძევების საფრთხე არ ემუქრება — მათ იქ მუშაობის უფლება აქვთ. მაგრამ ასეულათასობით ქართველ არალეგალს მცხუნვარე აგვისტოს გატარება ციხეში მოუწევს. ამ დროისთვის საბერძნეთის ხელისუფლება სპეციალური ბანაკების მშენებლობას დაამთავრებს და ნადირობაც დაიწყება.

ქართველი ემიგრანტები შემფოთებას ვერ მალავენ. რა მოელით? პერსპექტივა ნულის ტოლია. საბერძნეთის ხელისუფლება მათ არჩევანს სთავაზობს — ციხე ან 1000 ევრო და ქვეყნიდან წასვლა. წინა ნომერში სალონიკის ქართული საზოგადოება „საქართველოს“ პრეზიდენტი ელგუჯა მინაძე გულისტკივილით საუბრობდა იმ უყურადღებობაზე, რასაც საქართველოს ხელისუფლება იჩენს თანამემამულეთა მიმართ. ახლა კი, პარლამენტში გამოსვლისას, პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი ქართველი გავიდა საზღვარგარეთ, რომელთაც გაუჩნდათ შვილები და ეს ბავშვები საქართველოში აუცილებლად უნდა დაბრუნდნენო.

ცინიზმი ამაზე შორს ვერ წავა! „ეს ბავშვები აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ!“ მათი მშობლები? და რომ დაბრუნდნენ, აქ რას სთავაზობთ ამ ბავშვების მშობლებს, რით გამოკვებონ, როგორ მისცენ განათლება შვილებს? ისეთი დედებიც ვიცი, შვილის სწავლის საფასურის გადასახდელი სახსარი რომ არ ჰქონდათ, ევროპაში გადაიხვეწნენ და ჭაპან-წყვეტით მოპოვებულ ფულს უგზავნიან.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობა თანაბრად უნდა ჰქონდეს ყველა ქართველსო, — აცხადებს პრეზიდენტი. ამ ქვეყანაში პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის კი არა, არსებობის საშუალება აღარ აქვთ ადამიანებს და იმიტომ გარბიან საქართველოდან. გამოკითხეთ და გაიგებთ, რომ სამშობლოდან წასვლის სურვილით შეპყრობილია მთელი ერი.

არადა, სად გარბიხარ, როცა დამხვდური მხოლოდ ასეთ ალტერნატივას გთავაზობს — ციხე ან 1000 ევრო და ევროპული ჭიტლაყი!

ბონდო მკინარაშვილი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

ხლისტების ათი მცნება,

ანუ ნოდარიე ლადარიეს და ძმათა მისთა ფალოსოფიური ლათაიები

ხლისტები — ასეთი რელიგიური სექტა სინამდვილეში თუ არსებობდა, არ ვიცოდი და ყველაფერი (ეს სიტყვაც და ამ სექტის ცხოვრების წესიც) დიდი ჭაბუას ფანტაზიის ნაყოფი მეგონა. წერილზე მუშაობისას აზრად მომივიდა, რომ აქაც და მომავალში სხვაგანაც ეს ავისმომასწავებელი ჟღერადობის სიტყვა გამოვიყენო ყველა ჯურისა თუ ჯიშის, ყველაფერი ქართულის, ტრადიციულის, მართლმადიდებელი სარწმუნოების მოძულის კრებით სახელად.

ენციკლოპედიაში ამოვიკითხე, რომ ხლისტების სექტა მართლაც არსებობდა XIX საუკუნის რუსეთში, რომელთაც, ჭაბუას რომანის მსგავსად, მართლაც ჰყოლიათ მიწიერი ქრისტე. ბევრი რამ მენიშნა ამ მხრივ: თანამედროვე ქართველ ხლისტებსაც — ნოდარ ლადარიას, გიგი თევზაძეს, ლევან რამიშვილს, ეკა ხერხეულიძეს, თეა თუთბერიძეს, მურთაზ ზოდელავას, გიგა ბოკერიას, აკაკი მინაშვილს და სხვებსა და სხვებს, ვინ მოთვლის ბოლომდე ნაცმოელ ბუდარებს და ბუდარიხებს — მათაც ჰყავთ თავიანთი ქრისტე მიშას სახით.

აქედან ვიფიქრე, რომ ათი მცნებაც ექნებათ-მეთქი, ოღონდ ისევ რომან „დათა თუთაშხიადან“ არქიფო სეთურსა და ასინეთას თუ გავიხსენებთ — „უკუღმაა ეს ასინეთაო“, ამათი ათი მცნებაც გაუკუღმართებულ გახლისტებული იქნება, რომლის ჩემეულ ვარიანტსაც გთავაზობთ:

1. მე ვარ უფალი ღმერთი შენი (მიშა) და არვინ იწამოთ ჩემ გარდა.

2. კერპიც მე ვარ თქვენი: მიწაზე, მიწისა და წყლის ქვეშეც.

3. ამოდ ახსენეთ სახელი ჩემი — მიშა მაგარია!

4. კვირაში შვიდივე დღე ადიდეთ სახელი მიშასი — პოლიხრონიონ.

5. დაივიწყე, მიაფურთხე დედას და მამას, წინაპართა საფლავებს, რათა დაიქცეს სამშობლო შენი, რათა დღეგრძელი იყო ამ ქვეყანაზეც და იქაც — ჯოჯოხეთში.

6. იყავი მკვლელი, დაუნდობელი აფთარი.

7. იმრუშე, ჩაეფლე სოდომ-გომორის მადლში.

8. იქურდე, იყაჩაღე, ჩვენ მერე ქვა-ქვაზეც ნუ დარჩენილა.

9. დასწამე ცილი მოყვასსა შენსა წამებითა ცრუითა.

10. თვალი დაადგი სხვის ცოლს, სახლს, ქონებას — შეირგე, თუ ნაცმოელი ხარ.

აი, კოდექსი ნაცმოელ ხლისტთა ცხოვრების წესისა, რასაც დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, განუხრელად იცავენ ყოველდღიური ცხოვრების ყველა მიმართულებით, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავი ხლისტებისა — ქართული სულიერების ნგრევის, წაბილწვის მცდელობა, მკითხველის სამსჯავროზე მინდა, გამოვიტანო, ვისაც ამთავითვე ბოდიშს მოვუხდი, თუკი „კალამი გამექცევა“ და ხანდახან ისეთი ეპითეტები თუ მაგარ-მაგარი გამონათქვამები წამომცდება, როგორსაც ამ სულით ცვედანი (ხშირად არა მხოლოდ სულით) ხალხის კასტა ობიექტურად იმსახურებს.

კარგი რამ გჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია?!

ჯერ იყო და, ნააღდგომევს უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია მეორეს ეპისტოლეს მისდგა ეს უწმინდური ნოდარ ლადარია და გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე, რომ იტყვიან, ფეხქვეშ გაიგდო, განაქიქა ყველა მართლმადიდებელი ქართველისთვის (და არა მხოლოდ) წმინდა დოკუმენტი.

ამასაც არ დასჯერდა ეს მურდალი — როგორ გაბედა ილია მეორემ და ეპისტოლეში ერთმორწმუნე რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენის აუცილებლობაზე ისაუბრაო და ლამის სამშობლოს ღალატში, კრემლის აგენტობაში დასდო ბრალი — რატომ წავიდა აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვში, რატომ შეხვდა პუტინსა და მედვედევს, ე.ი. აღარც ნატო გვინდა და აღარც ნაბუკოო?

და მსგავსი ურაპატრიოტული გულში მჯიღის ცემა.

მერე რა, რომ რუსეთის პრემიერთან და პრეზიდენტთან ხაზგასმულად თბილი საუბრის შემდეგ (ამბობენ, მუხლმოდრეკით ეამბორნენ ჩვენს პატრიარქსო) რუსებმა სოფელი პერევი დატოვეს და ახალგორის დეოკუპაციაზეც პირობა მისცეს ჩვენს პატრიარქს.

იმას დაუშვებდა სააკაშვილის ავადმყოფური პატივმოყვარეობა, რომ ეს ამბავი მის გარდა სხვის, თუნდაც, უწმინდესის სახელთან გაიგივებულიყო? აკი, არც დაუშვა და ისეთი რამ წამოაყრანტალა, რომ რამდენი ჯარისკაციც გავიდა, ორი იმდენი შემობრუნდა პერევში.

სამშობლოში დაბრუნებულ პატრიარქს ჩამოჰყვა რუსული საზოგადოების წარმომადგენლობითი დელეგაცია რუსქართველი ნიკოლაი სვანიძის „მეთაურობით“ და საკუთარი ღმერთის მორიგი გაწბილების მოწმენი მაშინ შეიქნენ ხლისტები, როცა წირვაზე, რომელსაც რუსებიც ესწრებოდნენ, მიშა იძულებული იყო, პირგამეხილი სახით ესმინა რუსეთის პრეზიდენტისაგან ილია მეორესათვის გამოგზავნილი წერილის რუსულ ენაზე კითხვისთვის, სადაც უწმინდესის ქება-დიდების, მისი დიდი ავტორიტეტისა და ღვაწლის აღნიშვნის ფონზე სიტყვაც არ იყო მიშას შესახებ.

ალბათ, ამანაც გადარია ლადარია და ილია მეორე „ამხილა“ — რუსული კვერთხით ატარებს წირვა-ლოცვასო. თითქოს სამშობლოს ღალატის ტოლფასია ის, რომ ჩვენმა პატრიარქმა რუსეთის პატრიარქისგან საჩუქრად ძვირფასი კვერთხი მიიღო.

რაღა ბევრი გავაგრძელო, ტუტუცი ლადარიას იმ „ფალოსოფიას“ ჩვენს ეკლესიაზე, პირადად უწმინდესზე აშკარა თავდასხმას ჩვენი საზოგადოების მხრიდან ჯეროვანი რეაქცია არ მოჰყოლია და ამ არაკაცს ხახვივით შერჩა, ჩვენში რომ იტყვიან, „ბებიამისის მუთაქების ქექვა“, გინდაც, სოროსის „ძღვენის“ ჭამა.

ჰოდა, იმ ბავშვის არ იყოს, ტირილი რომ გასდიოდა, ამ ხლისტმაც იფიქრა, გამდისო და 6 ივლისის „24 საათიდან“ **კიდევ ერთხელ გადავიდა დაუკრეფავში.**

სოროსის ამ ბლანჟეცანცარა თხამ, ამ მორიელმა ამჯერად ქართული კინოს პატრიარქი, დიდი რეჟისორი, ბატონი რეზო ჩხეიძე დაგესლა. შხამის ნთხევის საბაბი (მიზეზებზე — ქვემოთ) კი ახლახან მოსკოვის კინოფესტივალზე მხცოვანი ქართველი რეჟისორის „კინემატოგრაფიაში შეტანილი წვლილისთვის“ დაჯილდოება გამხდარა.

ამ ფურუნკულის ფალოსოფიური წიაღსვლების ციტირებით მკითხველს არ შევაწუხებ და ზოგადად მოგახსენებთ ამ ხლისტის ლათაიების შინაარსს.

ეს მანქურთი ნაცმოს აპოლოგეტი რეზო ჩხეიძის მსოფლიო დონის კინოშედევრს — „ჯარისკაცის მამას“ განაქიქებს. ვერ გაუგია — რას ნიშნავს, რას გვიჩვენებს ეს ფილმი და „რით განსხვავდება ამ ფილმის ოპტიმისტურ-ტრაგიკული პათოსი პირიევის „ყუბანელი კაზაკებისგან“ ან ალექსანდროვის „მხიარული ახალგაზრდების“ თუ „ნათელი გზის“ ცინიკური ენთუზიაზმისგან, ან გოდერძი მახარაშვილი რით განსხვავდება „მაგდანას ვირისგან“.

კიდევ იმაზე წუხს ეს კაცუნა, რომ მარჯვნიდან და მარცხნიდან ესმის, „ზოგჯერ უხამსი ფორმითაც, ერთი და იგივე „არგუმენტი“: რამდენიც რეზო ჩხეიძეს გაუკეთებია თავისი ქვეყნისთვის, იმდენი თქვენ (ხლისტებს, — ავტ.) არც დაგესიზმრებათო.

ჰა, როგორია, პატივცემულო მკითხველო? მოდი და ამ მართლა ვირს, სოროსის თავლაში დაბმულ სახედარს, „24 საათის“ 24-საათიან რეჟიმში მოყროყინე პრესომბუდსმენს ელაპარაკე, რადგანაც, ნაცმოელ ხლისტებთან ეპისტოლარული კონტაქტი რომ წყლის ნაყვაა, ვიცი.

მოდი, ისიც ვაღიაროთ, რომ ლადარიების მსგავსნი უმსგავსნი ბოლო 20 წელია, იმ თეზის დამკვიდრებას ცდილობენ, რომ მეორე მსოფლიო ომი, ჩვენი ომი არ იყო და მასში ქართველების მონაწილეობა დიდი შეცდომა იყო.

„თავისუფლების ინსტიტუტის“ ამ გველის წინილამ არა მხოლოდ ბატონი რეზო და დიდი სერგო ზაქარიაძის ხსოვნა შეურაცხყო, არამედ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ 300 ათას ქართველს ჩააფურთხა საფლავში, რომელთა თავგანწირვაში ცინიკური ენთუზიაზმისა და პერიფერიულად გამორჩეული მატრაკვეცობის გარდა ვერაფერი დაინახა. ჩვენგან, გრუზინგურჯებისაგან (როგორც „მოსწრებულად“ გვიწოდა კიდევ ერთმა ხლისტმა გიგი თევზაძემ) განსხვავებით, ვინც გიორგი მახარაშვილში ქართველი კაცის მაღალ ზნეობრივ განსახიერებას, ქართული გენიის ზეობას ვხედავთ, ბოლოს და ბოლოს, ფილმის სხვა ღირსებებს რომ თავი დავანებოთ, როგორც იტყვიან, ერთ რამედ ღირს ეპიზოდი, როცა ჯარისკაცის მამა რუს ოფიცერს კახურად აჭმევს ალიყურს...

დედაშენს რა ვუთხრა, ბიჭო!

ნახევარი საუკუნე „დავახურდავე“ უკვე, მაგრამ დღესაც კი, მიუხედავად იმისა, რომ „მილიონჯერ“ მაქვს ნანახი „ჯარისკაცის მამა“, ტანში მბურძგლავს და ცრემლი მერევა იმ სცენის ხილვისას, როცა გიორგი მახარაშვილი თავის „высокий, красивый“ გოდერძის თვალებს უხუჭავს.

თუმცა ეს რომ შეიგრძნო, მკერდში ქართველის გული უნდა გიძგერდეს, ძარღვებში გმირ წინაპართა სისხლი უნდა გიჩქეფდეს და თავში ტვინი უნდა გქონდეს. ამიტომაც წერილს გიორგი მახარაშვილის ნათქვამის პერიფრაზით დავასრულებ:

— თქვენს დედებს რა ვუთხარი, თქვენისთანა ხლისტების გაჩენისათვის!

დავით მხეიძე

პოლიციური რეჟიმის კიდევ ერთი მსხვერპლი

შს სამინისტროს მაღალჩინოსნის მიერ მოკლული საპატრიარქოს დაცვის თანამშრომლის, 30 წლის მამუკა ჩხარჩხალიას ოჯახმა დამნაშავის დასჯის მოთხოვნის მიზნით, 20 ივლისს მკვლელობის ადგილზე საპროტესტო აქცია მოაწყო. აქციის ორგანიზატორები და ოჯახის ახლობლები ირწმუნებიან, რომ მკვლელი გათავისუფლებულია და მის დასჯას მოითხოვენ.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობა 15 ივნისს რესტორან „ქვევრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მოხდა. ვაკე-საბურთალოს სამმართველოს მე-3 განყოფილების უფროსმა სერგო სუხიტაშვილმა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ჩხარჩხალიას თავში ესროლა. იგი ადგილზევე გარდაიცვალა, სუხიტაშვილი კი იმავე ღამეს ქალაქის მთავარ სამმართველოში გადაიყვანეს.

აღსანიშნავია, რომ შს სამინისტრო თავიდანვე ცდილობდა მომხდარის მიჩქმალვასა და მკვლელობის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარ უბედურებად გასაღებას, თუმცა მთავარი მოწმის ჩვენება გამოძიების მასალებს თავდაყირა აყენებდა და, შეიძლება ითქვას, საბოლოოდ დაზარალებულის სასარგებლოდ მეტყველებდა; სუხიტაშვილს ბრალი განზრახ მვლელობისა და იარაღის უკანონოდ შენახვატარებისთვის წაუყენეს. მას სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ დაკავებული განზრახ მკვლელობას არ აღიარებს და მომხდარს შემთხვევითობას მიაწერს.

საგულისხმოა, რომ გამოძიების მუშაობით უკმაყოფილოა როგორც მოკლულის, ასევე, დაკავებულის მხარეც. მოკლულის ოჯახი ამტკიცებს, რომ სუხიტაშვილს ხელს აფარებენ, უნდათ, იგი დაუსჯელი დატოვონ. თავის მხრივ, დაკავებულის ადვოკატი გივი ხაბეიშვილი ამბობს, რომ სუხიტაშვილს მკვლელობა განზრახული არ ჰქონია და იარაღი შემთხვევით გაუვარდა: **„ეს არის ტრაგედია ორივე ოჯახისათვის. სუხიტაშვილი ნანობს ჩადენილ დანაშაულს. მას ეს მკვლელობა განზრახული არ ჰქონია და გამოძიებამ განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა საქმე.“**

სანამ საქმე სასამართლო განხილვამდე მისულა, მოკლულის ახლობლები „დემოკრატიული ლიგის“ ორგანიზატორობით პერმანენტული აქციების გამართვით იმუქრებიან. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი აქცია 20 ივლისს რესტორან „ქვევრთან“ გაიმართა. მასში მონაწილეობა მოკლულის ახლობლებმა და მეგობრებმა მიიღეს. როგორც ისინი აცხადებენ, აქციები გაგრძელდება. მორიგი აქცია სოფელ ხაბუმეში, ჩხარჩხალიას მშობლიურ სოფელში გაიმართება.

„დღევანდელი შეკრებით სამართალდამცავების კიდევ ერთი ჯალათობა გამოვავლინეთ, თუ როგორ აბუჩად იგდებენ ისინი ადამიანის სიცოცხლეს. მათ სიცოცხლეს გამოასალმეს სრულიად უდანაშაულო ადამიანი. იგი მოკლა ვაკე-საბურთალოს მესამე განყოფილების პოლიციის უფროსმა სერგო სუხიტაშვილმა. ეს ადამიანი რესტორნიდან ნასვამ მდგომარეობაში გამოვიდა და შელაპარაკების ნიადაგზე პირდაპირ თავში ესროლა მამუკა ჩხარჩხალიას. მკვლელობის მოტივი იგივეა, რაც სანდრო გირგვლიანის, ზურა ვაზაგაშვილის, გამცემლიძის და სხვა უამრავი მოკლული ადამიანის. თუ როგორ განვითარდება შემდგომში გამოძიება, არ ვიცით, რადგან გამოძიება ძალიან ტენდენციურად მიმდინარეობს. ოჯახისთვის უცნობია კონკრეტული ფაქტები; არადა, ოჯახს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია, თუ როგორ და რა ფორმით მიმდინარეობს გამოძიება, რაც ამ ეტაპზე გასაიდუმლოებულია. გამოძიება ღია არ არის. ეჭვი გვაქვს, რომ ეს ადამიანი არც არის დაკავებული და შესაძლოა, სასამართლოზე სხვას გადაბრალდეს მისი დანაშაული. ჩვენ გვყავს თვითმხილველები, რომლებიც დეტალურად ჰყვებიან მომხდარის თაობაზე. ისინი იმასაც ამბობენ, რომ მამუკას სუხიტაშვილისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია,“ — ამბობს „დემოკრატიული ლიგის“ ერთ-ერთი ლიდერი შოთა აფხაიძე.

მომხდართან დაკავშირებით საპატრიარქო თავის პოზიციას არ აფიქსირებს. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ადგილზე ჩააკითხეს ჩხარჩხალიას ოჯახს და მატერიალური დახმარება გაუწიეს.

მაკა ქობალია,
სალომე გოგოხია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

კობა კობალაძის მამას აინტერესებს...

აგვისტოს მოვლენების მერე ლოგიკური იყო რეპრესიების დაწყება. ეს პროცესი განსაკუთრებით სამხედრო პირების მიმართ იყო მოსალოდნელი. ამით ხელისუფლება შეეცდებოდა, ხალხისთვის დაენახვებინა, აგვისტოს წარუმატებლობა სხვა ფაქტორებთან ერთად მოღალატე სამხედროების ბრალიც რომ იყო. ხელისუფლება რამდენიმე ათეული სამხედრო პირის დასჯით სხვა ნაწილებს ხალხის მხარეს დადგომის სურვილს დაუკარგავდა. ხელისუფლებას არ ასვენებდა არამარტო მოქმედი, არამედ თადარიგში გასული ავტორიტეტული სამხედრო ოფიცრები.

წაგებული ომის შემდეგ ქვეყანას რეპრესიების ტალღამ გადაუარა

და აი, ლოგიკური განვითარებაც. ერთ მშვენიერ დღეს ქვეყანამ გაიგო მუხროვანის სატანკო ნაწილის „ამბოხების“ შესახებ. მკითხველისთვის ცნობილია ამ ე.წ. ამბოხების პერიპეტიები. ხელისუფლებამ რამდენიმე ათეული სამხედრო დააპატიმრა, მათ შორის გენერალ-მაიორი კობა კობალაძე, რომლის გვარსაც „მეამბოხე“ გია ღვალაძე „საბრძოლო განწყობის ასამაღლებლად“ ასახელებდა თურმე თანამოაზრეებთან საუბრის დროს.

ქეთი კობალაძე, კობა კობალაძის მეუღლე: „კობამ დილით ბავშვები სკოლაში წაიყვანა. ცოტა შეაგვიანდა. 12 საათზე მოვიდა სახლში. რეკავდნენ ჟურნალისტები. კობამ ისინი შინ მოიწვია და შეხვედრისთვის მზადება დაიწყო. ამასობაში დარეკა ერთმა ჟურნალისტმა, სახლს ვერ მოვაგენით და კინო „საქართველოსთან“ შეგვხვდითო...

ათი წუთის გასული იყო შინიდან, საინფორმაციოში რომ გამოაცხადეს, ამ წუთას აიყვანეს გენერალი კობა კობალაძეო. ეს ჩვენთვის შოკი იყო. თოთქოს ელოდებოდნენ მის გარეთ გასვლას...“

კობალაძის დაკავების თითქმის პარალელურად სამართალდამცავები მის ოჯახში მივიდნენ და ჩრეკა ჩაატარეს. ამოიღეს რამდენიმე კანონიერად გაფორმებული იარაღი და ხელყუმბარა.

სამართალდამცავებმა კობალაძეს გია ღვალაძის ჩვენების საფუძველზე ბრალი წაუყენეს ამბოხის ორგანიზების მცდელობასა და იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვისათვის, თუმცა ეს ყუმბარები კობა კობალაძემ აგვისტოს ომის დროს თავდაცვის სამინისტროს ოსიაურის სამხედრო ბაზაზე მიიღო. ამას ადასტურებს მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც პოლიციელებმა სხვა საბუთებთან ერთად წაიღეს.

შალვა თადუმიძე, კობა კობალაძის ადვოკატი: „ამ საბუთში თავდაცვის სამინისტროს შეარაღების წარმომადგენელი ხელმოწერით ადასტურებს, რომ კობალაძემ აგვისტოს მოვლენების დროს მიიღო შეარაღების ერთი კომპლექტი. მასში შედიოდა ერთი ავტომატი, რამდენიმე მჭიდი ვაზნებით და რამდენიმე ხელყუმბარა. შეიარაღება კობალაძემ აგვისტოს ომის შემდეგ ქართველი სამხედრო მოსამსახურეების მიერ გზაში გადაყრილ სხვა შეიარაღებასთან ერთად, რომელიც კობალაძემ საბრძოლო მოქმედებების რაიონში მოაგროვა, თავდაცვის სამინისტროს ჩააბარა. ამაზეც არსებობს მიღება-ჩაბარების აქტი. რამდენიმე ხელყუმბარა შემთხვევით ჩარჩა კობალაძის მანქანის საბარგულში და მოგვიანებით სახლში, დაცულ ადგილას, შეინახა. ამის გამო მას შეიძლება დაკისრებოდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და არავითარ შემთხვევაში — სისხლის, რადგან ეს ყუმბარები ოფიციალური სტრუქტურიდან, თავდაცვის სამინისტროდანაა წამოღებული“.

მიუხედავად ადვოკატების არაერთგზის თხოვნისა, სამინისტროს გენშტაბი უარს აცხადებს ამ მიღება-ჩაბარების აქტის დაცვის მხარისთვის გადაცემაზე. როგორც ადვოკატები აცხადებენ, გენშტაბის უფროსი დევი ჭანკოტაძე ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

საგულისხმოა, რომ დღევანდელი გენშტაბის უფროსი და კობალაძე დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

ქეთი კობალაძე: „არადა, კობას კარგი დამოკიდებულება ჰქონდა დევის მიმართ, მაგრამ მისგან საპასუხო კეთილგანწყობა რომ ვერ დავინახე, ძალიან დამწყდა გული. რამდენიმე თვე ჩინეთში ერთად იყვნენ, გვერდი-გვერდ ოთახებში ცხოვრობდნენ. ბოლო ერთი თვე მეც იქ ვიყავი და ჩემს გაკეთებულ საჭმელს მიირთმევდა... აქაც ერთად მუშაობდნენ...“

ნამდვილად გაკვირვებას იწვევს ჭანკოტაძის ასეთი ქცევა, რადგან სასამართლო მას მაინც აიძულებს, ეს საბუთი წარმოადგინოს. რა საჭიროა ასეთი გაჯიუტება, მითუმეტეს, ამით კობალაძის საქმეს არც არაფერი მოაკლდება, ალბათ, იმიტომ, რომ მისი ცხენში ყოფნა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა. უბრალოდ, ამ დოკუმენტით მას ერთი ბრალდება მოეხსნება.

რაც შეეხება ბრალდებას, რომ კობალაძე მცხეთაში ქეიფ-ქეიფით გეგმავდა ამბოხს, როგორც ქალბატონი ქეთი აცხადებს, გენერალი კობალაძე იმ დღეებში მცხეთაში საერთოდ არ ყოფილა. ამის უამრავი მოწმეა და 29 კაცმა ჩვენებებითაც დაადასტურა. დაცვამ მოიპოვა სატელეფონო სადგურის ამონაწერებიც, საიდანაც ამ დღეებში კობალაძის მცხეთაში ყოფნა არ დასტურდება, თუმცა გამოძიებისთვის ეს ვერ გახდა მყარი არგუმენტი. მისი აზრით, შეიძლებოდა, კობალაძეს ტელეფონი სახლში დაეტოვებინა. მაგრამ ეს ვარაუდიც ბათილდება, რადგან იმ დღეებში კობალაძემ რამდენიმე პირთან ისაუბრა და ამას ის ხალხიც ადასტურებს.

მოკლედ, მთავარია პოლიტიკური ნება და კობალაძის საქმე ხუხულასავით დაინგრევა. ამის იმედად იყვნენ ოჯახი და ადვოკატები. პრესაშიც გავრცელდა ვარაუდი, რომ კობალაძე, მას მერე, რაც წინასწარი პატიმრობის ვადა დაუმთავრდებოდა, განთავისუფლდებოდა, მაგრამ... კობალაძე მაინც ციხეში დარჩა. და ეს ლოგიკურიცაა, რადგან იგი სააკაშვილის პირადი ბრძანებითაა დაკავებული.

მაინც რატომ გახდა გენერალი კობალაძე პრეზიდენტის მაღალი ყურადღების ობიექტი?

კობალაძის დაპატიმრებას ოჯახი მის მიერ სხვა, ყოფილ სამხედრო მაღალჩინოსნებთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციის — „გენერალთა კლუბის“ შექმნას უკავშირებს. ამავე დროს, იგი რამდენჯერმე თავის ბავშვის ნათლიასთან, გია ყარყარაშვილთან გამოჩნდა ოფისში და ოპოზიციის აპრილის აქციებზეც. მანამდეც უთვლიდნენ, რომ დაეტოვებინა საქართველო, თუ არ უნდოდა პრობლემები შექმნოდა, მიზეზად ქართულ ჯარში მის დიდ ავტორიტეტს ასახელებდნენ, მაგრამ მან თავისი არჩევანი გააკეთა და ამის საფასურს შეგნებულად იხდის.

ხელისუფლებამ იფიქრა, კობალაძე გააქტიურდაო და მასში საშიშროება დაინახა, რომელსაც შეეძლო, თავისი ავტორიტეტით აგვისტოს ომში დამარცხებული ჯარისკაცების სიმპათია მოეპოვებინა და გაენეიტრალებინა ხელისუფლების მცდელობა, სურვილის შემთხვევაში ხალხის წინააღმდეგ გამოსულიყო ჯარი.

სხვათა შორის, ზოგიერთი ინფორმაციით მუხროვანში დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი მიზეზი იყო ის ბრძანება, რომელიც, სავარაუდოდ, ნაწილმა ხალხის წინააღმდეგ გამოსვლასთან დაკავშირებით მიიღო.

ხელისუფლებამ მოიშორა ზედმეტი თავისტკივილი და კობალაძე სხვა სამხედროებთან ერთად ციხეში გამოკეტა. ამით მეორე კურდღელიც დაიჭირა. არცერთ სამხედრო ნაწილს აღარ მოუვა აზრად, წინააღმდეგობა გაუწიოს ხელისუფლების (თუნდაც უკანონო) ბრძანების შესრულებას. მერე რა, რომ პატრიარქმა მოუწოდა ჯარს და პოლიციას, არ აღემართა ხელი თავის ხალხზე... ჩვენთან ხელისუფლების არგუმენტები უფრო „მყარია“... დაპატიმრება, რეპრესია.

კობალაძე შეიარაღებული ძალებიდან თავისი ნებით ვარდების რევოლუციის მერე წამოვიდა. მიზეზი იყო ის, რომ შევარდნაძის დროს მსახურობდა.

თავიდან კობალაძეს საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა „ვარდების ხელისუფლებასთან“. სწორედ მისი ორგანიზებული იყო პრეზიდენტის ინაუგურაცია, რისთვისაც პირადად სააკაშვილისგან მადლობაც დაიმსახურა, მაგრამ...

ქეთი კობალაძე: „6 წელია, რაც კობა სამინისტროდან წამოვიდა. მას მერე სულ უთვალთვალებდნენ.

ჯარში რომ არ იყო, ძალიან განიცდიდა. ფორმა ისე უყვარდა, ქორწილშიც რომ მივდიოდით, ფორმას იცვამდა ხოლმე. მეც სულ ვეუბნებოდი, ნეტავ ფორმას როდის გაიხდი-თქო...

სულ უნდოდა, რაღაც გაეკეთებინა თავისი ქვეყნისთვის. სახლში რომ იყო, ძალიან ნერვიულობდა. გახარებული იყო, რომ „გენერალთა კლუბი“ ჩამოაყალიბა, რაღაცას მაინც გავაკეთებ ჩემი ქვეყნისთვისო...“

აგვისტოს ომის დროს კობალაძემ პატაკით მიმართა პრეზიდენტს და სთხოვა, გამოეყენებინათ მისი ცოდნა და გამოცდილება ქვეყნის დასაცავად, მაგრამ მას არავინ შეხმიანებია. მან რამდენიმე მეგობართან ერთად მაინც მიიღო მონაწილეობა ამ ომში მოხალისედ. კობალაძის მსგავსად ხელისუფლებამ ბევრ ყოფილ მებრძოლსაც გაუკეთა იგნორირება. მიზეზად კი ის დაასახელეს, „რეზერვი“ არ გაქვთ გავლილიო... სახელმწიფომ უარი თქვა გამოცდილი ხალხის დახმარებაზე.

კობალაძე ერთ-ერთი ის სამხედროა, რომელმაც დიდი საბრძოლო გამოცდილება მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომებში. მან თავისი ნებით მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური რუსეთში და, ბევრი ქართველისგან განსხვავებით, სპეცდანიშნულების ბატალიონში წავიდა. როცა სამშობლოს დაცვა დასჭირდა, ცოტა გვყავდა სამხედრო გამოცდილების მქონე ხალხი.

გურამ კობალაძე, კობა კობალაძის მამა: „კობას ბავშვობიდანვე ჰქონდა ვაჟკაცური თვისებები. ბერჯერ მეც მილაპარაკია საქართველოს ისტორიაზე, სამაჩაბლოზე. ჩვენ იქიდან ვართ წარმოშობით. ძალიან რომ განვიცდიდი ჩემი კუთხის დაკარგვას, კობა სულ მამშვიდებდა. ნუ გეშინია, ღირსეულად შევალთო. ოქრუაშვილი რომ თავდაცვის მინისტრად დანიშნეს, გამიხარდა, მეგონა ისეთ ბიჭებს მოუყრიდა თავს, ვინც იქიდანაა წარმოშობით. ამათ ბაზაზე დააშენებდა ჯარს... ბავშვობიდან ვერ ეგუებოდა უსამართლობასა და ჩაგვრას.

პრეზიდენტი გამოვიდა და ბრძანა, რატომ დადის კობალაძე თავისუფალიო. რატომ არ უნდა იაროს? კობა დაახლოებით მაგის ტოლია. სად იყო ეგ თავის შანტრაბასთან ერთად, როცა კობა სისხლს ღვრიდა? ახლაც იმას იძახის, სადაც ჩემი ძმები დაიღუპნენ, იმას მუხლისჩოქვით შემოვუერთებ საქართველოსო. ამათმა კიდევ ციხეში გამოკეტეს. ასეთი დაფინანსება რომ ჰქონოდათ მაშინ... შიშველი ხელებით 13 თვე მაგრად იბრძოლეს. კობაზე რომ იტყვი — კორუმპირებულიო(?!)... გადახედე კობას განვლილ გზას — სულ სწავლა, დიპლომი, ბრძოლა და მერე შენი თანაგუნდელების ფინანსურ დეკლარაციაშიც ჩაიხედე. გენერალ კაცს ბინა რომ მისცეს, 200კვ/მ სხვას მისცა — „ავადმყოფი ცოლი ჰყავსო“. არადა, თვითონ ოთხი შვილი ჰყავს. სახლიდან მიჰქონდა თანამებრძოლებისთვის ყველაფერი. ისინიც აღმერთებდნენ, შვილებს კობას არქმევდნენ“.

ქართველ ძალოვან მაღალჩინოსანს ერთ-ერთ უცხოურ გამოცემასთან ინტერვიუში უთქვამს: „კობალაძე საბჭოთა გენერალიაო“. ეს ნამდვილი სიბრიყვეა, რადგან, მართლია, კობალაძეს ფრუნზეს გენშტაბის აკადემია აქვს დამთავრებული რუსეთში, მაგრამ ამას გარდა მას აქვს განათლება მიღებული გერმანიის, ამერიკის, იტალიის, ჩინეთის სამხედრო სასწავლებლებშიც; მაშინ გამოდის, რომ ამ ქვეყნების გენერალიც ყოფილა...

და ბოლოს, იმედია, სამართალი გაიმარჯვებს და უდანაშაულო ადამიანი გარეთ გამოვა, მაგრამ რა ვუყოთ იმ სტრესს, რომელიც გენერალ კობალაძის ბავშვებმა მიიღეს მამის უკანონო დაპატიმრებით? როგორ შეიძლება ქვეყანაში გყავდეს ისეთი სამხედრო პირი, როგორიც კობალაძეა და მას არ იყენებდე ქვეყნისთვის?! ნორმალურ სახელმწიფოებში ცდილობენ, გმირები შექმნან, რათა მომავალმა თაობებმა მათ მაგალითზე ისწავლონ სამშობლოს სიყვარული. ჩვენთან კი კაცს, რომელსაც აბსოლუტურად ყველა სამხედრო ჯილდო სისხლით აქვს მოპოვებული, ციხეში საეჭვო ბრალდებით კეტავენ; ომგამოვლილ ბიჭებს გულს ტკენს სახელმწიფოს ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ეჭვიც არ მეპარება, როცა სამშობლოს დასჭირდება, ისევ ისინი დადგებიან მის დასაცავად, იმიტომ, რომ გმირები სამშობლოს არ ებუტებიან!..

კახა იორამაშვილი

მიქრის მატარებელი, სხვისი გამხარებელი

უცხოეთის პრესაში გავრცელებული ინფორმაციით საქართველო რკინიგზას რუსეთის სარკინიგზო კომპანიას მიჰყიდის.

როგორც **„ნეზავისიმაია გაზეტა“** წერს, გარიგება ირიბი შუამავლის — სომხეთის სარკინიგზო სამსახურის მიერ ხორციელდება. ეს სამსახური კონცესიის ფორმით რუსეთის სარკინიგზო კომპანიაშია გაერთიანებული.

„იმის გამო, რომ სომხეთის და აფხაზეთის სარკინიგზო ხაზები უკვე რუსეთის მფლობელობაშია და აზერბაიჯანის ჯერ კიდევ „დამოუკიდებელი“ რკინიგზის მაგისტრალი საქართველოსა და სომხეთის ხაზებზეა მიბმული, გამოდის, რომ **რუსეთის სარკინიგზო კომპანია სამხრეთ კავკასიის რკინიგზის ფაქტობრივი მფლობელი ხდება“,** — წერს „ნეზავისიმაია გაზეტა“.

ქართული პრესა ამ ფაქტს ყურადღების მიღმა ტოვებს, ჩავლილ პრობლემად მიიჩნევს, ოფიციალური თბილისი მოსკოვთან ყოველგვარ მოლაპარაკებას უარყოფს. „ნეზავისიმაია გაზეტა“ კი იმოწმებს ქართველ ეკონომისტ ნიკო ორველაშვილს, რომელიც აცხადებს, რომ „საქართველოს ხელისუფლება რკინიგზას იმ მიზნით ყიდის, რომ როგორმე შეავსოს ხაზინა, რადგან ფულის უქონლობის შემთხვევაში, სააკაშვილის წინააღმდეგ აღმართული ტალღა კიდევ უფრო მძლავრი გახდება“.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

ტურიზმის სარჯზე საქართველოს აყვავების სააკაშვილისეული იმედები დაიმსხვრა

„საქართველო და მსოფლიო“ ერთ-ერთ ნომერში იუწყებოდა, რომ ფრანგულმა ტურისტულმა გამოცემა „Petit Fute“-მ საქართველო ტურიზმისთვის საშიში 11 ქვეყნის სიაში შეიყვანა და არასტაბილური სიტუაციისა და რუსეთთან დაძაბული ურთიერთობების ფონზე ავღანეთის, ერაყის, სომალის გვერდით მოგვათავსა. ამ ფონზე არაადეკვატურია აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის მონაცემები, რომლის თანახმადაც, დღეისათვის აჭარაში 40 ათასი ტურისტია. სეზონის განმავლობაში მათი რიცხვი 320 ათასს მიაღწევს, რაც სტატისტიკურად 2007 წლის მონაცემებს გაუტოლდება. კიდევ უფრო არაადეკვატურია საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომ ბათუმი უახლოეს 2-3 წელიწადში ორ მილიონ ტურისტს მიიღებს.

დემურ გიორხელიძე:

ღატაკ ქვეყანაში ტურიზმი არასდროს განვითარდება

სააკაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ეკონომიკაში გამოცოცხლება შეიმჩნევა და ბიზნესმენებსა და ინვესტორებს ქართულ ეკონომიკაში ფულის ჩადებისკენ მოუწოდა. პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ სასტუმროების მშენებლობის არსებული ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, აჭარა ტურისტებისთვის ოაზისი გახდება: **„ბათუმი მთელ ევროპაში თითქმის ერთადერთი ქალაქია, სადაც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე მშენებლობა არ შეჩერებულა. აქ შენდება რამდენიმე უმაღლესი კლასის სასტუმრო, რაც სამუშაო ადგილების შექმნას განაპირობებს და ასეთი ტემპის შენარჩუნებით აჭარა უახლოეს 2-3 წელში 2 მილიონ ტურისტს მიიღებს“.**

მხოლოდ სასტუმროების მშენებლობა ტურიზმის განვითარებისთვის საკმარისი რომ არ არის, ფაქტია.

„ბათუმი ოაზისი ვერ გახდება საქართველოში, რადგან ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარება ისევე აისახება ბათუმზეც, როგორც სხვა რეგიონებზე. თუ სწორი მიმართულებით ვიმუშავებთ, 2 მილიონი ტურისტიც შემოვა და უფრო მეტიც. ჯერჯერობით ამის კონტურები არ ჩანს, ქვეყანა რთული პოლიტიკური პრობლემების წინაშე დგას და ეკონომიკური და სოციალური ვითარებაც ძალიან რთულია. დღეს არსებულ სოციალურ ფონზე, როდესაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი უმუშევარია, საარსებო მინიმუმი არ გააჩნია, ასეთი პროგნოზი არარეალურია. ღატაკ ქვეყანაში ტურიზმი არასდროს განვითარდება, რა თქმა უნდა, თუ იზოლირებული ზონები არ არის, რომელიც მხოლოდ ტურისტებისთვისაა განკუთვნილი. ტურისტების შემოსვლა რეალურია მაშინ, თუ პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა სტაბილური იქნება. ეს კი იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ხელისუფლებას ეყოფა გონიერება, მიიღოს შემოთავაზება, რომ შეიქმნას ეროვნული თანხმობის ხელისუფლება. ეს იქნება პირველი პრეცედენტი, როდესაც პოლიტიკური გზით დაიძლევა კრიზისი და ეს ყველა სფეროზე დადებითად აისახება“, — აცხადებს ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში **დემურ გიორხელიძე** „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბრისას.

სააკაშვილის აღნიშნული განცხადების შესახებ პირველი ლეიბორისტი, ალბათ, იტყოდა, რომ პრეზიდენტი სხვა პლანეტიდან ლაპარაკობდა, რადგან ტურისტული სეზონი აქტიურ ფაზაში შედის, თუმცა საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ტურისტების ნაკადი არათუ შენელდა, საერთოდ შეწყდა. ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით, დასვენება ძვირი და ნაკლებად ხელმისაწვდომი ფუფუნება გახდა. ხელისუფლება ამას მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს და ცდილობს, როგორც ადგილობრივ, ასევე, უცხოელ ტურისტებს დასასვენებლად მისაღები პირობები შესთავაზოს. საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები უკამყოფილებას არ მალავენ, უცხოელი ტურისტების შემცირებაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ ქვეყანაში შიდა ტურიზმი დაბალ დონეზეა.

არჩილ დადეშიძე, ტურისტული კომპანია „ფრეშთრეველის“ მენეჯერი:

„შარშანდელთან შედარებით, მნიშვნელოვნად იკლო ტურისტების რიცხვმა. შარშან, ივნისში, თუ კვირის განმავლობაში ორი ჯგუფი ჩამოდიოდა, წლეულს მთელი თვის განმავლობაში ორი ჯგუფი ჩამოვიდა. შევამცირეთ მომსახურების ფასები, მაგრამ ეს მოხდა კომპანიის მოგების ხარჯზე. რეალურად ხარჯი იგივეა, რაც შარშან იყო, რადგან არ გაიაფებულა სასტუმროს მომსახურება და სანვავი.

შიდა ტურიზმზე მოთხოვნა ნაკლებია, რადგან საკმაოდ ძვირი ჯდება იმასთან შედარებით, ვიდრე ტუროპერატორების გარეშე დასვენება. ადგილობრივი მოსახლეობა უპირატესობას ამას ანიჭებს. მაგალითისთვის, სვანეთში ერთი ღამის გათენება, სულ მცირე, 50 ლარი ჯდება, ამას ემატება ტრანსპორტის ღირებულება, ამიტომ საკუთარი ნაცნობ-მეგობრების დახმარებით გაცილებით იაფად ახერხებენ დასვენებას. ჩვენს კომპანიაში უფრო მაღალი აქტივობა კახეთმა შეინარჩუნა, შვიდდღიანი ტურები გვაქვს და ამ ხნის განმავლობაში ნახევარ საქართველოს ნახულობენ. შიდა ტურიზმზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა სიღნაღზეა ერთდღიანი ტურების სახით“.

მაია ხუბულური, ტურისტული კომპანია „კავკასუს თრეველი“:

„ტურისტების ნაკადი შარშანდელთან შედარებით ძალზე შემცირებულია. ჩვენ შიდა ტურიზმის მიმართულებით არ ვმუშაობთ, საზღვარგარეთიდან შემოგვყავს, მაგრამ საქართველოზე მოთხოვნა შარშანდელთან შედარებით განახევრდა კი არა, თითქმის აღარ არის, უცხოელი ტურისტი აქ ერთი კონკრეტული რეგიონის მოსანახულებლად არ ჩამოდის. აქედან გამომდინარე, იმის განსაზღვრა, თუ რომელ რეგიონში შეინიშნება აქტივობა, ჩვენთვის რთულია“.

ტუროპერატორებს სერვისის გაიაფება ხელისუფლებამ რეკომენდაციის სახით შესთავაზა, რაც გაითვალისწინეს კიდეც, თუმცა რეალურ შედეგი მიღწეული ვერ იქნა, რადგან სასტუმროებმა არ გააიაფეს მომსახურება. ხელისუფლება ამ მიმართულებითაც მუშაობს და მათთვის საგადასახადო შეღავათების დაწესების საკითხს განიხილავს.

„დამსვენებელთა დამაკმაყოფილებელი რაოდენობის მისაღებად ერთადერთი გამოსავალი ტურებზე ხელმისაწვდომი ფასებია. ტურისტულ სფეროში მოღვაწე კომპანიებისა და სასტუმროებისთვის გარკვეული საგადასახადო შეღავათები დაწესდება. ეს საკითხი უკვე განხილვის პროცესშია. წინადადებით მივმართეთ სასტუმროს მეპატრონეებს, გაენახევრებინათ ფასები. ჩვენი წარმომადგენლები გაემგზავრნენ აჭარაში, ბორჯომში, ბაკურიანში და სასტუმროს მეპატრონეებთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები“, — განაცხადა საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა **პეტრე კანკავამ** ჩვენთან საუბრისას.

აგვისტოს მოვლენებმა განსაკუთრებით დააზარალა ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ზონა ბორჯომი. მძიმე ფონის მიუხედავად, ახალ სეზონს ბორჯომი განახლებული ხვდება, თუმცა, შარშანდელთან შედარებით, დამსვენებელთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. სასტუმრო „ბორჯომის“ დირექტორის **ნელი ჩადუნელის** განცხადებით, გასული წლის ამ პერიოდში უკვე დიდი რაოდენობით დამსვენებელი იმყოფებოდა მათთან, სასტუმრო სავსე იყო, მაგრამ დღეს ნაკლებად არიან. ანალოგიური მდგომარეობაა აღნიშნული ზონის სხვა სასტუმროებშიც. ადგილობრივების განცხადებით, ბორჯომი შარშან 7 აგვისტოს დაიცალა და მას შემდეგ იქ ძალიან ცოტა დამსვენებელი ჩადის.

ტურისტული აქტივობა მეტ-ნაკლებად კახეთმა შეინარჩუნა, მაგრამ კრიზისი აქაც იგრძნობა. თელავის მუნიციპალიტეტის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მონაცემებით, თელავში ტურისტების რაოდენობამ აგვისტოს მოვლენების შემდეგ საგრძნობლად იკლო. გასულ წელს თელავში ყოველდღე ხუთი ტურისტული ჯგუფი შედიოდა, წელს კი აპრილამდე არც ერთი ტურისტი არ ყოფილა. აპრილ-მაისის მონაცემებით, მხოლოდ თერთმეტი ჯგუფია კახეთში შესული, ივნისში კი ეს რიცხვი რამდენიმე ერთეულით გაიზარდა.

მოამზადა
ნანა ლაღაძიშვილმა

ინვესტორებს შტატებში ფულის დაბანდება აღარ სურთ

Bloomberg-ის ცნობით, მაისში ამერიკული გრძელვადიანი ფინანსური ინსტრუმენტების მიმართ უცხოელი ინვესტორების ინტერესმა იკლო. ფასიანი ქაღალდების სუფთა გაყიდვებმა 19,8 მილიარდი დოლარი შეადგინა. საერთო ჯამში, უცხოური ინვესტიციების მოცულობა 66,6 მილიარდ დოლარამდე დაეცა. სახაზინო ობლიგაციების სუფთა გაყიდვამ 22,6 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია შარშანდელი ნოემბრის შემდეგ.

2008 წლის იანვრიდან მაქსიმალურად გაიზარდა ამერიკული კომპანიების აქციების შესყიდვა. ამასთან, აშშ უმსხვილესმა კრედიტორებმა მაისში ამერიკული სახელმწიფო ობლიგაციებისგან გათავისუფლება არჩიეს. რუსეთმა ინვესტიციების მოცულობა 135-დან 124,5 მილიარდამდე შეამცირა, იაპონიამ — 8,7 მილიარდი დოლარით. გამონაკლისია ჩინეთი, რომელსაც მსოფლიოში უმსხვილესი კაპიტალდაბანდება აქვს შტატების სახელმწიფო ობლიგაციებში და ეს მაჩვენებელი კიდევ 38 მილიარდით, ანუ 801,5 მილიარდ დოლარამდე გაზარდა. ახლა ამერიკას მთელი საგარეო ვალის მეოთხედზე მეტი ჩინეთისთვის აქვს გადასახდელი. შეერთებული შტატების მთელი სახელმწიფო ვალი (საგარეო და საშინაო ერთად) 11,6 ტრილიონ დოლარს შეადგენს, ამ თანხის დაახლოებით მესამედი საგარეო ვალია. ამ თანხაში გათვალისწინებული არაა სახელმწიფო სპონსორობის საწარმოების ვალი, რომელიც 5 ტრილიონ დოლარადაა შეფასებული.

ამირან ნორაკიძე:

ვანო ჩხარტიშვილმა ხელშეუხებლობის სანაცვლოდ სააკაშვილს ქრთამი მისცა

78 წლის ამირან ნორაკიძე — პროფესიონალი პოლიგრაფისტი, 40 წელიწადზე მეტ ხანს ემსახურა ქართულ პრესას. დღეს იგი ხელისუფალთა მიერ გაძარცვული პენსიონერების სიაშია, მაგრამ ბევრი ხელჩაქნეულისგან განსხვავებით, ბრძოლას განაგრძობს ქვეყანაში გამეფებული უსამართლობის წინააღმდეგ და საკუთარი უფლებების დაცვას ცდილობს. ბატონი ამირანი დღეს ჩვენი რედაქციის სტუმარია.

— ბატონო ამირან, რას იწერებიან სტრასბურგიდან?

— ჩვენი საჩივარი წარმოებაში მიიღეს, ნომერიც მისცეს, მაგრამ სასამართლო პროცესი როდის გაიმართება, არ ვიცით. გვწერენ, გამოგიძახებთ, თუ რამე დაგვჭირდებაო.

— ვის უჩივით, ბატონო ამირან?

— 9 წელიწადია, 138 პენსიონერი ვიბრძვით, რომ ჩვენი კუთვნილი თანხა დავიბრუნოთ. სარჩელს 78 კაცი ვაწერთ ხელს. მათგან ბევრი ცოცხალი აღარ არის.

— რა თანხას ითხოვთ?

— ჩვენივე თხოვნით, წლების განმავლობაში კუთვნილი პენსიები სახელმწიფო შემნახველ ბანკში გვერიცხებოდა. ასეთნი ბევრნი ვიყავით.

— რამდენს იღებდით ყოველთვე?

— 120 მანეთს... პენსიაზე 1987 წელს გავედი. ჩვენდა სავალალოდ, 1994-95 წლებში ედუარდ შევარდნაძემ ბანკების განსახელმწიფოება მოახდინა არაკანონიერად და კერძო პირებს ჩაუგდო ხელში.

— თქვენი პენსიები ვინ მიითვისა?

— ვანო ჩხარტიშვილმა კონსტიტუციისა და კანონის დარღვევით ყველაფერი ხელთ ჩაიგდო. როცა გავიგეთ, რომ ჩვენი ფული სხვამ მიითვისა, კოლექტიურად ვიჩივლეთ, მაგრამ საქმე ყველა ინსტანციაში წავაგეთ.

— რატომ, თქვენი მოთხოვნა ხომ კანონიერი იყო?

— ვანო ჩხარტიშვილმა ქრთამი მისცა მიხეილ სააკაშვილს და სანაცვლოდ ხელშეუხებლობის გარანტია მიიღო. გარდა იმისა, რომ წლების განმავლობაში ნაგროვები პენსია წაგვართვეს, ომში მარჩენალდაღუპულებს პირიდან ლუკმა გამოგვაცალეს...

— თქვენი შვილი სად შეიწირა მტრის ტყვიამ?

— ერთადერთი ვაჟი 33 წლის ასაკში დამეღუპა აფხაზეთში, უცოლშვილო. თბილისში რომ მყოლოდა, შეიძლება არ გამეშვა საომრად, მაგრამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შსს სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების გამომძიებლად მუშაობდა, იქ იყო და ომში ჩაება.

— როდის დაიღუპა?

— მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ბათიაშვილმა, უშიშროების მაშინდელმა მინისტრმა, სთხოვა შევარდნაძეს, ჯარი და ტექნიკა არ გაეყვანათ სოხუმიდან, რადგანაც უტყუარი ინფორმაცია ჰქონდა, რომ 16 სექტემბერს თავს დაგვესხმებოდნენ, ედუარდმა, როგორც მხედართმთავარმა, ქალაქის დატოვების ბრძანება გასცა. სოხუმის პოლიციის სამმართველოს უფროსმა თენგიზ რაფავამ ორგანოს თანამშრომლებისა და მოხალისეებისგან სახელდახელოდ შექმნა მეომართა ჯგუფი, რომელიც 2 დღე იბრძოდა მტრის წინააღმდეგ და თავდამსხმელები შეაკავა. მათ უამრავი სოხუმელი გადაარჩინეს, მოსახლეობამ მოასწრო ქალაქის დატოვება... თითქმის ყველანი დაიხოცნენ. თენგიზ რაფავა მტერმა შეიპყრო. მას იარაღი წაართვეს, სამაგიეროდ, გადამალული ორი „ლიმონკა“ კბილებით გახსნა და თავიც აიფეთქა და მტრებიც გამოასალმა სიცოცხლეს. აფხაზეთის უშიშროების ყოფილმა მინისტრმა ავთანდილ იოსელიანმა მითხრა, რუსების გადაღებული ფირი მაქვს, რომელზეც თენგიზ რაფავას და მისი მებრძოლების გმირობაა აღბეჭდილი, მაგრამ ვერ გიჩვენებო...

— მიზეზი?

— მიცვალებულები ერთ ადგილას მოაგროვეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს, მათი საფლავები არ არსებობსო... იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს თვითონ ჩაეტარებინა მოკვლევა-მოძიება, სად და რა ვითარებაში დაიღუპნენ ბიჭები, მე — მშობელს მეუბნებოდნენ, დაგვიმტკიცე, რომ თქვენი შვილი მართლა სოხუმში დაიღუპაო. ასეთი რამ სხვა ქვეყანაში არ ხდება!

— როგორ დაამტკიცეთ?

— სარჩელი შევიტანე და სასამართლოს გადაწყვეტილებით ავიღე გარდაცვალების მოწმობა.

— პენსია როგორც მარჩენალდაკარგულმა მიიღეთ?

— ვიცოდი, რომ მეკუთვნოდა დახმარება და სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მივმართე, მაგრამ უარით გამომისტუმრეს — არ გეკუთვნისო. სარჩელი შევიტანე გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში (1996-1997 წლებში), იქაც უარი მითხრეს. როცა მოსამართლე ია მარიამიძეს მივაკითხე გადაწყვეტილების წამოსაღებად, მითხრა: თქვენი მოთხოვნა კანონიერია, დახმარება გეკუთვნით, ბრძოლა არ მიატოვოთო. თუ მეკუთვნის, რატომ არ მომეცით დახმარება, მოსამართლე თქვენ არა ხართ-მეთქი?!

— რა გიპასუხათ?

— მე სხვანაირად არ შემეძლოო, — მითხრა.

— გააგრძელეთ ბრძოლა?

— დიახ! განცხადება შევიტანე შსს-ში, რადგანაც ჩემი ვაჟი ამირან ნორაკიძე ორგანოს მუშაკი იყო. საქმე გადაეცა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოს.

— დააკმაყოფილეს თქვენი სარჩელი?

— მოსამართლე მამუკა კონჯარიამ პირდაპირ მითხრა: თქვენი მოთხოვნა კანონიერია, მაგრამ სახელმწიფოსაც უჭირს და სამინისტროსაც, სადაც გინდათ, მიჩივლეთო.

კონჯარიას აცილება მივეცი. საქმე მოსამართლე ნოზაძეს გადასცეს. მან უარი განაცხადა სარჩელის განხილვაზე და ბოლოს მოსამართლე თოდრიას ხელში აღმოჩნდა, რომელმაც პრინციპულობა გამოიჩინა და გადაწყვეტილება ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა. 52 ლარი დამინიშნეს როგორც მარჩენალდაკარგულს, ვიღებდი 28 ლარსაც, მაგრამ 2005 წლის 23 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, შრომით მოპოვებული პენსია აღარ გაგვიზარდეს მარჩენალდაკარგულებს.

2006 წლის თებერვლიდან დავიწყე ბრძოლა, მაგრამ შედეგს დღემდე ვერ მივაღწიე. პირადად შევხვდი და ვესაუბრე ბატონ გია არსენიშვილს — ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის ხელმძღვანელს. ნახევარ საათზე მეტი ვილაპარაკეთ.

— რა გითხრათ?

— მივესალმები თქვენს შემართებას, ამით სხვების საქმესაც აკეთებთო, — შემაქო. ვთხოვე, პარლამენტში ემსჯელათ ამ საკითხზე.

— დაგეთანხმათ?

— სამწუხაროდ, — მე არაფერი შემიძლიაო, — მითხრა.

— კიდევ ვის შეხვდით?

— ორჯერ მიმიღო ბატონმა ოთარ თოიძემ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ. სერიოზული საუბარი გვქონდა. თქვენი მოთხოვნა კანონიერიაო, — მითხრა, მაგრამ მას შემდეგ უკვე ერთი წელი გავიდა და არაფერი შეცვლილა. ფარხმალი არ დავყარე და 2007 წლის 1 ივნისს სარჩელი შევიტანე საკონსტიტუციო სასამართლოში. 2007 წლის 7 დეკემბერს გაიმართა პროცესი, რომელზეც მოსამართლემ გამოიტანა განჩინება და არა გადაწყვეტილება.

— რა წერია განჩინებაში?

— თქვენ მიმართ კონსტიტუცია დარღვეული არ არის, რადგანაც იღებთ სახელმწიფო კომპენსაცია-დახმარებას მარჩენალის დაკარგვის გამო და არა — პენსიასო. გამოდის, რომ უსამართლოდ მომექცნენ, მაგრამ სამართალს მაინც ვერ მივაგენი. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ საჯაროდ აღიარა, სამარცხვინო კანონი მივიღეთო, არაფერი იცვლება... მე კომპენსაცია-დახმარებას ვიღებდი 52 ლარის ოდენობით მარჩენალის დაკარგვის გამო, რაც უკანონოდ ჩამითვალეს სახელმწიფო პენსიად.

— ახლა რას აპირებთ?

— მე მისვამთ ამ შეკითხვას?!. უშუალოდ პარლამენტარებს მინდა, ვკითხო, როდის დაგვიბრუნებენ წართმეულ კაპიკებს, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, არსებობა გვინდა. სამწუხაროდ, საქართველოში ბრძოლის ყველა საშუალება ამოვწურეთ. იცით, სად ვიყავი დღეს?

— სად იყავით?

— საერთაშორისო წითელი ჯვრის წარმომადგენლებს შევხვდით. დახმარებას შეგვპირდნენ. საკითხს შეისწავლიან და შუამდგომლობით მიმართავენ ჩვენს სახელმწიფოს. შეხვედრას ესწრებოდნენ, აგრეთვე, აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა მოძიებისა და მათი ოჯახების უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისიის წევრები. ეს კომისია გაუქმებული იყო და ახლა აღადგინეს. მათაც მივმართე წერილობით, მაგრამ პასუხიც კი არ მაღირსეს, გაგონილა ასეთი რამ? კომისიას ჰყავს იურისტი, რომელიც ვალდებულია, მოგვემსახუროს, მაგრამ გაგვირბის, გვემალება... ხალხი ფეხებზე ჰკიდია. მითხარით, რაში იღებს ხელფასს?.. პენსიონერები გაგვძარცვეს და ჯამაგირები 200 პროცენტით გაიზარდეს, ადამიანების ბედი არ აინტერესებთ, აი, როგორ ქვეყანაში ვცხოვრობთ!

ესაუბრა
ნინო გოჟიაშვილი

ტელეკომპანია – ფორმალური მფლობელები და რეალური მეპატრონეები

ცოტა ხნის წინათ კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ახალმა თავმჯდომარემ ირაკლი ჩიქოვანმა ტელეკომპანია „ობიექტივის“ ადვოკატს ბესარიონ კვირიკაშვილს სენსაციური შინაარსის პასუხი მისწერა. ჩიქოვანის წერილიდან ირკვევა, რომ 2008 წლის 16 მაისამდე ტელეკომპანია „ალანია“ ულიცენზიოდ მაუწყებლობდა.
ქვეყანაში, სადაც თავისუფალ მედიას ჭუჭრუტანაც კი ამოუქოლეს, არსებობს ტელეარხი, რომელიც თურმე ულიცენზიოდ გადის ეთერში. რას ნიშნავს ეს? უახლოეს ხანში ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ მარეგულირებელი კომისიის წინააღმდეგ სასამართლოში მორიგი სარჩელის შეტანას აპირებს. სარჩელის საგანი „ალანიას“ ულიცენზიო მაუწყებლობას ეხება. მანამდე კი, ვნახოთ, ვინ ლობირებდა და ლობირებს „ალანიას“?..

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო ელექტრონული მედიის სრული მონოპოლიზაცია. შტურმი მიიტანეს არა მარტო მეტრულ, ანუ ქვეყნის მასშტაბით მაუწყებელ, არამედ დეციმეტრულ (თბილისზე მაუწყებელ) არხებზე. შანტაჟით, ზენოლით, დაშინებით ცვლიდნენ მესაკუთრეებს, აღძრავდნენ სისხლის სამართლის საქმეებს. ამ სქემის დამკვეთნი იყვნენ ხელისუფლების პირველი პირები: სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი, ხოლო შემსრულებელი — კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია და მისი თავმჯდომარეები 2004-2008 წლებში.

ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ გამოძიებამ ცხადყო, რომ დიმიტრი ქიტოშვილი პირდაპირ აშანტაჟებდა მესაკუთრეებს და აძალებდა კომპანიებში საკონტროლო პაკეტის დათმობას. ეს „ტრადიცია“ განაგრძო გიორგი არველაძემ, რომლის თავმჯდომარეობის პერიოდშიც არაერთ ტელეკომპანიას ხელოვნურად, კანონის უხეში დარღვევით გაუუქმეს ლიცენზია და გადასცეს ხელიუფლებისთვის სასურველ პირებს. ტელეკომპანია „ობიექტივის“ საკონტროლო პაკეტი სწორედ ქიტოშვილისა და შემდგომ გიორგი არველაძის ზეწოლით გადაფორმდა ვინმე დავით კაკაურიძეზე, შემდეგ — ნოდარ ჭარხალაშვილზე, ბოლოს — გურამ კვირიკაშვილზე.

2008 წლის 13 თებერვალს ნოდარ ჭარხალაშვილმა მიმართა ნოტარიუს ბოჭორიშვილს და სთხოვა წილის გასხვისების დადასტურება. 2008 წლის 14 მარტს კომუნიკაციების კომისიას, სადაც ჭარხალაშვილის მეუღლე სოფიო ბრიტანჩუკი კომისიის წევრის სტატუსით სარგებლობს, მიმართავს ტელეკომპანია „ალანია“, რათა გამოცხადდეს კონკურსი და მიიღოს ლიცენზია (თუ მეხსიერება არ გვღალატობს, „ალანია“ 2008 წლის თებერვლამდე კარგახანს იყო ეთერში. ჩნდება კითხვა: ულიცენზიოდ მაუწყებლობდა?).

2008 წლის 16 მაისს მარეგულირებელმა კომისიამ „ალანიას“ მისცა ლიცენზია იმ სიხშირეზე, რომელზეც ზემოხსენებული ტელეარხი ისედაც მაუწყებლობდა, ანუ ხელისუფლებამ „გააპრავა“ ტელევიზიის მაუწყებლობა.

ჩვენი გამოძიების წყაროთა ინფორმაციით, ნოდარ ჭარხალაშვილი თავდაცვის ექსმინისტრის დავით კეზერაშვილის კადრია და სწორედ მისი თხოვნით გადაიფორმა ტელეკომპანია „ობიექტივი“ „ფორმალურად“, როგორც თავად აცხადებს.

ჩვენ, „ობიექტივის“ ჟურნალისტები, ვამტკიცებთ, რომ ეს არხი ხელისუფლებამ წაგვართვა. ამის მარტივი დადასტურებაა „ალანიას“ დირექტორის ვინაობა. მამუკა თათოშვილი ვანო მერაბიშვილთან დაახლოებული პირია. ის წარმოშობით ახალციხელი გახლავთ. „ვარდების რევოლუციამდე“ მუშაობდა ახალციხეში, „რუსთვი 2“-ის კორპუნქტის ოპერატორად. შემდეგ ჩამოვიდა დედაქალაქში და გახდა „ალანიას“ დირექტორი. გასაგებია, რომ თათოშვილიც ფორმალური დირექტორია, რადგან „ალანიას“ სინამდვილეში აკონტროლებს კონტრდაზვერვის სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტრო. „მაუწყებლობის შესახებ“ კანონით, სახელმწიფო სტრუქტურებს ეკრძალებათ, ფლობდნენ უწყებრივ ტელემაუწყებლობას. როგორც ხედავთ, კანონი ყველას ფეხზე ჰკიდია. უწყებრივი ტელევიზიაა „საქართველოც“, რომელიც „202“-ს წაართვეს და თავდაცვის სამინისტროს გადასცეს!!!

საქართველოს ტელესივრცეში ბნელა. ჟურნალისტთა კავშირი „ობიექტივი“ ტელეარხის წამრთმევთა ფოტოების გავრცელებას მთელი თბილისის მასშტაბით გეგმავს. არ დარჩება ხე, რომელზეც ბრიტანჩუკისა და მისი მეუღლის ფოტოები არ გაიკვრება წარწერით: „ტელეარხის წამრთმევები. გრცხვენოდეთ!“

ირმა ინაშვილი,
ჟურნალისტთა კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი



შპს ტელეკომპანია „ობიექტივი-2“-ის დამფუძნებელი პარტნიორის ქეთევან ასათიანის წარმომადგენელს მიხეილ აგლაძეს და ადვოკატ ბესო კვირიკაშვილს

(პასუხი თქვენს 16 ივნისის განცხადებაზე)

თქვენი წერილის (№6/1324-09 16.06.09) პასუხად, გაცნობებთ, რომ ტელეკომპანია „ალანია“ 2008 წლის მარტის თვემდე არ ფლობდა სამაუწყებლო ლიცენზიას, მის მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის მოპოვება მოხდა 2008 წლის 16 მაისს.

კომისიის თავმჯდომარე ირაკლი ჩიქოვანი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ავღანეთში ომი ორ ფრონტზე მიმდინარეობს

ობამას ადმინისტრაცია დღესდღეობით ავღანეთში ორ ბრძოლას აწარმოებს. პირველი ფართო ფრონტზე გაშლილი საბრძოლო მოქმედებებია „თალიბანის“ წინააღმდეგ; მეორე კი დროსთან ბრძოლაა კონგრესში, სადაც, შესაძლოა, მოთმინების თასი თალიბებზე ადრე აევსოთ.

ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც საზღვაო ქვეითები ქვეყნის სამხრეთ პროვინციაში, გელმანდში, შევიდნენ და მოძრაობა „თალიბანის“ ამოსაძირკვად ბოლო წლების უდიდესი შეტევა დაიწყეს. ეს შეტევა სამხედრო ღონისძიებების ახალი ეტაპის დასაწყისის სიგნალი გახდა და ამან გარკვეული შედეგი უკვე გამოიღო.

მაგრამ მან, ასევე, აჩვენა, რომ ავღანეთში გამარჯვების მოპოვება ძალიან ძვირი დაჯდება. გასულ კვირას ათი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. მიუხედავად ამისა, ამერიკელი ხელმძღვანელები ამბობენ, რომ აუცილებელია უფრო მეტი ავღანელი ჯარისკაცის მომზადება. პენტაგონის ლიდერი კი აცხადებს, რომ თალიბებთან ბრძოლაში საფუძვლიანი გარდატეხის შეტანამდე წელიწადი ან წელიწად-ნახევარი დარჩა.

და აქ ჩნდება პოლიტიკური მოსაზრებები. მთავარმა დემოკრატებმა კონგრესში მკვეთრად დააფიქსირეს თავიანთი პოზიცია, რომ მათი მოთმინება ავღანეთთან დაკავშირებით სულაც არაა ამოუწურავი, მით უმეტეს, რომ ამ ომის უკვე მერვე წელი მთავრდება. საერთო ჯამში კონგრესმა მაინც გადაწყვიტა, სრული მოცულობით დაეფინანსებინა სამხედროები, მაგრამ მიახვედრა პენტაგონი და თეთრი სახლი, რომ მათ თავიანთი წარმატებების დემონსტრირება მომავალი წლის დასაწყისში მოუწევთ. სხვანაირად სამხედრო დაფინანსების საკითხი ეჭვქვეშ დადგება.

მოკლედ რომ ვთქვათ, ავღანეთთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ ახალი სტრატეგია შეიმუშავა; დანიშნა იქ ახალი მმართველი, გადაისროლა 21 000 სამხედრო მოსამსახურე (შესაძლოა, დაამატოს კიდეც) და დაიწყო შეტევათა სერიიდან პირველი. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში მას გამუდმებით ჩაესმის ყურში, როგორ დაუნდობლად წიკწიკებს პოლიტიკური საათი.

სამხედრო ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებს, რომ დრო იწურება. როცა შტაბის ხელმძღვანელთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე, ადმირალი მაიკ მალენი (Mike Mullen) გასულ კვირას სადილობისას, ავღანეთზე საუბრობდა, მის ნათქვამში რამდენიმეჯერ გაიუღერა ფრაზებმა: „აჩქარება“, „რაც შეიძლება, ჩქარა“, „უფრო ჩქარა, ვიდრე ეს წარმოსადგენია“. გგონიათ, ის ამას ვერ ხვდება?

მაგრამ ადმირალი მალენი სწრაფ გამარჯვებას არ გვპირდება. ის ღიად და პირდაპირ აცხადებს, რომ „ბოლო სამი წელი ავღანეთში ძალადობასა და დაუმორჩილებლობის მოძრაობაზე უარყოფითად აისახება“. „მტერი ძლიერდება და უფრო გადამწყვეტად მოქმედებს. ჩვენ ეს ტენდენცია უახლოეს 12-18 თვეში უნდა დავძლიოთ, ისე, რომ იგი უკუსვლით წავიდეს“.

მაგრამ მათ ეს დრო დარჩათ? როცა კანონმდებლებმა ამ გაზაფხულზე ერაყისა და ავღანეთის დაფინანსების კანონპროექტი წარუდგინეს, წარმომადგენლობითი პალატის საბიუჯეტო ასიგნებების კომისიის გავლენიანმა თავმჯდომარემ დევიდ ობეიმ (David Obay) „ღრმა დაეჭვება“ გამოხატა, რომ ადმინისტრაცია სამხედრო წარმატებას მიაღწევს ავღანეთში. მან დაუფარავად მოიყვანა შედარებები ვიეტნამთან. ამ ვისკონსინელმა დემოკრატმა წელს ომის დაფინანსებისთვის სახსრების გამოყოფის კანონი გაიტანა, მაგრამ მოითხოვა, რომ ადმინისტრაციამ მომავალი წლის დასაწყისში საქმის ვითარების შესახებ ანგარიში წარმოადგინოს.

კონგრესში სხვა ლიდერები ამბობენ, რომ მათი მოთმინება უფრო დიდია, ვიდრე საქმის არსებული მდგომარეობიდან შეიძლება ჰქონდეთ. „ჩვენ ვაცნობიერებთ წესრიგის აღდგენის აუცილებლობას, მას შემდეგ, რაც იგი ბუშის ადმინისტრაციამ დაანგრია,“ — ამბობს საბიუჯეტო ასიგნებების კომისიის წამყვანი დემოკრატი დები ვასერმან შულცი (Debbie Wasserman Schultz) ფლორიდიდან. შედეგად, როგორც ის ამბობს, „მე მიჩნდება შეგრძნება, რომ დემოკრატებს ჯერ კიდევ საკმარისი მოთმინება შერჩათ,“ რომელიც ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და „დემოკრატიული პროცესის“ წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

თუმცა ავღანეთში სიტუაციის დალაგება და დემოკრატიის შექმნა არცთუ ისე იოლი, თითქმის ამოუხსნელი ამოცანაა. ავღანეთში აგვისტოში საყოველთაო არჩევნებია და პრეზიდენტი კარზაი, შესაძლოა, ახალი ვადით აირჩიონ. მაგრამ ეს საეჭვო გამარჯვება იქნება, რამეთუ მას სულ უფრო ხშირად არასაიმედო დასაყრდენად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ლიდერად მიიჩნევენ.

ამასთან, სულ უფრო ნათელი ხდება, თუ რა სჭირდებათ ამერიკელ სამხედროებს ავღანეთში წარმატების მისაღწევად. მათ ყველაზე მეტად ადგილობრივი ავღანური ძალების დახმარება აკლიათ. ადმირალი მალენი ამბობს, რომ ავღანეთის არმიის რიგებში 80 000-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურეა, თუმცა ეს რიცხვი დაახლოებით 134 000-მდე უნდა გაიზარდოს. ნაციონალურ პოლიციაში 82 000-მდე ადამიანი ირიცხება, მაგრამ მათი მომზადების დონე ძალიან დაბალია. აშშ ავღანეთში სასწრაფო წესით აგზავნის 4 000 სამხედრო ინსტრუქტორს.

ამასთანავე, ამერიკელთა ახალი მეთაური ავღანეთში, გენერალი სტენლი მაკკრისტალი (Stanley McChristal) ატარებს ამერიკის ძალების რიცხოვნობის 60-დღიან შემოწმებას, რის შემდეგაც ეს ძალები, შესაძლოა, 68 000-მდე გაიზარდოს. მაკკრისტალის ახალი სტრატეგია ითვალისწინებს ძალების საბრძოლო მოქმედებების თეატრზე მობილიზებას აჯანყებულთა საწინააღმდეგო ოპერაციების ჩასატარებლად მცირერიცხოვანი საპატრულო დაჯგუფებების გამოყენებით, რომლებიც თალიბებს სოფლებიდან და დასახლებებიდან გამორეკავენ და, რაც ყველაზე მთავარია, შეაკავებენ მათ.

„მთავარი ის კი არაა, რამდენ მტერს მოვკლავთ, არამედ ის, თუ რამდენ მშვიდობიან მოსახლეს დავიცავთ თალიბებისგან“, — ამბობს ადმირალი მალენი, თუმცა არის კიდევ ერთი ხანგრძლივი საფრთხე. თალიბებმა იციან, რომ პოლიტიკური საათი წიკწიკებს და დროის ათვლა დაწყებულია. ისინი ამერიკელებს დროებით მოსულებად მიიჩნევენ და შეუძლიათ, ჩუმად ისხდნენ მათი წასვლის მოლოდინში.

თანამედროვე მსოფლიოში 200 მილიონი მონაა

მსოფლიომ, კარგა ხანია, მხრებიდან გადაიგდო მონობის მძიმე უღელი, მაგრამ დემოკრატიულ პრინციპებსა და ადამიანის თავისუფლებაზე დამყარებულ დღევანდელობას უდიდეს შავ დამღად ადევს თეთრი მონობა, რომლის უღელიც ბევრად უფრო ძნელი მოსაშორებელი აღმოჩნდა თავად ცივილიზებული მსოფლიოსთვისაც კი. მოცილებას ვინღა დაეძებს, საქმე დღითიდღე უარესობისკენ მიდის.

რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნებული ადამიანთა ექსპლოატაციის პრობლემებთან დაკავშირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყოველწლიური ანგარიშის მიხედვით, 2008 წელს მსოფლიო მასშტაბით ეგრეთ წოდებული ტრეფიკინგის მსხვერპლთაგან ყოველი მეხუთე არასრულწლოვანი იყო. ამავე ანგარიშის თანახმად, პოსტსაბჭოთა სივრცისა და შუა აზიის ქვეყნები კვლავ „შავ სიაში“ რჩებიან. აქ ადამიანებით ვაჭრობის ბიზნესი ყვავის. ყველაზე ხშირად ადამიანების ექსპლუატირება ხდება სექს-მონობის სახით და ყოველ მეხუთე შემთხვევაში კი ტრეფიკინგის მსხვერპლი, პრაქტიკულად, უფასო სამუშაო ძალაა.

ადამიანებით უკანონო ვაჭრობის შესახებ საერთაშორისო მოხსენების ავტორებმა სიტუაცია 155 ქვეყანაში შეისწავლეს და მიღებული შედეგები გასაანალიზებლად ექსპერტებს დაუდეს. ექსპერტები შემაშფოთებელ მომავალს ვარაუდობენ: ფინანსური კრიზისის ფონზე უფასო შავ მუშებსა და სექს-მონებზე მოთხოვნილება მნიშვნელოვნად გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირდაპირ-პროპორციულად გაიზრდება თეთრი მონობის მხვერპლთა რაოდენობაც.

2008 წელს ქალებისა და ბავშვების ექსპლოატაციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია — ტრეფიკინგის მთელი მოცულობის 79 პროცენტს. ამასთანავე, იმ 155 შესწავლილი ქვეყნიდან დაახლოებით მესამედში ადამიანებით ვაჭრობის საქმეს, ძირითადად, ქალები უძღვებიან. შუა აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში **ტრეფიკინგის ბრალდებით გასამართლებულთა შორის 60 პროცენტს ქალები წარმოადგენდნენ.** „ამ რეგიონებში ქალები ქალებს ყიდიან, შოკის მომგვრელი ფაქტია, როდესაც ტრეფიკინგის ყოფილი მსხვერპლი ადამიანებით მოვაჭრე ხდება“, — ამბობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულებათა სამმართველოს (UNODC) ხელმძღვანელი ანტონიო მარია კოსტო. ანალიტიკოსები კარგა ხანს ცდილობდნენ, ამოეხსნათ ფსიქოლოგიური, ეკონომიური და ყველა სხვა შესაძლო მოტივი, რომელიც ქალს აიძულებს, სუსტი სქესის სხვა წარმომადგენლები პროსტიტუციაში ჩაითრიოს.

მსოფლიო მასშტაბით ადამიანთა უკანონო ექსპლოატაციის მოტივებს შორის მეორე ადგილზე იაფი მუშახელის გამოყენების ხარჯზე ფულის შოვნის სურვილი დგას. დაზარალებულთა 18 პროცენტს სწორედ ეს ბედი ხვდა წილად, თუმცა ექსპერტები თვლიან, რომ აღნიშნული მაჩვენებელი არარეალურია. ამ სახის შემთხვევები ოფიციალურ სტატისტიკაში ცუდად აისახება და რეალური სურათი გაცილებით უფრო მძიმეა. სინამდვილეში არავინ იცის, რამდენი ადამიანია იძულებული შახტებში, მინდვრებში, საწარმოებში, ქარხნებსა თუ „თანამედროვე მონათმფლობელების“ სახლებში ჯოჯოხეთურ შრომას გაუძლონ. მსოფლიო კრიზისი მსგავსი ადამიანების რაოდენობის ზრდას გვიქადის, ვინაიდან იაფფასიანი ან, სულაც, უფასო მუშახელი არასდროს ყოფილა უფრო მეტად საჭირო, ვიდრე ახლაა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მფეთქავი წვრილმანი თუ მსხვილი კომპანიებისათვის.

ტრეფიკინგის ყოველი მეხუთე მსხვერპლი ბავშვია. ამასთანავე, მათ თავიანთი მფლობელები წვრილმანი საქმისთვისაც იყენებენ და პროსტიტუციისთვისაც. ისინი ხან მეთევზეების ახლართულ ბადეებს ასწორებენ, ხან ექსკლუზიურ ნივთებს ამზადებენ, ხან კერავენ, ხანაც კაკაოს პლანტაციებში იქანცებიან. ეს კიდევ არაფერია პროსტიტუციასა და პორნოგრაფიასთან შედარებით, სადაც ბავშვებს ათას გახრწნილობას აიძულებენ. ხანდახან არასრულწლოვან გოგონებს საცოლეებად ყიდიან, ბიჭებს კი — აქლემების მწყემსებად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით, ახლა მსოფლიოში 12 მილიონი მონაა, ეს ოფიციალური მონაცემებით; ექსპერტების აზრით კი, აღნიშნული ციფრი აისბერგის მხოლოდ წყალზედა ნაწილია. მათი ანგარიშით, **დღესდღეობით პლანეტაზე მცხოვრებ ადამიანთაგან 200 მილიონი თანამედროვე მონობის მსხვერპლია. შედარებისთვის, 400 წლის განმავლობაში აფრიკიდან ამერიკაში სულ 12 მილიონი მონა გაიყვანეს.** ევროკავშირის პოლიციური ორგანიზაცია ირწმუნება, რომ **ადამიანებით ვაჭრობას ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი სამყაროსათვის წელიწადში 19 მილიარდი დოლარის მოგება მოაქვს.**

2008 წელს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა იმ ქვეყნების სია, რომლებშიც ფართოდაა გავრცელებული ადამიანებით ვაჭრობა. შავ სიაში მოხვდნენ: კუვეიტი, ომანი, კატარი და საუდის არაბეთი. ამ ქვეყნებში აზიასა და აფრიკიდან ჩამოყვანილი იაფფასიანი მუშახელის ექსპლოატაცია ძალზე პოპულარული საქმეა. შავ მუშებს, როგორც წესი, ეკრძალებათ ქალაქში გადაადგილება, გამუდმებით ემუქრებიან ფიზიკური ანგარიშსწორებითა და ძალადობით და, რა თქმა უნდა, ჩასვლისთანავე ართმევენ პასპორტს. ამ ქვეყნების ხელისუფალთ სულ არ ადარდებთ ტრეფიკინგთან ბრძოლის მეთოდების ძებნა და არც დამნაშავეთა დასჯით იწუხებენ თავს.

მონურ შრომას ფართო გამოყენება აქვს ისეთ განვითარებად ქვეყნებში, როგორიცაა ბრაზილია, ინდოეთი და ჩინეთი. მეცნიერები თვლიან, რომ სწორედ ტრეფიკინგის მსხვერპლთა აუნაზღაურებელ არაადამიანურ შრომას ეფუძნება ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდა. „შავ სიას“ ალჟირი, ფიჯი, კუბა, ირანი, მიანმა, მოლდოვა, ჩრდილოეთ კორეა, პაპუა, ახალი გვინეა, სუდანი და საბერძნეთიც ვერ ასცდნენ.

ამ ქვეყნების მიმართ, შესაძლოა, დაწესდეს სანქციები და აშშ მხრიდან ჰუმანიტარული მხარდაჭერის გარდა შეწყდეს ყოველგვარი დახმარება.

სხვათა შორის, 2008 წელს „შავი სიიდან“ ხუთი ქვეყანა გაირიცხა — ბაჰრეინი, მალაიზია, უზბეკეთი, ეკვატორიალური გვინეა და ვენესუელა. ეს ერთადერთი კარგი ამბავია ტრეფიკინგთან დაკავშირებით, თუმცა ვენესუელა მთლად მშრალზე ჯერაც არაა, აშშ ხელისუფლება მას ადამიანის უფლებათა დარღვევაში, ნარკოტიკებით ვაჭრობასა და ტერორიზმში ადანაშაულებს.

უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ამერიკელი ექსპერტების შეფასებით 20-დან 65 მილიონამდე ადამიანი ინდოეთში იძულებითი ექსპლოატაციის მსხვერპლია. მიუხედავად ამისა, ეს ქვეყანა „შავ სიაში“ ვერ მოხვდა. ჯერ კიდევ აშშ სახელმწიფო მდივან კონდოლიზა რაისს ამ საკითხზე სერიოზული დებატები ჰქონდა თავისსავე პირველ მოადგილე ჯონ ნეგროპონტესთან. რა თქმა უნდა, რაისმა გაიმარჯვა და „აშშ-ის მნიშვნელოვანი მოკავშირე“ ინდოეთი ამოაშლევინა მონებით ვაჭრობაზე წამყრუებელი ქვეყნების სიიდან.

აფრიკაში სიტუაცია ბევრად უფრო რთულადაა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში. იქ ადამიანების მონებად გაყიდვის საწინააღმდეგოდ საკანონმდებლო ბაზაც კი არ არსებობს. არის მხოლოდ გარკვეული საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა თანახმადაც ქვეყანა იძლევა გარანტიას, რომ მისი მოქალაქეები თავისუფალნი იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია სტატისტიკურ კვლევას თანამედროვე მონობის შესახებ 2003 წლიდან ახორციელებს. უკანასკნელი 6 წლის მანძილზე კვლევებში მონაწილე ქვეყნების რიცხვი გაორმაგდა. საშუალოდ ყოველწლიურად 800 000 ადამიანი სხვა ქვეყანაში მონად იყიდება, მათგან 80 პროცენტი ქალია, ყოველი მეორე კი — არასრულწლოვანი. ყოველწლიურად მილიონობით ადამიანი მონა საკუთარ სამშობლოში ხდება.

ᲒᲡᲣᲠᲗ, ᲒᲐᲒᲕᲘᲖᲘᲐᲠᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ? ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ: 38-41-97, ᲐᲜ ᲛᲝᲒᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ: info@geworld.net

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘ

ამერიკის ხელისუფლებაში დაჩქარებული ტემპით რეკრუტირდებიან არათეთრკანიანი და „არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის“ ფიგურები, მსოფლიო ეკონომიკას კი კრიზისი არყევს. ეს ორი მოვლენა ერთმანეთთან უკიდურესად მჭიდროდაა დაკავშირებული.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲔᲚᲘᲢᲘᲡ ᲑᲣᲓᲔ

აშშ იყო პირველი თანამედროვე ლიბერალური სახელმწიფო, რომელიც დაეფუძნა პრინციპს — „ადამიანები დაიბადნენ თანასწორნი, ისინი შემქმნელების მიერ უზრუნველყოფილნი არიან სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერების ხელუხლებელი უფლებებით. ამ უფლებებს უნდა უზრუნველყოფდეს ხელისუფლება, რომელიც უფლებამოსილებას ხალხის თანხმობიდან იღებს“. ამერიკის პრეზიდენტები, ტრადიციულად, ქვეყნის ელიტის წარმომადგენლები იყვნენ, ელიტისა, რომლის წევრებიც, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პარტიას მიეკუთვნებოდნენ, ყოველთვის სწავლობდნენ ერთსა და იმავე უნივერსიტეტებში, ყოველთვის იყვნენ ერთი და იმავე საზოგადოებებისა და კლუბების წევრები.

2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების ორივე ნომინანტი — ჯორჯ ბუშიც და ჯონ კერიც იელის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, უნივერსიტეტისა, რომლის სტუდენტებიც საიდუმლო საზოგადოების „Skull and bones“-ის ჯერ წევრები, შემდეგ კი კურთხეულები ხდებიან. ეს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული საიდუმლო საზოგადოებაა, რომლის წევრებიც, მიუხედავად პოლიტიკური სიტუაციებისა, ამ დრომდე ინახავენ თავიანთ საიდუმლოებებს. ამ თემაზე საუბრისაგან თავის შეკავებას ძალზე მარტივად ხსნიან: „კი, ვიყავი ამ საზოგადოების წევრი, მაგრამ რაიმეს თქმა არ შემიძლია, რადგან ეს საიდუმლოა“. მიუხედავად ამ საყოველთაო დუმილისა, ცნობილია, რომ სტუდენტთა საიდუმლო საზოგადოება დაკავშირებულია ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურთან, ილუმინატებთან, ბილდერბერგერებთან და მასონებთან, ანუ ამერიკას საუკუნეების მანძილზე მართავდნენ ერთ ბუდეში გამოზრდილი ბარტყები, რომლებიც, შესაძლოა, თავს სხვადასხვა პარტიას მიაკუთვნებდნენ და სხვადასხვა შესაძლებლობას ფლობდნენ, მაგრამ შინაარსით ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდებოდნენ.

ᲐᲚᲘᲜᲡᲙᲘᲡ ᲥᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲣᲓᲔ

უკანასკნელი არჩევნებისას სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. სპეკულაციის თეორიებით შეიარაღებულმა ბანკირებმა ეკონომიკა მოშალეს და ფინანსური კრიზისი გამოიწვიეს, რის შემდეგაც ხელისუფლებაში მოვიდა სულ სხვაგვარი დაჯგუფება, რომელსაც ამერიკის კულტურასა და ტრადიციებთან არაფერი აკავშირებს. ახალ ხელისუფალთა უმრავლესობა პირველი-მეორე თაობის ემიგრანტია, რომლებმაც ყველასათვის „თანაბარი შესაძლებლობების“ წყალობით ამერიკაში კარიერაც გაიკეთა და ქონებაც დააგროვა, მერე კი ყველაფრის კრიტიკა და გადაკეთება დაიწყო, თანაც — სათავისოდ, რომ პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სფეროების ყველა საკვანძო პოზიციიდან ძველი ელიტის წარმომადგენლები განედევნათ. ეს მხოლოდ ახალი პრეზიდენტის არჩევნები კი არა, გადატრიალება იყო, გადატრიალება, რომლისთვისაც დიდხანს ემზადებოდნენ.

ბარაკ ობამამ კოლუმბიის უნივერსიტეტი დაამთავრა, ადვოკატის დიპლომი კი ჰარვარდის სამართლის სკოლაში მიიღო. მისი შეხედულებები მასონების ფილოსოფიის ნაცვლად 1909 წელს რუსეთიდან ემიგრირებული სოლ ალინსკის ნაშრომებზე ყალიბდებოდა. ორივე community organizer, ანუ მოსახლეობასთან მუშაობის ორგანიზატორი გახლდათ ჩიკაგოში, განსხვავება მხოლოდ ერთია — ალინსკი იმ მოძრაობის დამაარსებელი და იდეოლოგი იყო, რომლის ნაწილადაც იქცა მოგვიანებით ბარაკ ობამაც. როდესაც არსებობს ორგანიზატორი, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — რის ორგანიზებას ეწევა ის და რისთვის? ამ კითხვაზე თავად ალინსკიმ უპასუხა საკუთარი წიგნში „წესები რადიკალებისათვის დაწერილია უქონელთათვის, რომ ხელში ჩაიგდონ ქონება და მქონენი“.

გასული საუკუნის 30-იან წლებში, ზუსტად დიდი დეპრესიის პერიოდში, ალინსკის იდეა მოუვიდა ძალაუფლების მექანიზმის გახსნისა, რომელიც კორპორაციების, ბანკებისა და მომსახურების სფეროების საერთო ინტერესების გამოყენების საშუალებას იძლევა. სწორედ ამ მექანიზმის დახმარებით გადაწყვიტა ხელისუფლების ხელში ჩაგდება.

მან მოსახლეობასთან დაიწყო მუშაობა ისეთი ორგანიზაციების შექმნით, როგორიცაა: „Back of the Yards“ და „Industrial Areas Foundation“. ქსელი განუწყვეტლივ ფართოვდებოდა, ახლა კი უკვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანასაა მოდებული. ადგილებზე მომუშავე ორგანიზატორებს ალინსკი ჯერ თავად ავარჯიშებდა, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის შრომებს community organizers-ები დამოუკიდებლად ან მასწავლებლების დახმარებით ეუფლებოდნენ. ერთ-ერთი ასეთი მასწავლებელი თავად ბარაკ ობამაც გახლდათ. „FOX“-მა უჩვენა იმის ამსახველი ვიდეომასალა, თუ როგორ მიჰყავდა მას სოლ ალინსკის თეორიის კურსი.

„რადიკალთა წესებში“ ალინსკი წერს: „დოსტოევსკი თვლიდა, რომ ყველაზე მეტად ადამიანებს პირველი ნაბიჯის გადადგმისა ეშინიათ. ამიტომ **ნებისმიერ რევოლუციურ აფეთქებას წინ უნდა უსწრებდეს ადამიანების ცნობიერების ნელი, პასიური ცვლა, რის შედეგადაც მათ თავი იმდენად მიუსაფარად, გარიყულად, დაკარგულად და გამეფებულ სისტემაში უპერსპექტივოდ უნდა იგრძნონ, რომ თავად მოინდომონ წარსულის დავიწყება და მომავლის შეცვლა. ნებისმიერი რევოლუციისათვის მნიშვნელოვანია მასების სურვილი, მიიღონ გარდასახვა.** ასეთი სიტუაციის შექმნისათვის ორგანიზატორი მხოლოდ საშუალო ფენასთან კი არა, „ცისფერ საყელოებთანაც“ უნდა მუშაობდეს, თორემ ისინი მარჯვნივ გადაიხრებიან. ამის დაშვება არ შეიძლება.“ ღარიბებს ძალაუფლება არ აქვთ, ამიტომ რეალური სამიზნე საშუალო ფენა უნდა იყოს: „ახლა და მომდევნო ათწლეულებში ორგანიზაციამ თავისი მოქმედება ამერიკის საშუალო ფენისკენ უნდა მიმართოს. ეს ის მასაა, სადაც ძალაუფლებაა კონცენტრირებული...“

ალინსკი თავსაც კი არ იწუხებს, ოდნავ მაინც შენიღბოს მოძრაობის ძირითადი არსის ცინიკურობა — ძალაუფლების ხელში ჩაგდება სოციალური გარდაქმნების გზით. სოციალისტები კაცობრიობაზე ზრუნვას მაინც იბრალებდნენ. რადიკალების იდეოლოგიაში კი გარკვევითაა ნათქვამი, რომ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად საშუალო ფენა უნდა იქნეს გამოყენებული. სწორედ ესაა მარქსიზმისა და ალინიზმის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი.

ლობირების გზით ალინსკიმ ჩაატარა დიდი მოსამზადებელი სამუშაო „სრულუფლებიანი წარმომადგენლების“ ჯგუფების შესაქმნელად. მათ სახალხო კორპორაციების აქციონერები თავიანთ ხმებს გადასცემენ, ისინი კი აქციონერთა ყოველწლიურ შეხვედრებზე აძლევდნენ ხმას „სოციალური სამართლიანობის სასარგებლოდ“. ასე დაედო საფუძველი მოძრაობას, რომელიც 90-იან წლებში გამყარდა და რომლის მიზანიც აქციონერთა ამერიკული კორპორაციების საწინააღმდეგო ქმედების ორგანიზება გახდა.

მართალია, „წესები რადიკალთათვის“ ანტიკონსტიტუციური და ამორალურია, მაგრამ უკანასკნელი მოვლენების (და არა მხოლოდ ამერიკის) მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სოლ ალინსკის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს კიდეც. მისი ბუდიდან გამოფრინდნენ ნაციონალური და ინტერნაციონალური მასშტაბის ისეთი ქორები, როგორებიც არიან ედვარდ ჩამბერსი, მაიკლ გეკანი, ვეიდ რატკე, პატრიკ კროული და სხვები. ისინი არა მხოლოდ ხელმძღვანელობენ „Industrial Areas Foundation“-ის მასწავლებლის მიერ დაფუძნებულ ათობით ფილიალს, არამედ შექმნეს სხვადასხვა სახელწოდების ასობით მსგავსი ორგანიზაცია, რომელთაგან უკლებლივ ყველა, მიხედავად იმისა, „პროფკავშირი“ ერქმევა, „საზოგადოებრივ ორგანიზატორთა ასოციაცია დაუყოვნებელი რეფორმებისათვის“ თუ „მომსახურების სფეროს თანამშრომელთა საერთაშორისო კავშირი“, ემსახურება ერთადერთ მიზანს — გააააქტიურონ მშრომელთა მოძრაობა სოციალური გარდაქმნებისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად.

ალინსკისა და მისი ქორების გეგმები ამერიკის შეერთებული შტატებით არ შემოიფარგლება. ლიბერალების იდეოლოგის ფართოდ გავრცელებული სლოგანია: „იფიქრე გლობალურად, იმოქმედე ლოკალურად“.

ᲜᲘᲦᲑᲔᲑᲘ ᲩᲐᲛᲝᲩᲜᲘᲚᲘᲐ

ობივატელს, რომელიც უყურებს, თუ როგორ მოულოდნელად ცვლის ბარაკ ობამა საკუთარ გადაწყვეტილებებს, როგორ სარგებლობს სუფლიორის მონიტორით ყველაზე მარტივი განცხადებების გასაკეთებლადაც კი და როგორ ვერ ახერხებს დაწყებული წინადადების დამთავრებას ტექნიკური გაუმართაობის შემთხვევაში, სულ უფრო ხშირად უჩნდება კითხვა: ვინ დგას პრეზიდენტის უკან? პასუხი ცალსახაა — გამარჯვებულები მონაგარის განაწილებას შეუდგნენ, ანუ საიდუმლოებას ფარდა აეხადა.

ვნახოთ, რით დასრულდა ავტოგიგანტების გაკოტრება: „Chrysler“-ისაგან სახელმწიფომ აქციათა 25% ჩაიგდო ხელში, პროფკავშირმა — 55%. „General Motors“-თან დაკავშირებით მდგომარეობა საპირისპიროა: აქციების 70% — ხელისუფლებას და 20% — პროფკავშირს. ეს ამერიკული მანქანათმშენებლობის ტრაგიკული ფინალია, რომლის შემდეგაც კომედია იწყება: ჯორჯ სოროსის მითითებით, ეკონომიკური პოლიტიკის საკითხებში პრეზიდენტის სპეციალურ ასისტენტად ბრაიან დიზი დაინიშნა, 31 წლის პოლიტიკოსი, რომელიც ჰილარი კლინტონის საარჩევნო კამპანიაზე მუშაობდა, შემდეგ ბარაკ ობამას გუნდში გადავიდა, მერე კი გლობალური განვითარების ცენტრის (Center for Global Development) შემოთავაზება მიიღო. მანქანათმშენებლობის რეორგანიზება მისი პირველი სახელმწიფოებრივი თანამდებობაა. იგი „ამერიკული კაპიტალიზმის წესების გადაწერას“, სხვა სიტყვებით კი, უძველესი ავტოქარხნების დანგრევას აპირებს... როგორც ჩანს, სულ ესაა, რის გაკეთებაც სპეციალური ეკონომიკური ან ტექნიკური განათლების არმქონე პოლიტიკურ აქტივისტს შეუძლია.

ამ ტრაგედიის მედლის მეორე მხარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანაა, რადგან „General Motors“ ქარხნებს ბევრ ქვეყანაში ხურავს. ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. „BBC“-ს ოფიციალური ცნობით, ობამა უკვე ყველგან მმართველია: „გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ აშშ პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელსაც გერმანული მანქანათმშენებლის „Opel“-ის ბედზე მორიგი მოლაპარაკებებისას ტელეფონით ესაუბრა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში დაეხმარა“.

ვინ დაზარალდა? დაზარალდნენ გადასახადის გადამხდელები, რადგან მანქანათმშენებლობის უდიდესი ვალები სწორედ მათი ჯიბეებიდან იფარებოდა. მხოლოდ „General Motors“-მა 50 მილიარდზე მეტი ამერიკული დოლარი მიიღო. დაზარალდნენ ინვესტორებიც, საინვესტიციო ფონდებიც, საპენსიო და მასწავლებელთა ფონდებიც, რომლებიც გაყვლიფეს და მოისროლეს. ახლა ისინი ქირაობენ ადვოკატებს და ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ხელისუფლების ქმედებები ანტიკონსტიტუციურია.

კი, ანტიკონსტიტუციურია, მაგრამ ზუსტ შესაბამისობაშია ალინსკის სწავლებებთან. გახსოვთ მისი იდეა კრებებზე ხმისმიმცემ „უფლებამოსილ წარმომადგენლებთან“ დაკავშირებით? **სხვადასხვა ტიპის აქციების მფლობელთა ხმებით მანიპულირების წყალობით საბოლოო ჯამში გამოვიდა, რომ ავტოქარხნების გაკოტრების სახელისუფლო გეგმას უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.**

მანქანათმშენებლობა ჯერ-ჯერობით ეკონომიკაში ფედერალური ინტერვენციის უდიდესი ექსპერიმენტია. კარგი დასაწყისი საქმის ნახევარია, საიდუმლო ხმისმიცემის შესახებ კანონის შეცვლის შემდეგ პროფკავშირი ხელისუფლებას დაეხმარება, ხელში ჩაიგდოს მთელი ბიზნესი — მსხვილიც და საშუალოც.

ილუზია გამორიცხულია: **პრეზიდენტ ობამას ზურგსუკან დგანან მშრომელთა მოძრაობის მებრძოლი აქტივისტები, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს ხელისუფლება და ნადავლს ცინიკურად ინაწილებენ.** გამარჯვებას მხოლოდ მშრომელთა კავშირები როდი ზეიმობენ. მშრომელთა მოძრაობა მასებთან მომუშავე იდეური რუპორია. ვინ დებს ფულს ამ იდეოლოგიური მანქანის მუშაობისათვის და ვინ მიმართავს მას საჭირო კუთხით?

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

Skull and Bones — იმპერიის ელიტა

ძალზე ელიტური და პურიტანული იელის უნივერსიტეტის წიაღში ყოველწლიურად საუკეთესო ოჯახებიდან გამოსული 15 სტუდენტი ირჩევა. სწორედ ისინი ქმნიან არაჯანსაღი რიტუალების მიმდევარ საიდუმლო საზოგადოებას სახელწოდებით „Skull and Bones“ („ქალა და ძვლები“). ისინი სიცოცხლის ბოლომდე ეხმარებიან ერთმანეთს. ჯორჯ ბუში-უმცროსი და ჯონ კერი უკვე მრავალი წელია, დანარჩენ 800-მდე კურთხეულთან ერთად ამ ორგანიზაციის წევრები არიან. ორგანიზაცია „Skull and Bones“-ს სახელს უკავშირდება კონსპირაციული ლიტერატურა, რომელშიც მისი წევრები დადანაშაულებულნი არიან უოტერგეიტის სკანდალში (აშშ 1972 წ. პოლიტიკური სკანდალი, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის გადადგომით დამთავრდა. ეს აშშ ისტორიის მანძილზე ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა პრეზიდენტმა სიცოცხლეშივე ვადაზე ადრე შეწყვიტა საკუთარი მოვალეობების შესრულება), ღორების უბეში შეჭრასა და თვით ჯონ კენედის მკვლელობაშიც კი. საქმიან წრეებთან, განსაკუთრებით კი, საბანკო სექტორთან მჭიდრო კავშირების წყალობით, იელის უნივერსიტეტის ყოფილ თანაფაფელებს თავისუფლად შეუძლიათ, ახლო მომავალში მსოფლიო ფინანსების კონტროლი ჩაიგდონ ხელში.

ჯორჯ ბუში უფროსი (საათის მარცხნივ) „ქალა და ძვლების“ წევრებთან ერთად იელის უნივერსიტეტში. 1947 წელი

ამ ორგანიზაციის წევრებს ხელეწიფებათ საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს ან, სულაც, აშშ ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მუშაობის ჩაშლაც.

არაფერს ვიტყვით „Skull & Bones“-ის ეზოთერულ ხასიათზე, კურთხევის რიტუალებსა და სხვადასხვა ყოველწლიურ ცერემონიაზე. ამჯერად მთავარი ამ საზოგადოების სოციალური ფუნქცია და ის როლია, რომელსაც, შესაძლოა, ასრულებს კიდეც პოლიტიკაში. „Skull & Bones“ არის სისტემის მიერ შერჩევის გზით ელიტის შექმნის დემონსტრირება. ენტონი სატონის თქმით, საზოგადოების ყველაზე აქტიური წევრები 20-30 ოჯახის წარმომადგენელნი არიან, ოჯახებისა, რომლებიც გამოხატავენ დაინტერესებას, დაიცვან თავიანთი მემკვიდრეობა და შთამომავლობა. სწორედ ამ ელიტური ოჯახების წარმომადგენლები ხშირად ერთმანეთზე ქორწინდებიან, თუმცა უკანასკნელი წლების განმავლობაში ორგანიზაციის წევრები მხოლოდ მამრობითი სქესის სტუდენტები ხდებოდნენ.

პურიტანული და ელიტური იელის უნივერსიტეტი

„Skull & Bones“ იელის უნივერსიტეტის ეზოში ჩაისახა, რაც ჟურნალისტ ალექსანდრა რობინსის ბრწყინვალე გამოძიების მიხედვით სულაც არ იყო შემთხვევითობა.

XVIII საუკუნის დასაწყისში კონგრეგაციონალისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოაყალიბეს უნივერსიტეტების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა Harvard, Dartmouth, Williams, Bowdoin, Middlebury და Amherst. მაგრამ პრესვიტერიანელების მხრიდან წინააღმდეგობებს წააწყდნენ, ამან კი ჰარვარდის რექტორს ინკრიზ მეტერას მოქმედებისაკენ უბიძგა. მან 1701 წელს „ეკლესიისადმი ყურადღების შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისათვის სიმართლის გადასაცემად“ ახალი უნივერსიტეტის შექმნა გადაწყვიტა და საამისოდ თანამდებობაც დატოვა. 10 მღვდელთან ერთად (რომელთაგან ცხრა ჰარვარდელი გახლდათ) შექმნა კიდეც „Collegiate School of Connecticut“. ახალშექმნილ სასწავლებელს ისააკ ნიუტონმა, რიჩარდ სტილმა და ელიჰუ იელმა პირადი კოლექციების წიგნები გადასცეს. „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიაში“ ღვაწლისა და გუბერნატორ კოლინ მადრესას წყალობით გამდიდრებულ იელთან თანამშრომლობას შედეგიც მალე მოჰყვა. იელი არა მხოლოდ წიგნებით ამარაგებდა ინსტიტუტს, არამედ აქტიურადაც აფინანსებდა მას. ხელმძღვანელობამაც დაუფასა ღვაწლი და 1720 წლიდან ლამის უკვე 20 წლის უნივერსიტეტს მისი სახელი ეწოდა.

კონგრეგაციონალისტებთან კავშირები იელის უნივერსიტეტის სწავლებისა და ფუნქციონირების პურიტანულ მანერაში აისახა. უნივერსიტეტში ყველას — მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც, უნდა ჰქონოდა გარკვეული რწმენა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ რომელიმე მათგანის გულწრფელი დამოკიდებულება ამ რწმენის მიმართ რაიმე სერიოზულ ეჭვს წარმოშობდა, ის აუცილებლად დატოვებდა უნივერსიტეტს. ამ პურიტანიზმს ელიტურობის მანია ემატებოდა. იელში მოხვედრილი სტუდენტები ნაწილდებოდნენ არა გონებრივი შესაძლებლობების, არამედ მათი მშობლების საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით. იერარქიის სათავეში გუბერნატორებისა და ვიცე-გუბერნატორების შვილები და შვილიშვილები იდგნენ, მათ შემდეგ — უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეთა ოჯახის წევრები. კიდევ უფრო ქვედა საფეხური მღვდლებისა და უნივერსიტეტის ყოფილი მოსწავლეების შთამომავლებს ეკავათ. იერარქიას ასრულებდნენ ფერმერების, ვაჭრებისა და ხელოსნების შვილები. ამავე კლასიფიკაციის შესაბამისად ნაწილდებოდა ადგილები საკლასო ოთახებშიც, ეკლესიაშიც და სასადილოშიც. როგორც ალექსანდრა რობინსი აღნიშნავს, გასაოცარია არა ეს სოციალური კლასიფიკაცია სტუდენტების მიღებისას (ეს XVIII საუკუნის უნივერსიტეტთა უმეტესობისათვის იყო დამახასიათებელი), არამედ ის, რომ ეს საწყისი გადანაწილება სწავლის დასრულებამდე არანაირ ცვლილებას არ ექვემდებარებოდა. ამრიგად, იელის უნივერსიტეტი ელიტისა და შიდა იერარქიის წარმოქმნის სამაგალითო დაწესებულებად იქცა. სტუდენტები ცუდი ქცევის გამო დაბალ საფეხურზე გადაჰყავდათ, ვინაიდან ითვლებოდა, რომ მან ოჯახის ღირსებას ლაქა მოსცხო.

სწავლების პროცესის ესოდენ უნაკლო ორგანიზების პირობებში უფროსკურსელ სტუდენტებს უფლება ეძლეოდათ, დაეცინათ და შეურაცხყოფაც კი მიეყენებინათ უმცროსკურსელთათვის. უნივერსიტეტის წესებში გათვალისწინებული იყო მრავალი ზომა მხოლოდ ასაკზე დამყარებული ამ იერარქიისადმი პატივისცემის შესანარჩუნებლად. 1871 წელს ლიმან ბაგმა ფსევდონიმით გამოაქვეყნა საკუთარი ნაშრომი „ოთხი წელი იელის უნივერსიტეტში“, რომელშიც უნივერსიტეტის მიერ გამოყენებულ მექანიზმებს აანალიზებდა. ის თვლიდა, რომ ქცევის ასეთი განუკითხაობა გამოწვეული იყო დროებითი ფსიქოზის შესაქმნელად უნივერსიტეტის წესების უსაზღვრო ძალაუფლებით. შედეგად სუსტი ადამიანები სასტიკნი ხდებოდნენ, კარგი ადამიანები — დაუნდობელნი.

ელიტარობის, სასტიკი იერარქიულობისა და პურიტანობისადმი მიდრეკილებამ საფუძველი დაუდო სტუდენტების მიერ სხვადასხვა საზოგადოების დაარსებას, რომლებიც უნივერსიტეტის პარალელურად მუშაობდნენ. თავდაპირველად ეს ლიტერატურული წრეები იყო. სტუდენტები იძულებულნი იყვნენ, გამხდარიყვნენ რომელიმე გაერთიანების წევრი, რაც ხელს უშლიდა ელიტის ჩამოყალიბებას, მათი აზრით, ვისაც ამერიკის ახალი „არისტოკრატიის“ მკაცრი კვლავწარმოება სურდა. 1780 წელს იელის უნივერსიტეტში ორგანიზაცია „Phi Betta Kappa“-ს განყოფილება შეიქმნა სახელწოდებით „Alpha“. ამასთან, აყვავების ხანა დაუდგა მრავალ სხვა საზოგადოებას, მათ შორის, „Beethoven Society“-სა „Hexahedron Club“-ს... დროთა განმავლობაში ლიტერატურულმა კლუბებმა დაკარგეს მნიშვნელობა და უფრო ელიტურ, დახურულ, საიდუმლო საზოგადოებებად გადაკეთდნენ.

XIX საუკუნის შუა წლებში უკვე არსებობდა სამი ძირითადი საზოგადოება: „ქალა და ძვლები“ („Skull & Bones“), „გრაგნილი და გასაღები“ („Scroll and Key“) და „მგლის თავი“ („Wolfs Head“).

იელის უნივერსიტეტის მასწავლებელთა შემადგენლობამ გადაწყვიტა, ამ მოძრაობას შეერთებოდა. „Skull & Bones“-ის დაარსებიდან ექვსი წლის შემდეგ ექვსმა ელიტურმა მასწავლებელმა ჩამოაყალიბა „კლუბი“ („Club“), რომელსაც მოგვიანებით „ხნიერთა კლუბი“ („Old Mans Club“) ეწოდა. საზოგადოების დამაარსებელთა შორის იყვნენ ჯოშუა უილარდ გიბსი და თეოდორ დუაიტ ვულსი. მალე მათ უილიამ ჰოუვარდ ტაფტი, მომავალი უმაღლესი მოსამართლე სიმონ ბოლდუინი, თომას ბერგინი, ნეიროქირურგი ჰარვი კაშინგი და „Skull & Bones“-ის დამაარსებელი უილიამ რასელი შეუერთდნენ. მათგან მხოლოდ თომას ბერგინი და ჰარვი კაშინგი არ გაერიანდნენ „Skull & Bones“-ში.

ოპიუმის ომი

იელის უნივერსიტეტი იდეალურ ადგილს წარმოადგენდა ისეთი ელიტური და გავლენიანი საზოგადოების აყვავებისათვის, როგორიც „Skull & Bones“ იყო. თავად ეს საიდუმლო საზოგადოება კი თავის წარმატებას თავისსავე შემქმნელს, რასელების დიდი ოჯახის წარმომადგენელს უილიამ რასელს უნდა უმადლოდეს. ამავე ოჯახის ერთ-ერთი წევრი ნოადა რასელი კონგრეგაციონალური ეკლესიის წევრი იყო და თავად იელის უნივერსიტეტის შექმნაში მონაწილეობდა. რასელების კლანი ჩაერთო დიდ ოპიუმის ომშიც, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში დიდმა ბრიტანეთმა ჩინეთის წინააღმდეგ გააჩაღა. XVIII საუკუნის დასასრულს ინგლისის მიერ ბენგალიში დამუშავებული ოპიუმი მონოპოლიურ მფლობელობაში გადაეცა „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიას“, რომელიც უშუალოდ სამეფო ოჯახს ეკუთვნოდა. კომპანიის მუშაობაში წარსულში ელიჰუ იელი მონაწილეობდა. 1815 წელს დაწყებული ოპიუმის ომის მიზანი ჩინეთის უზარმაზარ ბაზარზე ამ ნარკოტიკის ძალადობრივად დანერგვა გახდა. ყოველწლიურად შეტანილი ოპიუმის რაოდენობა 1792 წლის 320 ტონიდან 1817 წელს 480 ტონამდე გაიზარდა, 1837 წელს კი 3200 ტონას მიაღწია. ამ დროს ჩინეთმა დედოფალ ვიქტორიას მოსთხოვა, შეეწყვიტათ ნარკოტიკის შეტანა. დედოფალმა კი უპასუხა, რომ დიდი ბრიტანეთისთვის ესოდენ მომგებიან საქმეზე უარს ვერ იტყოდა.

პეკინსა და ლონდონს შორის დაძაბულობა ღრმავდებოდა: 1839 წლის თებერვალში ბრიტანელი ვაჭრების კანტონის წარმომადგენლობის წინ ერთ-ერთი ჩინელი ნარკოკურიერი ჩამოახრჩეს. 1839 წლის ივლისში დიდი ბრიტანეთის დედოფალმა დიდი რაოდენობით ოპიუმის განადგურების ნებართვა გასცა. ამის შემდეგ კანტონი და მაკაო ბევრმა ინგლისელმა დატოვა და უფრო მოშორებული ადგილებისკენ გადაინაცვლა, რათა დიდი ბრიტანეთის საზღვაო ფლოტის ოფიციალური მხარდაჭერით კვლავ გაეგრძელებინა ოპიუმის გადაზიდვები. ამ პირობებში კონფლიქტი გარდაუვალი იყო: 4 სექტემბრის პირველი საზღვაო შეტაკებისას ჩინეთის გემების დიდი უმრავლესობა განადგურდა. ამ შეტაკებებმა ჩინეთის სამხედრო სისუსტეც გამოავლინა და ინგლისის უყოყმანო დაჟინებაც — დაემკვიდრებინა ლიბერალიზმის ნარკოტრაფიკზე დაფუძნებული პრინციპები.

უილიამ რასელის ძმა — სამუელ რასელი ოპიუმის ომში მთავარი მოქმედი გმირი გახლდათ. წარმოშობით ამერიკელმა სამუელმა 1813 წელს დააარსა კომპანია „Russell & Company“, რომელიც 1820-იან წლებში ჩინეთში ოპიუმის გადაზიდვით დაკავებული ინგლისური „აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანიის“ კონკურენტი გახდა. კომპანია „Russell & Company“-ს ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი ფრანკლინ დელანო რუზველტის პაპა — უორენ დელანო გახლდათ.



იელის უნივერსიტეტი

დასასრული შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ვაჰაბიზმი - «ოქროს მილიარდისთვის» ბრძოლის შენიღბული ფრონტი

ვაჰაბიზმზე, ისლამის ამ ფუნდამენტალისტური მიმდინარეობის შესახებ, მის წარმოშობაზე, მიზნებსა და მიმდევრებზე საქართველოში, კერძოდ, პანკისის ხეობაში, „საქართველო და მსოფლიო“ უკვე წერდა (იხ. „სმ.“ №19, ირინა გოგოსაშვილი, „ვაჰაბიტები პანკისში“). პუბლიკაციამ დაინტერესა ჩვენი მკითხველები. ისინი გვთხოვენ, დაწვრილებით მოვუთხროთ ვაჰაბიზმზე, რომლის არსებობაც პოსტსაბჭოთა სივრცეში მცხოვრებმა ადამიანებმა, პრაქტიკულად, ჩეჩნეთის მეორე კამპანიის პერიოდში შეიტყეს.

ვინ არიან ვაჰაბიტები, ანუ ვაჰაბელები, რა არის „სუფთა ისლამი“, საიდან მოდის „ისლამური ექსტრემიზმი“ და როგორ ვრცელდება იგი თანამედროვე მსოფლიოში, რომელიც, პირდაპირ ვთქვათ, ამის გამო შეშფოთებას არ მალავს, ხოლო ზოგიერთი პოლიტოლოგი თუ პოლიტიკოსი, ვაჰაბიზმის არსიდან გამომდინარე, რელიგიათა ომსაც კი „წინასწარმეტყველებს“?

ცნობილია, რომ ისლამის ამ მიმართულებას საფუძველი მუჰამედ ალ-ვაჰაბმა დაუდო, რომელიც XVIII საუკუნეში ცხოვრობდა. ალ-ვაჰაბი მორწმუნეთ ისლამის ფესვებთან დაბრუნებისკენ მოუწოდებდა, ყურანის თავდაპირველი ტრადიციების მომდევნო დროთა მიერ მოტანილი დანაშრევებისგან გაწმენდას ქადაგებდა. ისლამის განსხვავებული გაგება, რომელიც ალ-ვაჰაბის „ახალ“ მოძღვრებას ეფუძნება, დღეს საუდის არაბეთში დომინირებს.

მაგრამ თანამედროვე ვაჰაბიტებს (ვაჰაბელებს) ცოტა რამ თუ აკავშირებთ იმ მოძღვრებასთან, რომელზეც ვლაპარაკობთ. ვაჰაბიზმი, როგორც ახალი პოლიტიკურ-რელიგიური ძალა, ცოტა ხნის წინათ ჩამოყალიბდა, **მისი მიზანი, ახლა დაუფარავად შეიძლება ითქვას, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის გამაჰმადიანებას და ყოფილი საბჭოთა კავშირის მოსახლეობის 20-30 მილიონამდე შემცირებას გულისხმობს.**

ჩვენი განათლებული მკითხველი ამასთან დაკავშირებით გაიხსენებს: **„სამასთა კომიტეტს“, „მსოფლიო მთავრობას“, მასონთა გასაიდუმლოებული ტრანსნაციონალური ორგანიზაციის „მსოფლიოს გადარჩენის“ „პოლიტიკას“, რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანი დედამიწის მოსახლეობის „ოქროს მილიარდამდე“ შემცირება იყო და არის.**

რადიკალური მუსლიმანების დასავლეთის პოლიტიკასთან თანაზიარობა, მით უფრო, თანამშრომლობა, ძნელი წარმოსადგენია. მაგრამ ხომ ფაქტია, რომ დასავლეთის პოლიტიკა, რომელიც რამდენიმე ათეული წელიწადია, მსოფლიო რესურსების „ოქროს მილიარდის“ სასარგებლოდ გადანაწილებისკენაა მიმართული, აბსოლუტურად ემთხვევა ვაჰაბიტურ ზეამოცანას, ანუ პლანეტის ყველაზე მეტად განვითარებული სახელმწიფოების მოსახლეობის სასარგებლოდ დანარჩენის — მილიარდზე მეტის — ამოჟლეტის გზით?

ექსპერტები, რომლებიც სპეცსამსახურების საქმიანობაში არიან გარკვეულები, ამტკიცებენ, რომ ისლამის ამ ახალ მიმდინარეობას დასავლეთის სპეცსამსახურები საკმაოდ ეფექტიანად იყენებენ.

ვაჰაბიტური დოგმატების იდენტურობა დასავლურ პოლიტიკასთან ამ დაახლოებას სერიოზულად უწყობს ხელს. თუ გვინდა, ობიექტურები ვიყოთ, უნდა ვთქვათ, რომ „დოგმატები“ პირობითი განსაზღვრაა, რადგან ისინი იდეები უფროა, ვიდრე დოგმატი და მათი მიუღებლობა ვაჰაბელობას და ვაჰაბიზმის აღიარებას გამორიცხავს. ესაა მთავარი.

გაეშიფროთ.

უწინარეს ყოვლისა, ეს ნიშნავს, რომ არ არსებობდა არავითარი ერთიანი საღვთო წერილი, ყურანი, რომ ალაჰი თვითონ კარნახობდა მუჰამედს გონების განათების ჟამს; რომ ასეთივე ყურანები მიეცა ყველა ხალხს, მაგრამ მხოლოდ არაბებმა შეინარჩუნეს იგი უცვლელად. ამ დასკვნას ეყრდნობა ვაჰაბიტური უეჭველი „ჭეშმარიტება“: **არაბები ყველგან და ყველაფერში პირველები არიან, ყველაფერი არაბული კი უპირველესია. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი რელიგიის ზუსტი და ღრმა გაგება უცილობლად მიგვიყვანს არაბულის პრიორიტეტთან (!).**

ეს მტკიცება პრინციპულად იმეორებს ფაშიზმის იდეოლოგიის დებულებას ერთი რასის (არიულის) უპირატესობისა და უპირველესობის შესახებ.

ვაჰაბიზმის პროპაგანდისტები, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძალიან ენერგიულად ეწევიან ამ იდეების გავრცელებას ნებისმიერი რელიგიის მიმდევართა შორის, ადვილად შედიან კონტაქტში შეხების საერთო წერტილების პოვნის გზით. მაგალითად, ქრისტიანებთან საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ყველა რელიგია ერთ ღმერთზე ლოცულობს; ან ისეთი ვაჰაბიტური მტკიცებით, რომ საგნის ბუნებას განსაზღვრავს მისი ფიზიკური მახასიათებლები, რაც სხვა არაფერია, თუ არა მატერიალისტური „ყოფიერება განსაზღვრავს ცნობიერებას“. ისიც საინტერესოა, რომ ვაჰაბიტები შეფარულად უარყოფენ სულიერ სამყაროს: „დემონები კერპებში კი არ ცხოვრობენ, დემონები ჩვენი ცნობიერების ნაყოფია“.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ვაჰაბიტების მიერ „აზროვნების თავისუფლების“ დაშვებაც, ოღონდ მათი იდეოლოგიის სასარგებლოდ. მათი ერთ-ერთი პოსტულატია: **თუ ადამიანი ლოგიკურად იმსჯელებს, თავისთავად მივა მონოთეიზმამდე — ერთღმერთობამდე, მაშასადამე, — „ვაჰაბიტურ შარიათამდე“,** ამ ლოგიკით, საბოლოოდ ერთი ღმერთის — ალაჰის აღიარებამდე, შარიათის უპირობო მიღებამდე.

იფიქრე და ერთ ღმერთთან მიდი! — ასეთია მათი კრედო.

ფიქრის, გონების, განსჯის პრიორიტეტულობაში ცუდი არაფერია, მაგრამ, აქედან გამომდინარე, დასკვნები უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ მათთვის მისაღები — შარიათის სამართალი ჭეშმარიტების უმაღლესი სტადიაა და უტყუარი დასტური მისი პირველობისა.

თავისებურია ვაჰაბიზმის ლოგიკა. მაგალითად, დებულება: **„ყველა, ვინც თაყვანსა სცემს ალაჰს მუსულმანია“,** — ეს ერთი; ამავე დებულების მეორე ნაწილი: **„ჭეშმარიტი მუსულმანები მხოლოდ ვაჰაბიტები არიან“.**

თქვე კაი დედ-მამის შვილებო, თუ ყველას მუსულმანად აღიარებთ, ვინც ამ რელიგიის მიმდევარია, რატომღა არიან მხოლოდ ვაჰაბიტები ჭეშმარიტი მუსულმანები?

ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია?

ძალიან ჰგავს!

ვაჰაბიზმი ცდილობს, ავტომატიზმამდე დაიყვანოს აზროვნების ასეთი ლოგიკა, უკრიტიკოდ მიაღებინოს „მორწმუნეთ“ ეს აშკარა ალოგიკურობა. ერთგვარი მანქურთიზმია, აზროვნების დაბლოკვა: **თავისუფლად, ლოგიკურად იაზროვნე და მიდი ალოგიკურ, მაგრამ ვაჰაბიზმისთვის მისაღებ დასკვნამდე.**

ასეთ მსჯელობაზე დაყრდნობით შეიძლება ნებისმიერი პრობლემის ახსნა, ნებისმიერი წინააღმდეგობის გადაწყვეტა ვაჰაბიტების სასარგებლოდ.

დაკვირვებული მკითხველი იოლად იპოვის მსგავსებას საქართველოში მმართველი პარტიის წარმომადგენელთა მსჯელობის „ლოგიკურ“ ძაფსა და ზემოთ აღნიშნულ ვაჰაბიტურ ლოგიკას შორის: მართალი და ჭეშმარიტი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, რასაც ჩვენ ვამბობთ, რაც ჩვენი პოზიციის გამომხატველია, ამიტომ პრობლემად რჩება დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სიტყვის თავისუფლება, რომელიც ფორმალურად აღიარებული და პრაქტიკულად დასჯადია.

ვაჰაბიზმი უკომპრომისოა. და ჩვენი სახელმწიფო პოლიტიკით ამაშიც ვემსგავსებით ამ სექტანტებს. ხოლო დრო და დრო ფარისევლური მოწოდება ერზაც დიალოგისკენ, რასაც სატყუარასავით ზოგჯერ გადმოუგდებს მმართველი გუნდი ოპოზიციურად განწყობილ პარტიებსა და მოძრაობებს, „პირით“ გათვალისწინებული ფიქციაა, ან შიშითა და შეშფოთებით გამოწვეული რეაქცია, ან სტუმრის მოლოდინში პატარძლის თავგამოდებასავითაა, ეზოს მაინცდამაინც წინა დღით რომ დაგვის და დააკრიალებს.

ახლა ჩვენი ხელისუფლება აშშ ვიცეპრეზიდენტის — ჯოზეფ რობინეტ ბაიდენის ვიზიტის მოლოდინშია და კვლავ დიალოგზე ალაპარაკდა.

ეს ქვეთავი დავამთავროთ მკითხველისთვის შემდეგი ინფორმაციის მიწოდებით: ვაჰაბიტების ყველა დოგმატი, „სუფთა ისლამი“ და ა.შ. გადმოღებულია **ზაიდელთა სექტიდან,** რომელზეც აუცილებლად ვისაუბრებთ, ოღონდ, ცოტა მოგვიანებით. მანამდე კი პრაქტიკა, ანუ ლოდ ვაჰაბიტებისთვის არ არის დამახასიათებელი:

1. ქვეყანაში ან რომელიმე ოლქში გამოჩნდებიან პირველი ვაჰაბელები. ისინი არავითარ პროპაგანდას არ ეწევიან, მხოლოდ აკვირდებიან. ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გაიღებენ ფინანსურ დახმარებას, განსაკუთრებით, — მუსულმანური ორგანიზაციებისთვის, ამოირჩევენ პერსპექტიულ კანდიდატებს ადგილობრივი გაერთიანებების (ჯამაათების) ხელმძღვანელების პოსტებზე. აცნობენ მათ თავიანთ მოძღვრებას. სავარაუდო ლიდერებს — მომავალ ამირებს მექაში ჰაჯის (მოლოცვის) დროს დაუფარავად შესთავაზებენ ვაჰაბიტებთან გაერთიანებას. მიჩნეულია, რომ წინასწარი დამუშავების შემდეგ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც კანდიდატს უზარმაზარ მატერიალურ შესაძლებლობებს გააცნობენ, იგი ყველაფერზე დათანხმდება.

2. მომავალი ამირები ცდილობენ, გამორჩეული თანამდებობები დაიკავონ ადგილობრივ ტრადიციულ რელიგიურ სტრუქტურებში. დაუფარავ პროპაგანდას ამ ეტაპზე არ ეწევიან, აქცენტი კეთდება სუბსიდიების მიმღებთა წრის გაფართოებაზე. ფულადი დახმარება გაიცემა სამკურნალოდ, საზღვარგარეთ სამოქალაქო განათლების მისაღებად და სხვა საჭიროებისთვის.

3. იქმნება მცირე სათვისტომო — ჯამაათი. ახალი ჯამაათის წევრები სწავლების კურსს გადიან ვაჰაბიტების საზღვარგარეთულ ბანაკებში. ამირები ვაჰაბიზმის ფართე პროპაგანდას იწყებენ.

4. იმ ადგილებში, სადაც ჯამაათია ჩამოყალიბებული, ტრადიციული სტრუქტურების საფუძველზე აღვივებენ სეპარატისტულ მოძრაობას. ჯამაათი მხარს უჭერს მეამბოხეებს და მათი სამხედრო გაერთიანების ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიან ნაწილად ყალიბდება. სამხედრო წარმატებები იზიდავს ახალგაზრდობას, ჯამაათი ფართოვდება, ქმნის პირველად სასწავლო ბანაკებს, მატულობს საზღვარგარეთ განათლებამიღებულთა რაოდენობა.

5. ყველაფერი კეთდება, რაც შეიძლება მწვავე სამხედრო კონფლიქტის გასაღვივებლად. ყველა შესაძლო საშუალებით სტიმულს აძლევენ ლტოლვილთა ნაკადების წარმოქმნას, ადამიანების ნებისმიერ მნიშვნელოვან გადაადგილებას. კრიზისის სიტუაცია ტრადიციული სტრუქტურების დასუსტებას იწვევს, ძლიერდება ჯამაათები. ადგილებზე იქმნება სასწავლო ბანაკები ძირითადი კურსის გასაგრძელებლად.

6. რეალური ძალაუფლება მოცემული მხარის ყველა ძირითადი ჯამაათის ამირების შურის (საბჭოს) ხელში გადადის. ტრადიციულ სტრუქტურებს მოცემულ ეტაპზე ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მოსახლეობაში შარიათის ლეგიტიმაციისათვის და გარე სამყაროსთვის თვალის ასახვევად.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამთავრობო შეიარაღებული ძალები იშლება ან დემორალიზდება, მათ სასწრაფოდ აუქმებენ ადგილობრივ სტრუქტურებთან ერთად, რომელთა ბაზაზე არსებობდა სეპარატიზმი (ოპოზიცია) და ამ სტრუქტურების განადგურებას ხელისუფლებას მიაწერენ. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი ხდება სამთავრობო ჯარების სწრაფად დამარცხება, იმავე შედეგის მისაღწევად იწყებენ ხანგრძლივ პარტიზანულ ომს.

სალაფიტები თავიანთ ბრძოლაში ფართოდ იყენებენ მოსყიდვის მეთოდს, რაც ასე დამახასიათებელი გახდა საქართველოში ჩატარებული თუ ჩასატარებელი ნებისმიერი დონის არჩევნებისთვის და რასაც საფუძველი „აღორძინების“ ლიდერმა ასლან აბაშიძემ შაქრისა და ფქვილის ტომრების უსასყიდლოდ დარიგებით ჩაუყარა. პარლამენტმა კი მხარი არ დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც ამგვარ მოსყიდვებს კრძალავდა.

8. მთელი ძალების მობილიზება ვაჰაბიზმის მეზობელ ტერიტორიებზე გასავრცელებლად.

ასეთი ეტაპობრივი გეგმის განხორციელებას ვაჰაბიტები ყოველთვის ვერ ახერხებენ. მაგალითად, დაგეგმილი იყო, რომ ვაჰაბიზმის ტრიუმფალური შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყებოდა ავღანეთიდან, მაგრამ საბჭოთა კავშირი უფრო ადრე დაიშალა, ვიდრე ვაჰაბიზმი შეტევაზე გადავიდოდა.

ის გეგმა ჩაიშალა, ვაჰაბიზმის საშიშროება დარჩა, რადგან არსად არ წასულან ისინი, ვინც ვაჰაბიტები მოიგონა.

არმაზ სანებლიძე

უცხოური ჰუბლიკაციების მიხედვით

დასასრული შემდეგ ნომერში

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

ბრიტანელი სამხედროები ავღანეთში რუსული ვერტმფრენებით დაფრინავენ

ვერტმფრენ „Ми-8“-ს ჩამოვარდნის შედეგად დაშავებული რუსეთის ფედერაციის ორი მოქალაქე მძიმე მდგომარეობაში იმყოფება, — ტელეფონით შეატყობინა რია-ნოვოსტის ქაბულში რუსეთის საელჩოს თანამშრომელმა.
„ჩამოვარდნისას მძიმედ დაშავდა რუსეთის ორი და ბელორუსის ერთი მოქალაქე. ეკიპაჟის მეთაური და პილოტი რუსები არიან, ბორტმექანიკოსი კი — ბელორუსი. ამ დროისათვის ისინი კანადურ ჰოსპიტალში არიან, ყანდაგარის ოლქში“, — განაცხადა დიპლომატმა. მან, ასევე, განაცხადა, რომ, ბოლო ინფორმაციით, ჩამოვარდნის შედეგად 16 ადამიანი დაიღუპა. ვერტმფრენის ბორტზე სულ 21 ადამიანი იმყოფებოდა. „მგზავრების ეროვნებაზე დაზუსტებული ინფორმაცია ჯერჯერობით არ გაგვაჩნია,“ — აღნიშნა დიპლომატმა.

ცოტა ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ დაღუპული მგზავრები აშშ მოქალაქეები იყვნენ.

„Эхо Москвы“-სთან ინტერვიუში რუსეთის დროებითმა რწმუნებულმა ავღანეთში ანდრეი ვადოვმა ეკიპაჟის წევრთა სახელები და გვარები დაასახელა: მეთაური — ნიკოლაი ივანეს ძე მორინი, მეორე პილოტი — ანდრეი სერგეის ძე გალკოვი და ბორტინჟინერი — სერგეი ფიშჩენკო.

ავიაკატასტროფა ნატოს უდიდესი სამხედრო ბაზის — „Kandahar Air Field“-ის სიახლოვეს მოხდა. კატასტროფის გამოძიებას ყანდაგარის ავიახელისუფლების ადმინისტრაცია და სახელმწიფოთაშორისო საავიაციო კომიტეტი აწარმოებენ.

როგორც სააგენტო „ასოშეიტედ პრესი“ ავღანეთში ამერიკული სამხედრო მეთაურობის წარმომადგენელზე დაყრდნობით იუწყება, მტკიცებულებები, რომ ვერტმფრენი ჩამოაგდეს, არ არსებობს.

სხვათა შორის, კვირას გავრცელდა ცნობა, რომ დიდი ბრიტანეთი რუსულ ვერტმფრენებსა და თვითმფრინავებს ავღანეთში ხალხისა და ტვირთის გადასაზიდად საკუთარი ავიაციის უკმარისობის გამო იყენებს. როგორც ბრიტანული გაზეთი „Mail on Sunday“ წერს, ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, რომ ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო ავღანეთში ტვირთისა და ჯარისკაცების გადასროლისთვის რუსულ სატრანსპორტო ვერტმფრენებს „Ми-8“-სა და „Ми-26“-ს იყენებს.

„ბრიტანეთის შეიარაღებული ძალები ავღანეთში იძულებული არიან, რუსული ვერტმფრენები გამოიყენონ, ვინაიდან საკუთარი არ გააჩნიათ“, — ირწმუნება გაზეთი „ Mail on Sunday“.

„გამოცემის მონაცემებით, დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრო საბრძოლო მისიის მომსახურებისთვის იყენებს რუსულ ვერტმფრენებს „Ми-8“-სა და „Ми-26“-ს, ასევე, სატრანსპორტო თვითმფრინავს (გაზეთი მოდელს არ აზუსტებს), რომელიც ოქსფორდშირის ბაზიდან ავღანეთში ტექნიკისა და აღჭურვილობის გადასროლისთვის გამოიყენება. ამ მანქანებით „მოხალისე“ რუსული და უკრაინული ეკიპაჟები დაფრინავენ,“— იუწყება გაზეთი.

„მაგრამ უფრო უცნაურია, რომ ელიტარული ბრიტანული სპეცრაზმი იძულებულია, საიდუმლო ოპერაციებშიც კი მესამე სამყაროს ვერტმფრენები გამოიყენოს იმიტომ, რომ ბრიტანული მანქანების სერიოზულ დეფიციტს განიცდის,“ — ხაზს უსვამს ტაბლოიდი.

სამხედრო წყაროებმა დაუდასტურეს „The Mail on Sunday“-ს, რომ სპეციალური საავიაციო სამსახური, სადესანტო ხომალდების სამსახური, ასევე, განსაკუთრებულ დანიშნულებათა ძალების მხარდაჭერის სამსახური, მართლაც, ქირაობენ სხვა ქვეყნის ვერტმფრენებს. მათზე ბრიტანეთის არმიის საიდენტიფიკაციო ნიშნები არაა გამოსახული, თუმცა მათ მაღალკვალიფიციური ბრიტანული ეკიპაჟები მართავენ.

ამოსაცნობი ნიშნების არარსებობა უპირატესობაა ავღანეთში მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების მსვლელობისას, მაგრამ საერთო ჯამში სამხედროები „თავს უხერხულად გრძნობენ“, რომ მათ არა თავისი, არამედ დაქირავებული ვერტმფრენებით უწევთ ფრენა,“ — ამატებს გაზეთი.

ლიტვის სეიმმა ხელფასების შემცირებას მხარი დაუჭირა

ლიტვის სეიმმა 17 ივლისის სხდომაზე პრაქტიკულად ერთხმად მიიღო კანონპროექტი, რომელიც სახელმწიფო მოხელეთა ხელფასების საბაზო ნაწილის შემცირებას ითვალისწინებს. ამის თაობაზე იუწყება პორტალი „DELFI“. კანონპროექტის მიღებას ერთის გარდა ყველა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. 2009 წლის 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ხელფასები შემცირდება. თუ ადრე ხელფასის საბაზისო ნაწილი 475 ლიტს შეადგენდა, ახლა იგი 450 ლიტია.

ამ კანონპროექტთან ერთად, ასევე, მიიღეს პროექტი კვალიფიკაციისა და კატეგორიის მიხედვით ზედნადების შემცირების თაობაზე. გატარებული ღონისძიებები მთავრობას ბიუჯეტის დეფიციტთან გამკლავებაში დაეხმარება. ადრე ჩინოვნიკები აცხადებდნენ, რომ თუ სეიმი ხელფასების შემცირებას მხარს არ დაუჭერდა, მათ პენსიების შეკვეცა მოუწევდათ. ამ გზას უკვე დაადგნენ მეზობელ ლატვიაში — ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი ზრდის გამო პენსიების 10%-ით შემცირება გახდა აუცილებელი.

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის კრიზისისგან ყველაზე მეტად დაზარალებულად ბალტიისპირეთის ქვეყნები ითვლება. სამივე ქვეყანაში შიდა პროდუქტის ვარდნის მაჩვენებელმა პირველ კვარტალში 10%-იან ნიშნულს გადააჭარბა წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით. 2008 წელს ფასების ზრდისა და ექსპორტის დეფიციტის გამო ბალტიის ქვეყნებში ბიუჯეტის დეფიციტი სწრაფად გაიზარდა.

ნაზდაკის ყოფილი ხელმძღვანელის ფინანსური პირამიდა

2008 წლის 11 დეკემბერს გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა დააკავეს ნაზდაკის საფონდო ბირჟის დირექტორთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ბერნარდ მეიდოფი, რომელსაც ისტორიაში უმსხვილესი ფინანსური პირამიდის შექმნა ედება ბრალად.

კომპანია „adoff Securities“-ის ინვესტორებმა მასში დაახლოებით 50 მილიარდი დოლარი ჩადეს, რომელიც, მეიდოფის განცხადებით, მან მოგვიანებით ინვესტირებისას დაკარგა. აფერის მსხვერპლი გახდა სამი მილიონი ადამიანი, ხოლო სავარაუდო ზარალის შესახებ ასობით მსხვილმა საფინანსო ორგანიზაციამ განაცხადა მსოფლიოს მასშტაბით. 2009 წლის 12 მარტს მეიდოფმა თავი დამნაშავედ ცნო ბრალდების 11 პუნქტში, თაღლითობისა და ცრუ ჩვენების მიცემის ჩათვლით. 23 ივნისს ადვოკატებმა მეიდოფისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვეს, მაგრამ 29 ივნისს სასამართლომ მას 150 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ავღანეთში ამერიკული მოიერიშე-ბომბდამშენი „F-15E“ ჩამოვარდა

18 ივლისს ავღანეთის აღმოსავლეთში გაურკვეველ ვითარებაში ავარია განიცადა ამერიკულმა მოიერიშე-ბომბდამშენმა „F-15E Strike Eagle“-მა. ამის შესახებ იუწყება „ასოშეიტედ პრესი“ აშშ არმიის წარმომადგენელზე დაყრდნობით.
კატასტროფის შედეგად, რომელიც მოსკოვის დროით 02.45 წუთზე მოხდა, ორივე პილოტი დაიღუპა. სააგენტოს ჩამოვარდნის ზუსტი ადგილი არ დაუკონკრეტებია. აღინიშნა, რომ „F-15E“ სროლის შედეგად არ ჩამოუგდიათ.

სააგენტო იმასაც აღნიშნავს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ავღანეთში კატასროფა მოიერიშეთა მონაწილეობით არ მომხდარა, ვინაიდან ადგილობრივ ბოევიკებს შესაბამისი აღჭურვილობა არ გააჩნიათ.

2007 წლის ნოემბერში მისურის შტატში მოიერიშე „F-15“-ის ავარიის შემდეგ ამ თვითმფრინავების ფრენები დროებით შეჩერებული იყო. დათვალიერებისას ცხრა მოიერიშეს კონსტრუქციაში წუნი აღმოაჩნდა. შემოწმების შემდეგ „F-15E“ მოდიფიკაციის თვითმფრინავები, რომელთაც, ძირითადად, ერაყსა და ავღანეთში იყენებენ, ფრენებზე პირველი დაუშვეს.

ასოშეიტედ პრესის ცნობით, ავღანეთში ნატოს უდიდეს ბაზაზე, ასევე, განიცადა ავარია ნატოს კიდევ ერთმა გამანადგურებელმა. თვითმფრინავის მოდელი არ ზუსტდება, მაგრამ, სააგენტოს მონაცემებით, ეს, შესაძლოა, ყოფილიყო ბრიტანული „ტორნადო“.

კატასტროფა ყანდაგარში, ასაფრენ ზოლზე 20 ივლისს მოხდა, ადგილობრივი დროით 07:20-ზე, როცა თვითმფრინავი აფრენას აპირებდა. გამანადგურებელში მყოფმა ეკიპაჟის ორივე წევრმა კატაპულტირება მოასწრო. მათ ტრავმები მაინც მიიღეს და მკურნალობას ჰოსპიტალში გადიან.

კაპიტანმა რუბენ ჰოორჰველდმა განაცხადა, რომ გამანადგურებლის კატასტროფას არ უკავშირებენ აჯანყებულთა დაჯგუფებების საქმიანობას, თუმცა, რა გახდა ჩამოვარდნის ზუსტი მიზეზი, ჯერჯერობით დაუდგენელია. ნატოს წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ თვითმფრინავი აფრენისას აალდა.

მოამზადა **ლექსო ლეკიაშვილმა**

აშშ კონგრესში ცსს საიდუმლო პროგრამასთან დაკავშირებით გამოძიება ჩატარდება

ამ დღეებში აშშ კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სადაზვერვო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ, დემოკრატმა სილვესტრ რეიესმა განცხადება გააკეთა, რომ აპირებს გამოძიების ჩატარებას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სრულად წარუდგინა ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ (ცსს) კანონმდებლებს ინფორმაცია თავისი საიდუმლო პროგრამების თაობაზე. ამის შესახებ იუწყება „ასოშეიტედ პრესი“.
ამის მიზეზი გახდა გავრცელებული ინფორმაცია ცსს-ს საიდუმლო პროექტის (ტერორისტების განადგურების შესახებ) თაობაზე, რის შესახებაც სამმართველომ კონგრესს არაფერი შეატყობინა. კერძოდ, ამბობდნენ, რომ „გამანადგურებელი დანაყოფების“ შექმნა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ სულ მალე დაიწყო და რომ ცსს ამას კონგრესისგან მაშინდელი ვიცე-პრეზიდენტის — რიჩარდ ჩეინის მითითებით მალავდა.

2004 წელს სამმართველოს უფროსმა ჯორჯ ტენეტმ პროგრამის დახურვის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა იგი მისმა მემკვიდრემ — პორტერ ჰოსმა განაახლა და შემდგომ ცსს-ს ახალმა მეთაურმა მაიკლ ჰეიდენმა განაგრძო.

პროექტის არსებობა მხოლოდ 2009 წელს გახდა ცნობილი, როცა მის შესახებ აშშ პრეზიდენტის, ბარაკ ობამას მიერ დანიშნულმა ცსს-ს ახალმა დირექტორმა ლეონ პალეტამ ისაუბრა. პროგრამის შესახებ მონაცემების გამოქვეყნებისთანავე პალეტამ იგი დახურა.

კანონმდებლობის თანახმად, ცსს ვალდებულია, „დროულად და სრულად“ მიაწოდოს კონგრესს ინფორმაცია დაზვერვასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის თაობაზე, სპეციალურ სხდომებზე დასწრების შეზღუდვით.

დაზვერვის საქმეთა კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თქმით, გამოძიება მხოლოდ „გამანადგურებელი დანაყოფების“ შექმნის პროექტით არ შემოიფარგლება. კერძოდ, კონგრესმენები გეგმავენ, გადახედონ, თუ რა მიზეზით არ აცნობა ცსს-მ მათ და სენატის წევრებს პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ბრძანებით წამოწყებული აშშ მოქალაქეთა ტელეფონების მოსმენის თაობაზე, ეჭვმიტანილთა მკაცრი მეთოდებით დაკითხვებზე და ამ დაკითხვების ვიდეოჩანაწერების განადგურებაზე.

სხვათა შორის, კომიტეტის შემადგენლობაში შემავალმა რესპუბლიკელებმა უკვე გამოთქვეს თავიანთი უარყოფითი აზრი ცსს-ს საქმიანობის გამოძიების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. კომიტეტში მათი უფროსი წარმომადგენლის — პიტერ ჰოუქსტრას აზრით, გამოძიება წამოიწყეს დემოკრატებმა მათი თანამოაზრის, წარმომადგელობითი პალატის სპიკერის, ნენსი პილოზის დასაცავად.

პილოზის გარშემო ატეხილი სკანდალი უკავშირდებოდა მის განცხადებას, რომ ცსს-მ იგი შეცდომაში შეიყვანა, დაარწმუნა რა, რომ დაკითხვები წყალში ჩახრჩობის გამოყენებით უკანონო არაა. სხვათა შორის, სწორედ ის გახდა „სიმართლის კომისიის“ შექმნის ინიციატორი, რომელსაც დაკავებულთა წამების შემთხვევები უნდა გამოეძიებინა.

სკანდალის აგორებიდან ცოტა ხანში რესპუბლიკელებმა ცსს-ს მიმართ პილოზის ბრალდებების საფუძვლიანობის შემოწმება მოითხოვეს, თუმცა დემოკრატებმა ეს ინიციატივა დაბლოკეს.

ფარაონების კიდევ ერთი საიდუმლო ამოიცნეს

ფარაონის ცილინდრები — ეს ორი ცილინდრის ფორმის გამოუცნობი საგანია, რომელიც ძველეგვიპტურ ქანდაკებებს ხელში უჭირავთ. ეგვიპტოლოგებს შორის დღემდე არ არსებობს ერთი აზრი მათი წარმოშობის შესახებ.

1976 წელს ამიერკავკასიაში რ. დობროვოლსკიმ და ვ. კოვტუნმა აღმოაჩინეს უძველესი ეზოთერული ხელნაწერი სახელწოდებით „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი“, რომელიც შეიცავდა ინფორმაციას მთარისა და მზის ცილინდრების შესახებ, რომლებიც დამზადებული იყო თუთიისა და სპილენძისაგან მათზე გარკვეული დანამატებით. უცნობი ავტორის მტკიცებით, ძველი ეგვიპტის ფარაონები და ქურუმები ფარაონთა ცილინდრებს სასიცოცხლო ძალების განმტკიცებისა და ღმერთებთან ურთიერთობის დასამყარებლად გამოიყენებდნენ.





ალმოჩენა

ფარაონთა ცილინდრებს, რომლებიც უძველესი რეცეპტის მიხედვით შეიქმნა, მრავალი წლის განმავლობაში ფიზიკოსი ვლადიმერ კოვტუნი იკვლევდა. ამ გამოკვლევებში მონაწილეობდნენ მედიკოსები, ფიზიკოსები, ეგვიპტოლოგები, ექსტრასენსები და პარაფსიქოლოგები.

გამოკვლევის შედეგებმა გააოგნა მეცნიერები. აღმოჩნდა, რომ ფარაონთა ცილინდრებს ადამიანის ორგანიზმზე სასიკეთო ზემოქმედების ფართო სპექტრი გააჩნია. მასში შედის: გულსისხლძარღვთა, ნეიროტროფული, ჰიპერტონიული და ასთმის დაავადებებისას დახმარება; ასევე, წარმოადგენს უძილობის, თავის ტკივილების, სტრესის მოხსნის საშუალებას; ახდენს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას. ფარაონის ცილინდრების ერთ-ერთი გასაოცარი თავისებურებაა ორგანიზმის პრაქტიკულად ყველა ძირითადი სისტემის მუშაობის გაუმჯობესება (საშუალოდ 2-2,5-ჯერ).

ექიმთა ერთი ნაწილის აზრით, ფარაონთა ცილინდრები წარმოადგენს ძველ ეგვიპტელ მეცნიერთა გენიის მიერ შექმნილ უნიკალურ, ფიზიოთერაპიულ ხელსაწყოს, რომელიც თავისით ერგება თითოეულ ადამიანს. მათმა სამკურნალო თვისებებმა, მათ შორის — მეტალოთერაპიამ, გალვანოთერაპიამ და მაგნიტოთერაპიამ, საშუალება მისცა ექიმ-ბიოენერგეტიკოს ტ. მეშკოვს, შეემუშავებინა ცილინდრების გამოყენების ეფექტური მეთოდიკა.

ფარაონთა ცილინდრები სასარგებლოა როგორც ზრდასრული ადამიანების, ისე ბავშვებისთვის. ისინი ადამიანის ორგანიზმში ისეთ სიტუაციას ქმნიან, რომლის წყალობითაც ადამიანს უადვილდება უბედურებებთან გამკლავება. ექიმ ტ. მეშკოვის ექსპერიმენტების შედეგების თანახმად, ფარაონის ცილინდრები იცავს ორგანიზმს ცალკეული ელექტრონული ხელსაწყოების გამოსხივების ზემოქმედებისგან (კომპიუტერი, ტელევიზორი, მიკროტალღური ღუმელი და ა.შ.).

* * *

ამიერკავკასია. 70-იანი წლების დასაწყისი. ეზოთერიის მოყვარულმა რუსლან დობროვოლსკიმ მეგობარს — მეცნიერ-ფიზიკოს ვლადიმერ კოვტუნს მიუტანა ფრიად უცნაურ სიტუაციაში ნაპოვნი გაყვითლებული უძველესი ხელნაწერი დამაინტრიგებელი სათაურით „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი. ეგვიპტე-ინდოეთი-კავკასია“. ხელნაწერში აღწერილი იყო ლევიტაციის, ნათელმხილველობის, სხეულის წონის შეცვლის და სხვა საოცრებათა ტექნიკა, რაც, ალბათ, „მორწმუნე“ ფიზიკოსის მხოლოდ ღიმილს გამოიწვევდა, რომ არა განსაკუთრებული ინტერესი ძველი ეგვიპტის ისტორიისა და კულტურისადმი. მისი ყურადღება მიიქცია თავმა, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ე.წ. მზის (სპილენძისგან) და მთვარის (თუთიისგან) ცილინდრების დამზადების ტექნოლოგია.

ზღაპრები ზღაპრებად, მაგრამ ზუსტი ტექნოლოგია ხელნაწერის ტექსტში რომაა მოცემული, ეს ფაქტია და თანაც ფიზიკოსისათვის — თავისთავად საინტერესო. ადრეც დაინტერესებულა იმ უცნაური საგნებით, ხელში რომ ეჭირათ ქურუმებს, მაგრამ კითხვა ღიად რჩებოდა. და აი, უცებ ყველაფერი ნათელი გახდა, თითქმის დაუჯერებელიც.

მთელი რიგი ექსპერიმენტების შემდეგ, კოვტუნის მაგიდაზე „გაწვნენ“ გამქრალი ცივილიზაციის იდუმალი დესპანები ბრჭყვიალა ლითონებით ხელში. „მართლმორწმუნე“ ფიზიკოსმა სუნთქვაშეკრულმა აიღო ისინი და გარკვეულ ხანს თავადაც ხელში ეჭირა. გაოცებულმა იგრძნო, რომ ისინი რაღაც უცნაურად მოქმედებდა მასზე...

ამ მოქმედების ხასიათის გარკვევას მრავალი წელი დასჭირდა.

ისტორიიდან

ზოგიერთი ქანდაკების ხელში, რომელიც ძველეგვიპტური კულტურიდან შემოგვრჩა, ჩვენ შეგვიძლია, დავინახოთ ცილინდრის ფორმის საგნები, რომელთა სახელწოდებაც ისტორიკოსებისთვის უცნობია. ეგვიპტოლოგებს ამასთან დაკავშირებით განსხვავებული ვერსიები აქვთ; ზოგის აზრით, ესაა ან დახვეული არომატული ნაჭერი, ან პაპირუსის გრაგნილი, ან საბეჭდი ტუბუსები... მაგრამ საკმარისია, შეხედოთ, მაგალითად, სკულპტურულ ნამუშევარს — ფარაონ მენკაურას გამოსახულებას ქალღმერთ ხატორისა და ქალღმერთ ნომასთან ერთად, რომ ეჭვი შეგეპარებათ ამ ვერსიათა სისწორეში.

ფარაონ მენკაურას მარცხენა ხელში მთვარის ცილინდრი უჭირავს; მარცხნივ, ქალღმერთ ხატორს — მარჯვენა ხელში მზის ცილინდრი; მარჯვნივ, ქალღმერთ ნომას კი — ორივე ერთად (სურათი №1).

ფარაონ მენკაურას მარცხენა ხელში მთვარის ცილინდრი უჭირავს, მარჯვენაში — მზის; მარცხნივ — ქალღმერთი ხატორი; მარჯვნივ — ქალღმერთი ნომა (სურათი №2).

ხელნაწერში „სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი“ დეტალურადაა აღწერილი ცილინდრების დამზადების ტექნოლოგია, მათი გამოყენების მეთოდი; მკვეთრადაა განსაზღვრული მათი დანიშნულება — ენერგოპოტენციალის გაძლიერება და ინფორმაციული კონტაქტი გონების უმაღლესი ფორმებით. ეს, დამეთანხმებით, უფრო ლოგიკურია, თუ მხედველობაში მივიღებთ შემდეგ ფაქტებს: ძველ ეგვიპტელთა სიცოცხლის საშუალო ასაკი დაახლოებით 25-30 წელი იყო. ამ ფონზე ზოგიერთ ქურუმთა და ფარაონთა დღეგრძელობა გასაოცარია: პიოპი მეორემ 94 წელი იმეფა, რამზეს მეორე დიდმა — 67 წელი, ტუტმოს მესამემ — 54 წელი, პსამეტიხ პირველმა — 51 წელი.

თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას ბევრი რამის მოთხრობა შეუძლია ძველ ეგვიპტეზე. და მაინც, ჩვენთვის იდუმალებითაა მოცული ცოდნა, მეთოდები და საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქურუმებისა და ფარაონების დღეგრძელ სიცოცხლეს, მათ ძლიერებას და სიბრძნეს მრავალი საუკუნის განმავლობაში ქვეყნის სამართავად, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, მეცნიერებისა და ხელოვნების გასავითარებლად, რომელთა ნიმუშები დღესაც აღაფრთოვანებს მნახველს. უნდა აღინიშნოს, რომ ეგვიპტელი ექიმები უდიდესი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმდროინდელ მსოფლიოში, ამიტომ ეგვიპტის მეზობელი სახელმწიფოების მეთაურები, საჭიროების შემთხვევაში, ცდილობდნენ მხოლოდ და მხოლოდ მათთვის მიემართათ.

ფარაონთა ცილინდრები, დამზადებული უძველესი ტექნოლოგიით, დიდხანს იყო საიდუმლოებით მოცული. ეს ორი ღერო, ფეხზე მდგარი ფიგურების ხელებში ჩაბღუჯული, თანაც ძლიერად, ელექტრონის მაგვარი ძალით, როცა მუშტები მოჭერილია, ამ ენერგიას სხეულში უშვებენ, რათა იგი მოედოს უნიპოლარულ კვანძებსა და ხერხემლის ტვინის სითხეს. ამდენად, ორგანიზმში ხდება ენერგიის ასპროცენტიანი აღდგენა და 24 საათის განმავლობაში მისი შენარჩუნება.

ღერო იყო ორი და ერთმანეთისგან შემადგენლობით განსხვავებული. ერთი მკაცრად გამიზნული იყო მარჯვენა ხელისთვის, მეორე კი — მარცხენა ხელისთვის. ერთს ჰქონდა მზის ძალა, მეორეს — მთვარის. მთვარის ღერო კატალიზატორის ფუნქციას ასრულებდა, რომელიც აძლიერებდა მზის ღეროს აქტივობას. ასეთი ღეროები ძალზედ შორეულ წარსულშიც იყო ცნობილი, მაგრამ მათი დამზადების საიდუმლო ცოტა ვინმესთვის თუ იყო ცნობილი.

ცილინდრებზე სრული ინფორმაციის მფლობელი აღმოჩნდა ჩვენი თანამედროვე რუსი ფიზიკოსი ვლადიმერ პავლეს ძე კოვტუნი.

რა დანიშნულება აქვს და როგორ მოქმედებს ფარაონის ცილინდრები?

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ფარაონის ცილინდრების ზემოქმედებას ორგანიზმი გადაჰყავს სულ სხვა, უფრო „მაღალ“ ენერგეტიკულ მდგომარეობაში, რომლის დროსაც უფრო აქტიურად მიმდინარეობს აღდგენითი პროცესები, მთელი ორგანიზმის ჰარმონიულობის ხელშემწყობი. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს ეფექტი ჰალვანოთერაპიის, მეტალოთერაპიის, მინერალოთერაპიისა და მაგნიტოთერაპიის ერთობლიობით მიიღწევა.

პირველ რიგში, ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ფარაონის ცილინდრები წარმოადგენს რეზონატორებს რაღაც განსაზღვრულ ფიზიკურ ველებში. მეორეც, პოტენციალების განსხვავებული კონტაქტების არსებობა სპილენძს, თუთიასა და ხელის კანს შორის ორგანიზმში წარმოშობს სუსტ ელექტრონულ დენს. მესამეც, სპილენძს თავისთავად მთელი რიგი გამაჯანსაღებელი ფუნქცია აქვს და დიდი ხანია, გამოიყენება მედიცინაში; მეოთხეც, წარმოქმნილი შემავსებელი ფიზიკური ველები გამაჯანსაღებელ ზემოქმედებას ახდენს ორგანიზმზე ხელის მტევნის ბიოაქტიური წერტილების საშუალებით.

ფარაონის ცილინდრების დამზადება

ფარაონის ცილინდრები დამზადებულია უძველესი ტექნოლოგიით და წარმოადგენს სპილენძის (მზის ცილინდრი) და თუთიის (მთვარის ცილინდრი), შესაბამისად მაგნიტისა და ნახშირის დანამატებით მიღებულ განსაკუთრებულ ნარევს. ეს ოთხივე კომპონენტი კარგადაა ცნობილი თანამედროვე მედიცინისათვის.

სპილენძის აპლიკაცია აყუჩებს ტკივილს, ააქტიურებს ლეიკოციტურ ფუნქციას, წარმოადგენს ძლიერ ბაქტერიციდულ საშუალებას, წევს ტემპერატურას, ამშვიდებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას და უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესების მკურნალობას. უკანასკნელ გამოკვლევათა თანახმად, **სპილენძი** ხსნის რადიაციის ეფექტს კიბოთი დაავადებულთა დასხივებისას.

თუთია მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ჰიპოფიზის, კუჭქვეშა ჯირკვლის მოქმედებაზე, ორგანიზმის ჰორმონული სისტემის საშუალებით არეგულირებს ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილების მონაცვლეობას.

თუთიის მარილები გამოიყენება ნერვული აშლილობის, გადაღლის, ზრდის შეჩერების, თავის ტკივილების, დიაბეტის, სამწვერა ნერვის ანთების, გაფანტული სკლეროზის, რადიკულიტის, გასტრიტის, კონიუნქტივიტების დროს.

მაგნიტები ძველ ეგვიპტეში ასოცირდებოდა „ღმერთი გორას ძვლებთან“; გამოიყენება ოსტრეოხონდროზის, ჰიპერტონიის, სახსრების დაავადებების, თავის ტკივილების, გადაღლის, სტრესული მდგომარეობის სამკურნალოდ; აკლიმატიზაციისა და ამინდის მკვეთრი ცვლილების დროს ადაპტაციური ფუნქციის ამაღლებისათვის. საყოველთაოდაა ცნობილი დამაგნიტებული წყლის გამაჯანსაღებელი მოქმედებაც.

ნახშირი — მცენარეული პროდუქტი, შეიცავს 50%-მდე მინერალებს. ბრწყინვალე ადსორბენტია. ეგვიპტეში ნახშირს გამოიყენებდნენ „სხეულისა და სულის სიბინძურისაგან“ გასაწმენდად.

ფარაონის ცილინდრებს აქვს მკაცრად განსაზღვრული სიგრძე მის დიამეტრთან მიმართებაში. ცილინდრების ზედაპირი სწორია და გლუვი; ცილინდრები სპეციალურად მუშავდება მთელი რიგი ტექნოლოგიური ოპერაციების დაცვით, რომელთა შორისაა როგორც თანამედროვე მეცნიერების ტრადიციული საშუალებები, ასევე — არატრადიციულიც.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

ვლადიმერ კოვტუნი

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ᲧᲕᲐᲠᲐᲓᲐᲜ ᲮᲐᲠᲭᲘᲨᲝᲛᲓᲔ

ᲗᲘᲐᲜᲔᲗᲘ

ლაშა-გიორგისა და სუსანას უიღბლო სიყვარულის ისტორიამ არხალიდან ივრის სათავეებისაკენ წაგვიყვანა და ზემო არტანს შემდეგ, რომლის მახლობლად ლაშარის ხატობა იმართება ხოლმე, ერთ ხერთვისთან შევჩერდით. მარცხნიდან პატარა მდინარე ხაშმურა მოედინება, მარჯვნიდან — თავად იორი.

ხაშმურის მიმართულებაზე ბილიკი ორად იყოფა: მარცხენა ბილიკს, ბაჩალის სერის გადავლით, დიყელასა და ჩარგალში მივყავართ, მარჯვენა ბილიკს — გოგოლაურთაში, ჭიჩოში და ხოშარაში. ამ ადგილებიდან ყველაზე უკეთ ჩარგალსა და დიყელას ვიცნობ — ჩარგლის თავზე გაშლილ ერთ ულამაზეს სუბალპურ მინდორს, ყვავილოვან მხარეს, სადაც პირქუშაშვილები აძოვებენ საქონელს და ქოხიც უდგათ.

ივრის მიმართულებით სამანქანო გზა ყვარამდე მიდის, შემდეგ კი ვიწრო ბილიკი ბორბალოს მთისკენ მიემართება. მახსენდება, დიდი ხნის წინათ როგორ გადავყურებდით მწვერვალიდან ოთხივ მხრივ დაქანებულ ოთხ მდინარეს: პირიქითა ალაზანს, კახეთის ალაზანს, ანდაქისწყალსა და იორს. მაშინ ანდაქისწყლის სათავეებიდან მივადექით ბორბალოს, ახლა კი ივრისპირა გზა ავირჩიეთ: ხერთვისიდან 5 კილომეტრი გავიარეთ, მწყემსების ბინას გავცდით და ორ, გვერდიგვერდ, მდგარ ეკლესიასთან შევჩერდით. შედარებით მცირე, დარბაზული საყდარი რიყის დიდრონი ქვებითაა ნაგები და ვიღაც მადლიანს განუახლებია; შიგნით მარტივი პილასტრების კაპიტელებიდან კამარის დამჭერი წყვილი თაღი გადადის. მეორე საყდარი სიგრძეში 10,5 მეტრია, სიგანეში — 7,5. იგი ჯვარ-გუმბათოვანი ყოფილა. ნაგებია კლდის ქვითა და აქაიქ შირიმის კარგად გათლილი კვადრებით. გუმბათის ყელი, რომელიც ახლა სრულიად მოშლილია, აფრების საშუალებით ოთხი მინიატურული მკლავის თაღს ეყრდნობოდა. ექსტერიერში თვალშისაცემია აღმოსავლეთის ფასადი, რომელიც ხუთწახნაგა შვერილ აფსიდს წარმოადგენს. ტაძარი XIII საუკუნისა უნდა იყოს.

ამავე მიდამოებში, ივრის მეორე ნაპირზე, ტყეში, კიდევ უფრო ძველი და საინტერესო ეკლესიის ნანგრევებია. ეს ტაძარი ნაგები ყოფილა კარგად პირმოსწორებული, მაგრამ დარღვეული მართკუთხა ფორმის გრანიტის კვადრებით. საყდარი სიგრძეში 15 მეტრს აჭარბებს, სიგანეში — 14-ს. მიუხედავად იმისა, რომ ტაძარი ძალიანაა დანგრეული და მისი შიდა სივრცე ლოდებითაა ამოვსებული, ზოგადი შტრიხებით, ასაკის დადგენა, მიახლოვებით, მაინც შეიძლება — იგი IX საუკუნის აქეთ არ უნდა იყოს აგებული. საყდარი რომ 3-ნავიანი და 2-სართულიანი ყოფილა, ამას საბუთებს ხურავის ქანობის კონტურები და აღმოსავლეთ ფასადზე ორ სხვადასხვა დონეზე გამოჭრილი სარკმლები ადასტურებს. ქვედა, ცენტრალური, სარკმელი, იმის გამო, რომ მოშვავებულ ნიადაგს კედელი სანახევროდ დაუმარხავს, ახლა, ლამის, მიწის დონეზეა, არადა ინტერიერში იგი კონქის ქვეშაა. მეორე სარკმელი 145 სანტიმეტრით მაღლაა, მაგრამ იგი დარბაზში არ იყურება და იმაზე მიგვანიშნებს, რომ საკურთხევლის თავზე არსებული სამალავის კუთვნილებაა. ასევე ორსართულიანი უნდა ყოფილიყო სადიაკვნოც და სამკვეთლოც, რომლებიც კამარათა ჩამოქცეული ლოდებითაა დამარხული. საფიქრალია, რომ ეს უსახელო ტაძარი დიდი სამონასტრო კომპლექსის ცენტრალური ნაგებობა და სამლოცველო იქნებოდა.

ᲧᲕᲐᲠᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ

ᲒᲣᲛᲑᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲘᲡ ᲧᲔᲚᲘ

ᲭᲘᲭᲝᲡ ᲮᲐᲢᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲠᲔ

— სამივე ეკლესია ყვარას ტერიტორიას ეკუთვნის, არა? — ვეკითხები ჩვენს მეგზურს, თიანეთის მუზეუმის თანამშრომელს მიხეილ მგელიაშვილს.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ყვარა ერთი დაბის სახელწოდება კი არ არის, არამედ ხერთვისის ზემოთ არსებული მთელი ივრის ხეობისა. ამ ქედს კი, რომელზეც ეკლესია დგას, ჩვენში გარეჯის მთაც ჰქვია... საინტერესოა, არა? ისიც უნდა გითხრათ, რომ XIX საუკუნეში სწორედ აქ მოღვაწეობდა ერთხანს ვაჟა-ფშაველას მამა პავლე რაზიკაშვილი.

— როგორც ვიცი, დაბა ყვარელს აქედან ჩასახლებულებმა დაარქვეს სახელი. ასევეა, ვთქვათ, სოფლები ფხოველიც და ფშაველიც, არა?

— ასეა... - კვერს მიკრავს მგელიაშვილი, — ოღონდ ეს ძალიან დიდი ხნის წინათ მოხდა. თანაც, დავუკვირდეთ, აქაურ კაცს ყვარელი ერქვა, ყვარელში მცხოვრებს კი ყვარელელი ჰქვია.

გადავხედოთ ისტორიას:

„მოქცევაი ქართლისაი“ გვეუბნება, რომ, წობენის შემდეგ წმინდა ნინო „გარდავიდა ერწუდ და დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს და ნათელსცა ერწუ-თიანელთა. და ყუარელთა ესმა ესე და გადაკრბეს თოშეთა, რომელნი უკანასკნელ იპოვნეს, თრდატ მეფემან მოიყვანნა და მონათლნა“.

ლეონტი მროველი თუშეთიდან ყვარელთა დაბრუნებას ერთ-ერთ ასურელ მამას — აბიბო ნეკრესელს მიაწერს. მაგრამ ყვარელთა ჩასახლება დურუჯის ხეობაში, შესაძლოა, უფრო ინტენსიურად თამარისა და ლაშა-გიორგის მეფობაში მოხდა, როცა აჯანყებული მთიელები სუსანას მიჩნეული ხატი. მახლობლად, ხოშარასთან, ხმელგორაზე, ლაშარის მთავარი ჯვარია. ლაშარობის დღეს ლაშარის ხატიდან სწორედ თამარღელის ხატში გადადიან ხოლმე მლოცველ-მოხატენი. ასეთია უძველესი ტრადიცია. ახლა ერთ რამეს დავუკვირდეთ: თამარღელის ხატის ქვედა პლასტები თამარ მეფესთან რომ იყოს დაკავშირებული, მაშინ, წესით და რიგით, განა ის არ უნდა გამხდარიყო ფხოვის უმთავრესი სალოცავი და არა ლაშა-გიორგისთან დაკავშირებული ლაშარი? გარდა ამისა, ისიც ხომ ცნობილია, რომ ივანე ათაბაგის მიერ მთიულეთის აჯანყების სისხლში ჩახრჩობის გამო, თამარის მეფობის ხანას და თავად თამარს მაინცადამაინც დიდ პატივს არ მიაგებენ ფშავ-ხევსრუნი. ისინი ლაშა-გიორგის და ერეკლე II-ის თაყვანისმცემლები არიან. და აი, ჩნდება არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ ლაშარის სიახლოვეს, მის მეწყვილედ, მდებარე ხატი თავდაპირველად სწორედ სუსანას ხსოვნას უკავშირდებოდა, მაგრამ შემდგომში მიკერძოებულმა ისტორიამ მას მტვერი წააყარა და სახელიც გადაარქვა.

ამ ეჭვს ისიც ამძაფრებს, რომ, გადმოცემის თანახმად, აქ წინათ თამარის ხატი არ იყო და იგი გვიან შუასაუკუნეებშია დაარსებული ვითომ-ცდა თამარ მეფის კუბოს ადგილზე (იხ. ივ. ბარდაველიძის „ფშავის საკულტო ძეგლები“, წიგნი I). ვინ იცის?!. მაშინ, 1217 წლის მარიამობის თვეს კი ყველაფერი ნათელი და აშკარა იყო. დამწუხრებულ ფშავლებს ბაჩალის სერზე გადმოჰყავდათ სულთმობრძავი დიდი დედა, საკუთარი დედოფალი სუსანა — ოდესღაც უმშვენიერესი ხათუნა, რომელიც სამეფო კარმა მოიძულა და ხარჭად შერაცხა...

იოანე ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ სუსანამ უფალს სული მიაბარა ბაჩალის სერის იმ მონაკვეთში, სადაც 9 თუ 12 არყის ხე მდგარა. ფშავლები, თურმე, XIX საუკუნემდე ადიოდნენ იქ და შესაწირი აჰქონდათ. ჩვენი მეგზური მიხეილ მგელიაშვილი იხსენებს, რომ, უფროსებისაგან მასაც გაუგონია არყიანებში არსებული რაღაც ძველი ნიშის არსებობის შესახებ.

...ლაშა-გიორგის ბევრი უგლოვია და სუსანას დაკრძალვა ხარჭოის ეკლესიაში უბრძანებია. ბუნებრივია, XIII საუკუნემდე ამ ადგილს სხვა სახელი ერქმეოდა. სხვათაშორის, ტოპონიმმა თავდაპირველად ჩვენც შეცდომაში შეგვიყვანა და ეკლესიას სოფელ ხარტიშოში ვეძებდით. ადგილობრივებმა, ეს ამბავი რომ გაიგეს, ხევსგაღმა შეფენილი სოფლის — თვალივის ტყეზე მიგვანიშნეს და არ გაინტერესებთ, რა გვითხრეს? — ეგ ის ეკლესიაა, სადაც ლაშამ ლუხუმისათვის წართმეული ცოლი დაკრძალაო... სომეხ ტერტერათა და რუსუდან დედოფლის მხარის ამბმელთა მონაჩმახი, რომ ლაშამ ველისციხელ კაცს წაჰგვარა ცოლი, მთიელებმა თავისებურად მოთარგმნეს და დაზარალებული ველისციხელის როლში ფშავი ლუხუმი გამოიყვანეს. რა სქელი და შავი მტვერი ადევს სუსანას თავგადასავალს!..

...თვალივის ტყეში ადგილობრივი მკვიდრი ხვთისო გუშარაშვილი მიგვიძღვის, თან ჩიტები მოგვძახიან და მოგვაცილებენ. სამონასტრო კომპლექსი სოფელთან ახლოსაა, იგი მაღალ ბორცვზე დგას და, ძველი გალავნის ფრაგმენტებთან ერთად, საბრძოლო კოშკიც შემორჩენია. თავად ეკლესია დარბაზული ტიპისაა, სიგრძეში 13 მეტრია, სიგანეში — 8. აღმოსავლეთით აქვს ნახევარწრიული შვერილი აფსიდი, დასავლეთით კი კარიბჭე, რომელზეც სამრეკლოს ფანჩატური ყოფილა დადგმული. ფანჩატურის ბაქანზე ქვის საფეხურები ადის. ალბათ, ამ სამრეკლოს ფორმის გამო ამბობდა ვახუშტი ბატონიშვილი, — ეკლესია გუმბათიანიაო.

1265 წლის შემდეგ, როცა „ბერქა ყაენმა მოაოხრა ჰერეთი, კახეთი და ყოვლის ივრის პირი“, სწორედ ეს მონასტერი იქცა საეპისკოპოსო საკათედრო ტაძარადა, რადგან ამ დრო გორგასლის დროინდელი ჟალეთის კომპლექსიც დაენგრია მტერს.

ცნობილია 11 ხარჭაშნელი ეპისკოპოსი. როგორც ვარაუდობენ, პირველი მათგანი იყო ლაშა-გიორგის ღრმად მოხუცებული პირადი მოძღვარი და მისი სუსანასთან კანონიერი ქორწინების მაკურთხებელი მეუფე გიორგი. ბოლო ეპისკოპოსი ყოფილა ნიკოლოზი, ბოლოსწინა კი გრიგოლი — ერისკაცობაში გრიგოლ ავალიშვილი, რომელმაც თავის დროზე ქართული სტამბა მოაწყო პეტერბურგში. ხარჭოის ეკლესია ბოლოს ერეკლე II-ის მზრუნველობით შეკეთდა 1749 წელს.

...ტაძრის კედლებზე ამაოდ ვეძებთ რაიმე წარწერას, ვეძებთ სუსანას საფლავსაც. საყდარის მთავარ დარბაზში, დასავლეთ მონაკვეთში, ორი ძალიან დიდი ფილა დევს, რომელთა ქვეშ სიცარიელე შეინიშნება. ძალიან საინტერესო იქნება როგორც ამ სამარხის გახსნა, ისე მონასტრის ეზოს არქეოლოგიური შესწავლა. უეჭველია, რომ სუსანას ნეშტი სადღაც აქ უნდა განისვენებდეს.

...ვზივარ გალავნის მორღვეული კარიბჭის ქვაზე და ფიქრებს მივცემივარ: რა სწრაფად გალეულა მშვენიერი ახაშნელი ქალის სიცოცხლე. რა მძიმე და მოკლე ყოფილა ჭერემიდან თვალივის მონასტრამდე გავლილი გზა...

ლაშა-გიორგის ცოლი აღარ მოუყვანია...

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲔᲑᲘ

ᲧᲕᲐᲠᲐᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲢᲧᲔᲨᲘ

ᲗᲕᲐᲚᲘᲕᲘᲡ (ᲮᲐᲠᲭᲘᲨᲝᲡ) ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ

არქიეპისკოპოსი დიმიტრი — დავით აბაშიძე

დიმიტრი, ერობაში დავით ილიას ძე აბაშიძე, გახლდათ თავრიზისა და სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის საეკლესიო კრების თავრიზის განყოფილების საპატიო თავმჯდომარე; ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება უფალს დაუკავშირა, უარი თქვა ყველა პრივილეგიაზე, რაც მას, როგორც შეძლებულ თავადიშვილს, უპრობლემოდ ჰქონდა; სამაგიეროდ მზად იყო, უყოყმანოდ გაეწირა თავი სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსათვის.

დავით ილიას ძე აბაშიძე დაიბადა 1867 წლი 2 ოქტომბერს სიღნაღის რაიონის სოფელ ვეძისში (რომელიც მაშინ ტფილისის გუბერნიაში შედიოდა) ცნობილი და მდიდარი კახელი თავადის ოჯახში; 1891 წელს ოდესაში დაამთავრა ნოვოროსიის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. მაგრამ იურისტობაზე უარი თქვა და კიევის სასულიერო აკადემიას მიაშურა. პირველივე კურსზე სწავლისას, 1892 წელს, ბერად აღიკვეცა. 1896 წელს დაასრულა აკადემია ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხით და იმავე წელს დაინიშნა **ტფილისის სასულიერო სემინარიაში** მასწავლებლად. აქ მან **გაიცნო სემინარიელი იოსებ ჯუღაშვილი. მოძღვარი ამაოდ ცდილობდა, რევოლუციური მოძრაობისათვის ჩამოეშორებინა ნიჭიერი ახალგაზრდა, რომელიც იმ პერიოდში პოეზიით იყო გატაცებული, გულწრფელად უმღეროდა თავის ბედკრულ ივერიას და მის აყვავებაზე ოცნებობდა. ღვთისმსახური პედაგოგის არაერთი მცდელობა ამაო აღმოჩნდა (გავა წლები და სტალინისა და მამა დიმიტრის გზები ერთხელ კიდევ შეიყრება, მათ ურთიერთობაზე ათასი მითქმა-მოთქმა გაჩნდება).**

1897 წელს აბაშიძე ქუთაისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად გადაიყვანეს; ერთი წლის შემდეგ ისევ ტფილისის სემინარიაში დაბრუნდა — ამჯერად ინსპექტორად; 1900 წელს არქიმანდრიტი გახდა და ალექსანდროვის მისიონერთა სასულიერო სემინარიის რექტორად დაინიშნა ვლადიკავკასთან ახლოს. 1902 წლის 23 აპრილიდან ალავერდის ეპისკოპოსი იყო, 1903-დან — გურია-სამეგრელოსი, 1905-დან — ბალტის, 1906-დან — თურქმენეთისა და ტაშკენტის, 1912-დან — თავრიზისა და სიმფეროპოლის.

პირველი მსოფლიო ომის დროს ეპარქია აქტიურად ეხმარებოდა ფრონტს, სამედიცინო დახმარებას უწევდა დაჭრილ ჯარისკაცებს. 1914 წელს აბაშიძემ გადაწყვიტა, შავი ზღვის ესკადრის რიგითი ღვთისმსახური გამხდარიყო. იგი მოხალისედ წავიდა ლინკორ „პანტელეიმონზე“, რომელიც თურქეთის წინააღმდეგ საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოვდა „პანაგიით გიორგის ლენტზე“. მიუხედავად ამისა, 1915 წელს კადეტთა და ოქტომბრელთა გამოცემებში მისი საწინააღმდეგო კამპანია გაიშალა. მას ბრალს დებდნენ გერმანოფილობაში და რუსეთში გერმანული ძალადობის მხარდაჭერაში. არქიელის დასაცავად ხმა აღიმაღლეს ეპარქიის ღვთისმსახურებმა. ნ. ბორტოვსკიმ (რომელიც შემდგომ წამებით აღესრულა) გამოსცა ბროშურა, რომელშიც გამოააშკარავა „მემარცხენე პატრიოტთა“ მხრიდან დიმიტრიზე ბინძური თავდასხმის ფაქტები. 1915 წელს მას თავრიზისა და სიმფეროპოლის არქიეპისკოპოსის წოდება მიენიჭა. არქიეპისკოპოსი დიმიტრი „მემარჯვენეებში“ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. იგი მზად იყო, სიამოვნებით გაეწირა თავი სარწმუნოების, მეფისა და სამშობლოსათვის. მეფის ჩამოგდების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ მან მიმართა თავრიზის ეპარქიის მრევლს, რომ არ მისცემოდნენ სასოწარკვეთას და შეენარჩუნებინათ რწმენა: „გავუფრთხილდეთ ამ უძვირფასეს საგანძურს, ჩვენს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ რწმენას, რამეთუ ის ამჯერადაც დაამარცხებს ყველა მტერს; მოსპობს ყოველგვარ მზაკვრობას და ჩვენს მრავალჭირნახულ ქვეყანას ახალი ცხოვრებისკენ წაიყვანს, როგორც ეს არა ერთხელ მომხდარა ჩვენი სამშობლოს ისტორიაში“. იგი წინააღმდეგი იყო რელიგიის კერძო საქმედ გადაქცევისა, სახელმწიფოსა და სკოლისაგან ეკლესიის გამოყოფისა.

1917 წელს იგი, როგორც საეპარქიო კრების დელეგატი, მოსკოვში გაემგზავრა. აბაშიძე აირჩიეს ქართული ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებით მართლმადიდებლური ეკლესიის მოწყობის განყოფილების თავმჯდომარედ; ღვთისმსახურებისა და ტაძრების, მონასტრებისა და ბერ-მონაზვნობის განყოფილებათა წევრად.

საომარ მოქმედებებში მონაწილეობისას მიღებული **საბრძოლო გამოცდილება** და **საოცარი ბუნებრივი სიმამაცე დაეხმარა** მას 1917 წლის ნოემბერში, **წითელარმიელთა მიერ კრემლის აღების ტრაგიკულ დღეებში, კამჩატკის ეპისკოპოს ნესტორთან ერთად დამდგარიყო მართლმადიდებლური სიწმინდეებისა და ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობის დასაცავად: „ჩემთვის დიდი ბედნიერება და პატივი იქნებოდა იუნკერებთან ერთად დაღუპვაო“.** მონაწილეობდა საეკლესიო კრების დელეგაციაში, რომელიც მოსკოვის სამხედრო-რევოლუციურ კომიტეტს ეწვია და სასჯელის შესამსუბუქებლად შუამდგომლობდა მოსკოვში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლთ. 1918 წელს რუსეთის სამხრეთში აღმოჩნდა, სადაც 1919 წლის მაისში სტავროპოლში მონაწილეობდა სამხრეთ-აღმოსავლეთის საეკლესიო კრების ორგანიზაციაში და სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის უმაღლესი საეკლესიო დროებითი სამმართველოს შექმნაში. **იგი მოუწოდებდა ძმათამკვლელი ომის შეწყვეტისაკენ**, ერთერთ მის გზავნილში „რუსი მართლმადიდებელი ხალხისადმი“ ნათქვამია: „ბევრი მძიმე ცოდვით წაიბილწა ჩვენი ხალხი ამ ცუდ დროში, როგორიცაა: შეთქმულება და ღალატი, სისხლისღვრა და ძმათაკვლა, უღმერთობა და სატანიზმი, შური და ქურდობა, გაურკვევლობა და ყაჩაღობა, უსაქმურობა და ლაყბობა... მართლმადიდებლებო! მოიკრიბეთ ძალა და გონი და ფეხზე დააყენეთ სამშობლო საქმით, სიტყვითა და აზრით, განაგდეთ თქვენგან ანტიქრისტეს ცდუნებანი, რამეთუ უფალი დაიფარავს და შეუნდობს თავის რჩეულთ“.

1918 წელს, როცა ყირიმი ცალკეული პოლიტიკური ძალების გააფთრებული ბრძოლების არენად იქცა, იგი ყირიმში დაბრუნდა. მასიური დახვრეტები, დაპატიმრებები, ქონების კონფისკაცია, გლეხებისათვის პროდუქტების წართმევა ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა. მოკლეს ოთხი მღვდელი. 1918 წლის მარტში ყირიმის აღების მუქარით უკრაინაში შეჭრილმა გერმანულმა ჯარებმა შექმნეს თავრიზის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, როგორც სუვერენული სახელმწიფო საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში. დიმიტრიმ წერილი მისწერა სრულიად რუსეთის არქიეპისკოპოს ტიხონს, რომელშიც სწორედ იმ დღეების შესახებაა მოთხრობილი. მასში გადმოცემულია ამ უდიდესი ღვთისმსახურის სულიერი განცდა და ტკივილი დატრიალებული ანტიქრისტიანული ქარიშხლის გამო, რომელიც თავს დაატყდა ყირიმის ეკლესია-მონასტრებს.

წერილის დასასრულს იგი თხოვდა პატრიარქს, ელოცა უბედური თავრიზისათვის, რომელიც მთლიანად გაპარტახდა და განადგურდა, არადა, სულ ცოტა ხნის წინათ მთელი ყირიმი წარმოადგენდა აყვავებულ და კეთილმოწყობილ მხარეს. 20-იანი წლებიდან ხელისუფლების წარმომადგენლებმა ტაძრებიდან თითქმის მთელი ვერცხლეულობა გაიტანეს, დაკეტეს მონასტრები და ეკლესიები. 30-იანი წლების ბოლოსთვის ყირიმში მხოლოდ ქალაქის სასაფლაოებთან და სოფლებში არსებული ეკლესიებიღა იყო მოქმედი.

ცხადია, მისი პოზიციის გამო აბაშიძეს რუსეთის ახალი მთავრობისაგან კარგი არაფერი ელოდა, მაგრამ, **მიუხედავად დაჟინებული თხოვნისა თუ მოთხოვნისა, მან არ დატოვა რუსეთის საზღვრები თეთრგვარდიელებთან ერთად. მიტროპოლიტმა ანტონმა მის საქციელს „თვითმკვლელობა“ უწოდა.**

1922 წლის 22 ნოემბერს გაიმართა სასამართლო პროცესი. საქმე საეკლესიო საგანძურის გადამალვას ეხებოდა. რევტრიბუნალმა არქიეპისკოპოს დიმიტრის ცოდვებიც გაიხსენა. **ბრალი მას პოპულარობაშიც ედებოდა** — იგი მრევლის უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. წითლებს ის ტელეგრამაც ჩაუვარდათ ხელთ, რომელიც კოლჩაკის არმიისთვის აბაშიძის ფულად დახმარებას ნათელს ჰფენდა. ამჯერად, აბაშიძეს ერთი წელი მიუსაჯეს. ის მაშინვე ამნისტირებული იქნა, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ისევ **დაპატიმრეს** და **„კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის, რესპუბლიკის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისთვის“ დახვრეტა მიუსაჯეს. განაჩენი დასამტკიცებლად სტალინს გაუგზავნეს. ამ უკანასკნელმა თავადს დახვრეტა დაპატიმრებით შეუცვალა. არავინ იცის, ეს სემინარიელი სოსო ჯუღაშვილის წყალობა იყო, თუ სსრ კავშირის „ფოლადის“ მეთაურის — სტალინისა.** ამ დროს არქიეპისკოპოსი დიმიტრი უკვე ავად იყო. ორი წლის წინათ სისხლდენის შემდეგ ცალ თვალში მხედველობა დაკარგა. ავადმყოფობამ უდროოდ დააბერა. იგი საპყრობილიდან საპყრობილეში გადაჰყავდათ, ბოლოს სიმფეროპოლის ციხის საავადმყოფოში აღმოჩნდა, საიდანაც მან ყირიმის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს წერილი გაუგზავნა, რომლითაც ცდილობდა, დაერწმუნებინა თავმჯდომარე, რომ იგი არ წარმოადგენდა საფრთხეს მმართველი რეჟიმისათვის. საპრობილეში არქიელმა ორი წელი დაჰყო, დაკარგა მხედველობა. ბრმა არქიეპისკოპოსი 1924 წელს გაათავისუფლეს.

რადგან აბაშიძე ძალიან პოპულარული იყო ყირიმში და მოსახლეობის დიდი სიყვარულითა და მხარდაჭერით სარგებლობდა, ხელისუფლებამ მას საცხოვრებლის არჩევა მისი ეპარქიის გარეთ შესთავაზა. მან კიევი აირჩია, რამეთუ **აქ, ისევე როგორც მშობლიურ ივერიაში, ღვთისმშობლის წილხვედრი ადგილი ეგულებოდა. კიევი იყო მისი სულის ნავსაყუდელი.** ციხიდან გამოსულმა ორი წელი იხეტიალა და კიევ-პეჩორის ლავრამდე მიაღწია, სადაც მრავალი დღის განმავლობაში **პეჩორის წმ. მამების საფლავებთან ლოცვის შემდეგ სასწაული მოხდა: უფალმა მას ნაწილობრივ დაუბრუნა მხედველობა. 1926 წელს შეიმოსა სქიმით და ეწოდა ანტონი (რუსული ბერობის დამაარსებლის პატივსაცემად) და დაეყუდა ბერად ჩინეთის უდაბნოში.** ამ დროს მისი სულიერი შვილი გახდა მეზობელ სენაკში მცხოვრები არქიმანდრიტი ერმოგენი (გოლუბევი), კალუგის მომავალი არქიეპისკოპოსი.

1930 წელს ლავრის დაკეტვის შემდეგ წმ. სქიმოსანი იძულებული გახდა ამქვეყნიურ ცხოვრებას დაბრუნებოდა — ცხოვრობდა კიევში, მორწმუნეთა ოჯახებში. გერმანელთა მიერ კიევის ოკუპაციის წლებში კვლავ ლავრის ქვაბულებში გადასახლდა და ლოცვები განაახლა. აქვე გარდაიცვალა 1943 წელს (ზოგიერთი ცნობით 1944 წელს). კიევში მას მიიჩნევენ განსაკუთრებულ მოღვაწედ, მლოცველად და შორსმჭვრეტ ბრძენად, ცნობილია მისი ლოცვებით განკურნების შემთხვევებიც.

როგორც ბეწვის ხიდზე, ისე გაიარა დავით აბაშიძემ ყველა რეჟიმში, მათ შორის ყველაზე არაადამიანურშიც; გაუძლო ყველა გამოცდას, სრულიად მიენდო უფალს და საკუთარ ტკივილებზე გავლით მიაღწია დიდ სულიერ თავისუფლებას.

მისი ცხოვრებიდან ჩანს, რომ ყველა მმართველი რეჟიმის (ყველაზე კაციჭამია და ყველაზე ლიბერალურისაც კი) დამარცხება შეიძლება, რომლებიც, თუმცა, სხვადასხვაგვარად, მაგრამ მაინც უქმნიან საშიშროებას ცხოვრებაში მთავარს — ადამიანის სულს.

მოამზადა
დარეჯან ანდრიაძემ

არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

19 წლის აბიტურიენტმა 67 წლის ლექტორი მოკლა

67 წლის ნელი იმედაშვილი საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის შვილიშვილი იყო. მას დამთავრებული ჰქონდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით და 30 წლის განმავლობაში ამავე უნივერსიტეტში სტუდენტებს ლექციებს უკითხავდა, პარალელურად აბიტურიენტებს ამეცადინებდა რუსულ ენასა და ლიტერატურაში. მეუღლეს — რობინზონ ციხიშვილს დიდი ხნის წინათ გაშორდა, შვილები არ ჰყავდა და მარტო ცხოვრობდა.

საჩვენებელი თითი მოაჭრა, ტუჩები ჩაუჭრა და მოჭრილი თითი პირში ჩაუდო.

2004 წლის აპრილში ლექტორი, რომელმაც მთელი ცხოვრება სტუდენტების აღზრდას შეალია, ერთ-ერთი აბიტურიენტის მსხვერპლი გახდა.

იმედაშვილმა ტრაგედიამდე ერთი თვით ადრე რუსულ ენაში მოსამზადებლად აბიტურიენტი თეიმურაზ კალატოზიშვილი აიყვანა, რომელიც სწავლის გაგრძელებას რუსეთში აპირებდა.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ 22 აპრილს, გვიან ღამით, კალატოზიშვილმა ლექტორს შინ მიაკითხა. ქალბატონმა ნელიმ ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეუშვა ბინაში მოსწავლე. კალატოზიშვილმა კი ლექტორს სამზარეულოს დანით მთელ სხეულზე მრავალი ჭრილობა მიაყენა, მერე საჩვენებელი თითი მოაჭრა, ტუჩები ჩაუჭრა და მოჭრილი თითი პირში ჩაუდო. ყოველივე ამის შემდეგ ლექტორის ბინა დატოვა...

მომხდარის შესახებ იმედაშვილის ნათესავმა ტატიანა გელაშვილმა ვაკე-საბურთალოს პროკურატურას აცნობა.

„მართლაც საზარელი ამბავი მოხდა. მკვლელობის შესახებ მისმა ნათესავმა შეგვატყობინა, რომელმაც ქალბატონ ნელის სახლში მიაკითხა. ქალს დანით მრავალი ჭრილობა ჰქონდა მიყენებული. მოჭრილი ჰქონდა საჩვენებელი თითი, ტუჩები და მოჭრილი თითი პირში ედო. ეს მართლაც წარმოუდგენელი და უმძიმესი დანაშაულია. მკვლელობიდან რამდენიმე დღის მანძილზე მიმდინარეობდა საგამოძიებო მოკვლევა, მაგრამ 26 აპრილს მკვლელი თავად გამოცხადდა და დანაშაულიც აღიარა. როგორც კალატოზიშვილი ამბობს, მან ეს დანაშაული სულიერი აშლილობის ნიადაგზე ჩაიდინა“, — იხსენებს გამომძიებელი ილია დვალიშვილი.

კალატოზიშვილი მათემატიკაშიც ემზადებოდა. მას მათემატიკოსი გურამ სამსონაძე ამეცადინებდა. სწორედ სამსონაძის რეკომენდაციით მივიდა კალატოზიშვილი ნელი იმედაშვილთან.

„ერთი შეხედვით, თეიმურაზი ჩვეულებრივი ბიჭი იყო. ცოტა სუსტი კი იყო მათემატიკაში, მაგრამ ბევრს ვმეცადინეობდით. განსაკუთრებული მისთვის არაფერი შემიმჩნევია. ნორმალური ბიჭის შთაბეჭდილებას ტოვებდა. არანორმალური რომ ყოფილიყო, როგორ ფიქრობთ, ან მე გავიკარებდი, ან სხვას გავუგზავნიდი? მომხდარი ამბავი შოკი იყო ყველასათვის. მეც, ჩემი მხრივ, დამნაშავედ ვგრძნობ თავს, რომ ნელისთან ეს ბიჭი გავაგზავნე“, — ამბობს გურამ სამსონაძე.

როგორც აღვნიშნეთ, თეიმურაზ კალატოზიშვილი რუსეთში აპირებდა სასწავლებლად წასვლას, რადგან დედამისი იქ ცხოვრობს. თბილისში იგი მამასთან ერთად ცხოვრობდა.

მკვლელობის მოტივი ისეთივე უცნაურია, როგორიც თავად მკვლელობა. ბრალდებულის ადვოკატი ნატო ბიჟიშვილი კალატოზიშვილს შეურაცხადად აცხადებს. მკვლელობის ვერსიას კი ასე გვიხატავს:

„ნელი იმედაშვილი საკმაოდ მკაცრი მასწავლებელი იყო, აბიტურიენტებს ძალიან ტვირთავდა, გამოკითხვისას ტექსტს საჩვენებელ თითს აყოლებდა და ტუჩების მკვეთრი მოძრაობით მკაფიოდ გამოთქვამდა თითოეულ სიტყვას. სწორედ ამან გამოიწვია ფსიქიკურად არამდგრადი ბიჭის გაღიზიანება, რაც შემდეგ მის ქმედებაშიც აისახა, რადგან ლექტორს წამებით მოკვლის შემდგომ სწორედ საჩვენებელი თითი მოაჭრა და პირში ჩაუდო“, — აცხადებს კალატოზიშვილის ადვოკატი.

საშა იმედაშვილი, გარდაცვლილის ძმისშვილი, იხსენებს: **„მამიდაჩემი ქმართან გაშორებული იყო და მარტო ცხოვრობდა. ჩვენთან ხშირად მოდიოდა. მას ყოველთვის ჰყავდა მოსწავლეები... გაოგნებული ვიყავით მომხდარით. არც ვიცით, რატომ უნდა ჩაედინა ეს სისასტიკე ახალგაზრდა ბიჭს. პოლიციამ რამდენჯერმე მიიყვანა მკვლელობის ადგილას, მინდოდა, რამე მეკითხა, მაგრამ ამის უფლება არ მომცეს... ძნელია, შევაფასო ადამიანი, როცა მას არ ვიცნობ, მაგრამ მსგავს სისასტიკეს ნორმალური ადამიანები არ სჩადიან“.**

იმედაშვილის კოლეგები და მეზობლები იხსენებენ, რომ ნელი უწყინარი ქალი იყო და ვერც მისი სიმკაცრე წარმოუდგენიათ იმ დონემდე, რომ სასიკვდილოდ გაემეტებინა აბიტურიენტს.

„ნელი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ ჩემი სტუდენტობიდან მახსოვს. ის არ იყო ისეთი მკაცრი, რომ მისი სიკვდილი ენატრათ სტუდენტებს. რაც უნდა იყოს, ადამიანები მოსაკლავად არ უნდა იმეტებდნენ ერთმანეთს და, მით უმეტეს, ასაკოვან ხალხს. ის ძალიან კეთილშობილი ქალბატონი იყო, დიდ დროს უთმობდა სტუდენტებს, ფაქტობრივად, მათით ცხოვრობდა“, — ამბობს იმედაშვილის კოლეგა დავით გოცაძე.

თინათინ ჟღენტი — იმედაშვილის კოლეგა და მეზობელი — იხსენებს: **„ნელის დიდი ხანია, ვიცნობდი. რაც ამ სახლში გადმოვიდა საცხოვრებლად, ძალიან დავუახლოვდით. კეთილი იყო, ლუკმას არ ჩაიდებდა უჩემოდ. იმ საღამოს ჩემთან იყო. ღამის 12 საათი იქნებოდა, სახლში რომ წავიდა. რას ვიფიქრებდი, ასეთი რამ თუ დაემართებოდა“.**

19 წლის კალატოზიშვილს სასამართლომ 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. იგი დღემდე იხდის სასჯელს.

მაკა ქობალია

შვილის მკვლელი მამა ჯერ გაამართლეს, შემდეგ გაამტყუნეს

მკვლელობა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, ზუსტად ათი წლის წინათ საგარეჯოში მოხდა. 70 წლის ლევან გავაშელმა სანადირო თოფით საკუთარ სახლში საკუთარი შვილი მოკლა. ამ ისტორიაში ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ადგილობრივმა სასამართლომ შვილის მკვლელი მამა გაამართლა და იგი მხოლოდ გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის მუხლით გაასამართლა.

თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა. სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო პროკურატურამ განაჩენი მაშინდელ თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში გაასაჩივრა. მეორე ინსტანციამ პროკურატურისთვის სასარგებლო განაჩენი გამოიტანა და ლევან გავაშელის მიმართ სისხლის სამართლის საქმე კვლავ განზრახ მკვლელობის მუხლით წარიმართა, რისთვისაც მას პალატამ 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

მსჯავრდებულის ადვოკატმა საქმე უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა. იგი ამტკიცებდა, რომ მამას შვილის მოკვლა განზრახული არ ჰქონია და ყველაფერი მხოლოდ საბედისწერო შემთხვევითობის ბრალი იყო.

რატომ მოკლა მამამ შვილი? ეს ბუნებრივი შეკითხვაა, რომელიც ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდება, როდესაც მომხდარის შესახებ შეიტყობს. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ეს არ ყოფილა აფექტის მდგომარეობაში მიღებული უეცარი გადაწყვეტილება, ეს იყო გამიზნული მკვლელობა. ამ ნაბიჯამდე კი მოხუცი მამა სწორედ შვილის არაადამიანურმა დამოკიდებულებამ მიიყვანა. მამის მუდმივი შეურაცხყოფა, სიმთვრალეში მოხუცის სისტემატური ცემა – აი, რა გახდა მკვლელობის მიზეზი.

როგორც ჩანს, ლევან გავაშელის მოთმინების ფიალა ერთხელაც აივსო და ყველაფერი სავალალო შედეგით დასრულდა. ეს კი ასე მოხდა: 2000 წლის დეკემბრის მიწურულს მამა-შვილი მეზობლის დაკრძალვაზე იმყოფებოდა. გასვენების შემდეგ ორივე ქელეხში დარჩა და მიცვალებულის სულს რამდენიმე ჭიქა ღვინო წაუქცია. ქელეხიდან ლევან გავაშელი მალევე წამოვიდა, საქონელი უნდა დაებინავებინა. უკვე შებინდებულზე, როდესაც უფროსმა გავაშელმა ოჯახური საქმეები მოილია, სახლში შევიდა. ამასობაში ქელეხიდან მისი ვაჟი რამაზიც დაბრუნებულიყო. იგი საკმაოზე მეტად შეზახორშებული ჩანდა. სახლში შესული მოხუცი გასათბობად ღუმელთან დაჯდა.

მოკლე ხანში მამა-შვილმა რაღაც ოჯახურ თემაზე წამოიწყო საუბარი. გამოძიების მასალებში არ კონკრეტდება, თუ რაზე შეკამათდა მამა-შვილი. საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ **„მამა-შვილს შორის საყოფაცხოვრებო საკითხებზე გაიმართა საუბარი, რაც კამათში გადაიზარდა. შვილმა მამას შეურაცხყოფა მიაყენა“.**

მამა-შვილს შორის წარმოქმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვა რძალმა სცადა, რომ ვერაფერი გააწყო, მამამთილს სთხოვა, საძინებელ ოთახში გასულიყო. მამამთილი რძლის თხოვნას დაემორჩილა. მიუხედავად ამისა, სიტუაცია მაინც ვერ განიმუხტა, რამაზი მამის ლანძღვას განაგრძობდა და მას ცემით ემუქრებოდა. შვილის გამოწვევის მიუხედავად, მამა ოთახიდან არ გამოსულა და კარს ამოფარებული ჩუმად ისმენდა ლანძღვას. ამაოდ ცდილობდა მეუღლე რამაზის დაწყნარებას.

ამ დროს საძინებელში მყოფმა ლევანმა თავისი ორლულიანი სანადირო თოფი აიღო. საქმის მასალებში ვკითხულობთ, რომ **„თოფის ერთ ლულაში ჩადებული იყო ცარიელი, ხოლო მეორეში — საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი ვაზნა.“** ლევანმა ნახევრად გამოაღო საძინებელი ოთახის კარი და ისე, რომ თვითონ ოთახიდან არც გამოსულა, თოფის ლულა კართან მდგარ შვილს დაუმიზნა. რძალმა მათკენ დამიზნებული იარაღი რომ დაინახა, ლულაზე აუკრა ხელი.

„ამ დროს გაისმა თოფის სასხლეტისა და ჩახმახის დაცემის ხმა, მაგრამ თოფი არ გავარდა. გასროლა არ მოხდა,“ — ვკითხულობთ საქმის მასალებში.

თამარი მეუღლისკენ შებრუნდა. ამასობაში ლევანმა თოფის მეორე ლულადან გაისროლა შვილის მიმართულებით. წუთიერმა დუმილმა, რომელიც დაჭრილმა დაარღვია, შვილის მკვლელი მამა გონს მოიყვანა, თუმცა უკვე გვიანი იყო. რამაზს გასროლილი საფანტები მუცელში მოხვდა, მან მრავლობითი დაზიანება მიიღო. ოჯახმა იგი სასწრაფოდ საგარეჯოს საავადმყოფოში გადაიყვანა, მაგრამ იგი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

მოკლულის ცოლის ჩვენება ლევანის ადვოკატის არგუმენტს, თითქოს გასროლა გაუფრთხილებლობის შედეგად მოხდა, აქარწყლებს. რამაზის ცოლის ჩვენების მიხედვით, როდესაც მამამთილმა საძინებელი ოთახის კარი გამოაღო, მან მამამთილის ხელში თოფი დაინახა. შეშინებულმა ხელი თოფზე აუკრა, რა დროსაც სასხლეტის დაცემის ხმა გაიგონა, თუმცა გასროლა არ მომხდარა. თამარი მეუღლისკენ შებრუნდა, იგი ქმრის კარიდან მოცილებას შეეცადა. სწორედ ამ დროს გასროლის ხმაც გაისმა. **„დაჭრილი რამაზი წაიქცა,“** — ამბობს თამარი.

თავად მკვლელობაში მსჯავრდებული ამბობდა, რომ თოფი მხოლოდ შვილის შესაშინებლად აიღო და მისი მოკვლა განზრახული არ ჰქონდა. მან სასხლეტს თითი გამოჰკრა, მაგრამ თოფი არ გავარდა, რის გამოც მეორედ გამოჰკრა სასხლეტს თითი. გაისმა გასროლის ხმა; მისივე თქმით, მეორედ იმიტომ გამოჰკრა სასხლეტს თითი, რომ პირველ შემთხვევაში თოფიდან გასროლა არ მოხდა.

დაკავებულის ადვოკატი კი მუხლის გადაკვალიფიცირებას და ლევან გავაშელის საპატიმროდან გათავისუფლებას ითხოვდა. ადვოკატის თქმით, მან შვილის მკვლელობა გაუფრთხილებლობით ჩაიდინა.

„მსჯავრდებულმა თოფი შეშინების მიზნით აიღო და შვილის ფეხებისკენ მიმართა. ლევანმა იმ ჩახმახს გამოჰკრა თითი, რომელ ლულაშიც ცარიელი ვაზნა იყო ჩარჩენილი. ამ დროს რძალმა ხელი აუკრა თოფზე და მოულოდნელად მოხდა გასროლა. შედეგად რამაზმა სასიკვდილო ჭრილობა მიიღო“, — აღნიშნა ადვოკატმა.

თუმცა სასამართლომ ჩათვალა, რომ ეს იყო განზრახ მკვლელობა, რაც საქმის მასალებიდანაც დასტურდებოდა. კერძოდ, ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, **„სანადირო თოფის სასხლეტები და ჩახმახი გამართულ მდგომარეობაში იყო და ჩახმახზე ან სასხლეტზე მექანიკური ძალის ზემოქმედების გარეშე შემთხვევით გასროლა არ მოხდებოდა“.**

საბოლოოდ, სასამართლომ არ დაეკამყოფილა მსჯავრდებულის ადვოკატის მოთხოვნა ბრალის გადაკვალიფიცირების თაობაზე. სასამართლომ გარკვეული ცვლილება შეიტანა განაჩენში და თავდაპირველი ბრალდება – განზრახ მკვლელობა ძალაში დატოვა. მცირე ცვლილებების შედეგად, ლევან გავაშელს სასამართლომ 7 წლის ნაცვლად 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

დაბოლოს, ლევან გავაშელმა მისჯილი წლები უკვე დიდი ხანია, მოიხადა. სავარაუდოდ, იგი თავისუფალია, თუმცა მისი ადგილსამყოფელი უცნობია. უცნობია ისიც, ცოცხალია თუ არა მოხუცი, რადგან იგი საკმაოდ ასაკოვანი – 70 წლისა — დააკავეს.

სალომე გოგოხია

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

რატომ იწყება სიბერე სხვადასხვა ასაკში, ანუ ვის ჰქვია მზეთუნახავი

ბედნიერებაა, როცა ქალს ასაკი არ ეტყობა, ანუ მარად ახალგაზრდად გამოიყურება. კავკასიელი ქალები ამ მხრივაც ყველასაგან გამორჩეულები არიან, მათ უნიკალურ სილამაზესა და შარმს ერწყმის ემოციურობა და ამ რეგიონისთვის დამახასიათებელი მწველი მზე, რომელიც, გარკვეულწილად, უარყოფითად მოქმედებს სახის კანზე.
როგორ შევინარჩუნოთ სილამაზე? რას ნიშნავს, იყო მზეთუნახავი? შეიძლება თუ არა სიბერესთან ბრძოლა? ამ და მრავალ სხვა საკითხზე ვესაუბრებით ჩვენს თანამემამულეს, მსოფლიოში აღიარებულ პლასტიკურ ქირურგს, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრს, ევროპისა და მსოფლიო პლასტიკური ქირურგიის ასოციაციის წევრს, 2008 წლის პრემია „გრაციის“ ლაურეატს, მოსკოვის რეკონსტრუქციულ-აღდგენითი მიკროქირურგიისა და კოსმეტოლოგიის კათედრის უფროს მეცნიერ-მუშაკს,
ქალბატონ ციცინო შურღაიას.

— ქალბატონო ციცინო, ვიდრე პლასტიკური ქირურგიის სიახლეებზე ვისაუბრებთ, მინდა, გკითხოთ სახის მოვლის საშუალებებზე, მალამოებზე, კრემებზე, როგორი ტიპის პროდუქციას ანიჭებთ უპირატესობას ამ თვალსაზრისით?

— ქალბატონები მუდმივად ძიებაში არიან, ფაქტობრივად, არ იციან, მოხმარებისას რომელ მათგანს მიანიჭონ უპირატესობა. საკითხი ასეც დგას — რაც ძვირია, ის უკეთესია. ეს ასე არ არის; სახის კანი, პირველ რიგში, უნდა ნახოს დერმატოკოსმეტოლოგმა და განსაზღვროს სახის კანის სისქე, ტენიანობა, ცხიმიანობა და სიბერის ტიპი. უნდა ვიცოდეთ, რომ ნებისმიერი კრემი, რომელსაც ვხმარობთ, სრულად არ შედის კანში; ვინაიდან ამ უკანასკნელს აქვს ბარიერული ფუნქცია. კანი არც გარეთ უშვებს რამეს, არც — შიგნით. ამიტომაც იცავს ორგანიზმს.

დღეს მსოფლიოში ცნობილი კოსმეტიკური ბრენდები ხაზს უსვამენ იმას, რომ თავიანთ პროდუქციას უმატებენ პროტექტორებს, რომ სასარგებლო მალამომ კანის შიგნით შეაღწიოს. ეს არის სწორედ მათი უპირატესობა. სამწუხაროდ, ასეთი ნივთიერებები ჯერ კიდევ ბევრ ცნობილ ფირმას არ აქვს.

— იქნებ რამდენიმე ბრენდი დაასახელოთ გაცნობის თვალსაზრისით, არა რეკლამისთვის...

— საუკეთესოა (რეკლამას არ ვუკეთებ) „ჩორნი ჟემჩუგი“, „ჰელენ რუბინშტეინი“ და სხვ. ეს კრემები ასეთ პროტექტორებს შეიცავს. აქვე დავძენ, საშიშია კერძო რეცეპტებით ოჯახში დამზადებული მალამოები, რომელთა შემადგენლობა ხშირად გაურკვეველია. ასეთი საეჭვო მალამოები იმ მხრივაა მოსარიდებელი, რომ სახის კანის ზედაპირზე ხშირად წარმოქმნის ერთგვარ გარსს, რომელიც კანს ზემოდან ეკვრის და საბოლოოდ კანი კვდება, რადგან არ სუნთქავს.

დღეს მსოფლიო ბრენდები მუშაობენ ისეთი მალამოს შექმნაზე, რომელიც კანის შიგნით შეაღწევს, ინდივიდუალურად მისი შექმნა ძალიან ძნელია. მთავარია, არ გამოშრეს კანი, რაც სიბერის პირველი ნიშანია.

— როგორ შეინარჩუნოს ქალმა ახალგაზრდობა?

— თავად სიბერის პროცესი აბსოლუტურად ინდივიდუალურია, იწყება სხვადასხვა ასაკში, ანუ, ფაქტობრივად, გენეტიკურია. კოსმეტოლოგია სიბერის პროფილაქტიკის სამსახურში დგას და ის მედიცინის სრულფასოვანი დარგია ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა მიმართულება. ამიტომ მასზეც ვრცელდება პრინციპი — ჯობს ადრეულ ასაკში პროფილაქტიკა, ვიდრე დაგვიანებული მკურნალობა.

თუ გსურთ, იცოდეთ, როგორ დაბერდებით, ჩახედეთ თქვენი წინაპრების საოჯახო ალბომს და ყველაფერს მიხვდებით. თუმცა, გარდა გენეტიკისა, სიბერეს აჩქარებს არასწორი ცხოვრების წესი, თანმხლები დაავადებები, სტრესი, ნარკოზი და სხვა, ისევე, როგორც აქტიური მზე, რომელიც ფოტოსიბერეს იწვევს. გადაჭარბებული მზის აბაზანები აჩქარებს სიბერის პროცესს, აზიანებს კანს.

— რას იტყვით ზამთარში სოლარიუმში გარუჯვაზე?

— ეს საშინელებაა კანისთვის. სამწუხაროდ, ის ბაზალურ შრემდე აზიანებს კანს, მე ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

— კავკასიის რეგიონის წარმომადგენლებს, კერძოდ, ქართველ ქალებს რას ურჩევთ?

— ქართველებს გვაქვს სილამაზის გამომხატველი არაჩვეულებრივი სიტყვა „მზეთუნახავი“. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი, ანუ უნდა მოვერიდოთ აქტიურ მზეს, რათა ქართული ეშხი შევინარჩუნოთ. საქმე ისაა, რომ ულტრაიისფერი სხივები ორგანიზმიდან (ამ შემთხვევაში, სახის კანიდან) გამოათავისუფლებს ოლაგენს, მის დამშეულ თავისუფალ რადიკალებს, კოლაგენი კი ის ნივთიერებაა, რომელიც კანს სიმკვრივეს ანიჭებს და ახალგაზრდობას უნარჩუნებს. თუ კოლაგენი დაიშალა, კანი კუნთებთან კავშირს კარგავს და დედამინის მიზიდულობის ძალის გავლენით დაბლა იწევს. ამის შემდეგ ჩნდება ე.წ. გრავიტაციული ნაოჭები და ბოლოს — ღარები (ნაოჭი და ღარი სხვადასხვა რამ არის). ამ ყველაფერმა შეიძლება სხვადასხვა ასაკში იჩინოს თავი. ასე რომ, ბიოლოგიური ასაკი სიბერის პროფილაქტიკის დაწყების ზუსტი მაჩვენებელი არ არის. საზოგადოდ, პროფილაქტიკას დღეს ახალგაზრდობიდანვე იწყებენ.

— არის თუ არა ლაზერული ლიფტინგი საუკეთესო მეთოდი?

— ყველა მეთოდს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მე, პირადად, საეჭვო მეთოდად მიმაჩნია, რადგან მისი შედეგი არასახარბიელოა. როგორც ექსპერტს, ხშირად მიმიცია დასკვნა ამ მეთოდის მსხვერპლთათვის, რომელთაც ოპერაციაში 28 ათასი აშშ დოლარი გადაიხადეს და, ტრავმასა და მორალურ ზიანზე რომ არაფერი ვთქვათ, ვერავითარი შედეგი ვერ მიიღეს!!!

სახის დაჭიმვის ოპერაციის მიზანია პაციენტის გაახალგაზრდავება 10-15 წლით და შედეგის გახანგრძლივება 8-10 წლის განმავლობაში, ინდივიდუალური იერის შენარჩუნება და ოპერაციის შემდგომი ნაწიბურების გამორიცხვა. ამის საშულებას იძლევა SMAS-დაჭიმვა, რომელიც გაცილებით ეფექტიანია, ვიდრე კანის ზედაპირული დაჭიმვა. ოპერაცია საკმაოდ რთულია და ის დიდ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს.

— რა არის ენდოსკოპიური ლიფტინგი?

— ესეც ერთ-ერთი მეთოდია. გააჩნია, როგორი ტიპის სიბერესთან გვაქვს საქმე. თუ ერთი ტიპისაა, მაშინ დროებით უშველის, ე.ი. კარგია გარკვეულ ასაკში, თუმცა ის არ არის ოთხ შრეში დაჭიმვა. ამასთან, ყველა მეთოდი გარკვეულ ასაკსა და კონკრეტულ შემთხვევაშია მისაღები, მაგრამ არა ყოველთვის და არა ყველასთვის.

— მეზოთერაპიაზე რას იტყვით?

— საუკეთესო მეთოდია და ცნობილი იყო თვით კლეოპატრას დროსაც, თუმცა აქტუალური XI საუკუნეში გახდა. ვფიქრობ, უნიკალური მეთოდია. ამ მეთოდით სახის კანის ყველა შრეში შესაძლებელია საჭირო ნივთიერებების შეყვანა. გარდა ამისა, მას მეორე უპირატესობაც აქვს: ყოველი ჩხვლეტის დროს წარმოიქმნება მინინაწიბური, სადაც თავს იყრის კოლაგენი. დღეს არსებული უამრავი მეზოთერაპიული პრეპარატი ეფექტიანად მოქმედებს კანზე.

— როგორ შეაფასებთ ბოტულოტოქსინით სახის გაახალგაზრდავების მეთოდს, რამდენად ეფექტიანია?

— როგორც სპეციალისტი, ვამბობ, რომ მომავალი ამ დარგში ბოტულოტოქსინისაა, თუმცა ეს პროცედურა დიდ ცოდნასა და ოსტატობას მოითხოვს, რომ სახის ნერვი არ დაზიანდეს. მისი უპირატესობა ისაა, რომ არის ბუნებრივი ნივთიერება. კოსმეტოლოგიაში ბოტულოტოქსინი ნევროლოგიიდან შემოვიდა. მისი გაკეთება ყველასათვის არ შეიძლება, განსაკუთრებით, მათთვის, ვინც ალერგიულია კვერცხის ცილის მიმართ.

ბოტოქსის საშუალებით შესაძლებელია აიწიოს პირის კუთხეები, გაქრეს ინდაურის ყელი, ნაოჭები შუბლზე და თვალის გარშემო.

ესაუბრა
ეთერ კასრელიშვილი

ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი

ცივილიზაციის დაავადებათა ნუსხაში ერთ-ერთი ძნელად დასამარცხებელი პათოლოგიაა ქრონიკული დაღლილობის სინდრომი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ყოველ მეორე ადამიანს აღენიშნება. სტატისტიკური მაჩვენებლები არნახული ტემპით იზრდება. ქრონიკული დაღლილობის სინდრომით სკოლამდელი ასაკის ბავშვებიც კი არიან დაავადებულნი. როგორ უნდა შევებრძოლოთ ცივილიზაციური სენის ამ გავრცელებულ ფორმას, გვესაუბრება მედიცინის დოქტორი იგორ დოლიძე.

— ქრონიკული დაღლილობის სინდრომი იმ ადამიანებს უვითარდებათ, ვისაც სუსტი იმუნიტეტი აქვს და ნერვული სისტემის ძლიერი დაძაბულობა აღენიშნება. ამ დაავადების მქონეთ ისეთ დიაგნოზს უსვამენ, როგორიც არის გრიპი, ასთენონევროზული სინდრომი, პოლინოზი და ა.შ. ზოგჯერ კი მძიმე დაავადებებშიც ეშლებათ, არადა, დღემდე უცნობი რჩება ქრონიკული სინდრომის გამომწვევი მიზეზები.

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ფიქრობს, რომ ეს დაავადება უვითარდებათ ვირუსმატარებელ ადამიანებს, მხედველობაში აქვთ ჰერპესვირუსი, ენერგოვირუსი ან კოკსაკის ვირუსი. არის მეცნიერთა ჯგუფი, რომელიც მიიჩნევს, რომ დაღლილობის სინდრომს ენერგეტიკული ინფორმაცია იწვევს. ის უჩვეულო ვირუსია და არ გადადის შინაგანი ორგანოებიდან (სასუნთქი გზებით და საჭმლის მომნელებელი სისტემით, სისხლიდან), ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს ადამიანის ბიოველზე, იწვევს ენერგეტიკული სტრუქტურის რღვევას.

— ენერგეტიკული სტრუქტურების რღვევაში რას გულისხმობთ?

— ენერგოცენტრების (ჩაკრების) ბლოკადას, რომელიც იწვევს ფიზიკური სხეულიდან ენერგეტიკული რეზერვების გადინებას და ადამიანის ორგანოების დაავადებას. ენერგოზემოქმედების ერთ-ერთი ფორმაა ტელევიზიის საშუალებით მოსახლეობის მიზანმიმართული ზომბირება... თუ ადამიანი ვირუსის ბიოენერგეტიკული წყაროა, მას შეუძლია ცნობიერად თუ ქვეცნობიერად გადასცეს ვირუსი სხვა ადამიანს, მცენარეს ან ცხოველს.

— ტელერადიოზომბირების გარდა რა იწვევს ნეგატიურ ზემოქმედებას?

— ხდება ხოლმე, რომ ერთი ჯგუფის ადამიანებთან ურთიერთობა სიხარულსა და ენერგიის მოზღვავებას გვანიჭებს, ხოლო სხვებთან ურთიერთობისას სწრაფად ვიღლებით, ენერგიას, ძალას ვკარგავთ და დაუცველნი ვხდებით სტრესების ზემოქმედებისგან. ეს შემთხვევა ჩვეულებრივი ენერგეტიკული ვამპირიზმია, თუ დაღლილობა მოგვეხსნება იმ ადამიანებთან ურთიერთობის შეწყვეტისას, ვისაც მდგომარეობიდან გამოვყავდით. უნდა ჩავთვალოთ, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი ჩვენგან შორსაა.

— კიდევ რას უკავშირებენ ქრონიკული დაღლილობის სინდრომის განვითარებას?

— მეცნიერთა გარკვეული ჯგუფი მიიჩნევს, რომ ქრონიკული დაღლილობის სინდრომი მრავალი ფაქტორითაა განპირობებული. ერთ-ერთი მათგანი თავის ტვინის ლიმფური სისტემის სტრუქტურების რღვევაა.

ლიმფური სისტემა მეტად მგრძნობიარეა ყველა იმ პროცესზე, რაც ორგანიზმში მიმდინარეობს. ეს სისტემა პასუხისმგებელია როგორც ადამიანის ფსიქომოციურ სფეროზე, ისე მის ქცევით რეაქციებსა და ვეგეტატიური ფუნქციების ნორმალურ შესრულებაზე.

ლიმფური სისტემა თავის ტვინის ცენტრშია და ყოველი მხრიდან შემოსაზღვრულია თავის ტვინის დიდი ნახევარსფეროებითა და თავის ქალას ძვლებით, რომლებიც იცავს მას მოსალოდნელი ტრავმისგან. ქრონიკული დაღლილობის სინდრომის ჩამოყალიბებაში ლიმფური სისტემის როლის განხილვა უნდა დავიწყოთ ჯერ კიდევ ორსულობის პერიოდიდან.

თუ წინათ დაღლილობის სინდრომი გვხვდებოდა 45 წლის ასაკის პიროვნებებში (განსაკუთრებით, ქალებში), ამჟამად ხშირია სკოლამდელი ასაკის ბავშვებში, მოსწავლეებსა და სტუდენტებში. ამ დროს დაავადებულს ძალზე დაქვეითებული აქვს მახსოვრობა, შრომისუნარიანობა, მკვეთრადაა გამოხატული ვეგეტატიური რეაქციები, ხანგრძლივად მიმდინარე მოჭარბებული ტემპერატურისა და ოფლიანობის სახით, აღენიშნება მომეტებული აღგზნებადობა.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომი იწყება გრიპის მსგავსი კლინიკური ნიშნებით, ყელის უმნიშვნელო ტკივილით, დიდდება ლიმფური კვანძები, უპირატესად, იღლიის ფოსოში და არავინ ელის მის გადაზრდას უმძიმესი დაღლილობის შეგრძნებაში.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ ქრონიკულად მიმდინარე დაღლილობა განსაკუთრებით დამახასიათებელია განათლებული და წარმატების მქონე ახალგაზრდობისათვის. ამიტომაც შეარქვეს მას „ახალგაზრდა კარიერისტთა გრიპი“.

ქრონიკული დაღლილობის სინდრომით შეპყრობილი ადამიანები გარეგნულად ჯანმრთელად გამოიყურებიან. ხშირად მათი ნათესავ-მეგობრები ამ ჩივილებს აფასებენ სიზარმაცისა და უსაქმურობის გამოვლინებად. ახლობლებისგან ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო ამძაფრებს ახალგაზრდების მდგომარეობას.

— მკურნალობას თუ ემორჩილება ქრონიკული დაღლილობის სინდრომი?

— ენერგეტიკული ვირუსისგან დაცვა მხოლოდ ენერგეტიკული მეთოდების გამოყენებითაა შესაძლებელი. ქრონიკული დაღლილობის სინდრომის მკურნალობაში არაჩვეულებრივი შედეგი მიიღო მოსკოველმა ფენომენმა იგორ საველევმა, რომელმაც ოთხი წლის განმავლობაში 1500 პაციენტი გამოაჯანმრთელა ფსიქოენერგეტიკული ვარჯიშებით. ქრონიკული დაღლილობის სამკურნალოდ ექიმები არატრადიციულ მეთოდებს მიმართავდნენ. სუნთქვითი ვარჯიშების გარდა საუკეთესო მეთოდია ორგანიზმის ფიზიკური წვრთნა. რაც შეეხება მედიკამენტების გამოყენებას (მაგალითად, ვიტამინები), ნაწილობრივ გამართლებულია, მაგრამ — ნაკლებსაიმედო. ქრონიკული დაღლილობის სინდრომიდან თავის დაღწევა, ცოტა არ იყოს, რთული საქმეა, თუმცა გამოსავალი მაინც არსებობს.

საჭიროა, თავი აარიდოთ კონფლიქტურ სიტუაციებს, უარყოფითი ემოციების გულთან ახლოს მიტანას, ეცადეთ, ყოველგვარ სიტუაციაში დაინახოთ დადებითი მხარე, გამოავლინოთ საკუთარი თავისადმი სიყვარულის შეგრძნება და სხვ.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ავადმყოფობისგან თავის დაღწევა დამოკიდებულია თვით ადამიანის რწმენაზე, ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარიანობაზე, ადამიანის ნებისყოფაზე, დანიშნული მკურნალობისა და, რაღა თქმა უნდა, განკურნების იმედზე.

ესაუბრა
ანა სავანელი

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

რა ღირს უახლესი „Mazda 3“?

იაპონიური ავტოკომპანია „Mazda“ ახალი თაობის „Axela“-ს შიდა ბაზარზე რეალიზაციის პირველი თვის შედეგებს ითვლის.

ევროპულ ბაზარზე „Mazda 3“-ის სახელით ცნობილი ახალი მანქანის გაყიდვა 11 ივლისს დაიწყო. იაპონელები თვეში 2 000 ეგზემპლარის გაყიდვას ვარაუდობდნენ, მაგრამ უკვე 12 ივლისს დილერთა ცენტრებს 7 640 შეკვეთა ჰქონდათ.

მოლოდინს გადააჭარბა მოთხოვნამ „Axela“-ს ახალ საფირმო სისტემა „i-stop“-ზეც, რომელიც შუქნიშნის წითელ სინათლეზე ძრავის გამორთვისა და ბენზინის ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა. შეკვეთილი მანქანების 50% სწორედ ამ სისტემით იქნება აღჭურვილი.

მყიდველთა ნახევარმა 2,0-ლიტრიანი ძრავა აირჩია, 40%-ზე მეტმა — 1,5-ლიტრიანი. დანარჩენებს კი 2,3-ლიტრიანი ძრავით აღჭურვილი „Mazdaspeed Axela“ ეყოლებათ. „Mazdaspeed Axela“ იაპონიაში 1 660 000 იენიდან 2 678 000 იენამდე ეღირება.

ინტერნეტდამოკიდებულებისგან ელექტროშოკი კურნავს?

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტრომ ინტერნეტდამოკიდებულების ელექტროშოკით მკურნალობის მეთოდი აკრძალა. როგორც იქნა, ეშველათ ჩინელებს და დადგინდა, რომ, ჯერ ერთი, ელექტროშოკი ამ დამოკიდებულებას არ კურნავს და, მეორეც, მისი გამოყენება კლინიკებში დაუშვებელია. ელექტროშოკით აღარ, მაგრამ ჩინელთა „ინტერნეტული სენისაგან“ განკურნებას მაინც შეეცდებიან, ოღონდ უფრო ჰუმანური მეთოდებით.

ამ დასკვნამდე მივიდნენ მედიკოსები ჩინეთის პროვინციალ შანდუნში მომხდარი დოქტორ იან იუნსინის „დეინტერნეტიზაციასთან“ დაკავშირებული სკანდალის შემდეგ.



იქ მყოფი პაციენტები ირწმუნებიან, რომ სტაციონარული მკურნალობისას საავადმყოფოს 68 წესიდან რომელიმე ერთ-ერთის დარღვევის შემთხვევაში მათ ელექტროშოკით სჯიდნენ. 200 მილიამპერის განმუხტვა გამოწერილი ჰქონდათ შოკოლადის მირთმევის, საპირფარეშოს კარის ჩაკეტვის, წამლის დროულად მიუღებლობისა და მსგავსი შემთხვევებისას.

ექიმ იანის მკურნალობის სხვა მეთოდები სახალხო კრიტიკა ან მშობლების წინაშე მუხლებზე დგომა იყო. რა თქმა უნდა, საავადმყოფოს ტერიტორიაზე ინტერნეტი აბსოლუტურად მიუწვდომელ ფუფუნებას წარმოადგენდა. კლინიკაში მკურნალობის კურსი 878 დოლარი ღირდა და იქ ბავშვები მშობლებს საკუთარი ინიციატივით მიჰყავდათ, შემდეგ კი მათი აღშფოთების გაზიარება არავის სურდა.

თავად ექიმი იან იუნსინი საკუთარ მეთოდს „ინტერნეტის საწინააღმდეგო ჯვაროსნულ ლაშქრობას“ უწოდებს, ელექტროშოკით ადამიანების წამებას კი — „მომდუნებელ თერაპიას“, რომელიც ახალგაზრდებს ეხმარება, დამშვიდდნენ და მთელი დღე კომპიუტერთან არ გაატარონ.

ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ ბავშვების მშობლები ამ მეთოდს უსაფრთხოდ და სასარგებლოდ მიიჩნევდნენ და შვილებს უყოყმანოდ უშვებდნენ ელექტროშოკის კურსებზე ინტერნეტდამოკიდებულებისგან განსაკურნებლად.

შეგახსენებთ, რომ 2008 წლის 8 ნოემბერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ინტერნეტდამოკიდებულება ოფიციალურად აღიარეს ფსიქიკურ აშლილობად და ამ სახის დოკუმენტთაგან პირველში („ინტერნეტდამოკიდებულების დიაგნოსტიკის სტანდარტები“) ეს მიდგომა დააკანონა კიდეც.

ექიმების აზრით, ვირტუალური სამყარო ხშირად იწვევს პრობლემებს რეალურ ცხოვრებაში. ამ მოსაზრებას ჩინეთის სტატისტიკა ამყარებს: საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამმართველოს 2008 წლის ნოემბრის მონაცემებით, პეკინში არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა 76% ონლაინთამაშებითაა პროვოცირებული.

ვის აფრქვევენ თვალებში წინაკას?

სამხრეთაფრიკული ქალაქ კეიპტაუნის ერთ-ერთმა ბანკმა თავისი ბანკომატები ვალებისა და ქურდბაცაცებისაგან დასაცავი ახალი სისტემით აღჭურვა. ბოროტმოქმედის დაფიქსირებისთანავე სისტემის პილპილიანი ბალონები პილპილის გამოფრქვევას იწყებს.

ბოროტმოქმედის აღმოჩენის საქმე ამავე ბანკომატებზე დამონტაჟებულ სათვალთვალო კამერებს ავალია, მონაცემთა გადამცემის დამონტაჟების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის დამაგრებით გატეხვის მცდელობას სწორედ ისინი აფიქსირებს.

„Absa Bank“ -ის ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ ზომბს გადაჭარბებულ სიფრთხილედ ნამდვილად ვერ მივიჩნევთ. გასულ წელს არაერთ ბანკომატს დაესხნენ თავს. ამჟამად მწვავე გაზით უკვე 11 ტერმინალია აღჭურვილი. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე არავის უზრუნია „სულელებისაგან დაცვის სისტემაზე“, რამაც საკმაოდ სევდიანი შედეგები გამოიღო. ბანკომატის ტერმინალის მომსახურე ტექნიკურ პერსონალსა და სამ დაზარალებულს სამედიცინო დახმარება დასჭირდა.

„Одноклассники“-ზე 15 000-ით აჯარიმებენ?

ურალში უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა: სასამართლომ ადგილობრივი მცხოვრები სოციალურ ქსელში შეურაცხყოფის მიყენებისათვის დააჯარიმა. 23 წლის პერვოურალსკელმა გოგონამ თავის ოპონენტს იქაც პოპულარულ საიტ „Одноклассники“-ზე რაღაც უმსგავსობა მისწერა, სასამართლომ კი ეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ადამიანის ღირსების სახალხო შელახვად შეაფასა.

მართალია, „დამნაშავე“ შეცვლილი მონაცემებით მოქმედებდა საიტზე, მაგრამ „მსხვერპლის“ გარეგნობისა და ოჯახური მდგომარეობის უკიდურესად უცენზურო შეფასებები მაინც არ შერჩა. დაზარალებულმა საქალაქო სასამართლოს მიაკითხა და უცნობის დასჯა მოითხოვა. სასამართლომ გაითვალისწინა ყველა გარემოება და ამ საქმეს განსაკუთრებით მძიმე შემთხვევის კვალიფიკაცია ვერ მისცა, მაგრამ დამნაშავეს ადამიანის სახალხო შეურაცხყოფისათვის 5 000 რუბლის ჯარიმა დააკისრა. თავად დაზარალებულისათვის მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კი დამნაშავეს კიდევ 10 000 რუბლი გადაახდევინეს.

სად გაქრა ფული?

უკანასკნელი შვიდი წლის განმავლობაში გერმანიის ფედერალურმა ბანკმა 328 მილიარდი ევრო ნაღდი ფულის სახით გამოუშვა. ბერლინის ყოფილმა სენატორმა ფინანსისტმა ტილო სარაცინიმ ჩაატარა გამოკვლევა, რომელიც შემდგომ ფუნდამენტური შრომის სახით გამოაქვეყნა სახელწოდებით „გერმანელები და მათი დამოკიდებულება გადახდის სხვადასხვა საშუალებასთან.

2272 გერმანელი მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ ერთი კვირის განმავლობაში ყველა დანახარჯს აღრიცხავდა. ამის შემდეგ კი დაახლოებით დადგინდა, რამდენი ევრო დევს თითოეული გერმანელის საფულეში.

საშუალოსტატისტიკურ გერმანელს ჯიბეში 118 ევრო უდევს, აქედან 6,70 ევრო — მონეტების სახით. მათი 82,5% მომსახურებისა და შენაძენის გადახდას ნაღდი ანგარიშსწორებით ამჯობინებს, კვების ობიექტებში ეს მაჩვენებელი 96%-ს აღწევს. ყველა საშუალოსტატისტიკურ გერმანელს აქვს, სულ მცირე, ერთი დებეტური საბანკო ბარათი, მაგრამ მას მხოლოდ 11,9%-ში იყენებს.

ამ და სხვა მონაცემებმა ექსპერტს საშუალება მისცა, ორი სამეცნიერო დასკვნა გაეკეთებინა.

პირველი: გერმანიაში ნაღდი ფული ანგარიშსწორების მთავარი საშუალებაა და ასეთად კიდევ 30-40 წლის მანძილზე დარჩება. გერმანელები გადახდის ამ სახეობას უპირატესობას ანიჭებენ საიმედოობის, უბრალოებისა და ანონიმურობის გამო. ამასთან, ნაღდი ანგარიშსწორებით თავს ტრადიციების მიმდევრად გრძნობენ და ინოვაციებისადმი გარკვეულ შიშსაც გამოხატავენ.

მეორე: გერმანიაში ყველა მოქალაქის მთელი ყოველდღიური ხარჯის დასაფარავად 31 მილიარდი ევროა საკმარისი. გამოშვებული კი, როგორც ზემოთ ვთქვით, 328 მილიარდია.

მაშ, სად წავიდა დანარჩენი ფული, რომლის ასავალ-დასავალის შესახებ ფედერალურ ბანკსაც კი არ აქვს წარმოდგენა?

ტილო სარაცინი დარწმუნებულია, რომ დაახლოებით 75-80 მილიარდი ევრო გერმანიიდან სხვა ქვეყნებში გავიდა. დანარჩენი ფული კი ან გერმანელებს მუთაქებში აქვთ ჩაჭმუჭნული, ან ჩრდილოვან ეკონომიკაში ტრიალებს. სამწუხაროდ, ექსპერტის დასკვნის მიხედვით გერმანელი საზოგადოება მთლიანად კრიმინალიზებულია — ქვეყანაში უამრავი ფული ტრიალებს დაბეგვრისა და ფინანსური ინსტიტუტების გვერდის ავლით.

მონაცემებს ელექტროქსელითაც იპარავენ?

შტეფსელი იმ ინფორმაციის მოპარვის საშუალებაა, რომელსაც ადამიანი თავისი კომპიუტერის კლავიატურაზე აწყობს. ყოველ შემთხვევაში, ასე დაასკვნეს უსაფრთხოების სისტემის ექსპერტებმა.

მონაცემთა ამ მეთოდით მოპარვის შესაძლებლობა კომპიუტერიდან 15 მეტრის დისტანციაზე უკვე ექსპერიმენტულადაა დადასტურებული. ვინაიდან ეს მხოლოდ დასაწყისია, უნდა ვივარაუდოთ, რომ სისტემის დახვეწის შემდეგ აღნიშნული 15-მეტრიანი რადიუსი საგრძნობლად გაიზრდება.

ლას-ვეგასში 25-30 ივლისისათვის დაგეგმილ კიბერუსაფრთხოებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე სახელწოდებით „Black Hat“ ტექნოლოგები სწორედ ამ მეთოდის დემონსტრირებას მოახდენენ. „ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ, რომ ინფორმაციის გაჟონვა ყველაზე მოულოდნელი გზებითაც ხდება“, — განაცხადეს უსაფრთხოების სისტემათა სპეციალისტებმა.

საქმე ისაა, რომ კლავიატურიდან ინფორმაციის გადასაცემად გამოყენებული კაბელიდან ინფორმაცია დამმიწებელ ხაზშიც ხვდება, ამ ხაზიდან და შესაერთებლიდან კი ინფორმაცია ელექტროსისტემაში გადადის. ექსპერიმენტში გამოყენებული „PS/2“ სტანდარტის კაბელის მეშვეობით ძაბვის მერყეობის მიხედვით უმარტივესად შეიძლება გაირკვეს, კლავიატურის რომელი ღილაკი იქნა გამოყენებული. ამჟამად კლავიატურაზე აკრეფილი ღილაკების თანმიმდევრობა გაშიფრულია კომპიუტერიდან 5, 10 და 15 მეტრის სიშორეზე, ანუ ოფისის ტერიტორიაზე თანამშრომელთა კლავიატურების გაკონტროლება მონდომების შემთხვევაში რაიმე სირთულეს არ წარმოადგენს. როგორც სპეციალისტები ირწმუნებიან, უახლოეს მომავალში იმავე შედეგების მიღება უფრო დიდი დისტანციისათვის იქნება შესაძლებელი.

რომელია ყველაზე იაფფასიანი ქვეყანა?

ევროპის სტატისტიკურმა სააგენტო „Eurostat"-მა ევროპის 37 ქვეყანაში ფასების დონის შესახებ ანგარიში გამოაქვეყნა.

კვლევაში მონაწილეობდა ევროკავშირის 27 ქვეყანა, ევროკავშირში გაერთიანების სამი კანდიდატი (ხორვატია, მაკედონია და თურქეთი), თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის სამი წევრი (ისლანდია, ნორვეგია და შვეიცარია), ბოსნია, ჰერცეგოვინა, ალბანეთი, ჩერნოგორია და სერბეთი. „Eurostat"-მა ამ ქვეყნებში 2,5 ათასი სახეობის პროდუქტისა და მომსახურების ფასები შეადარა და დაასკვნა, რომ ყველაზე იაფი ქვეყანა მაკედონიაა. იქ ფასები ევროკავშირის საშუალო ფასებთან შედარებით 53%-ით ნაკლებია. მომდევნო ადგილებზე ბულგარეთი, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა გადანაწილდნენ.

ყველაზე ძვირი ევროპის ქვეყნებიდან დანია აღმოჩნდა. ევროკავშირის საშუალო ფასებთან შედარებით იქ ყველაფერი 41%-ით ძვირია. მომდევნო ადგილებზეა ნორვეგია და შვეიცარია (ფასები საშუალოევროპულს 39%-ითა და 30%-ით აჭარბებს).

ნორვეგიაში ალკოჰოლი საშუალოევროპულთან შედარებით 117%-ით ძვირია, ტანსაცმელი — 25%-ით, ფეხსაცმელი — 37%-ით. სამაგიეროდ, ჩერნოგორიაში თამბაქო და ალკოჰოლიანი სასმელი ყველაზე იაფ მაკედონიასთან შედარებითაც კი იაფია.

ელექტროენერგია და გაზი ყველაზე ძვირად დანიაში ფასობს (69%-ით), ბრიტანეთში კი ავეჯი და საყოფაცხოვრებო ტექნიკა ყველაზე იაფია. ყველაზე ძვირადღირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტი ნორვეგიაშია, იქაა ყველაზე ძვირადღირებული რესტორნებიცა და სასტუმროებიც. სამაგიეროდ, ესპანეთში კავშირგაბმულობა ყველაზე ძვირი სიამოვნებაა.

ევროპის უძვირესი ქვეყნების ათეული:
დანია, ნორვეგია, შვეიცარია, ირლანდია, ფინეთი, ისლანდია, ლუქსემბურგი, შვედეთი, საფრანგეთი, ბელგია.
ევროპის უიაფესი ქვეყნების ათეული:
მაკედონია, ბულგარეთი, ალბანეთი, ბოსნია, ჰერცეგოვინა, სერბეთი, ჩერნოგორია, რუმინეთი, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკეთი.

ვინ გაუმკლავდება საბრძოლო რობოტებს?

ავსტრალიის თავდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური ქვეგანყოფილება აშშ სამხედრო უწყებასთან ერთად ახალი თაობის საბრძოლო რობოტების შექმნაზე კონკურსს აცხადებს. ახალი რობოტები დისტანციურად უნდა იმართებოდეს და ქალაქის პირობებში ბრძოლა შეეძლოს.

ამ მეთოდით მოულოდნელ და საეჭვო გარემოებებში ატეხილი საქალაქო შეტაკებებისას მსხვერპლთა რაოდენობის შემცირებას გეგმავენ.

გარდა ამისა, რობოტები მებრძოლებს მტრის ნეიტრალიზებაშიც უნდა დაეხმაროს.

ავსტრალიის ხელისუფლებას სურს, მიიღოს პროგრამირებადი და სრულად ავტონომიური სისტემა, რომელიც სახიფათო სადაზვერვო მისიებს შეასრულებს. გარდა ამისა, ჯარისთვის აუცილებელია ახლებურად აღჭურვილი თვითმოძრავი მანქანები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების რაიონებში ჯარის შავ სამუშაოებს შეასრულებს.

პროექტის ბიუჯეტი 1,6 მილიონ დოლარს შეადგენს. ხუთი საუკეთესო პროექტის ავტორებს მიიწვევენ ამ პროექტების პრეზენტაციაზე, რომელიც გაისად, ნოემბერში გაიმართება ბრისბანში სამხედრო კონფერენციაზე. კონფერენციაზე მოხვედრისათვის კონკურსის მონაწილეებმა თავიანთი რობოტები წინასწარ გამოსაცდელად უნდა წარადგინონ.

რამდენი წლისაა ნელსონ მანდელა?

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პირველი დემოკრატიული გზით არჩეული პრეზიდენტის ნელსონ მანდელას 91 წლის იუბილეს 18 ივლისს მთელი ქვეყანა აღნიშნავდა. თავად ნელსონ მანდელამ კი გადაწყვიტა, „მანდელას დღე" საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გაეტარებინა და თანამოქალაქეებსაც იგივე მოუწოდა.

91 წლის მანდელამ ადამიანთა უფლებებისათვის ბრძოლაში განვლილი 67 წელიწადის პატივსაცემად საკუთარი დაბადების დღიდან 67 წუთი საზოგადოების სამსახურს დაუთმო. იოჰანესბურგში იუბილარის სახელობის მოედანზე დღესასწაული ბავშვებისთვის გაიმართა. იუბილარის სახელობის ფონდმა საზოგადოებას მოუწოდა, ეს დღე მოხუცებისა და პატარებისთვის მიეძღვნა. საქმე ისაა, რომ გასულ კვირას გადაუღებელმა წვიმებმა მნიშვნელოვნად დააზიანა კეიპტაუნის ქუჩები და მანდელას დაბადების დღის აღსანიშნავად მოსახლეობა ქუჩებს დაასუფთავებს, დარგავს ხეებსა და ყვავილებს.

მანდელას დაბადების დღე ამერიკაშიც აღნიშნეს — ნიუიორკში იუბილარის ნაცნობმეგობარმა მომღერლებმა კონცერტი გამართეს.

ამერიკაში კაცებს ქალები ინახავენ?

როგორც ჟურნალმა „Newsweek"-მა დაადგინა, შტატებში უმუშევარ მამაკაცთა რაოდენობა 2,5%-ით აჭარბებს უმუშევარი ქალების რაოდენობას, რაც ყველაზე დიდი გარღვევაა ომისშემდგომ პერიოდში.

ეკონომისტები თვლიან, რომ ეს მშენებლობისა და წარმოების სექტორებში შტატების კოლოსალურმა შემცირებამ გამოიწვია, ვინაიდან ამ სამსახურებში დასაქმებულთა 70-85%-ს სწორედ მამაკაცები წარმოადგენდნენ. ამერიკის განვითარების ცენტრის მონაცემებით, ამერიკაში ქალებს მამაკაცებზე ნაკლები შემოსავალი აქვთ. მთელი ქვეყნის მასშტაბით მათ საშუალოდ თითოეული დოლარიდან 22 ცენტით ნაკლებს უხდიან, ვიდრე მამაკაცებს.

ძირითადად, ქალები მუშაობენ დაბალანაზღაურებად სექტორში: საცალო ვაჭრობაში, სასტუმროებში, განათლების სისტემაში, არაკომერციულ ორგანიზაციებში, ჯანდაცვაში. როგორც წესი, ქალების მიერ დაკავებული თანამდებობები არ გულისხმობს შეღავათებსა და დაგროვებად პენსიებს.

ახლა ეკონომისტები იმედოვნებენ, რომ ქალებს ხელფასს მოუმატებენ და მაღალანაზღაურებად სექტორებშიც დაასაქმებენ, მამაკაცები კი, ძირითადად, სახლის საქმეებით დაკავდებიან. ახლა აშშ უამრავი უმუშევარი მამაკაცი აცხადებს, რომ მისი სამსახური სამსახურის ძებნაა.

პლანეტის უხუცესი მამაკაცი გარდაიცვალა

ბრიტანეთში, ბრაიტონის შემოგარენში, 113 წლის ასაკში გარდაიცვალა დედამიწის ყველაზე მხცოვანი მამაკაცი, პირველი მსოფლიო ომის ვეტერანი ჰენრი ელინამი. პლანეტის უხუცესი ადამიანის სტატუსით მან მხოლოდ ერთ თვეს იცოცხლა.

ელიმანმა ეს ესტაფეტა იაპონელი ტომოძი ტანაბესაგან მიიღო, რომელიც 1895 წელს დაიბადა და წლეულს, 19 ივნისს, გარდაიცვალა. მარტის ბოლოს ელიმანი ისტორიაში ყველაზე ხანდაზმული ბრიტანელი გახდა, 113-ე დაბადების დღე მან 6 ივნისს იზეიმა. ელიმანის გარდაცვალების შემდეგ გაერთიანებულ სამეფოში პირველი მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანილა დარჩა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები ჰენრი ელიმანმა მოხუცებულთა სახლში გაატარა და იქვე გარდაიცვალა. მას 5 შვილიშვილი, 12 შვილთაშვილი, 14 შვილთაშვილიშვილი და მათი ერთი შვილი დარჩა. ელიმანი მოესწრო XIX, XX და XXI საუკუნეების მოვლენებს, ახლანდელი დედოფალი ელისაბედ II მისი თანამედროვე მეექვსე ბრიტანელი მონარქია. ამჟამად პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ერთადერთი ცოცხალი ბრიტანელი ჰარი პეტჩია. ივნისში მას 111 წელი შეუსრულდა.

ლოგინი თავისით ალაგდება?

გააჩნია ლოგინს. ამ შემთხვევაში შხაპის მიღებამდე თქვენი ლოგინი ჩილეს უახლესი პროდუქტი „BED"-ის დახმარებით თავისით გადაიფერთხება, განიავდება, გაფუმფულდება და ალაგდება. მთავარია, ღილაკზე თითის დაჭერა არ დაგავიწყდეთ.

არავითარი სასწაული — ყველაფერი ჰაერის ნაკადის დამსახურებაა. საწოლის მყარ ნაწილში ჩამონტაჟებულია მომცრო ზომის ტურბინა, რომელიც სპეციალური კონსტრუქციის დახმარებით ჰაერის ნაკადს თეთრეულისაკენ მიმართავს. კომპანია „NextDream"-ის ეს მშვენიერი პროდუქტი უკვე 140 ქვეყანაშია დაპატენტებული, კომპანიის ხელმძღვანელი ნინო პროდი კი იმედოვნებს, რომ ეს სიახლე ადამიანების ცხოვრების ხარისხს გააუმჯობესებს. პროდი აღიარებს, რომ იდეა, რომელიც თავის დროზე აბსოლუტურ სიგიჟედ ეჩვენებოდა, მის მეგობარ ხოსე ლუის ალეგრიას ეკუთვნის.

ამჟამად კომპანია ინვესტორებსა და ლიცენზიის შესყიდვის ევროპელ მსურველებს ეძებს. ამერიკელებმა უკვე შეისყიდეს ლიცენზია და აგვისტოში თვითალაგებადი ლოგინები აშშ-ის ბაზარზე გამოჩნდება.

ეს მხოლოდ ზარმაცებისთვის არაა. ახალი გამოგონება ინვალიდებისა და მოხუცებისათვის, რომელთაც სხვათა მზრუნველობა ესაჭიროებათ, მნიშვნელოვანი შეღავათია. კომპანია უკვე თანამშრომლობს ჩილეს ხელისუფლებასთან, რათა საავადმყოფოების ახლანდელი საწოლები ახალი ტექნოლოგიის თვითალაგებადი საწოლებით შეცვალონ.

რამდენი წლისაა ტეხასელი ნიანგი?

ამერიკელმა პალეონტოლოგებმა დაახლოებით 100 მილიონი წლის წინანდელი ნიანგის ნარჩენებს მიაგნეს. გათხრებისას ნაპოვნია თავის ქალასა და ტანის ძვლები, 6 სანტიმეტრამდე სიმაღლის კბილები. ტეხასის ამ რაიონში მსგავსი აღმოჩენები იშვიათობას არ წარმოადგენს, იქ მხოლოდ ნიანგის კი არა, დინოზავრის ძვლებსაც ხშირად პოულობენ. საქმე ისაა, რომ უძველეს დროში, დაახლოებით 95 მილიონი წლის წინათ, ამ ტერიტორიაზე — ძველი ოკეანის სანაპიროზე, ცხოველები მრავლად სახლობდნენ.

სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბევრეთ

თბილისში, ძნელაძის ქუჩაზე, ოპერის უკან, კალინინის სახელობის რაიონის მილიციის მე-17 განყოფილება იყო განთავსებული.
70-იანი წლებია. სწორედ ამ განყოფილების საკანში იჯდა ახალგაზრდა ულამაზესი ბიჭი, რომელიც მე პირველად 4-5 წლის ასაკში ვნახე. თეთრ ჩოხაში გამოწყობილი მამასთან ერთად ზემელზე ამაყად მოაბიჯებდა. დამეთანხმებით, ადამიანი ბუნების შედევრია, მისი გვირგვინი და სიამაყე! თამამად შემიძლია, ვთქვა, რომ, როგორც წვეთი ჯერ კიდევ არ არის ზღვა, ისე ცალკეული პიროვნება საზოგადოების გარეშე, მარტო სახელითა და გვარით, არაფრისმთქმელია. კალმით ნახატი, ულამაზესი მშობლების შვილი სწორედ რომ საზოგადოებაში, იმდროინდელ ძალზე პრესტიჟულ რესტორან „არაგვში“ ყოფნისას მოხვდა ცხოვრების გზაჯვარედინზე, რაც ციხეში ყოფნით უნდა დამთავრებულიყო. მაშინ ამაყმა ახალგაზრდამ თავი ვერ შეიკავა და მილიციის უფროსის მოადგილეს სილა გააწნა. ეს მძიმე დანაშაული იყო.

ორი რეზო თაბუკაშვილი — ბაბუა და შვილიშვილი

მეამაყება და ბედნიერად ვთვლი თავს, რომ ამ ფაქტმა საშუალება მომცა, უფრო დავახლოებულიყავი ისეთ ადამიანს, როგორიც გახლდათ ბატონი რეზო თაბუკაშვილი.

რა თქმა უნდა, ოჯახი აფორიაქდა, განთავისუფლების ყოველგვარი მცდელობა ჩაიშალა.

კალინინის რაიკომის პირველი მდივანი გახლდათ ფილიპე მახარაძე, ვისთანაც თხოვნით მივიდა ქალბატონი მედეა ჯაფარიძე. მილიციის უფროსი ნოდარ გვახარია იყო, ცნობილი სპორტსმენი, უძლიერესი წყალბურთელი, საბჭოთა კავშირის წყალბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი. რაიკომის პირველმა მდივანმა დაურეკა მილიციის უფროსს და უთხრა: „თქვენთან ქალბატონი მედეა მოვა, მოუსმინეთ და დაეხმარეთ“.

მილიციის უფროსმა, ბატონმა ნოდარმა მოუსმინა ქალბატონ მედეას და უთხრა: „თქვენმა შვილმა გამილახა მოადგილე, ხულიგანია და ციხეში უნდა წავიდეს“. მოგეხსენებათ, ბატონ რეზოს უამრავი ძმაკაცი და თაყვანისმცემელი ჰყავდა, მაგრამ ნოდარ გვახარია შეუვალი აღმოჩნდა.

ამ დროს მე „ნიანგის“ რედაქციაში ვმუშაობდი. სამი კოლორიტული პიროვნება — რეზო თაბუკაშვილი, დოდო აბაშიძე და ამირან დუმბაძე რედაქციაში მოვიდა. წინადადება მოკლე და კონკრეტული იყო: „როგორც გავიგეთ, ნოდარ გვახარია შენი მეგობარი ყოფილა, უნდა დაგვეხმარო“.

გაოცებული დავრჩი. ასეთმა პიროვნებებმა თუ ვერ შეძლეს საქმის გაკეთება, მე როგორღა უნდა შემძლებოდა?! მილიციის უფროსის მოსაცდელში აცრემლებული მედეა რომ დავინახე, ამ საქმის გაუკეთებლობაც ვერ წარმოვიდგინე.

ტრაბახი რომ არ გამომივიდეს, ბედმაც გამიღიმა.

ნოდარი ღიმილით შემხვდა, გამიყვანა კაბინეტის უკანა ოთახში და მითხრა: „ამ საქმეს შენღა აკლდიო“. მე მხოლოდ რამდენიმე სიტყვით და, როგორც ჩანს, ძალზე დამაჯერებლად ვუთხარი: „ძმაო, ნოდარ! როგორ გგონია, ასეთი კარგი მომავლის მქონე ახალგაზრდა, მედეა ჯაფარიძისა და რეზო თაბუკაშვილის შვილი, შენ რომ ციხეში გაუშვა, სხვა აღარავინ გამოჩნდება, რომ გაათავისუფლოს?!“

შევატყვე, სიტყვები ათიანში გავარტყი: ეტყობა, ამ საკითხზე თვითონაც უფიქრია. მილიციის უფროსის მოადგილეც არ აღმოჩნდა ბოღმა კაცი.

საქმე ბოდიშის მოხდითა და შერიგებით დამთავრდა.

საინტერესო ისაა, რომ ქუჩა, სადაც ეს ამბავი მოხდა, დღეს რეზო თაბუკაშვილის სახელს ატარებს, მისი შვილი კი — ლაშა თაბუკაშვილი, ღირსეული ქართველი, მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწეა.

რაკი რეზო თაბუკაშვილზე ვსაუბრობთ, მინდა, მისივე მონაყოლი გავიხსენო. დარწმუნებული ვარ, თქვენთვისაც საინტერესო იქნება, ძვირფასო მკითხველო!

საქვეყნოდ ცნობილია ჰოლანდიის სანაპიროსთან მდებარე კუნძული ტექსელი. ამ კუნძულზე დასაფლავებულია 500 ქართველი მეომარი. სამამულო ომის დროს ისინი ტყვედ ჩავარდნენ, გერმანელებს აუჯანყდნენ და უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპნენ.

რეზო თაბუკაშვილის შემოქმედება მარტო ქართველ ხალხს არ ეკუთვნის. იგი მსოფლიო მნიშვნელობისაა. სიყვარული მისი ძირეული ნიშანი იყო. მას ჰქონდა ერთიანობის საუკეთესო გრძნობა. მისთვის დახლეჩილ-დაქუცმაცებული საქართველოს შვილები არ არსებობდა. იგი არა მარტო ემიგრაციაში წასული ქართველებით იყო დაინტერესებული, არამედ საბჭოთა არმიის იმ ჯარისკაცებითაც, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდნენ. ამის ბრწყინვალე მაგალითია სწორედ ის, რის მოყოლაც ახლა განვიზრახე.

მინისტრთა საბჭოს შენობაში შევხვდით ერთმანეთს. ხელში ამავე შენობის გერბიანი ქაღალდი ეჭირა, კითხულობდა და იღიმოდა. მისი ღიმილი მეც გადმომედო და წერილი ბოლომდე ჩავიკითხეთ. წერილის შინაარსიდან ირკვეოდა, რომ მთხოვნელს ობიექტური მიზეზების გამო რაღაცაზე უარს ეუბნებოდნენ.

— მთხოვნელი მე ვარ, — მეუბნება ბატონი რეზო, — მაგრამ, მიუხედავად უარისა, კმაყოფილიც ვარ.

— რაღაც ვერ გავიგე, — გავბედე და ღიმილით ვუთხარი.

— სწორედაც რომ „ნიანგის“ საქმეა, აბა, ამათ როგორ გავუბედავთ გაკრიტიკებას?!

ორნაირი ხერხი ვიხმარე, რათა ტექსელის სასაფლაოსთვის ისეთი რამ გამეკეთებინა, ჩვენი დღევანდელობა და მომავალი ყოფილიყო გამოკვეთილი.

ამისთვის საჭირო იყო ლითონი. ლითონი „მეტალობაზაშია“, მაგრამ ლიმიტია საჭირო. ლიმიტს კი აქ ანაწილებენ. განცხადება დავწერე, ცეკაშიც ვიყავი, უარყოფითი პასუხიც მივიღე, თანაც, დაგვიანებით, მაგრამ ამას ჩემთვის ხელი არ შეუშლია. სამაგიეროდ, მამაპაპურმა ხერხმა გაჭრა. ზემოდან დავარეკვინე „გლავსნაბში“. იქიდან დარეკეს „მეტალობაზაში“ — რეზო თაბუკაშვილი მოვა და დაეხმარეთო.

მივედი. გაუკვირდათ — ამისთვის შეწუხდით?! მეტალი — რამდენიც გნებავთ, მხოლოდ ერთი თხოვნა უნდა შეგვისრულოთ: რესტორანში გავაგრძელოთ საუბარიო.

პირველი სადღეგრძელო სწორედ იმისი შეისვა, რისთვისაც მეტალი მინდოდა.

მეტალი მოქანდაკეებს მივუტანე. საქმეში მხატვრები, ძმები გოგი და ირაკლი ოჩიაურები ჩავრთე. მოქანდაკეგია ჯაფარიძემ გააკეთა ქანდაკება „სიცოცხლის ხე“, რომელიც ავტომანქანებით ჩაიტანეს ბათუმში. შემდეგ კი გემით — კუნძულ ტექსელზე.

ვიყავით ჰოლანდიაში. საზეიმო ვითარებაში დაიდგა ქანდაკება. ჩამოვედი და მივიღე აი, ეს წერილი... ჩვენი ღიმილი სიცილ-ხარხარში გადაიზარდა.

რეზო თაბუკაშვილი დაიბადა 1927 წლის 2 აგვისტოს. გარდაიცვალა 1990 წლის 3 აგვისტოს. გარდაცვალებამდე ორი დღით ადრე დაწერა ლექსი (სხვათაშორის, ლექსი დაწერილია სხვადასხვა ფერის მელნით), რომელიც შვილიშვილებს მიუძღვნა.

უზომოდ უნდა გიყვარდეს შენი ხალხი, შენი ქვეყანა და ის ადამიანებიც, ვისაც ამ ლექსს უძღვნი. საქართველოს მოუკვდა კაცი, რომელიც დღეს მას ყველაზე მეტად სჭირდება. იგი სიყვარულის გზით მიილტვოდა ერთიანობისკენ. გარდა იმისა, რომ იყო მწერალი, დრამატურგი, კინორეჟისორი, საზოგადო მოღვაწე, ინგლისურიდან ბრწყინვალედ თარგმნა შექსპირის სონეტები. იგი გახლდათ პროფესიონალი დიპლომატი, დამთავრებული ჰქონდა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი.

აი, ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს პრეზიდენტი.

ჟანი სიხარულიძე

შვილიშვილებს

მშვიდობას ვეტყვი მალე ქართულ ზეცის საფირონს
და მცირე ტალღად შევერწყმები ზღვას, უნაპიროს,
ქარს იმქვეყნიურს დავახვედრებ მალე წინ აფრას,
დიდებულია! გარდვიქცევი უცებ წინაპრად.
და თუმცა ჩემი გამგზავრება ჰგავდა წვალებას,
სიკვდილი მაინც არ დაარქვათ გარდაცვალებას.
მე წავალ, რადგან დრო აღარ მაქვს უკვე არჩევნის,
მე წავალ, მაგრამ სამუდამოდ თქვენთან დავრჩები.
მეც გიმეგზურებთ, ცხოვრების გზას როცა გაჰყვებით,
მე დაგინახავთ, მაგრამ ვეღარ დაგენახვებით.
მე არასოდეს არ ვიქნები თქვენთან მოდავე:
სამშობლო თქვენი თუ არასდროს არ იცოტავეთ!
მაგრამ იცოდეთ, მე იმ დღიდან თქვენთან არა ვარ,
თუ სარბიელად საქართველო გეპატარავათ.
დამარცხებულნიც არასოდეს ჩანდეთ საბრალოდ,
ვინმეს სიგლახე კაცთა მოდგმას არ დააბრალოთ.
ტკბილი გექნებათ სიყმაწვილე, მერე სიბერეც,
სხვათა მიღწევით სიხარული თუ გაიბევრეთ.